

თფილისის უნივერსიტეტის

ბულეტენი

BULLETIN

DE L'UNIVERSITÉ DE TIFLIS.

VII



თფილისი 1927 TIFLIS.

დაიბეჭდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის
განკარგულებით.

გამოვიდა 7. IV. 1927.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლახანოვის პრ. № 91.
მთაე. ლიტ. № 946. შეკვ. № 8092. ტირაჟი 500.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

	გვერდი
1. ა. მაღავევი, განვითარების ანომალიები	1
2. ვარლამ უზნაძე, დამპალახევის მიდამოს წყლის ანალიზის შესახებ	5
3. ბ. ლოლობერიძე, ქალთა სასქესო ორგანოებში ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელებისათვის.	14
4. მ. ფარცვანიძე, კოლოების დასნეულება	25
5. ალექსანდრე წერეთელი, ლუკიანე სამოსატელი თავის დროის სარწმუნოებათა შესახებ.	40
6. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები	60
7. ივანე კაქარაძე, მასალები სამეგრელოს გეოლოგიისათვის	74
8. გიორგი ანვლედიაანი, 1802 წლის ოსური A ხელნაწერი	90
9. ა. შანიძე, ხანშეთი მრავალთავი	98
10. კორნ. კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტილობა და ვინაობა	160
11. ს. დანელია, დავით იუმი, როგორც მოაზროვნე	174
12. არნოლდ ჩიკობაძე, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი	196
13. A. Khazaradze, Sur les suites des nombres rationnels analogues aux nombres de Bernoulli et d'Euler	248
14. დ. უზნაძე, მნიშვნელობის წედომის პრობლემისათვის	254
15. ა. ბოჭორიშვილი, სიმძიმის ილუზიის ანალოგონი წნეხის არეში	275
16. ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში.	285
17. მ. კოკოჩაშვილი, მასალები ციკლოპიის საკითხისათვის	316

S O M M A I R E

	Pages-
1. A. Malajeff, Anomalies du développement. III.	1
2. V. Ouznadzé, Composition chimique de l'eau dans les environs du Dampala-khévi . . .	5
3. B. Gogobéridzé, Sur la propagation de l'infection tuberculeuse dans les voies génitales de la femme	14
4. M. Parzwanidse, Der Infektionsgrad der Mücken . . .	25
5. A. Tsérétiéli, Lucien de Samosate à propos des religions de son temps	40
6. L. Mélikset-bek, Kobair et ses inscriptions arméniennes et géorgiennes	60
7. J. Katcharava, Matériaux pour la géologie de la Mingrétie	74
8. G. Akhvliédiani, Manuscrit ossétien A de l'année 1802 .	90
9. A. Chanidzé, Fragments d'une chrestomathie en vieux-géorgien caractérisée par l'emploi des <i>kh superflus</i> . . .	98
10. C. Kékélidzé, Le martyre de Constance-Kakhai	160
11. S. Danélia, David Hume comme penseur . . .	174
12. A. Tchicobava, Particularités principales du patois géorgien de Féréidan . . .	197
13. ა. ხარაძე, Bernoullისა და Eulerის რიცხვების ანალოგიურ რიცხვთა მიმდევრობისათვის	248
14. D. Ouznadzé, Du problème de la compréhension de la signification . . .	254
15. A. Botchorichvili, Analogon de l'illusion de la pesanteur dans la région de la pression . . .	275
16. V. Topouria, De l'histoire des terminaisons des noms dans le suanien . . .	285
17. M. Kokotchachvili, Matériaux pour la question de la cyclopie	316



ა. მალაყევი.

განვითარების ანომალიები.

მესამე ნაწილი¹. თირკმლის განვითარების მანკი.

**ახლადდაბადებული ბავშვის თირკმლების ორგანიზმი თანდათანული
ვივანტიზმი.**

ახლადდაბადებული ბავშვების გვამების გაკვეთის დროს მე შემხვდა იშვიათი და საინტერესო თანდაყოლილი ანომალია, რომელიც წარმოადგენს თირკმლების ორმხრივ სიმეტრიულ ჰიპერტროფიულ განვითარებას.

ბავშვის გვამი მამრობითი სქესისა; სიგრძე 49 სანტიმეტრი; წონა 2105 გრამი. გაკვეთილი იყო ანატომიურ ინსტიტუტში 10 თებერვალს 1925 წელს. სიკვდილის მიზეზი აღნიშნული არ იყო.

მუცლის ღრუს უკანა კედელზედ პერიტონეუმის პარიეტალური ფურკლის უკან აღმოჩნდა პირველი შეხედვით უზარმაზარი ნალისებრი თირკმელი. დეტალური გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ თირკმლები დაახლოებულნი არიან და მუცლის აორტის ქვემო ნაწილს ჰფარავენ, მაგრამ შეზრდა არ არსებობს.

თირკმლებს ლობიოს მსგავსი მოყვანილობა და ნაწილაკოვანი ზედაპირები აქვთ.

თირკმლების ზემო ბოლოები გულმკერდის მე-X მალის დონეს შეესაბამებიან, ქვემო ბოლოები კი—წელის მე-V მალის დონეს და ნაწილობრივ თეძოს ფოსოშიაც არის ჩამოშვებული. მარჯვენა თირკმლის სიგრძე უდრის 7 სანტიმეტრს, სიგანე—4,2 სანტ.; სისქე—2 სანტ.; მარცხენა თირკმელი ნახევარი სანტიმეტრით მოკლეა და სანტიმეტრის მესამედით განიერი.

თირკმლის ფიბროზული კაპსულა მკიდროდაა შეზრდილი თირკმლის პარენქიმასთან და ძნელად შორდება. კაპსულის ძალით მოშორების შემდეგ ირკვევა, რომ თირკმლების ზედაპირები დასერილი და დახვლექტილია (იხილე სურათი).

თირკმლების მიკროსკოპიული ნაკვეთი იყო გასინჯული და მის აგებულებაში შესამჩნევი ცვლილებები აღმოჩნდა. გორგლოვანი და მილაკოვანი ნივთიერება ნათლად განსაზღვრულია; გორგლოვანი ნივთიერებაში მალკიგის სხეულებების რიცხვი შესამჩნევად შემცირებულია და დალაგებულია უწყისოდ; გორგლები ან ატროფიულ მდგომარეობაშია ან სრულიად არ არსებობს.

¹) პირველი და მეორე ნაწილები იხ. ტფილისის უნივ. მოამბე ტ. ტ. V და VI. ტფილისის უნივერსიტეტის ნომბე, VII.

ზოგიერთი მალკიგის სხეულაების გარშემო შემაერთებული ქსოვილოვანი კაპსულაა განვითარებული, რომლის სივრცეში უხვი წერილ-მარცლოვანი დაშლა მოჩანს. კლაკნილი მილაკებისა, ჰენლეს მარუეშებისა და სწორი მილაკების რიცხვი მეტად შემცირებულია. მათი ეპიტელი მღვრივია, გაფუებული,



სურ. 1.

გადავარებული და ბევრ ალაგას დაშლის მდგომარეობაშია. მათი ბირთვები ან ძალიან მკრთალია ან სრულიად არა ჩანს.

მილაკოვან ნივთიერებაში დანაწილობრივ გორგლოვანშიაც მოიპოება მრავალი ღრუები-სინუსები, რომლებიც თირკმელს ღრუბლისებრ სახეს აძლევენ. ამ

ღრუებს ერთად აღებულთ უქირავთ ორგანოში გაცილებით მეტი ნაწილი, ვიდრე ორგანოს პარენქიმატოზულ ელემენტებს. ზოგიერთი სინუსი მრგვალია, ზოგი ოვალური, ზოგი უსწორო ფორმისა. მათი კედლები შექმნილია ბოქკოიან შემაერთებული ქსოვილის სქელი შრით, რომელიც შიგნიდან ბრტყელი ან კუბური ეპიტელით არის მოფენილი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში სინუსები აშნიარ საფარველს მოკლებულია; მილაკოვან ნივთიერებაში ეს სინუსები დიდია და ადვილად ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც; მათი დიამეტრი უდრის ხანდახან ნახევარ სანტიმეტრს.

როგორც გორგლოვან, ისე მილაკოვან ნივთიერებაში მოჩანს ბოქკოიანი შემაერთებული ქსოვილის ზედმეტი განვითარება; პარენქიმატოზული ნაწილი მკაფიოდ შეცვლილია და იმდენად სუსტადაა განვითარებული, რომ წარმოადგენს ორგანოს უმცირეს ნაწილს. შემაერთებული ქსოვილი ალაგ-ალაგ ზოლებსა კქმნის, რომლებსაც მილაკების სახე აქვთ.

თირკმლების მენჯი შეცვლილი არ არის.

სისხლძარღვების კედლები, განსაკუთრებით მათი გარეთა გარსი -- adventitia, შესამჩნევად გასქელებულია.

თირკმელზედა ჯირკვლებს ჩვეულებრივი ალაგი უქირავთ და სრულიად უფორმო უსწორო ნაპირებიან მასას წარმოადგენენ. მათი სიგრძე უდრის 3 სანტიმეტრს, სიგანე 1,5 სანტიმეტრს, სისქე 0,4 სანტ.

მიკროსკოპიული გამოკვლევის დროს არავითარი სტრუქტურა თირკმელზედა ჯირკვლებს არ ემჩნევა. ქერქოვანი ნივთიერების განსაზღვრა ტინიოვანი-საგან შეუძლებელია. ამ ორგანოებში ისევე, როგორც თირკმლებში, მხოლოდ ბოქკოიანი შემაერთებული ქსოვილია განვითარებული. მის მასაში ბევრ ალაგას ჩანს სისხლის ძარღვები, რომლებსაც დაკლანილი მიმართულება აქვთ.

შარდის ბუშტი გაგრძელებულია, კვერცხის მზგავსი ფორმისაა და აქვს ჩვეულებრივი მდებარეობა.

სათესლე ჯირკვლები პარკში არ ჩაშვებულა და მოთავსებულნი არიან თირკმლების ქვემო ბოლოებთან, თქმის ფოსოებში.

დანარჩენ ორგანოებს არავითარი ანორმალობა არ ეტყობა.

აშნიარი შემთხვევა აწერილია ლიტერატურაში Виноградовის მიერ. მის შემთხვევაში ნაყოფის თირკმლები სიგრძით ჩვენს შემთხვევას აღემატებოდა 3 სანტიმეტრით, სიგანით კი -- ნახევარი სანტიმეტრით.

ისევე როგორც ჩვენს შემთხვევაში, თირკმლებში იყო ნახული სინუსები, რომელნიც ორგანოს ღრუბლიზებდნენ სახეს აძლევდნენ; გორგლოვან და მილაკოვან ნივთიერებაში ზედმეტად იყო განვითარებული შემაერთებული ქსოვილი.

ასეთი სიმეტრიული, ზედმეტად განვითარებული ბოქკოიანი შემაერთებული ქსოვილის აღნაშენა თირკმლებში, შეიძლება იყოს აბსნილი საშარდე მილაკების განვითარების მანკით ჩანასახოვან ცხოვრებაში.

ნაყოფის თირკმლებში პათოლოგიურ ცვლილებებს ხშირად მწვავე პროცესის ხასიათი აქვთ, მაგრამ ზემოაღწერილ შემთხვევაში, ორგანოს ჰიპერტროფია გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი თირკმლებში შედარებით ხანგრძლივი იყო.

ცნობილია, რომ ნაყოფის თირკმლის შემაერთებელი ქსოვილოვანი საფუძველი, პარენქიმასთან შედარებით, პირველ ხანებში აღწევს განსაკუთრებულ განვითარებას, ხოლო შარდის მილაკების და მალპიჯის სხეულაკების ზრდა თანდათანობითია და გრძელდება დაბადებამდე.

სხვადასხვა ტოქსინების მოქმედება, რომლებიც გადადიან დედისაგან ნაყოფის ორგანიზმში, იწვევს საშარდე მილაკების ზრდის შეჩერებას და ხელს უწყობს შემაერთებელი ქსოვილის ზედმეტ განვითარებას, რაც გამოიხატება ორგანოების ზედმეტად გადიდებაში—ჰიპერტროფიაში, გიგანტიზმში.

ვარლამ უზნაძე.

დამპალახევის მიდამოს წყლის ანალიზის შესახებ.

(წყლის სანიტარული შეფასების გამო)

ხორციის ვაჭრობის საზოგადოებამ გადმოგზავნა ტფილისის უნივერსიტეტის ქიმიო-ფარმაცევტულ ლაბორატორიუმში წყლის ნიმუში მისი ვარგისობის გამოსაკვლევად პირუტყვთათვის.

ეს ნიმუში აღებული იყო 1925 წლის მაისში დამპალახევის მიდამოში; უკანასკნელი მდებარეობს ქალაქ ტფილისის სასაკლაოდან სამი ვერსის მანძილზე. სადაც ზემოთხსენებულ საზოგადოებას აქვს საბალახოები და ჰყავს საქონლის ჯოჯი. ამ მიდამოში მოსახლეები არ ცხოვრობენ და ამ წყალს გარდა პირუტყვისა ხმარობს მხოლოდ რამოდენიმე მწყემსი. მიზეზი ამ წყლის გამოკვლევისა ის იყო, რომ ბეითალმა ქიმიურად შემადგენლობის გამოურკვეველად აუკრძალა ხორციის ვაჭრობის საზოგადოებას აღნიშნული წყლის მიცემა პირუტყვთათვის.

გამოსაკვლევად გადმოგზავნილი წყლის ნიმუში იყო სრულიად უფერული, გამსჭვირვალე, უსუნო, მლაშე გემოსი, სუსტი ტუტის რეაქციისა და შემდეგი შედგენილობის:

ნივთიერებათა რაოდენობა ერთ ლიტრა წყალში მილიგრამებით (ცხტ. I).

1. მშრალი ნაშთი	2,922	9. ენგებადობა გადაან-გარიშებული $KMnO_4$ ზე	4,89
2. ქლორ ნატრიუმი	290,08	10. ამონიაკი	—
3. „ კალიუმი	31,02	11. აზოტოვანი მტაეა	—
4. კალციუმის ქანგი	1084,60	12. აზოტმტაეა	—
5. მაგნიუმის „	103,80	13. ფოსფორმტაეა	—
6. ქლორი	21,0	14. გოგირდწყალბადი	—
7. გოგირდმტაეას ანჰიდრიდი	1442,10	15. მძიმე ლითონები	—
8. სილიციუმის ქანგი	10,6	16. წყლის სიხამე გერმანულ გრადუსებში	122,990

1925 წ. 20 ენკენისთვეს ღრუბლიანსა და წვიმიან დღეს ვინახულე პირადად დამპალახევის ეს წყარო, და წყლის ტემპერატურის გამოზომაც მოეხადინე. აღმოჩნდა, რომ წყლის ტემპერატურა უდრიდა $17^{\circ}C$. წყალი გამოდის მილ-

ში, სამწუხაროდ არ არის დატული გაბინძურებისაგან და სხვა წყალი-კი ახლო-მახლო არ მოიპოვება. წყლის კიმიური შედგენილობის გამორკვევა თუმცა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მაგრამ სამაგიეროდ მისი შეფასება ფრიალ ნძიმე პრობლემაა, რადგან შესაფერ ლიტერატურაში ამ საკითხის ირველივ დიდი არე-დარევა არსებობს.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, წყალი არ შეიცავს ამო-ნიაკს, აზოტოვან და აზოტ მეყვეებს. წყალი შეიცავს ორგანიულ ნივთიერება-თა მცირე რაოდენობას (ყანგბადობა უდრის 4,89 მილიგრამს ერთ ლიტრა წყალში) და ქლორის რაოდენობა წყლის იმავე რაოდენობაში უდრის მხოლოდ 21 მილიგრამს. ამ ნივთიერებათა რაოდენობის მიხედვით ეს წყალი უნდა ჩი-თვალოს ვარგისად. სამაგიეროდ გამოსაკვლევი ნიმუში შეიცავს გოგირდმეყვა მარილების თვალსაჩინო რაოდენობას. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ერთი ლიტ-რა წყალი შეიცავს: გოგირდმეყვა ანჰიდრიდის 1442,1 მილიგრამს, კალციუ-მის ეანგის 1084,6 მილიგრამს და მაგნიუმის ეანგის 103,8 მილიგრამს. მშრალი ნაშთის რაოდენობა უდრის 2,922 მილიგრამს და წყლის სიხამე გამოანგარიშე-ბული გერმანულ გრადუსებში 122,99°. ვარგისობის შეფასებისას, თუ მივიღებთ მხედვლობაში გოგირდმეყვა მარილებისა და მშრალი ნაშთის რაოდენობას იმ ნორმების მიხედვით, რომლითაც ჩვეულებრივად ხელმძღვანელობენ (სულ ერ-თია, იქნება ეს ფრანგული, ინგლისური თუ რომელიმე სხვა ნორმა), ეს წყალი უნდა გვეცნო უვარგისად. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ლაბორატორიუმმა იცნო ეს წყალი უვარგისად ტენნიკური მიზნებისათვის და ვარგისად სახმარებ-ლად. იმ მოსაზრებების მიხედვით, რომელნიც ზემოთ აღნიშნული იყო.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ჩვენ ვინახულეთ ეს წყარი და მწყემსების გამოკითხვის შემდეგ პირადად დავრწმუნდით, რომ არავითარი ზიანი ჯერ-ჯერობით ამ წყალს არ მოუტანია არც ადამიანისათვის და არც პირუტყვისათვის. მეჯოგეები, რომელნიც ხმარობდენ ამ წყალს მთელი ზაფხულის განმავლობაში, ფრიალ კმაყოფილი არიან იმით და დაცინვით იხსენიებენ მათ, ვინც ამ წყლის შესახებ ულ ხმებს აერკვლებს.

როგორც ეს ფაქტი, ისე მრავალი სხვებიც, რომელნიც ლიტერატურაში მოყვანილია საქმარისად, ამტკიცებენ იმას, რომ წყლის შეფასება არსებული ნორმების მიხედვით, რასაც სამწუხაროდ დღესაც ადგილი აქვს, როგორც ჩვენ-ში ისე უცხოეთშიაც, სრულიად დაუშვებელია, როგორც მეცნიერული მხრივ, ისე პრაქტიკულადაც, ვინაიდან ამ ნორმებზე არ ეყრდნობა რაიმე მეცნიერულად დაყენებული ცდები, რომელთა მიხედვით წყალი უვარგისად უნდა იყოს ცნო-ბილი. არც ბუნება გვაწვდის წყალს განსაზღვრულ შემადგენლობისას; მაშასა-დამე, შეუძლებელია მცხოვრებლებს ყველგან მიეაწოდოთ იმნაირი წყალი, რო-მელიც აკმაყოფილებდეს ამ ნორმებს.

განვიხილოთ ახლოს, თუ როგორ ხდება წყლის შეფასება.

თითქმის ყველა კულტურულ სახელმწიფოში არის შემუშავებული ვერეთ-წოდებული ნორმები, რომელთა მიხედვით ხდება წყლის შეფასება. ყოველივე წყალი, რომლის მარილების რაოდენობა არ აღემატება ამა თუ იმ სახელმწი-ფოში მიღებულ ნორმაში ნაჩვენებ ნივთიერებათა რაოდენობას, მიჩნეულია ვარ-

გისად; წინააღმდეგ შემთხვევაში-კი უვარგისად¹. ჩვენი შეფასება წყლისა ხდება რომელიმე უცხოეთში შემუშავებულ ნორმასთან შედარებით, ვინაიდან ჩვენი წყლები საკუთარი ნორმები არ გააქვს; თუმცა ჩვენი სანიტარული ლაბორატორიუმები დიდი ხანია რაც არსებობენ, მაგრამ მათ ჩვენი წყლების შესახებ ჯერ არაფერი გამოუქვეყნებიათ და არც რაიმე ნორმება შეუმუშავებიათ.

როგორც ცნობილია, არსებობს ინგლისური, ფრანგული, შვეიცარული, გერმანული და სხვა ქვეყნების ნორმები, შემუშავებული ამ თუ იმ მეცნიერის ან და სპეციალურად დანიშნული კომისიის მიერ. ამ ნორმების უპირველესი ნაკლი არის მათი მრავალრიცხოვნობა ერთ სახელმწიფოს ფარგლებშიაც. თუ ჩვენი ამ ნორმებს ერთი მეორეს შევადარებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეს ნორმები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან; ასე რომ წყალი, რომელიც შეიძლება აკმაყოფილებდეს ერთი რომელიმე ქვეყნის ნორმას, მეორე ქვეყნის ნორმის მიხედვით უნდა ცნობილ იქნეს როგორც უვარგისი. ამ გარემოების ცხადსაყოფად საკმარისია თვალი გადავავლოთ ზოგიერთ ნორმებს, რომელნიც აქვე მოგვყავს:

ფრანგული ნორმები² (ნაბ. II).

(გამოანგარიშებული გრამობით ერთ ლიტრა წყალში)

ნივთიერება	წმინდა წყალი	ვარგისი სასმელად	საქვე	უვარგისი
ქლორი	< 0.015 ³	< 0,040	0,050-0,100	> 0,100
გაგირდმევა	0,002-0,005	0,005-0,030	> 0,030	> 0,050
ორგანული ნივთიერება გამოანგარიშებული ჟანგბადზე ⁴	< 0,001	< 0,002	0,003-0,004	> 0,004
წყლის სიხამე ⁵	5-15 ⁶	15-20 ⁶	30 ⁶	> 100 ⁶
სიხამე დუღილის შემდეგ	2- 4 ⁶	5-12 ⁶	12-18 ⁶	> 20 ⁶

საგულისხმოა, რომ ფრანგულ ნორმაში ამონიაკის, აზოტის და აზოტოვანი მჟავების მარილები სრულებით არ არის მოხსენებული. ინგლისური და ბრაზილელის ნორმების მიხედვით წყალი არ უნდა შეიცავდეს ამონიაკს და აზოტოვან მჟავას, მხოლოდ, თანახმად გერმანული და შვეიცარული ნორმებისა, მათი ოდნავი რაოდენობა დაშვებულია წყალში. ცხადია წყალი, რომელიც დააკმაყოფილებდა თავისი შემადგენლობით ინგლისურსა და ბრაზილელის ნორმებს, მაგრამ შეიცავს ამონიაკის ან აზოტოვან მჟავას ოდნავ რაოდენობას, დაშვებული იქ-

¹) ეს მოკლენა ფრიად სამწუხაროა, მით უფრო, რომ ზოგიერთი ამ ნორმების ავტორები, როგორც ტიშანი და გერტნერი, არ აძლევენ ამ ნორმებს იმდენ მნიშვნელობას, რამდენსაც აძლევენ მათი მოწაფეები.

²) Comité Consultatif de France ob. Jagneaux, Analyse chimique, page 95. Paris 2. ed. 1897.

³) < ნიშნავს ნაკლებს, > მეტს.

⁴) ჟანგბადის გადასანგარიშებლად $KMnO_4$ საჭიროა მისი გამრავლება 3,95-ზე.

⁵) 1⁶ ფრანგული=0,56 გერმანულს.

ნებოდა სახმარებლად გერმანიაში და შვეიცარიაში, მაგრამ უვარგისად იქნებოდა ცნობილი ინგლისში და ბელგიაში. რაც შეეხება აზოტმეყვას, მისი რაოდენობა განსაზღვრულია ტიმანის და გერტნერის მიერ 5-15 მილიგრამით, შვეიცარიაში-კი 20 მილიგრამით. უნდა ვიფიქროთ, რომ წყალი, რომელიც შეიცავს 18 მილიგრამ აზოტმეყვას, იქნებოდა ცნობილი ვარგისად შვეიცარიაში და სახმარებლად აკრძალული გერმანიაში.

სხვა ნორმები (ცხრ. III).

(გამოანგარიშებული მილიგრამობით ერთ ლიტრა წყალში)

ნიეთიერება	შვეიცარული ¹	გერმანული ²	ბრიუსელის ³	ინგლისური ⁴ (პარკის).
მშრალი ნაშთი	500	500	500	858
ორგანული ნიეთიერება .	50	40. --50	50	22
გოგირდმეყვას ანჰიდრიდი	—	80—100	—	111,5
ქლორი	20	20— 30	2—8	87
აზონაკი	ოდნაეი რაოდენობა	ოდნაეი რაოდენობა	არ უნდა შეიცავდეს.	არ უნდა შეიცავდეს.
აზოტოვანი მეყვა .	"	"	"	"
აზოტმეყვა	20	5— 15	"	"
წყლის სიხამე	"	20°	"	"
CaO+MgO	"	200	"	"

დაუპირდაპირთ ეხლა კონტინენტალური სახელმწიფოების ნორმები ინგლისურ ნორმებს. წყალი, რომლის ერთ ლიტრაში მშრალი ნაშთის რაოდენობა უდრის 858 მილიგრამს, ქლორისა—87 მილიგრამს და გოგირდმეყვას ანჰიდრიდის—111,5 მილიგრამს, ვარგისად უნდა ჩაითვალოს პარკის ნორმების მიხედვით და უვარგისად კონტინენტალური სახელმწიფოების ნორმების მიხედვით, რადგან, თანახმად ბრუსელის, გერმანული და შვეიცარული ნორმებისა, მშრალი ნაშთის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 მილიგრამს, ქლორისა 20—30 მილიგრამს გერმანული და შვეიცარული ნორმების მიხედვით და 8 მილიგრამს თანახმად ბრუსელის ნორმებისა; რაც შეეხება გოგირდმეყვას ანჰიდრიდს, მისი რაოდენობა განსაზღვრულია გერმანული ნორმებით 80—100 მილიგრამით ერთ ლიტრა წყალში. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ინგლისური ნორმები მშრალი ნაშთის, ქლორის და გოგირდმეყვას ანჰიდრიდის

1) Manuel suisse des denrées alimentaires publié par la société Suisse des chimistes analystes. Berne 1919.

2) L e h n i a n, Методы практической гигиены. Пб. 1903.

3) Хлозин, Химические и микробиологические методы санитарных исследований питьевых и сточных вод. II გამოცემა. Пг. 1918 წ.

4) იქვე.

დის რაოდენობის განსაზღვრის მხრივ გულუხვობას იჩენს, სამაგიეროდ ორგანიულ ნივთიერებათა რაოდენობის მხრივ მტ სიმკაცრეს, ვიდრე კონტინენტალური სახელმწიფოებისა. კონტინენტალურ სახელმწიფოებში ნორმების მიხედვით ორგანიულ ნივთიერებათა რაოდენობა განსაზღვრულია 50 მილიგრამით ერთ ლიტრა წყალში, ინგლისურით კი მისი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 22 მილიგრამს. ამნაირად წყალი, რომელიც დაკმაყოფილებდა გერმანულ, შვეიცარულსა და ბრაჟუსელის ნორმებს, უფარვისად იქნებოდა ცნობილი ინგლისური ნორმების მიხედვით. ისეთი წყალი კი, რომლის შედგენილობა დააკმაყოფილებდა ინგლისურ, შვეიცარულ, გერმანულ და ბრაჟუსელის ნორმებს, საექვოდ და უფარვისადაც იქნებოდა მიჩნეული, თუ მის შეფასებისას ფრანგული ნორმებით ვიხედმძღვანელებდით. ზემოთ მოყვანილი მესამე ცხრილიდან ჩანს, რომ ინგლისური და გერმანული ნორმების მიხედვით წყალი, რომელიც შეიცავს გოგირდმჟავას ანჰიდრიდის 70 მილიგრამს, ცნობილი უნდა იქნეს ვარგისად, მხოლოდ, თანახმად ფრანგული ნორმებისა, მისი რაოდენობა არის განსაზღვრული წმინდა წყალში 2--5 მილიგრამით. თუ გოგირდმჟავას ანჰიდრიდის რაოდენობა უდრის 5--30 მილიგრამს, ამნაირი წყალი შეიძლება იქნეს დაშვებული სახმარებლად, 30 მილიგრამს ზევით წყალი უკვე ითვლება საექვოდ და თუ ხსენებული ანჰიდრიდის რაოდენობა აღემატება 50 მილიგრამს, -- უვარგისად. ფრიად საავლისხმოა, რომ შვეიცარულსა და ბრაჟუსელის ნორმებში გოგირდმჟავა ანჰიდრიდის რაოდენობა სრულებით არ არის ნახსენები. რაც შეეხება ორგანიულ ნივთიერებათა რაოდენობას, გერმანული და შვეიცარული ნორმების მიხედვით 1 ლიტრა წყალი არ უნდა შეიცავდეს 40--50 მილიგრ. მტს, ესე იგი არ უნდა თხოულობდეს დასაყენავად 2--2,5 მილიგრ. ყანგბადს; მაგრამ სასმელი წყალი მაგდებურგისა¹ თხოულობს 4,0 და პოზენის წყალი კი 7,1 მილიგრამს ერთ ლიტრა წყალზე. ჩვენი მტკერის წყალი ხშირად ბევრად მტ ორგანიულ ნივთიერებას შეიცავს, ვიდრე ეს ნაჩვენებია ზემოთ მოყვანილ ნორმებში (იხ. ცხ. II და III) და, მიუხედავად ამისა, ამ წყალს სვამენ და არავითარი ზიანი არ მოაქვს ჩვენი ჯანმრთელობისათვის. Emmerichს² ხშირად დაუღვევია წყალი, რომელიც მდიდარი იყო ორგანიული ნივთიერებებით, მაგრამ არავითარი ცუდი შედეგები არ შეუძნევიდა მას. კრუ ზემ (სწერს ცნობილი ჰიგიენისტი ლემანო), სრულებით ვერ დაამტკიცა თავისი ცდებით ცხოველებზე მზამიანობა წყლისა, რომელიც შეიცავს ორგანიულ ნივთიერებათა დიდ რაოდენობას, მიუხედავად იმისა რომ ის ასქელებდა აორთქლებით წყალს და უშხაუნებდა კანს ქვეშ.

გარდა ორგანიულ ნივთიერებათა რაოდენობისა გერმანულ ნორმებში ნიქტეულია განსაკუთრებული ყურადღება კალციუმისა და მაგნიუმის მარობების რაოდენობაზე. ჯამი $\text{CaO} + \text{MgO}$ არ უნდა აღემატებოდეს 200 მილიგრამს, რაც უდრის 20 გერმანულ გრადუსს. ფრანგული ნორმების მიხედვით, წყალი, რომლის სიხამე უდრის 30 ფრანგულ გრადუსს (ესე იგი 16,8 გერმანულ გრადუსს)

¹) Lehman, Методы практической гигиены. II. 1903 წ.

²) იქვე.

უკვე საეჭვოა, მიუხედავად ამისა თვით გერმანიაში ხმარობენ წყალს, რომლის სიხამე ხშირად 100 გერმანულ გრადუსს აღემატება.

პროფ. ლემანი მიგვითითებს ეაურცებურზე, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები სვამენ წყალს, რომლის სიხამე უდრის 30 გერმანულ გრადუსს. ლემანი თითონ სვამდა ამ წყალს და ირწმუნება, რომ არავითარი ცუდი შედეგები არ შეუქმნევია. იმავე გერმანული ნორმების მიხედვით სასმელი წყლის შედგენილობა არ უნდა აღემატებოდეს: მშრალი ნაშთი 500, გოგირდმჟავას ანჰიდრიდი 80—100 მილიგრამს და სიხამე 20°. მიუხედავად ამისა ქალაქ ჰალეში სვამენ წყალს, რომლის შედგენილობა შემდეგია: მშრალი ნაშთი 2.757, კალციუმის ქანგი 875, მაგნიუმის ქანგი 127, გოგირდმჟავა ანჰიდრიდი 1164 მილიგრამი 1 ლიტრა წყალში და რომლის სიხამე უდრის 105 გერმანულ გრადუსს. ჰალეს მცხოვრებლები სვამენ ამ წყალს, ვინაიდან მეორე წყალი, რომლის მშრალი ნაშთი უდრის 400 მილიგრამს ერთ ლიტრა წყალზე, არ ჰყოფნის ადგილობრივ მცხოვრებლებს. წყალი, რომლის სიხამე უდრის 105°, გერმანული ნორმების მიხედვით უნდა ჩაითვალოს უეარგისად, ვინაიდან მშრალი ნაშთის რაოდენობა 5,5 ჯერ მეტია, გოგირდმჟავა ანჰიდრიდის 11,6-ჯერ და სიხამე 5,24-ჯერ მეტია, ვიდრე ეს უნდა იყოს გერმანული ნორმების მიხედვით. ზემოაღნიშნული ქ. ჰალეში არსებული წყალი ძალიან უახლოვდება დამპალახევვში აღებული ნიმუშის შედგენილობას (იხ. ცხრილი I).

რუსეთში პროფ. ხლოპინის¹ გადმოცემით ეკატერინოსლავის გუბერნიაში სვამენ წყალს, რომლის სიხამე უდრის 66 გერმანულ გრადუსს, დონის ოლქში ხმარობენ წყალს, რომლის სიხამე უდრის 100 გერმანულ გრადუსს. ხალხი ხმარობს ამ წყალს, მაგრამ არავითარი ცუდი შედეგები ამას არ მოუტანია.

რით აიხსნება ეს არევე-დარევა და წინააღმდეგობა ამ ნორმებს შორის? ცხადია, რომ ეს ნორმები არის მათი ავტორების შეხედულების ნაყოფი და სრულებით არ არის დამყარებული რაიმე მეცნიერულად დაყენებულ ცდებზე. ამიტომ პროფ. ხლოპინის შენიშვნა, რომ დიდი ნაწილი ქალაქებისა დარჩება უწყლოთ, თუ ამ ნორმებით ვიხელმძღვანელებთო, სრულიად სამართლიანია. ყველა ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ არსებული ნორმები უნდა ჩაითვალოს საორიენტაციო ნორმებად ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის, რომ შეუძლებელია სინამდვილეში მცხოვრებლებს მივაწოდოთ ის წყალი, რომელიც შეესაბამება ამ ნორმებს, რადგან ბუნება არ ემორჩილება ჩვენ მიერ შემუშავებულ ნორმებს და გვეწვდის მხოლოდ წყალს განსაზღვრული შედგენილობისას.

ზოგიერთი ნორმების ავტორები, როგორც მაგალითად ტიმანი და გეტნერი, სწერენ მათ მიერ შემუშავებულ ნორმების შესახებ, რომ ეს ნორმები აუცილებელია არიან ანალიტიკოსისათვის, ვინაიდან ეს ნორმები აძლევს მათ, როგორც ნათელ წარმოდგენას ბუნებრივ წმინდა წყალზე, ისე საშუალებას მოძებნოს უკეთესი, ხარისხის წყალი. მისი განმარტება შეიძლება მიგველო, რომ ყოველი წყალი, რომლის შედგენილობა აკმაყოფილებს ამ ნორმებს, უდავოდ ვარ-

¹) Хлопин П. Химические и микробиологические методы санитарных исследований питьевых и сточных вод.

გისი იყოს. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ამის შესახებ პროფ. ლემანი, თუმცა ურჩევს წყლის გამოკვლევის შედეგების შედარებას ტიშანის და გერტნერის მიერ შემუშავებულ ნორმებთან, მაგრამ თან დასძენს, რომ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ყოველი წყალი, რომელიც შეიცავს მარილების უფრო ნაკლებ რაოდენობას, ვარგისია და ის-კი, რომელიც შეიცავს მეტ რაოდენობას, უვარგისია. შვეიცარელი ქიმიკოსების მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში¹ მათ მიერვე შემუშავებული ნორმების შესახებ აღნიშნულია შემდეგი: ამ ნორმებს ჩვენ არ უნდა ეუყურებდეთ ისე, რომ თითქოს ყოველი წყალი, რომელიც მათ აკმაყოფილებს—ვარგისია და რომელიც არ აკმაყოფილებს—უვარგისი. აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები ურჩევენ წყლის გამოკვლევის შედეგი შეუდარონ არა არსებულ ნორმებს, არამედ იმ ადგილობრივი სასმელი წყლების გამოკვლევის შედეგებს, რომელნიც განმეორებით გამოკვლევისას აღმოჩნდნენ ყველაზე უფრო სუფთა და განიციდიან დროის განმავლობაში შედარებით ნაკლებ ცვალებადობას. ზემო ნათქვამი ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ შეიძლება წყალი აკმაყოფილებდეს ნორმებს, მაგრამ იყოს უვარგისი. ნორმებში (იხ. ცხრილი II და III) სრულებით არ არის მოხსენებული ტყვიის და არც რკინის მარილები. საკმარისია წყალი შეიცავდეს 1,5 რკინას (Fe), რომ მან წაუხდინოს გემო და გამჭვირვალობა.

ზემოთ მოყვანილ ნორმებში სრულებით არ არის ნაჩვენები ნახშირმჟავას და აგრეთვე კალიუმის და ნატრიუმის მარილების რაოდენობა. საჭიროა აგრეთვე ვიქონიოთ მხედველობაში შემდეგი გარემოება: არის თუ არა ზოგიერთი გამაქუქყიანებელი მარილები, რომელნიც ანალიტიკოსის მიერ შეიძლება აღმოჩენილ იქნეს, მუდმივი შემადგენელი ნაწილები.

თუ ყველა ზემორე ნათქვამს ანგარიშს გაუწევთ, არავისათვის იქნება სადაო, რომ მხოლოდ იმ წყალს უნდა მიეცეს უპირატესობა, რომელიც შეიცავს მარილების ნაკლებ რაოდენობას.

არც ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა იძლევა უფრო მტკიცე საფუძველს, ვიდრე ქიმიური შედგენილობის გამორკვევა.

თუ, როგორც ზემოთ აღნიშნულია, ჩვენ არ გვაქვს საშუალება წყლის შეფასებისას დავეყრდნეთ ქიმიური გამოკვლევის წესით მიღებულ ამა თუ იმ ნორმებს, მით უფრო არ გვაქვს საშუალება ვისარგებლოთ ბაქტერიოლოგიური ნორმებით, რადგან აქაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა.

ამის ცხადსაყოფად საკმარისია აღნიშნოთ შემდეგი ფაქტები: პირველად შემუშავებული ნორმა ლიუბერტის მიერ იყო 50-60 კოლონია ბაქტერიებისა ერთ კუბიკურ სანტიმეტრ. წყალში. ეს ნორმა შემდეგ გადიდებულ იქნა 50-160-მდე და კიდევ შემდეგ კოხის მიერ აყვანილ იქნა 300-მდე და ბოლოს ჰუაფერის მიერ 1000-მდე. შვეიცარიის ქიმიკოსთა კავშირის მიერ შემუშავებული იყო 150 კოლონია ერთ კუბიკურ სანტიმეტრ. წყალში. მხოლოდ

¹) Manuel suisse des denrées alimentaires publié par la société Suisse des 'chimistes analystes. მოყვანილია ბლომნით: Химические и микробиологические методы санитарных исследований и сточных вод.

მათ მიერ შემდეგ გამოცემულ სახელმძღვანელოში გამოტოვებულია ბაქტერიების რაოდენობა, როგორც ნორმა. ამრიგად შეფასება წყლის შეიძლება ითქვას დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია. მიუხედავად ამისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ წყლის სწორი შეფასებისთვის საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა:

1) უცვლილი სასმელი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს თავის უმთავრეს დანიშნულებას¹, ესე იგი ის უნდა უკლავდეს წყურვილს, ჰქონდეს რაც შეიძლება დაბალი ტემპერატურა, სასიამოვნო გემო, იყოს გამსჭვირვალე, უფერული და არ ჰქონდეს არავითარი სუნი.

2) გარდა თვით წყლის ფიზიკური თვისებების ცნობებისა, მკვლევარს უნდა ჰქონდეს აგრეთვე დეტალური ცნობები სხვა ადგილობრივ პირობებზე, წყლის რაოდენობაზე, ადგილობრივი წყლების შემადგენლობაზე და აგრეთვე უნდა იქნეს მიქცეული ყურადღება, თუ როგორ წყალს არის მიჩვეული ადგილობრივი მცხოვრებლები.

3) ნიმუშის შეფასება უნდა ხდებოდეს სხვა ადგილობრივი წყლების ხარისხთან შეფარდებით.

4) მკვლევარმა უნდა იცოდეს, თუ რამდენად დაცულია წყარო გაბინძურებისაგან.

5) წყლის ქიმიური შედგენილობა უნდა იყოს, რაც შეიძლება, უცვლელი მთელი წლის განმავლობაში. ამიტომ წყლის სწორი შეფასებისათვის საჭიროა მისი გამოცვლა ოთხი სეზონის განმავლობაში².

ბ) წყალი არ უნდა შეიცავდეს გოგირდწყალბადს.

7) წყალი არ უნდა შეიცავდეს მძიმე ლითონებს, და მძიმე ლითონებში კანსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ტყვიის არსებობაზე.

8) საჭიროა შემუშავება არა ერთი ნორმისა, არამედ ნორმების მთელი რიგისა შედარებით თითო პატარა ტერიტორიის ნაწილისათვის, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივი წყლების შედგენილობისა და მათ თვისებათა უცვლენარევი შესწავლა. ამ წყლების გამოკვლევა მოგვეცემს ჩვენ საშუალებას შევიმუშაოთ მთელი რიგი ნორმებისა, რომლითაც ჩვენ შეგვეძლება ვიხელმძღვანელოთ წყლის შეფასებისას³.

¹ გამოსაკვლევად გადმოგზავნილი წყლების ამ თვისებებს სამწუხაროდ შესაფერ კურადღებას არ აქვეყნებ სანიტარულ ლაბორატორიუმებში. ჩვენი სანიტარული ექიმები არ იძლევიან არავითარ ცნობებს წყლის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების შესახებ. თვით ნიმუშის აღების დროს არ არის არასოდეს დაცული ელემენტარული მოთხოვნილებანი, რომელნიც აწერილია თუნდაც პოპულარულ სანიტარულ ლიტერატურაში. ხშირად ნიმუშს ათავსებენ გაურეცხელ მურკულ-ერ. რომელსაც აცობენ რაც-კი ხელში მოხვდებიან: ნაქურთ, ქაღალდი და სხვა. უკეთეს შემთხვევაში დაჯრთის შემდეგი ლაბორიური მიმართვა: „გეზავნებათ წყლის ნიმუში, გახოთთ გაორკელოთ და შედგვი გვაცნობოთ“. დროა ამ მდგომარეობას მივუკვს სათანადო ყურადღება.

² ჩვეულებრივად ჩვენში წყლის შეფასება ხდება ერთი ნიმუშის გამოკვლევის შედეგების მიხედვით და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ წყლის შედგენილობის ცვალებადობას.

³ პროფ. ხლოპინი უწოდებს ამას ნორმების რაიონიზაციას.

9) საჭიროა წყალი იკმნეს გამოკვლეული ბაქტერიოლოგიურად¹.

ჩვენის აზრით მხოლოდ ზემოთ მოყვანილი პირობების დაცვით შესაძლოა წყლის სწორი შეფასება. ვინაიდან წყლების გამოკვლევას ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რათა სათანადო ყურადღება მიექცეს ამ საკითხის შესწავლას; ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია სათანადო ორგანოს შექმნა ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად.



¹) ამ გამოკვლევის მიზანი უნდა იყოს არა ბაქტერიების რიცხვის განსაზღვრა, არამედ მათი მანუალის გამოკვლევა ჯანმრთელობისათვის.

ბ. ღოღობერიძე.

ქალთა სასქესო ორგანოებში ტუბერკულოზური ინფექციის გავრცელების საკითხისათვის.

ქალთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი არც ისე იშვიათი ავადმყოფობაა. Futhის სტატისტიკით, რომელიც დამყარებულია გვაშების დიდ მასალაზე, ქალთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი გვხვდება 1—1,3% ყველა ქალების გვაშებისა, რომელნიც გარდაიცვალნენ საავადმყოფოებში (მაშაკაცების სასქესო ტუბერკულოზი გვხვდება 2 1/2%). Aschoffის სტატისტიკის მიხედვით სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი ქალებისა ხვდებათ სიკვდილის ყველა შემთხვევების 2—3%, და 3—4% საერთოდ ტუბერკულოზის შემთხვევებიდან. ქალთა სასქესო ორგანოებიდან ყველაზე უფრო ხშირად ავადდება ტუბერკულოზით ფალოპიუსის მილი (დაახლოებით 90%—ში Simonds, Merletti და სხვა). ტუბერკულოზით დაავადების სიხშირეში მეორე ადგილი უჭირავს საშვილოსნოს, შემდეგ საკვერცხეს, მერე საშოს და ბოლოს vulvas და გარეთა სასქესო ორგანოებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გამოცალკეებული ტუბერკულოზი ერთ-ერთ დასახელებულ ორგანოთაგან იშვიათად გვხვდება ხოლმე. ჩვეულებრივ კი ჩვენ ვხედავთ სასქესო აპარატის ტუბერკულოზს კომბინაციის სახით სხვადასხვა ნაწილის ტუბერკულოზთან. რაც შეეხება ავადმყოფთა ასაკს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი გვხვდება ყველა ასაკში: შეიძლება გაუჩნდეს ძუძუმწოვარ ბავშვს (7—9 თვისას Stolper, Simods, Demaine) და ღრმა სიბერეშიაც (Simonds 79 წლის ქალს). მაგრამ მაინც ყველაზე ხშირად ამ ავადმყოფობას 20—40 წლამდე ენახულობთ, ე. ი. შვილოსნობის ხანაში. Futhის აზრით მენტრუაციისა, ორსულობისა, მშობიარობისა და ლოგინობის ხანასთან დაკავშირებული ცვლილებები სასქესო ორგანოებში ფართოდ უქაფავენ გზას დასახელებული პროცესის გავრცელებას.

მე არ შეეგებები საკითხს ტუბერკულოზური პროცესის პათოლოგიურ-ანატომიური სურათის შესახებ ქალთა სასქესო ორგანოებში, იმიტომ რომ იგი საკმარისად შესწავლილია, და მოძღვრება მის შესახებ ჩამოყალიბებულია:

ჩვეულებრივ არჩევენ ორ ფორმას ტუბერკულოზისას (Fromme, Heynemann, Williams): 1. ქრონიკული, ინდურატიული ანუ ფიბროზული ფორმა. 2. ნწყვე, წყლულოვანი ფორმა: ამ ორ ფორმას ენახულობთ ჩვენ კვერცხსავალისა, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ტუბერკულოზის დროს. ინდურატიულ ანუ ფიბროზულ ფორმას შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე Славянскийის მიერ აღწერილი ფორმაც, ევრეთწოდებული Salpingitis isthmica nodosa.

საშოში უმეტეს ნაწილად ვითარდება წყლულოვანი ფორმა ტუბერკულოზისა; რაც შეეხება vulval და გარეთა სასქესო ორგანოებს, Veitის აზრით, უკანასკნელი დღემდის იყო ცნობილი მხოლოდ მეორე-წყლულოვანი ფორმის სახით. Graefel აზრით vulval t. b. c. ყველაზე ხშირად უჩნდება ბავშვებს, მოზრდილებს-კი ეს ფორმა უჩნდებათ ფრიად იშვიათად.

სწორედ ის შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს საგანს ჩემი მოხსენებისას, არის საშოს და vulval ტუბერკულოზი, რომელიც განუვითარდა 36 წლის ქალს, მაგრამ ეს შემთხვევა უმთავრესად ინტერესს წარმოადგენს ინფექციის გავრცელების საკითხის მხრივ და ამიტომ მე, ვიდრე შემთხვევის აღწერას შევუდგებოდე, ნებას მივცემ ჩემს თავს ჯერ მოკლედ მოვიყვანო ლიტერატურული ცნობები ამის შესახებ.

თანამედროვე შეხედულების თანახმად ქალთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი დიდ უმრავლეს შემთხვევაში მეორადია; ე. ი. Kochის ბაცილები შესაძლოა გამომდინარებოდნენ ორგანიზმის რომელიმე სხვა ადგილზე განვითარებული ავადმყოფობის ბუდიდან. რაც შეეხება ბავშვთა გენიტალურ t. b. c.ს, იგი ყოველთვის მეორადია (Graefel).

ცნობილია, რომ მოზრდილთა გვაშების გაკვეთის დროს (რომელნიც მიცვალებულან 18 წლის შემდეგ) ყველა შემთხვევების 97% ფილტვებში ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ტუბერკულოზურ ბუდეებს პოულობენ. ზოგი მათგანი შესაძლოა მორჩენილი იყოს, ზოგი სრულებით დანაწიბურებული და გაკირული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ამათ ყოველ მომენტში შეუძლიანთ პროცესის გამწვავება გამოიწვიონ (Negeli).

ამგვარად, შეიძლება ორგანიზმში ახალი, მეორადი ბუდე განვითარდეს, სხვათა შორის სასქესო ორგანოებშიაც. ორგანიზმში ასეთი პირველადი ბუდე შეიძლება დაავადების ლიმფატური ჯირკვლებიც იყოს, მაგალითად პერიბრონქიალური, საიდანაც ინფექციას შეუძლია სასქესო ორგანოებზე გადავიდეს. ამისათვის ცხადია, რომ მრავალი იმ შემთხვევათაგანი, რომელნიც აღწერილია კლინიკურად, როგორც გენიტალური ტუბერკულოზის პირველადი ფორმები, ასეთებად ვერ ჩაითვლება, თუ გვაშის გულმოდგინე გაკვეთით ორგანიზმში ასეთი ძველი ტუბერკულოზის ბუდეების არ არსებობა დამტკიცებული არაა. რაც შეეხება საშოს და vulval პირველადს ტუბერკულოზს, Veitის აზრით იგი დღემდე მხოლოდ ერთს შემთხვევაშია დამტკიცებული, სახელდობრ Friedlenderის ანუ Olshausenის შემთხვევაში.

სასქესო ორგანოებში ტუბერკულოზის განვითარებისათვის ხელისშემწყობ პირობებად შეიძლება ჩაითვალოს გადატანილი ინფექციური დაავადებანი (მაგ. გონორეა) და აგრეთვე სასქესო აპარატის ცვლილებანი, რომლებიც დაკავშირებულია მენსტრუალურსა და, განსაკუთრებით, ფიზიოლოგიურ პროცესებთან, როგორცაა ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა. გარდა ამისა, ტუბერკულოზის განვითარებას ხელს უწყობენ სასქესო ორგანოების ჰიპოალაზია და სიბერით გამოწვეული ინკოლუცია, ვინაიდან დასახელებული გარემოებანი ქსოვილების გამძლეობას ასუსტებენ.

Merlettiმ ქალთა გვამების გაკვეთის დროს, რომელნიც t. b. c'-ით გარდაიცვალენ, 500 შემთხვევათაგან 80 შემთხვევაში საშვილოსნოს hypoplasia ნახა; ამათში 24-ჯერ სასქესო აპარატიც იყო დაავადებული ტუბერკულოზით.

ტუბერკულოზის ორგანიზმში მეორადად გავრცელებისას ინფექციის გზის მიმართულება შეიძლება შემდეგნაირი იყოს:

1) უშუალო გადასვლა ტუბერკულოზის პროცესისა მეზობელ ორგანოებიდან: მუცლის აპკი, ნაწლავები (Conheim, Cruveiler, Bursch-Hirschfeld, Veit).

რაც შეეხება საშარდე სისტემას, Futhის აზრით ასეთი გადასვლა t. b. c. პროცესისა სასქესო ორგანოებზე ჩვეულებრივ არა ხდება. იმ შემთხვევებში-კი, როცა დაავადებულია ორივე სისტემა, ისინი აუადღებთან ერთდროულად და ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი (Simonds).

2) ინფექციის შეუძლია გადავიდეს სასქესო აპარატზე მეტასტაზის სახით ჰემატოგენური გზით, და მრავალი ავტორი ამ გზას უმთავრესად სთვლის, და მრავალი კიდევ ერთად-ერთ გზად. პირველადი ბუდე ამგვარ შემთხვევებში შეიძლება იყოს ან ბრონქიალური ჯირკვლები ან ძვლის სისტემა (Simonds, Amann, Baumgarten, Zahn).

3) დაბოლოს, ინფექციის შეუძლია გადავიდეს სასქესო აპარატზე ლიმფატურ გზით (Futh). ასეთი გადასვლა შეიძლება მოხდეს ნაწლავების ტუბერკულოზური ბუდეებიდან. შემეართებელ გზებს წარმოადგენენ ამ შემთხვევაში ლიმფატური მილები, რომელნიც coecumის და flex. Sigmoidalis მხრიდან მცირე მენჯისაკენ მიდიან, და რომელნიც მოთავსებული არიან ე. წ. plicae genito-entericaeში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაზე უფრო ხშირად ინფექცია გადადის სისხლის ან ლიმფის საშუალებით.

უფრო იშვიათია პირველადი ტუბერკულოზის პროცესის განვითარება სასქესო ორგანოებში. ეს უკანასკნელი შეიძლება გაჩნდეს ორ გვარად: 1) ან Kochის ჩხირები შეიძლება შეიქრან სხეულის რომელიმე ადგილას (მაგ. სასუნთქი გზები, ნაწლავები), და აქ, ადგილობრივ არავითარი ცვლილება არ გამოიწვიონ, და სისხლის ან ლიმფის საშუალებით გადატანილ იქმნენ სასქესო ორგანოებში და აქ გამოიწვიონ დაავადება (ყველაზე უფრო ხშირად კვერცხსავალ მილში), ან და 2) ტუბერკულოზის ინფექცია შეიძლება თავიდანვე შეიქრას სასქესო ორგანოებში და გამოიწვიოს აქ პირველადი დაავადება.

რაც შეეხება პირველ გზას, უნდა დაეუშვათ, რომ სასქესო ორგანოებში იყო locus minoris resistentiae და ამიტომ შემთხვევით სისხლში მოხვედრილი ბაცილები სასქესო ორგანოებში გამოსადეგ ნიადაგს პოულობენ განვითარებისათვის. Hegarისა და Simondsის აზრით წინათ გადატანილი ანთებითი პროცესები, განსაკუთრებით გონორეა, უწყობენ ხელს ასეთ დაავადებას. ასეთი შერეული პონოკოკის და ტუბერკულოზის ინფექცია pyosalpinxებში ნაპოვნი იყო Saulmannის, Williamsის და Schuchardtის მიერ, მაგრამ Baumgartenი უარყოფს ასეთ შესაძლებლობას და ფიქრობს, რომ ორგანიზმში ინფექციის შეჭრის ადგილას აუცილებლად პირველადი ბუდე უნდა განვითარდეს, ყოველ შემთხვევაში უნდა აღვიაროთ, რომ პირველადი ინფექციის ასეთი გზით განვითარება, რომც იყოს

ქალთა სასქესო ორგანოებში ტუბერკულოზური ინფექციის გაგოცელებასა

დასაშვები, მაინც ვერაა დამტკიცებული და ძნელი დასამტკიცებელი იქნება და ამისათვის უნდა დაუშვათ, რომ საზოგადოდ იშვიათი სასქესო ორგანოების პირველადი ტუბერკულოზი ჩვეულებრივ ვითარდება უშუალოდ სასქესო გზებში ბაცილების შეჭრის გამო.

Kochის ჩხირები შეიძლება შეტანილ იქნენ სასქესო ორგანოებში ბინძური თითებით, მასტურბაციისა და გასინჯვის დროს, იარაღების და პესარიების საშვადებით; ოპერაციის, საშოს გამორეცხვის და კოიტუსის დროს.

Coitusის დროს ტუბერკულოზის შეჭრის შესაძლებლობას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სასქესო ტუბერკულოზით დაავადებულ მამაკაცთა თესლში ხშირად უპოვნიათ Kochის ჩხირები (Iani, Gärtneri, Laduzi და სხვა). ამასვე ამტკიცებს ის გარემოება, რომ გენიტალური ტუბერკულოზი ხშირად გამრავლების პროცესთან დაკავშირებით ვითარდება, რაც აღნიშნული იყო ზემოთ. Menges შესძლო ამგვარი ექსპერიმენტალური პირველადი ტუბერკულოზის გამოწვევა საშილოსნოს რქაში. იგი იწვევდა ზღვის გოკების ბუშტუკების ხელოვნურ ტუბერკულოზს და შემდეგ მათ სალ დედლებთან უშვებდა. Hartmannმა გაიმეორა ეს ცდები, მაგრამ დადებითი შედეგები ვერ მიიღო.

მეორეს მხრივ Fridmannმა დაამტკიცა ექსპერიმენტალურად შინაურ კურდღლებზე, რომ ტუბერკულოზის ჩხირები, უშუალოდ coitusის შემდეგ თუ იქნებიან შეტანილი საშოში, რვა დღის შემდეგ უკვე აღმოჩნდებიან ჩანასახში.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ Курдановскийმ, Zungმა და Beneckem აღმოუჩინეს ცხოველებს სქესობრივი ალგზების დროს საშილოსნოს ანტიპერიტალტიული მოძრაობა, მაშინ უნდა დავეთანებოთ Frommel და Helnemannის რომ ინფექციის ასეთი შეჭრა სასქესო ორგანოებში დასაშვებია, თუმცა უნდა აღვიაროთ, რომ ცხოვერებაში ასეთი შესაძლებლობა იშვიათად შეგვხვდება ხოლმე. აგრეთვე ჩვენ არ შეგვიძლიან უარყოთ ინფექციის შეტანის შესაძლებლობა თითებისა და იარაღების საშვადებით და სხვა, მეტადრე, თუ არსებობს სპსქესო არხის რაიმე დაზიანება. დაუზიანებელი ზედაპირი საშოსი და გარეთა სასქესო ორგანოებისა დიდ წინააღმდეგობას უწევს ბაცილების შეჭრას, ვინაიდან პრტყელი მრავალ შრიანი ეპიტელიუმითაა მოფენილი.

სხვადასხვა აზრი იყო აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ ვრცელდება ტუბერკულოზი ქალთა სასქესო ორგანოებში, როცა ამ პროცესის რაიმე ბუდე არსებობს მის რომელსამე ნაწილში. ნაწილობრივ დღესაც არ არის თანხმობა ამ საკითხში.

ზემოთ იყო აღნიშნული, რომ ქალთა სასქესო ორგანოებიდან ყველაზე ხშირად ფალოპიუსის მილი ავადდება, მაგრამ ზოგჯერ ამასთან ერთად ჩვენ ენახულობთ საშილოსნოსა, საშოსა, vulvisა და საკვერცხის დაავადებასაც. ამგვარ შემთხვევებში, რომელი ბუდე პირველად უნდა ჩაითვალოს? ამის შესახებ არის აზრი, რომ ტუბერკულოზის პროცესი შეიძლება კვერცხსავალიდან გავრცელდეს ქვეით საშილოსნოზე, საშოზე და სხვა; ზოგნი არ უარყოფენ აგრეთვე ამავალი გზის შესაძლებლობასაც: საშოსა, და vulvaდან საშილოსნოზე, კვერცხსავალზე და საკვერცხეზე. Beneckem და Jungმა ექსპერიმენტალურად დაამტკიცეს ამავალი ტუბერკულოზის შესაძლებლობა ზღვის გოკებზე.

82 ცდიდან 12ში მათ მიიღეს დადებითი შედეგი. იმათ შეჰქონდათ virusი საშილიოსნოს რქის ქვემო ნაწილში და შემდეგ აღმოაჩინეს ტუბერკულოზის პროცესი საშილიოსნოს რქების ზემო ნაწილებში.

უქანასენელ ავტორებს ედაება Baumgarteni და ამბობს, რომ მათ შემთხვევებში პროცესი ასულა ზევით სეკრეტის დაგროვების გამო და ამისათვის ეს ამავალი ექსპერიმენტალური ტუბერკულოზი ღედაკაცის ამავალ გონორეას ვერ შეედრება.

შემდეგ Junge ყურადღება მიაქცია, რომ მის ცდებში ტუბერკულოზის ხორკლები, რომელნიც სასქესო არხის ზემო მდებარე ნაწილებში განვითარდნენ, ჩვეულებრივ ლორწოიანი გარსის ქვეშ თავსდებოდნენ და მაშასადამე ინფექციას შეეძლო აქ პირვანდელი ბუდიდან ლიმფური გზებით შეჭრილიყო, ქსოვილების დაზიანების გამო. ეს Junge-ის დასკვნა შემდეგ დადასტურებული იყო Kolde-ის და შემდეგ Engelhorn-ის მიერ. უქანასენელს შეჰქონდა კარმინი genitalia inter-naში ქსოვილების დაუზიანებლად და შემდეგ აღმოაჩინა იგი ზემო მდებარე ნაწილებში ლორწოიან გარსში; ამასთან, რაც მეტს ცხოვრობდა ცხოველი, მით უფრო შორს შეიძლებოდა კარმინის ნიშნების აღმოჩენა. ეს საღებავი გადადიოდა ლორწოიანი გარსიდან საშილიოსნოს კუნთოვან შრეში და თვით სეროზანმდე.

ბოლო ხანებში Hartmann-მა დააყენა მთელი რიგი ცდებისა ზღვის გოქებზე ხსენებული მონაცემების გამოსარკვევად. მან ყოველგვარი ზომები მიიღო და ყველა წერილმანი გაითვალისწინა, რომ ინფექციის virusის შეტანის დროს არ დაეზიანებია ქსოვილი. virusით მან რქოსანი ცხოველების ტუბერკულოზური ბუდეების ემულსია გამოიყენა. მას virusი საშილიოსნოს რქის ქვემო ნაწილში შეჰქონდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ (2—6 კვირა) ცხოველს ჰკლავდა, ან და ცხოველის გაერცელებული ტუბერკულოზით ბუნებრივ სიკვდილს ელოდებოდა. სასქესო ნაწილებს დაწერილობით სინჯავდა მაკრო- და მიკროსკოპულად. სულ მან დააყენა 24 ცდა, და მათ შორის 4-ში მიიღო მეორე რქის დაავადება ამავალა გზით.—

მაგრამ თვითონ უშვრება კრიტიკას ამ 4 შემთხვევას და მხოლოდ ერთს სთელის ცოტად თუ ბევრად დამამტკიცებლად პროცესის გადასვლისათვის ამავალი გზით.—დანარჩენ შემთხვევაში, მისი აზრით, მეორე რქის დაავადება აიხსნება ან სეკრეტის დაგროვებით, ან ლიმფატური გზით გადასვლით. თავის დაკვირვებათა მიხედვით მას გამოჰყავს შემდეგი დასკვნები:

1) ქალთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზი, რომელიც განვითარდა ბაცილების დამოუკიდებელი მოძრაობის გამო საშოდან, საეკვოდ უნდა ჩაითვალოს. ამას ამტკიცებს როგორც ცდები ცხოველებზე, აგრეთვე ადამიანზე ავადმყოფობის სურათებზე დაკვირვებაც.

2) ცდები ცხოველებზე, რომლებსაც ხსნიან, როგორც ინფექციის ამავალი გზით სასქესო არხში გაერცელების შესაძლებლობის დამამტკიცებლად, ყოველთვის პრეპარატების არა სწორ განმარტებაზე არის დამყარებული. ამგვარ შემთხვევებში ყოველთვის შეიძლება დარწმუნდეს კაცი მასში, რომ ინფექციის გადასვლადამყარებულია ან სეკრეტის დაგროვებაზე, ან ლიმფური გზით გაერცელებაზე.

3) პირვანდელი გენიტალური ტუბერკულოზის შესაძლებლობის უარყოფა სასქესო შეხების გამო შეუძლებელია, მაგრამ ამისათვის კაცს უნდა ჰქონდეს გენიტალური ტუბერკულოზი. საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს შემთხვევითი ჩხირების სპერმასთან ერთად სასქესო არხის ზემო ნაწილებში გადატანა. ის შემთხვევები, რომელნიც აღწერილია ღლეშტე, როგორც ტუბერკულოზი სქესობრივი შეხებისაგან წარმოშობილი, დაწვრილებით კრიტიკას ვერ უძლებენ. იგივე შეიძლება ითქვას ცხოველებზე ცდების შესახებაც, თუმცა ყველაზე არა.

ამ რიგად Hartmannი მიდის იმ დასკვნამდე, რომ გონორეის მაგვარი პირდაპირი ამჟღავნებელი გზა სასქესო არხის ლორწოვანი გარსში ტუბერკულოზისათვის შეუძლებელია.

მისი შემთხვევების გარჩევის შემდეგ მე პირადად ერთი მისი შემთხვევა დამამტკიცებლად მიმანჩია იმისა, რომ ამ გვარად ტუბერკულოზის გავრცელება შესაძლოა, რასაც არც თვითონ უარყოფს. ამიტომ, მე მგონია, უფრო სწორე იქნებოდა მიგველო დასკვნა, რომ გამონაკლის შემთხვევებში ასეთ ამავე პროცესს შესაძლოა ჰქონდეს ადგილი. უფრო ხშირია კი ჩამომავალი გზა ტუბერკულოზის პროცესის გავრცელებისა, ნორმალური სეკრეტის გზის მიმართულებით. ამ შემთხვევაში დიდი ანალოგია არსებობს სასუნთქ ორგანოებთან. სადაც პირის ღრუ, სასა და სასულე იშვიათად დაავადდებიან პირველად, მაგრამ ფილტვების ტუბერკულოზის განვითარებული ფორმის დროს ხშირ ჩამოთვლილი ორგანოები ხშირად ავადდებიან ხოლმე მეორედ, ამასთან ინფექცია ვრცელდება ნორმალური სეკრეტის მიმართულებით.

უკანასკნელ დროს Bauereisenმა გამოაქვეყნა თავისი ახალი ცდების შედეგები. ის უშხაპუნებდა ხარის ტუბერკულოზს ზღვის მამალ გოკებს სათესლე ბუშტულებში და შემდეგ ინახავდა მათ 11 დედლებთან ერთად, რომელნიც მოკლული იყვნენ 6 კვირიდან 4 თვემდე ამის შემდეგ. ამ 11 შემთხვევიდან ცხრაში ტუბერკულოზის ჩხირები საშოს სეკრეტშია აღმოჩენილი, 4-ჯერ ამასთან იყო ტიპური საშოს ტუბერკულოზი, 2-ჯერ საშვილოსნოს რქის ამაველი t. b. c. და 3-ჯერ ჩირქოვანი კატარი საშოსი და საშვილოსნოს რქისა. ავტორის აზრით, საშოში მყოფი ტუბერკულოზის ჩხირები სათესლე ძაფების საშუალებით შეიძლება ზეითი, საშვილოსნოში იქნეს გადატანილი, განსაკუთრებით ეს ეხება, მისი აზრით, ქალებს, ვინაიდან კაცებს არა იშვიათად თესლში Kochის ჩხირები აქვთ ხოლმე. თუ ჩვენ მივმართავთ ადამიანზე დაკვირვებებს, დავინახავთ, რომ დედაკაცის საშოს და vulვის t.b.c. საზოგადოვ ფრიად იშვიათი დაავადებაა. და, როგორც ამბობს Veit, პირველადი საშოს t.b.c. თითქმის არასდროს არ გვხვდება ხოლმე.

თუმცა იყო აღწერილი არა ერთი შემთხვევა საშოს და გარეთა სასქესო ორგანოების ტუბერკულოზისა (Murphy, Friedländer, Olshausen) მაგრამ Veit-ის აზრით ღლეშტე ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა Friedländerისა, რომელშიაც ქალს ჰქონდა საშოს და საშოს მხრივი ნაწილის t.b.c. და ვაკუეთის დროს ამ პროცესის ნიშნები არსად არ იყო აღმოჩენილი სხვა ადგილას. Veit-ის აზრით, თუ სადმე სხეულში, გარდა სასქესო ორგანოებისა, გააღვეთით აღ მოჩენილი იყო ტუბერკულოზის პროცესის ნიშნები, შეუძლებელია ლა-

პარაკი, რომ საშოში პროცესი პირველადია, მეტადრე, თუ გაკვეთა არ იყო ნაწარმოები.

ელა მოვიყვან იმ ერთ შემთხვევას, რომელიც იყო ჩემი დაკვირვების ქვეშ ჩემდამო რწმუნებულ კლინიკურ განყოფილებაში:—12 მარტს 1924 წ. აქ შემოვიდა ავადმყოფი ქ. მ. 27 წლისა, ჩიოდა დაბლა მუცელში ტკივილებს, ასოში წეას და თეთრად შლას.

ანამნეზი: პირველი რიგი დაეწყო 17 წლისას და მოსდიოდა ყოველ 4 კვირას სამ-სამ დღეს, უმტკივნელოდ. გათხოვილია 9 წლის წინ. გათხოვების შემდეგ რიგის ხასიათი არ შეცვლილა. ორსულად იყო 2 ჯერ: პირველად 8 წ. წინ. შემდეგ-კი 3 წლის წინ, და უშობია დროზე; ორსულობა და მშობიარობა წესიერად ჩატარდა ორივეჯერ. ავად არის 6 თვე. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში არ მოსდის რიგი და აწუხებს მუცლის ტკივილი, თეთრი შლა და საშოში წეა. არ ახველებს, სიცხეს აძლევს დრო გამოშვებით, რაიმე მემკვიდრეობით ავადმყოფობას უარყოფს. ავადმყოფის ქმარი იყო ავად რალაც ავადმყოფობით, რის გამოც მას გაუქმეს ერთი კვირის წინ ოპერაცია ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

St praes. ავადმყოფი პატარა ტანისაა, სწორი აგებულებისა, კან-ქვეშა ცხიმი სუსტად აქვს განვითარებული, კანი მოყვითალო ფერისაა, ხილული ლორწო-იანი გარსები მკრთალი ფერისაა. ლიმფატური ჯირკვლები კისრის და განსაკუთრებით საზარდულის მიდამოში გადიდებულია და ოდნავ მჭიმობიარე. თირკვლების მხრივ მარცხნივ პერკუტორულად მწვერვალის მიდამო მოყრუებულია, ისმის დაფანტული ხიხინი და მკვრივი სუნთქვა. გულის ტონები სუფთაა და საზღვრებიც ნორმალური. მუცლის ორგანოების მხრივ ელენთა არაა გადიდებული, აგრეთვე დიდილიც.

სასქესო ორგანოების გასინჯვისას აღმოჩნდა შემდეგი: mons veneris და დიდი და მცირე ჩარბები ნორმის ფარგლებში, საშოში შესავალი დაიარებულა ურეტრიდან დაწყებული მცირე ჩარბების ირგვლივ, უკანასკნელების შიგნითა ზედაპირი და უკანა შესართავიც; იარა ზერელება, ალაგ-ალაგ ხორკლებითაა მოფენილი, იარის კიდები კი უსწორ-მასწორო. ალაგ-ალაგ იარა მოთეთრო-მოყვითალო ფერის წებოსებრი ფიფქითაა დაფარული, და ვრცელდება საშოში; საშოდან გამოდის ასეთივე სითხე. საშო თითქმის მთლად წარმოადგენს ერთ მთლიან იარას, ამ გვარივე შეხედულებისა, და მხოლოდ უკანა თალში დარჩენილია განსაზღვრული პატარა ადგილი, რომელიც ნორმალური ლორწო-იანი გარსითაა დაფარული. ეს იარა ვადადის ყელის საშოს მხრივ ნაწილზე, რომელიც აგრეთვე მთლად იარადაა ქცეული. დაიარებულა ადგილიდან ხელებით შეხების შემდეგ ოდნავ წერტილოვანი სისხლის დენა უჩნდება.

საშიგლოსნო პატარაა, უკან გადაბრუნებული მოძრავი და უმტკივნელო ნორმალური ფორმისა, დანამატები არ ისინჯება. პერიმეტრიუმები თავისუფალი.

მიღებული ცნობებიდან გამოიკვება, რომ 1 კვირის წინ ქალაქის 1 საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ავადმყოფის ქმარს გაუქმეს ოპერაცია სათესლე ჯირკვლების ტუბერკულოზის გამო (epitidimtis et orchitis tuberculosa bilateralis). სამწუხაროდ ჰისტოლოგიური გამოკვლევა ამოკვეთილი კვერცხებისა

არ იყო გაკეთებული, მაგრამ, როგორც გადმომცა ექიმმა ნ. ვესელოვზო-როვმა, რომელმაც მას ოპერაცია უყო, არაერთი ექვი არ იყო იმაში, რომ კვერცხები ტუბერკულოზით იყო დაავადებული; იგივე დადასტურდა ამოკვეთილი კვერცხების მაკროსკოპულად გასინჯვით საავადმყოფოს პროზექტურაში.


ჩენი ავადმყოფი მიღებული იყო მორიგე ექიმის მიერ, რომელსაც დაუსვამს დიაგნოზი საშოს კირჩხიბისა, მაგრამ მეორე დღეს, როცა მე გაეშინჯე ავადმყოფი, გამოირკვა, რომ იარა კირჩხიბის იარას არა ჰგავს და პირიქით ძლიერ ემზგავება ტუბერკულოზს. აღებული იყო ორი პატარა ნაჭერი, ერთი საშოდან და მეორე საშვილსნოს ყელიდან ბიოფსიისათვის. მიღებული მიკროსკოპული სურათი გამოსახული მოგვეყავს აქვე: პრეპარატში ჩანს შემავრთებელ ქსოვილში წვრილ უჯრედოვანი ინფილტრაცია, ალაგ-ალაგ ჩანს დიდი ეპიტელიოიდური უჯრედების გროვები. რომელთა შორის მოთავსებულია ლიმფოციტები. ასეთი წარმონაქმნები კმნიან ხორკლებს, რომელნიც არ შეიცავენ სისხლის მიღებს და ძლიერ წააგვანან ტუბერკულოზის ხორკლებს. ზოგ ადგილას ხორკლებში ხაქოსებრი გადაგეარებაც ჩანს. ვერსად ვერ ვნახეთ ჩვენ გიგანტური უჯრედები, რომელნიც ასე აშკარად ახასიათებენ ტუბერკულოზის ხორკლებს. მაგრამ დასახული სურათის მიხედვით სხვა არაფრის თქმა არ იყო შესაძლებელი და ამიტომ იმ დასკვნამდე უნდა მივსულიყვენით, რომ იარა ტუბერკულოზური ხასიათისაა.

ასეთ დასკვნამდე მივედით მიღებული პრეპარატების დათვლიერებით ჩვენ პრ. ვ. ჟღენტთან ერთად კონსულტაციის შემდეგ. განყოფილებაში ყოფნის დროს ავადმყოფს სიციხე აწეული ჰქონდა და ზოგჯერ 39°-ამდინაც აღიოდა. ვიდრე მიკროსკოპული პრეპარატები იქნებოდა მზად, სხვადასხვა სიმპტომატიური წამლობა იყო ნაცადი.

ავადმყოფი განყოფილებაში ყოფნის დროს დასუსტდა და თერაპეუტის მიერ განმეორებითი გასინჯვის დროს მას აღმოაჩნდა მარცხენა ფილტვში პროცესის გაძლიერება, და ლავიწის ქვემოლ მე-III ნეკის სიმაღლეზე L. axyillaris sin მიმართულებით ტიმპანური ხმა პერკუტორულად და ამფოლური სუნთქვა (caverna). 16 აპრილს ავადმყოფი გადაყვანილი იყო უნივერსიტეტის გინეკოლოგიურ კლინიკაში რენტგენის სხივებით წამლობისათვის; მაგრამ, სანამ წამლობას დაუწყებდნენ, გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით. გაკეთა არ ყოფილა.

ამ გვარად ჩვენ ავადმყოფს ჰქონდა ტუბერკულოზური დაავადება საშოსი და ამავე დროს ფილტვის ტუბერკულოზიც. თუმცა თანახმად Veitის შეხედულებისა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ პირველადი დაავადება მას ჰქონდა ფილტვში, და საშოში პროცესი გადავიდა მეორედად, მაგრამ ის გარემოება, რომ ავადმყოფის ქმარს ჰქონდა ორივე კვერცხის ტუბერკულოზი, გვაძლევს, რომ საშოს ტუბერკულოზი დაავადებულ სპერმას მიეაწეროს ისე, როგორც ეს მოხდა Bauereisenის ცდებში.

ავადმყოფი აღნიშნავს, რომ ის საშოთი არის ავად 6 თვე. როდის დაუსნეულდა მას ფილტვები, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენს განყოფი-



საშოს სიმსენიდან ამონაჯერის მიკროსკოპული სურათი.

ლებაში შემოსვლისას ფილტვების მხრივ მოვლენები არ იყო მძიმე. შემდეგ კი ავადმყოფობამ სწრაფი მსვლელობა მიიღო და საბედისწერო ბოლომდე მიიყვანა. ამ რიგად რომელი ავადმყოფობა იყო პირველი: ფილტვებისა თუ საშოსი? თუ პირველად დასნეულდა საშო, მაშინ უეჭველად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის პირველადი დაავადებაა. და თუ ფილტვი უწინ დაუსნეულდა, მაშინაც, მე მგონია, შეიძლება ითქვას, რომ საშოს დაავადება მოხდა ფილტვებისაგან დამოუკიდებლად ე. ი. post hoc და არა propter hoc. ამისათვის უფრო მარტივი და ადვილი წარმოსადგენია, რომ ფილტვის დაავადება და საშოს დაზიანება მოხდა ცალ-ცალკე და ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად. რასაკვირველია ასეთი დასკვნა შეუძლებელია დამტკიცებულ იქმნას რაიმე საბუთით, მაგრამ ჩემის აზრით ერთად-ერთი მარტივი და ბუნებრივი ახსნა არის სწორედ ის, რომელსაც ჩვენ დაეადექით.

ამ გვარად ეს ჩენი იშვიათი შემთხვევა, მე მგონია. უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტუბერკულოზით დაავადება ქალთა სასქესო ორგანოებისა, მეტადრე საშოსი, შესაძლოა პირველადი იყოს, და გამოწვეული მამაკაცის სასქესო ჯირკვლის ტუბერკულოზური დაავადებით. ეს ჩენი შემთხვევა ამტკიცებს, რომ ასეთი პირველადი დაავადება, თუმცა იშვიათად, მაგრამ დასაშვებია.

ლიტერატურა.

- 1) A mann, Zur Frage des weiblichen Genitaltuberculose. *Monatschr. f. Geb. u. Gyn.* 1902 B. 16.
- 2) A schöffl, Pathologische Anatomie, IV Aufl. B. II, Jena 1919, S. 689.
- 3) Baumgarten, Experimente über d. Austreibung d. weiblichen Genitaltuberculose in Körper. *Berl. K. Woch.* 1904.
- 4) Bauereisen, *Archiv. f. Gyn.* B. 118.
- 5) Benecke u. Jung, Experimentelle Untersuchungen über den Infektionsweg bei d. weiblichen Genitaltuberculose. *Arch. f. Gyn.* 1907. B. 80
- 6) Demme Fromme და Heynemannოთ.
- 7) Engelhorn Kaufmannოთ.
- 8) Franque Beitrag zur Lehre v. d. Bauchfell u. Genitaltuberculose bei Weibe (Fromme და Heynemannოთ).
- 9) Friedmann, Experimentelle Studien über die Erblichkeit d. Tuberculose. *Zeitschr. f. Klin. Med.* 1901, B. 43.
- 10) Friedländer C. Veitოთ.
- 11) Fromme u. Heynemann, Kapitel in Veits Haudbuch d. Gynäk. B. V. S. 159.
- 12) Fütth H. Menge და Opitzის გინეკოლოგიის სახელ. რუსული თარგმანი 1914.
- 13) Hartmann. Ueber die Eingangsporte u. Austreibungsweise der Tuberculose in weibl. Genitalcysten. *Arch. f. Gyn.*, B. 112.

- 14) Hegar Hartmannოთ.
- 15) Kaufmann. Lehrbuch d. Spec. Patholog. Anatomie, Berlin 1911, VI Aufl. B II.
- 16) Merletti, Fromme და Heynemannოთ
- 17) Ribbert, Lehrbuch d. Allg. Pathologie Patholog. Anatomie. Leipzig 1919 6 Aufl S. 640.
- 18) Славянский К. Частная патология и терапия Женских болезней Т. II С.П.Б. 1897 стр. 21
- 19) Simonds, Ueber Tuberculose d. weiblichen Genitalapparates. *Arch. f. Gyn.* B 88. 1909.
- 20) Turner Fromme და Heynemannოთ.
- 21) Veit Kapitel: Tuberculose d. Vulva, in Veits Handbuch d. Gyn. B. IV---2 Wiesbaden 1910. S. 664.
- 22) Williams Fromme და Heynemannოთ.
-

მ. ფარცვანიძე

კოლოების დასწეულება¹.

I

სრულიად რუსეთის მეორე სამალაროო ყრილობაზე დიდი კამათი გამოიწვია კოლოების დასწეულების საკითხმა. ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ პროფ. Рубашкиნის და სხვების მიერ დამუშავებულმა მასალამ და დებულებებმა, შესაძებ კოლოების მცირე პროცენტით დასწეულებისა, ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია ზოგიერთთა შორის. კოლოთა თეორიის მომხრენი ცდილობდნენ გაეჭარწყლებიათ ის შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა პროფ. Рубашкиნის და სხვების გამოსვლამ და სხვადასხვა განმარტებით ცდილობდნენ ურყევად ექმნათ კოლოების მნიშვნელობა მალარიის გავრცელებაში (Труды 2 Мал. С'езда в Москве, 1924, стр. 200,201).

1924 წლის ზაფხულს და შემოდგომას, სამეგრელოს სამალაროო ექსპედიციაში, ჩვენ მიერ განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული ამ საკითხზე, რისთვისაც ჩვენ ეცდილობდით, რაც შეიძლება მეტი კოლო გაგვეკვითა და გამოგვეკვლია მათი დასწეულება.

კოლოების დაჭერა და მათი გაკვეთის ტუნჯია—პირველში კოლოების დაჭერას ვაწარმოებდით ადგილობრივ ბავშვების დახმარებით, უმთავრესად სახლების ქვეშ, სადაც ჩვეულებრივ ზაფხულობით ღამეს ათენებდნენ შინაური ცხოველები. შემდეგ დაჭერას ვაწარმოებდით, საერთოდ, სახლების ჩამოვლის დროს, სოფ. ანაკლიაში და ქარიატაში და, ბოლოს, მალარიით მეტად დასწეულებულ სახლებში, სადაც მრავალჯერ იყვნენ ჩვენი ექსპედიციის წევრები.

რადგან მასალა აუარებელი იყო, გამოკვლევას ვაწარმოებდით მხოლოდ მდებრობითი სქესის ანოფელესზე, მამრობითისასკი ან ესპობდით და ან კიდევ ვინახავდით კოლექციისათვის.

დაჭერილ კოლოებს ვათავსებდით საცდელ შუშაში და ერთი მეორისაგან ვაცალკევებდით ბამბის საშუალებით. გაკვეთის წინ კოლოებს ვაძინებდით ან თუთუნის კვამლით ან ეთერით, რის შემდეგაც ვიღებდით 3—4 ცალს და ვათავსებდით საგნის შუშაზე, რომელზედაც წინასწარ ვაწვეთებდით იმდენ წვეთს ფიზიოლოგიური ხსნარისას, რამდენ კოლოსაც ვუპირებდით მოთავსებას. შემდეგ, ჩვეულებრივ ნემსის და გამადიდებელ შუშა-მონოკლოს საშუალებით ვაწარმოებ-

¹) მოხსენებულია მე-III სამალაროო ყრილობაზე ქ. მოსკოვში, 8 თებერვალს 1925 წ.

დით გაცვეთას. პირველი ათი გაიკვეთა დაქერისთანავე, დანარჩენები კი—ზოგი ერთი დღის შემდეგ, ზოგი ორისა და ზოგი სამი დღის შემდეგაც კი.

გაკვეთა სწარმოებდა შემდეგნაირად: ჯერ ფრთხილად, ნემსით ვაცილებდით თავს თორაქსიდან სანერწყვე ჯირკვლების გამოსაცალკევებლად. შემდეგ კი გამოფრევდით შუა ნაწლავს მალპიგის კურკლებით. ხშირი ვარჯიშობით იმას მივაღწევთ, რომ შუა ნაწლავს, ძალზე გაესებულს სისხლითაც კი, დაუზიანებელიე გამოვაცალკევებდით ხოლმე. მაგრამ მალე, ზოგიერთ შემთხვევისთვის, მოგვიხდა შეგვეტანა ცვლილება გაცვეთის არსებულ ტექნიკაში, რადგან ყოველთვის ვერ ვახერხებდით მიგველო სანერწყვე ჯირკვლების პრეპარატი. ამ ნაქლის თავიდან ასაცილებლად კოლოს ვაძლევდით ზურგით მდებარეობას, შემდეგ ერთი ნემსით ვამაგრებდით თორაქსს და მეორეთი კი თავს; ამის შემდეგ ფრთხილად, გაწვევით ივლიჯებოდა თავი თორაქსიდან. შემდეგ, თავის ნემსი გადაგვექონდა მეორე და მესამე მუცლის რგოლის საზღვარზე და ისევე ფრთხილად ირღვევოდა კავშირი ამ რგოლებისა დანარჩენ რგოლებთან. ამის შემდეგ კოლოს ვაძლევდით გვერდით მდებარეობას და იმავე წესით ვაცილებდით თორაქსის ზემო საფარს. მისი მთლიანობის დარღვევით; ამ რიგად ვათავისუფლებდით შინაგან ორგანოებს, საცა შედიოდა სანერწყვე ჯირკვლები, ყიყვი, საჭაერო ბუშტუკები და სხვა.

პრეპარატები იზრუნებოდა მიკროსკოპით, ჩვეულებრივ საფარ შუშის ქვეშ—ჯერ მცირე და შემდეგ დიდი გადიდებით.¹ რამდენიმე ათეული გაკვეთის შემდეგ აღმოჩენილ იქნა ერთი დასნეულებული კოლო, პლანზოდირების ცისტებით შუა ნაწლავზე (resp. კუჭზე). მაგრამ შემდეგ მუშაობაში აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტს გვეკეთავდით, იმდენად უფრო მცირეობდა პროცენტი დასნეულებული კოლოებისა.

ამ გვარივე შედეგი მიიღო Darlingმა²; მანაც მხოლოდ ერთი კოლო ნახა დასნეულებული 43 გაკვეთილ კოლოში, შემდეგ კი ველარც ერთი ვერ იპოვა, თუმცა ხუთასზე მეტი გაკვეთა.

ჩვენ გაცვეთით ათასზე მეტი კოლო, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, დასნეულებული ერთზე მეტი ვერ ვპოვეთ. ამ გვარად კოლოთა დასნეულება სამეგრელოში უნდა უდრიდეს $1/100$ პროცენტს. რასაკვირველია, არ შეიძლება დაყრდნობა მხოლოდ ერთ დადებით შედეგზე; შესაძლებელია, ჩვენ რომ გავგვერძელებინა კიდე გაცვეთა, გვეპოვა მეორე და მესამე დასნეულებული კოლო, მაშინ $1/6$ აიწყოდა ნახევრამდის და უფრო მეტამდე. მხოლოდ ერთია უდავო, რომ კოლოთა დასნეულების პროცენტი უნდა ითვლებოდეს მეთაღი პროცენტებით, როგორც ეს Рубашкинს და სხვებს აქვთ აღნიშნული.

სულ საწინააღმდეგო დაკვირვებანი ჰქონდა გაგრის მიდამოებში პიროგოვის ექსპედიციას 1905 წელს, რაც აღნიშნული იყო მეორე სამალარიო ყრილო-

¹) სანერწყვე ჯირკვლების გაშინჯვის დროს, საეკო შემთხვევებში, პრეპარატები იღებოდა Giemsa-ს მეთოდით.

²) Samuel T. Darling. Studies in Relation to Malaria. Mount Hope, Canal Zone, 33 36.

ბაზე (Труды 2-го маляр. съезда в Москве, 1924 გვ. 201): ქრისტოფოროვი პროცენტი დასნეულებულ კოლოთა სექტემბერში უდრიდა 33,2%¹-ს (Труды Пироговской комиссии по изучению малярии в России, 1905. გვ. 173).

მე-65 ტაბულაზე წარმოდგენილია (იქვე, გვ. 180) მშვენიერი მაგალითი შეფარდებისა კოლოების დასნეულებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა პირველად დაავადების პროცენტთა შორის. რადგან სამეგრელოს ექსპედიციის მუშაობა სწარმოებდა იმავე შავი ზღვის ნაპირას, ჩვენ მიერ მიღებული შედეგის შეფარდებლობაზე საჭიროა ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს ვაგრის ექსპედიციის მიერ ხმარებული გამოკვლევის მეთოდების თავისებულებანი. იქ აღრიცხავდნენ არამც თუ მარტო სპოროზოიტებს და სპოროციტებს შუანაწლავის შეცულობაში, არამედ აგრეთვე ოოკინეტებს. აქ საყურადღებოა, რომ, როგორც ვიცით, არამც თუ მარტო ოოკინეტებს, არამედ აგრეთვე სპოროციტებსაც შეუძლიანთ განიცადონ გადაგვარება შუანაწლავში (Jancso)¹ და ამ რიგად არ მოხდეს სანერწყვე ჯირკვლების დასნეულება; თვით ავტორებიც 181 გვერდზე ამბობენ: „შესადლებელია, ბუნებრივ პირობებშიაც კი ყველა ოოკინეტები არ განვითარდნენ ცისტებად“. კიდევ მეტი, 171 გვერდზე აღნიშნულია, რომ ერთ შემთხვევაში „ნახული იყო სპოროციტები არა ჩვეულებრივი შეხედულობისა, თითქმის გადაგვარებულნი“-ო.

ამ რიგად ნამდვილ ეპიდემიოლოგიურ ღირებულებას წარმოადგენდნენ მხოლოდ ის კოლოები, რომელთაც დასნეულებული აქვთ სანერწყვე ჯირკვლები ან, უკიდურეს შემთხვევაში, სპოროციტები მაინც კარგად აქვთ განვითარებული.

თუ ვაგრის ექსპედიციის მიერ მიღებულ რიცხვიდან გამოვრიცხავთ ოოკინეტების შემთხვევებს, აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც Ross-ის სხეულაკებს ნახულობდნენ, რომლებსაც, როგორც ჩანს, არავითარი კავშირი არ აქვთ მალარიასთან, აღმოჩნდება, რომ დასნეულების პროცენტი, იმავე ექსპედიციის მასალის მიხედვით, თვალსაჩინოდ 33%²-ზე² ნაკლები იქნება. ე. ი. მხოლოდ 11% ვარდა ამისა ამ ექსპედიციამ (იხილე ტაბულა № 56, გვ. 170; ტაბ. 62, გვ. 177) მიიღო კოლოების დასნეულების უდიდესი რიცხვები მხოლოდ რამოდენიმე სახლში, საცა დაავადებულთა რიცხვიც ერთბა დიდი იყო..

ამავე ტაბულიდან ჩანს, რომ დასნეულებულ კოლოთა რიცხვი სხადასხვა სახლში მეტად არათანაზომიერია. იმიტომ დასნეულების პროცენტის გამოანგარიშება ამ რიცხვებით არა საიმედოა და მთლიანად დამოკიდებულია შემთხვევისაგან, ე. ი. იმისდა მიხედვით, თუ რომელ სახლში შეხვდათ გამოკვლევის წარმოება. ამით შეიძლება აიხსნას წინააღმდეგობა სხვადასხვა ავტორის მიერ მიღებული ციფრებისა.

ჩვენი მასალა კი უფრო სისწორით გამოხატავს კოლოთა მოსახლეობის საშუალო რიცხვს, რადგან კოლოებს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ვაგროვებდით ყველა პირობებში არა მარტო სახლებში, არამედ აგრეთვე სახლების ქვეშ. სოფ-

¹) Arch. f. Schiffs- u. Tropen-Hygiene.

²) 9 კოლოში ნახულია ერთხელ სპოროციტები და ორჯერ Ross-ის სხეულაკები.

ლის სხედასხვა კუთხეებში; იქერდენ სხედასხვა პირები თავთავიანთ რაიონში, ისიც ორ სოფელში, რომლებიც ერთი მეორეზე დაშორებული არიან 25 ვერსის მანძილზე. თანაც სოფ. ანაკლია მდებარეობს 'თვით შავი ზღვის პირას, სოფ. ქარიატა კი უკანასკნელიდან რვა ვერსის მანძილზეა და მდებარეობს მდინარე ხობის ორთავე მხარეს.

რამ კოლოების ერთგვარ გადარჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს—ეს ნათლად ჩანს Ziemannის აღწერიდანაც, სადაც აღნიშნულია, რომ იგი დიდხანს ვერ ნახულობდა დასნეულებულ კოლოებს, თუმცა რამდენიმე ასეული გადასინჯა და, მხოლოდ შემდეგ, ერთ ცდაში, 16 კოლოთა შორის აღმოაჩინა 2 დასნეულებული. აქედან მას გამოჰყავს პროცენტი დასნეულებისა და ისიც შეცთომით—16,6%, ნაცულად 12,5%-ისა (Mense, Handbuch der Tropenkrankheiten, 1918, B. V, გვ. 112).

ამ რიგად, იმ ადგილებშიაც კი, სადაც ლებულობდენ მაღალ პროცენტს დასნეულებისას, რომ გამოკვლეული ყოფილიყო უფრო მეტი კოლო, რომ მათი შეგროვება არ წარმოებულყო წინასწარ ამორჩეულ ალაგებში, საცა, à priori, მოსალოდნელი იყო კოლოების დიდი დასნეულება, იქაც კი მიღებული იქნებოდა სულ სხვა შედეგები.

მაშასადამე, მიღებული შედეგები უნდა აიხსნას ან გამეტამეტარებელთა მცირე რიცხვით, ან ანოფელესების ძლიერ დიდი რაოდენობით, რომლებიც იმყოფებიან როგორც ადამიანის და ცხოველების ბინებში, აგრეთვე ყველგან.

მეორე შესაძლებლობა შესახებ კოლოების რაოდენობისა, მთლიანად მართლდება პროფ. Воронихის მიერ მოყვანილი რიცხვებით (ნახე მისი წერილი „ტრ. სნულ. მოამბეში“, № 2).

Darlingით Anopheles albimanusათვის 0,2% წარმოადგენს გამეტამეტარებლობის საზღვროვან რიცხვს, ე. ი. თუ ავადმყოფს აქვს 0,2%-ზე ნაკლები გამეტები, ის არ წარმოადგენს საშიშროებას კოლოს დასნეულებისათვის (გამეტამეტარებლობის საზღვარი დაახლოებით უდრის ერთ გამეტას ყოველ 500 ლეეკოციტზე ანუ 12 გამეტას სისხლის 1 c. mm-ზე) ¹.

გამეტამეტარებლობასთან დაკავშირებულ საკითხების გამოსაკვლევად ჩვენ ესარგებლობდით სისხლის პრეპარატებით, რომელიც აღებული იყო, დიაგნოსტიკური მიზნით, მაღარიით დაავადებულ ავადმყოფებისაგან. სულ გამოკვლეული იყო 76 პრეპარატი. აქედან Pl. vivaxის 11 შემთხვევა, Pl. praecoxის 11 შემთხვევა და ერთი შემთხვევაც Plas. malariaeის ², რაც შეადგენს 33%-ს პარაზიტების მტარებლობისას მაღარიით დაავადებულთა შორის.

შემდეგ ტერციანათი დასნეულებულთა შორის vivaxის გამეტის მტარებელნი აღმოჩნდნენ ყველანი, Praecoxისა 36% (იხ. ცხრილი № 2, № 3).

რასაკვირველია, დასნეულებისთვის საჭიროა, რომ კოლოს სხეულში ერთდროულად მოხდეს, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი გამეტა. მაგრამ ტა-

¹) Darling, Studies Malaria, გვ. 24.

²) Mal. quartana შესახებ ცხრილი არ არის მოყვანილი, ავადმყოფის სარეგისტრაციო ბარათის დაკარგვის გამო. სისხლის ნაცებებში ნახული იყო მხოლოდ გამეტები.

ბულებიდან ჩანს, რომ როგორც ერთი, ისე მეორე გვხვდებიან ერთდროულად მხოლოდ 2 შემთხვევაში *vivax*-ის დროს და აგრეთვე ორჯერ *praeco*-ის შემთხვევაში. ამრიგად კოლოების დასნეულების შესაძლებლობა თანაბარია მალარიის ორთავე ფორმისთვის.

რადგან სისხლს გამოსაკვლევად ვიღებდით მხოლოდ საექვო შემთხვევაში, ამიტომ პარაზიტთა რაოდენობა პრეპარატების უმეტეს ნაწილში მეტად უმნიშვნელო აღმოჩნდა.. 76 პრეპარატიდან მხოლოდ 23-ში იყო პარაზიტები. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ მაინც აღმოჩნდა გამეტთამეტარებლობის არა ნაკლები $2,6\%$ -ისა მალარიის ორივე ფორმისთვის. ამრიგად, კოლოების სუსტი დასნეულება შეუძლებელია აიხსნას გამეტთამეტარებელთა მცირე რიცხვით, უფრო მეტად დამოკიდებული უნდა იყოს კოლოების დიდ რიცხვებზე.

თუ მივმართავთ „პირაგოვის კომისიის შრომებს რუსეთში მალარიის შესასწავლად“ (გამოც. 2, 1904, გვ. 43), ენახეთ შემდეგს: ევლახში, 1903 წ., 215 მცხოვრებიდან პარაზიტები აღმოჩნდა 80-ს ($37,2\%$), გამეტები კი—3 (რაც შეადგენს მცხოვრებლების $14,4\%$ და $38,7\%$ -ს მალარიით დაავადებულთა). ამ 31 შემთხვევაში 20 იყო *Pi. vivax*-ის და 11 *praeco*-ის გამეტებიანი. 131-დან, რომლებსაც ელენთა არ ჰქონდათ გადიდებული, გამეტები ნახული იყო 14 შემთხვევაში, რაც შეადგენს $10,6\%$; 84 შემთხვევაში გადიდებული ელენთით გამეტები ჰქონდათ 17 ანუ $20,2\%$. ამ რიგად, ელენთა-გადიდებულთა შორის გამეტებიანი იყო მეთია, ვიდრე ელენთა-გადიდებულთა შორის.

მაგრამ—როგორც აღნიშნავენ იქვე ავტორები—„ეპიდემიის ხანაში, ახლად დაავადებულთა შორის, არაიშვიათად გამეტების ნახვა შეიძლება ისეთ ავადმყოფთა სისხლშიც, რომლების ელენთა პალპატორულად არ იშინჯება“.

თუ გადავხედავთ ჩვენს ცხრილებს, დავინახავთ შემდეგს: ტერციანას დროს გამეტთამეტარებლობა ირყევა 2% — $54,4\%$ -მდე, ტრაპიკული ფორმის დროს— $0,2\%$ -დან $15,2\%$ -მდე.

გარდა ამისა, ჩვენ აგრეთვე გვინტერესებდა გამოვკერკვა:

1) არის თუ არა რაიმე დამოკიდებულება გამეტთამეტარებლობისა ელენთის გადიდებასთან?

2) არის თუ არა რაიმე კავშირი გამეტთამეტარებლობისა და ამა-თუ-იმ ფორმის მალარიის ახალგაზრდა პარაზიტების არსებობასთან?

3) აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა გამეტთამეტარებლობისთვის ავადმყოფობის ხანგრძლივობას? და

4) რა მნიშვნელობა აქვს ვასულ ხანას უკანასკნელი შეტევიდან.

გამოირკვა, რომ 1) გამეტთამეტარებლობა არ არის დამოკიდებული ელენთის სიდიდისაგან, 2) ტერციანას დროს გამეტთამეტარებლობა დამოკიდებულია სისხლში პარაზიტების ახალგაზრდა ფორმების არსებობაზე (ტრაპიკული მალარიის დროს ერთ შემთხვევაში მივიღეთ ნათლად გამოხატული უარყოფითი შედეგი. დანარჩენ შემთხვევებში კი—დადებითი), 3) უკანასკნელი შეტევის შემდეგ ვასულ ხანას არ აქვს მნიშვნელობა და 4) ავადმყოფობის ხანგრძლივობას უარესი მნიშვნელობა აქვს გამეტთამეტარებლობაზე.

დასასრულ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხი კოლოების დასნეულების შესახებ არ წარმოადგენს იმდენად საინტერესოს, რამდენადაც აქცევენ მას ყურადღებას. ყოველ შემთხვევაში, მიღებული შედეგების ეპიდემიოლოგიური ღირებულება სრულიად უმნიშვნელოა შედარებით იმ დიდ შრომასთან, რომელსაც მოითხოვს კოლოების ათასობით გაკვეთა.

თუ შევადარებთ ამ საკითხის დღევანდელ მდგომარეობას სხვა ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიოლოგიურ ცნობებს, დაინახავთ შემდეგს. წინადაც ცდილობდნენ ეპოვით ინფექციის გამომწვევი მიზეზი ცოცხალ სხეულებზე, ნივთებზე, მაგრამ ცდამ გვიჩვენა ყველა ამგვარი კვლევა-ძიების მცირე ღირებულება. მართლაც, თუ ჩვენ გვყავს მუცლის ტიფით ავადმყოფი, რა იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ ვიპოვით ტიფის ბაცილას, მაგალითად, იმ წყალსადენში, საიდანაც ავადმყოფმა დალია წყალი ერთი ან ორი კვირის წინეთ.

ამ უმად ღიდ ყურადღებას აქცევენ ბიცილისმტარებელთ, ე. ი. დასნეულების პირველ წყაროს და არა სხეულების გადამტანთა დასნეულებას.

ამავე მსჯელობის მაღარიანზე გადატანით, ჩვენ შევეცადეთ, დაახლოვებით მაინც, აღვენიშნა გამეტრამეტარებლობის ოდენობა იმ ნაცხებთა მცირე რიცხვის მიხედვით, რომელიც აღებული გვქონდა მაღარაის ფორმის გამოსარკვევად.

II

თუმცა სამეგრელოში Anophelesი იშვიათად ყოფილა მაღარაის პარაზიტებით შეპყრობილი, მაგრამ, სამაგიეროდ, მათში ბლომად იყო აღმოჩენილი როგორც ენდო- ისე ექტო-პარაზიტები.

1. ფილარიები.—ეს პარაზიტები ნახულია საშნარი, რომელნიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან როგორც ოდენობით, ფორმით, ისე იმითაც, თუ როგორ არიან მოთავსებულნი მათში სუბკუტიკულარული უჯრედები.


ფილარიები ნახული იყვნენ ყიყვიში—ერთხელ ერთი ცალი და 10-ჯერ მალპიგის კურჭლებში. კურჭლები ძალზე გაწეულნი იყვნენ და ამოცემული ფილარიებით. რომელნიც გველისებრ იკლანებოდნენ (იხ. სურათი 1). პარაზიტები შესწავლილი იყო Giemsaს მეთოდით შეღებვის შემდეგ (იხ. სურ. 2).

აღმოჩნდა:

Filaria A. სიგრძე პარაზიტისა—0,23 mm., სისქე—0,005 mm. სხეული მოფენილი აქვს ისეთივე უჯრედებით, როგორც ყოველივე სხვა მიკროფილარიებს. ასეთივეა მსგავსება მათთან თავისა და კუდის ბოლოებისა როგორც ფორმის, ისე აგებულების მხრივ.

Filaria B.—სიგრძე—0,55 mm: სისქე—0,03 mm. სხეული მოფენილია ორ წყება გასწვრივად დალაგებულ სუბკუტიკულარული უჯრედებით, რომელთა შორისაც მოთავსებულია თავისუფალი გასწვრივი სანათური. თავისა და კუდის ბოლოები თანაბრად ბლავად მომრგვალებულია.

Filaria C. სიგრძე პარაზიტისა—0,29 mm, სისქე—0,04 mm, მეტად უხეშია. სხეული დაფარულია თავისებური, არა გამსჭვირვალე კუტიკულით, რომელიც ხელს უშლის პარაზიტის აგებულების შესწავლას (იხ. სურ. 3).



სუო. 1. კოლოს მალპიგის კურკელში არსებული მიკროფილარები (მიკროფოტოგრაფია Th. Kühnelt).



სურ. 2. იგივე მიკროფილარია ფიქსაციის და შეღებვის შემდეგ (მიკროფოტოგრაფ. Th. Kühnelt).



სურ. 3. მიკროფილარია C. (მიკროფოტ. Th. Kühneli).


აქ აღწერილი პარაზიტები, როგორც ჩანს, არ წარმოადგენენ შემთხვევით მოვლენას, არამედ რეგულარულად გვხვდება შავი ზღვის ნაპირას. ყოველ შემთხვევაში, პიროგოვის კომისიის შრომებში (ტ. II, გამ. IV, 1915, გვ. 185) იყო აღნიშნული, რომ «შავი ზღვის ნაპირას ნახულია ორგვარი ფილარიები: მოკლე—მალპიგის მილაკებში და გრძელი—საჭმლის მომნელებელ მილში».

რადგან მათი აგებულება სრულიად არ იყო შესწავლილი, ამიტომ ძნელია ლაპარაკი ამაზე, ემსგავსებიან თუ არა მათი ფილარიები ჩვენ ფილარიებს.

2. *Distoma N.* ეს პარაზიტი შემჩნეული იყო, ხუთ შემთხვევაში, კოლოს ბუცლის ღრუში. პარაზიტი ნახულია თვის განვითარების ორ სტადიუმში: ცისტურ ფორმაში და თავისუფალ მდგომარეობაში. უკანასკნელ შემთხვევაში პარაზიტი იკუმშებოდა წურბლის მსგავსად, სწრაფად მოძრაობდა და იკარგებოდა მიკროსკოპის მხედველობის არიდან. აღნიშნული პარაზიტი საკმარისად დაწვრილებით არის აწერილი პიროგოვის ხსენებულ კომისიის შრომებში.

3. ტკიპის ბოფოები. ეს პარაზიტები შემჩნეული იყო, 22 შემთხვევაში, მდებარეობითი სქესის კოლო—*Anopheles*-ის სხეულის სხვადასხვა ნაწილზე. ყველა ტკიპი ერთი სახისაა და შესწავლილია კანადის ბალზამში მოთავსების შემდეგ. პარაზიტებს წინასწარ არავითარი ფიქსაცია არ ჰქონიათ ნაქნარი.

ბოფოს ზომა—უდიდესი გარდიგარდმო—0,24 mm., გასწვრივი—0,38 mm., გარდიგარდმო ფარისა—0,15 mm., გასწვრივი—0,20 mm.; თვალები (?) 0,02 × 0,3 mm.; ჰელიცერები—0,046 mm. Coxae:1-ლი—0,07 mm. × 0,019 mm.; მე-2—0,08 mm. × 0,015 mm; 3-ისა—0,14 mm. × 0,06 mm.




სურ. 4. ტკიპის (*Hydrachna cruenta*?) ბოვა (მიკროფოტ. Th. Kühneli).

ტკიპის ბოვების საერთო აღწერა.— ტკიპას, ცოცხალ მდგომარეობაში. აქვს მოწითალო, აგურის ფერი. კანადის ბალნაში მოთავსების შემდეგ ლებულობს თითქმის სწორი რგოლის ფორმას, ნათელი არშიით; ტანი უფერული ხდება, მასზედ მოჩანს უწყესრიგოდ დალაგებული წერტილები, ოდნავ მოჩანან შინაგანი ორგანოების კონტურები; ზურგზე აღინიშნება მოყვითალო ფერის ფარი, რომბისებრი ფორმისა, გვერდებიდან და უკან მომრგვალებული კუთხეებით. წინა კუთხე გამოწეულია და გადაკვეთილია თითქმის სწორი კუთხის ქვეშ. ზედაპირი მოგვავონებს კრამიტთან სახურავს (იხ. სურ. 5). ფარის პირველი მესამედის საზღვარზე, კიდეებიდან ცოტა დაშორებით, მოჩანს ორი სანათური (?). ფარის უკან არის ანალური ხვრელი.


ვენტრალურ ზედაპირზე, ჩვეულებრივ ალაგას, იწყება სამი წყვილი კიღურებისა; თითოეული კიღური კი შედგება 5 ნაწილისაგან, რომლის ბოლოს დართულია ბრკყალი. კიღურებს აქვს თავისებური ბარძაყები ერთი მეორისაგან განსხვავებული როგორც ფორმით, ისე ზომით. მავალითად, პირველს აქვს სოლისებრი ფორმა, მეორეს—დანისა, მესამე კი—დაგრძელებული და ბოლოებში მორგვალელებული მსხლისებრი ფორმისაა.

ტკიპის წინა ბოლოზე, კიღურის მეორე ნაწილის ზემო კიდესთან, მოთავსებულია მსხლისებრი მოყვანილობის ორგანოები, რომლის წინა მახვილი ბოლოები მიმართულია ირიბად. მის ცენტრში ვენტრალურ მხარესთან ახლოს მოთავსებულია პორუსი. ეს, უთუოდ, არის ტკიპის თვალები. აქედან მუდმივ გამოდის რალაც მარცვლებიდან შემდგარი და მოშავო ფერის გამონაყოფი¹.

¹) რალაც მიზეზით, ეს გამონაყოფი სამყურის მსგავსად ლაგდება ბოლმე.



სურ. 5. ტკიპის ბოვოს ზურგის ფარი (ნახატია მიკროსკოპიდან ექ. ვედ. ნ. ნათიშვილის მიერ).



სურ. 6. ტკიპის ბოვოს ხორთუმი (ნახატია მიკროსკოპ. ექ. ვედ. ნათიშვილის მიერ).

ცენტრალური მხრიდანვე, წინა კიდის უკან, გამოდის ორი წვეილი პირის ორგანო. ცენტრალური წვეილი შედგება ორი ქიტინის, მახვილ ბოლოებიან, მწვერვალთან ოდნავ შეზნექილ და სადა სტილეთისგან, რომლებიც ესაბამე-ბიან ჩვეულებრივი ტკიპის ჰიპოსტომს და რომელნიც თავისი მორგავალბული ბოლოებით ღრმად შედიან ტკიპის სხეულში. თითოეულ სტილეტს აქვს წვრი-ლი და გამსჭვირვალე ბუდე. ორიენი კი მოთავსებულია ერთგვარ საყელოში, რომლის ფორმა მოგვაგონებს ე.წ. ბუხრის საათის ხუფს. შემხეები და ზუბანები პარაზიტს არა აქვს.

პიროგოვის სამალარიო კომისიის შრომებშიაც არის ნახსენები, რომ Anophelesებზე ნახულია ტკიპის ბოკოები. ზოგი მათგანი იყო ეანგისებრ წითელი, ზოგი მორუხო ფერისა. ზომები მათი უდრიდა საშუალოდ 3,26 მმ. X 2,28 მმ.

მეექვსე ცხრილზე, სურ. 21-ზე (იხ. პიროგოვის კომისიის შრომებში) მოყვანილია არა მკაფიოდ, ზერელედ და სქემატურად, დაახლოვებითი ხუ-რათი ტკიპისა. ამის გამო, მივიღეთ რა მხედველობაში ტკიპების დაწვრილე-ბითი აღწერის უქონლობა, მათი ზომებით და გარეგნობით შეუსაბამებლობა ჩვენ მიერ ნახულ ტკიპებთან, ვეიქრობთ, რომ ჩვენ მიერ შემჩნეული ეკტო-პარაზიტი არის თავისებური სახისა და, შეიძლება, დღემდე აუწყერელი მოზრდი-ლი ტკიპის (*Hydrachna cruenta?*) ბოკო.

დასასრულ, გულწრფელ მადლობას ვუძღვნი პაროფესორ ვ. ვორონინს მუშაობაში საერთო ხელმძღვანელობისათვის.

ტ. 1. კოლოქების აკამალარიული პარაზიტებით დასნეულაბა.

№ №	ს ა მ ე მ ა	გაყვითლი- ფ. ანთუელ- ის რაოდენ- ობა	Filar. A. დანეულე- ბული კო- ლოქის რა- ოდენობა	Filar. B. დანეულე- ბული კო- ლოქის რა- ოდენობა	Filar. C. დანეულე- ბული კო- ლოქის რა- ოდენობა	Distom-ის დანეულე- ბული კო- ლოქის რა- ოდენობა	ტკიპით შეყოობლი ანთუელე- ბის რაოდენ- ობა
1	ანაკლია . . .	650	—	—	0.2%	—	0.2%
2	ქარიატა . . .	351	0.1%	0.2%	0.6%	0.5%	2%
	სულ . . .	1001	0.1%	0.2%	0.8%	0.5%	2.2%

Malaria tropica.

ტ. № 3. კოლოების დასწრეობა.

№	სოფელი	სახელი და გვარი	სქესი		ივანეძე	რემბინი	საქმისა და სიყვარულის	შენიშვნა						
			მ.	დ.										
1	ანაკლ.	ტიფონი ხაბილა.	+		10 წ.	1 წ.	2/VIII	5/VIII	დასრულებულია	0	8.8%	1.11%	1 თითი	icterus.
2	"	დუსია სანოია.	+		8 "	რამოდ. წ.	წინაწლიდან	30/VIII	დასრულებულია	2%	0.20%	0%	კოკამდე	უძლევი ქინთი წამლობა.
3	"	გრაფი ბაიანაძე.	+		20 "	5 წ.	25/VII	30/VII	დასრულებულია	2.4%	0	0	კოკამდე	
4	"	დავით ბუბუტაშვილი.	+		45 "	3 "	20/VII	13/VII	დასრულებულია	50%			კოკამდე	
5	"	ოლა ხუფენია.	+		15 "	1 "	15/VII	1/VIII	დასრულებულია	54%			კოკამდე	
6	"	ივანე კითაშვილი.	+		20 "	1 "	2/VII	2/VIII	დასრულებულია	4%	1.2%	14%	კიპის ქაზმოდ	
7	"	ივანე ყორზა.	+		18 "	1	2/VII	2/VIII	დასრულებულია	16.4%	0	0	კოკამდე	
8	"	კაკი ხუფენია.	+		12 "	1 "	26/VI	24/VIII	დასრულებულია	4%			კოკამდე	
9	"	მელანა სოკინაძე.	+		15 "	1 "	შეუწყვეტილი	10/VIII	დასრულებულია	6%			კოკამდე	
10	"	ნიკოლოზ კითაშვილი.	+		25 "	1 "	30/VI	30/VII	დასრულებულია	34.8%			კოკამდე	
11	"	მარიამ ბეზია.	+		80 "	2 "	3/VI	13/VIII	დასრულებულია	21.2%			კოკამდე	

M. ПАРЦВАНИДЗЕ

ЗАРАЖЕННОСТЬ КОМАРОВ¹.

(Заключение)

1. Зараженность анофелесов малярийными паразитами в Мингрелии равна 0,1% (одна зараженность на 1001 комара).

2. Определенный отбор комаров имеет огромное влияние на процент зараженности комаров, а потому необходимо, чтобы материал представлял, действительно, среднее комариное население разнообразных мест (зараженных и благополучных домов, помещений для скота и т. д.).

3. Полученные результаты вскрытия комаров приходится объяснять или наличием малого количества гаметоносителей или огромным количеством анофелесов.

4. В результате обследований оказалось: а) по проф. Воронину, комариное население в Мингрелии—огромно (малая зараженность скорее должна зависеть от очень большого количества комаров); б) гаметоносительство значительно, не менее 2,6% (таким образом, малую зараженность комаров едва ли можно объяснить очень малым гаметоносительством).

5. Выяснено: а) гаметоносительство при терциане связано с присутствием молодых форм паразита, б) продолжительность болезни имеет огромное значение для гаметоносительства, в) давность последнего приступа для гаметоносительства не имеет значения.

6. В результате необходимо признать, что: а) вопрос о зараженности комаров, вообще, едва ли заслуживает того интереса, который он возбудил, б) большее внимание необходимо обращать на гаметоносительство, т. е. на источник заражения, а не на зараженность переносчиков инфекции с одного человека на другого.

7. У самок анофелесов найдены немалярийные эндо- и экто-паразиты: а) личинки филярий трех видов, в особенности, в мальпигиевых сосудах (в 1. 1%); б) двуустка в брюшной полости (в 0,5%); в) личинки неизвестного клеща (красотелок?)—в 2;2%.

M. PARZWANIDSE.

DER INFektionsGRAD DER MÜCKEN.

(Zusammenfassung)

1) Die Infektion der Anopheles mit Malariaparasiten ist in Mingrelie gleich 0,1% (1 Infektion auf 1001 Mücke).

2) Eine bestimmte Probenahme der Mücken hat einen grossen Einfluss auf den Prozentsatz der Infektion und deshalb ist es notwendig, dass das

¹) Доложено на 3 маяя. с'езде в Москве, 1925 г.

Material wirklich die Durchschnittsbevölkerung der Mücken in den verschiedenen Stellen (infizierte und infektionsfreie Häuser, Viehställe u. s. w.) darstelle.

3) Die durch die Untersuchung der Mücken erhaltenen Resultate erklären sich entweder durch eine geringe Anzahl von Gametenträgern oder durch eine ungeheure Anzahl von Anopheles.

4) Im Resultat zeigte die Untersuchung: a) nach Prof. Woronin, die Mückenbevölkerung in Mingrelien ist riesig (der geringe Infektionsgrad ist vorzugsweise von der riesigen Anzahl der Mücken abhängig); b) die Anzahl der Gametenträger ist verhältnissmässig bedeutend, nicht unter $2,6\%$ (somit kann die geringe Anzahl der inficierten Mücken kaum durch die geringe Anzahl der Gametenträger erklärt werden).

5) Es ist festgestellt, a) dass die Anwesenheit von Gameten von der Grösse der Milz unabhängig ist, b) die Anwesenheit der Gameten bei Tertiana im Zusammenhang mit dem Vorhandensein junger Formen des Parasiten steht, c) die Länge der Krankheit eine grosse Bedeutung für die Anzahl der Gameten hat, d) der Intervall nach dem letzten Anfall keine Bedeutung für das Vorhandensein von Gameten hat.

6) Im Resultat muss anerkannt werden, dass: a) die Infektion der Mücken überhaupt kaum das Interesse verdient, welches es erregt hat, b) eine grössere Aufmerksamkeit auf die Anwesenheit von Gameten gelenkt werden muss, als auf die Quelle der Infektion und nicht auf die Infektion der Infektionsüberträger von einem Menschen auf den anderen.

7) Es wurden bei den Anophelesweibchen nicht zur Malaria gehörige Endo- und Ectoparasiten gefunden: a) 3 Arten Filarien (A, B, C), in den Malpighischen Gefässen ($1,1\%$), b) Distoma in der Bauchhöhle ($0,5\%$), c) Larven der Zecke (*Hydrachna cruenta?*) $2,2\%$.

ალექსანდრე წერეთელი.

ლუკიანე სამოსათელი თავის დროის სარწმუნოებათა შესახებ ¹.

ლუკიანეს დროს, ე. ი. ქრ. შემ. მეორე საუკუნეში, როდესაც ძველი სამყარო, თითქოს, რღვევას განიცდიდა, ბერძნულ-რომაულმა სარწმუნოებამ არამც-თუ დაკარგა პატივისცემა სასახლეებსა და ქოხებში, არამედ პირიქით აღმოსავლეთის ღვთაებათა და კულტის დაწესებულებათა მიღებით და ასიმილაციით უფრო გაადიდა თვისი მიმღევრების რიცხვი². ეს ფაქტი დადასტურებულია ძველ საფლავებზე დაკული წარწერებით; მასზე მოგვითხრობენ პირდაპირი თუ არა პირდაპირი თანამედროვე მწერლები; მასზე მიგვითითებს სასტიკი გალაშქრება ქრისტეანობის წინააღმდეგ და, დასასრულ, მასში გვარწმუნებს ის ელემენტები, რომლებიც განსაკუთრებით მტკიცე და ურყევი იყო წარმართულ სარწმუნოებაში და რომლებიც შეცვლილი სახით ქრისტეანობაშიც გადმოვიდა. ერთი სიტყვით, ანტონინების დროისათვის ძველი წარმართული სარწმუნოება ბრწყინვალე აღორძინებას განიცდიდა და ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომელიც სავესებით იყო გაბატონებული ადამიანთა დიდი უმრავლესობის ცხოვრებაზე.

ლუკიანე სამოსათელი ამ სარწმუნოების წინააღმდეგ დაუნდობელი მებრძოლი იყო. და სამართლიანად ამბობს მკვლევარი O. Schmidt:

die Stellungnahme des Satirikers Lukian von Samosata zum griechisch-römischen Volksglauben und zum Christentume ist auch für uns Moderne in mancher Beziehung noch von hohem Interesse³. მართალია, „ოლიმპიელთა“ ცხოვრებას ჩვენს დროში მხოლოდ ღიმილი შეუძლია გამოიწვიოს და ყოველგვარ ინტერესს არის მოკლებული, მაგრამ „ოდესღაც ოლიმპის ეს სახელმწიფო იყო ფართოდ და დიდად გაბატონებული სამფლობელო, რომლის წინაშე ადამიანთა მილიონები ცახცახებდნენ და ვედრებით მუხლს იყრიდნენ,— სამფლობელო, რომელიც მთელი საუკუნეების განმავლობაში მტკიცე წინააღმდეგობას უწევდა ქრისტეანობას“⁴.

¹) დამსახ. პროფ. გრიგოლ წერეთელს, რომელმაც ზოგიერთ ავტორზე მიმოიხილა, ეს ჩემი ნაშრომი გადაიკითხა და თვისი აზრი გამოხიარა, დიდ მადლობას მოვახსენებ.

²) იხ. Friedländer, Darstellungen aus der Sittengeschichte Roms in der Zeit von August zum Ausgang der Antonine, Lpz. 1920, III S. 118 f. f., O. Seeck, Geschichte des Untergangs der antiken Welt, Stuttgart. 1921, III S. 96 f. f.

³) O. Schmidt, Lukians Satiren gegen den Glauben Seiner Zeit. Solothurn, 1900, S. 3.

⁴) ibid. S. 3—4.

ისტორიკოსი, რომელიც კაცობრიობის შორეულ წარსულს იკვლევს, გვერდს ვერ აუხვევს ამ „სამყაროს,“ რომელიც იმ დროის ადამიანთა განცდებსა და გონებას მძლავრად იმორჩილებდა...

თვის შრომაში *Ἀλεξάνδρου ἡ ἑπιπέμβασις*; ლუკიანემ დიდი სიცხადით დაგვისურათა თანამედროვე საზოგადოების კულტურული მდგომარეობა; ეს საზოგადოება ღრმად იყო ჩაფლული ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის მორევში და მის მაღალ და განათლებულ წრეებშიაც კი დიდი პატივი და მოკრძალება ჰქონდა დამსახურებული ისეთ თვალთმაქც ავანტურისტს, როგორიც იყო, ლუკიანეს გადმოცემით, მცირე აზიელი ბერძენი ალექსანდრე ამონოტეხელი. ლუკიანეს დასახლებული შრომა იმ დროის რომის იმპერიის მცხოვრებთა სხვადასხვა ფენების სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ვითარების გათვალისწინებისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს.

ლუკიანე ეხებოდა ამ მხრივ არა მარტო ხალხის ფართო მასას, არამედ განათლებულ საზოგადოებასაც, ფილოსოფიურ სისტემათა სხვადასხვა წარმომადგენლებს; მაგ., *Πρωκლῆς*; ში იგი ახასიათებს ევკრატის საზოგადოებას, რომელიც ექიმ ანტიგონესა, პერიპატეტის კლეოდემისა, სტოელის დინომაქისა, პლატონის იონასა და სხვა განათლებულ პირთაგან შესდგებოდა; თვით ევკრატეს საფუძვლიანად უმუშავია ფილოსოფიაში და განვითარებული ადამიანის სახელი მოუხვეჭია; საერთოდ, ამ საზოგადოების წევრებს სთვლიდნენ თურმე „უდიად სწავლულს, პატიოსან და პატიეცემულ პირებად“. ამავე დროს ყველა ეს პატიეცემული გვაზნი დარწმუნებული ყოფილან, რომ არსებობენ დემონები და მოჩვენებები და რომ მიცვალებულთა სულები თავისუფლად დაეხეტებიან დედამიწაზე. ლუკიანე სამოსატელი ებრძოდა არა მარტო მის დროს გამეფებულ ცრუმორწმუნეობათ, არამედ საერთოდ ყველა სარწმუნოებას.

ლუკიანეს ის დიალოგები, რომლებიც წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგაა მიმართული, მისი სამწერლობო მოღვაწეობის საუკეთესო ნიმუშებია. რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ როგორი თანდათანობით ააშკარაებდა ლუკიანე თავის დამოკიდებულებას ამ სარწმუნოებისადმი, ეს დიალოგები დაეყოს სამ გარკვეულ ჯგუფად: ა) *Dialogi deorum* (26) და *dialogi marini* (15), რომელთაგან პირველნი ოლიმპის, ხოლო მეორენი ზღვის ღმერთებს შორის სწარმოებენ; ზოგიერთ მათგანის შინაარსი და სცენები—სასეებით გადმოღებულია მითოლოგიიდან; მათში ღმერთების დაცინვის ტენდენცია უფრო დაფარულია და, ალბათ, ბევრ გულშემაჯკომ მორწმუნესათვის იგინი ფრიად სასიამოვნო საკითხავი ნაწარმოებები იქნებოდენ.

ბ) მეორე ჯგუფის დიალოგებში ლუკიანე უკვე აშკარად დასცინის ხალხურ სარწმუნოებასა და გარკვეულად მიჰმართავს თვის იუმორს იმ რწმენის წინააღმდეგ, რომელიც ბერძნული მითოლოგიიდან გამომდინარეობდა. არსებითად ეს იყო ბრძოლა სალი ადამიანური შეგნების თვალსაზრისით წინააღმდეგ მრავალი ბავშური ცრუმორწმუნეობისა, მაგრამ ჯერ კიდევ ფილოსოფიურ არგუმენტების გარეშე. ამ ჯგუფს უნდა მივაკუთნოთ: *Saturnalia*, *Prometheus seu Caucasus*, *Deorum concilium*. გ) მესამე ჯგუფს შეადგენს ის დიალოგები, რომლებიც გარკვეულად არის მიმართული სტოელთა თეოლოგიის მთავარი დებულებ-

ბების წინააღმდეგ; ამ შემთხვევაში პოლემიკა უკვე ფილოსოფიურ არგუმენტებზე დამყარებული. ასეთია: Iuppiter confutatus (*Ζεύς ἐξαρτυμένος*) და Iuppiter tragoedus (*Ζεύς τραγικός*)¹ ჯერ კიდევ Croisetმ აღნიშნა სამართლიანად, რომ ორივე ეს დიალოგი პირველ რიგში სტოას ეხებიან, ხოლო J. Brunso, რომლის შრომიდანაც ჩვენ Croisetის აზრი მოვიყვანეთ, ამტკიცებს: Iuppiter confutatus ისეთ აზრებს შეიცავს, რომლებსაც აკადემიელები, პერიპატეტიკები, კინიკები და ეპიკურელები ბედისწერისა, განგებისა და ღმერთების შესახებ სტოელთა მოძღვრების წინააღმდეგ გამოთქვამდნენ². Christo კი მეორე დიალოგის—Iuppiter tragoedus მიმართაც გარკვეულად აღიარებს, რომ der Beweisstoff stammt natürlich aus der akademisch—epikureischen Polemik gegen die Stoa³. როგორც ქვემოთ დაინახავთ, ორივე ეს მოსაზრება სრულ სიმართლეს შეიცავს.

დაიწყოთ პირველი ჯგუფის დიალოგებიდან. ლუციანეს მიერ გადმოცემული საუბარი ღმერთებს შორის საშუალებას გვაძლევს, Wielandის მოსწრებულის თქმით, ვიხილოთ ისინი in ihrem Hauswesen¹. ღმერთების ქვეყანა აქ მოცემულია სხვადასხვა სიტუაციაში. ამ საუბართა მასალად აღებულია უმთავრესად ის მითები, რომლებიც ღმერთების ეროტულ საქმიანობას ეხება. განსაკუთრებით ნახვასწავლია „ადამიანთა და ღმერთების შამის“ ზევესის თავგადასავალი. იგი სხვადასხვა სახეს იღებს, რომ ჩავიდეს ოლიმპიდან დედამიწაზე და გრძნეულად მიეცეს ეროსს. ამიტომ სამართლიანად შეპნიშნავს მას მისი მეუღლე ჰერა: *αὐτὸς ἴσως ἄρα καὶ αὐτὸς αὐτὸν ἄριστον αὐτὸν ἔσθαι αἰετῶς* (dial. deor. 6, 3). მაგრამ ზევესი ავხორციანობს არა მარტო ქალებთან, არამედ ყმაწვილებთანაც: მან მოიტაცა ფრიგიელი ყმაწვილი ჰანიმედი და ასეთი სიტყვებით მიჰპართავს მას: „მსურს გავატარო შენთან კოცნასა და ხვევნაში უძილო ღამეებო“ (ibid. 4, 5). მისი სატყეილით აღუვებული ჰერა *ἄριστος ἄριστος* ეკითხვით ამკობს მას (ib. 5, 3). სხვა ღმერთები მოვალენი არიან დაეხმარონ კიდევ ზევესს მის სურვილების შესრულებაში; ასე, მაგ., ჰერმესი ჩივის თვის მძიმე ხვედრზე ამ მხრივ, რადგან მას უხდება ზევესის მოციქულის როლის შესრულება (ib. 24), ხოლო ჰელიოსი დიდად უკმაყოფილოა ზევესის განკარგულებით, რომელიც ბეოტიაში ამფიტრიონის მეუღლესთან იმყოფებოდა, რომ იგი სამი დღით სახლში დარჩენილიყო და თავისი ჩვეულებრივი გზა არ შეესრულებია (ib. 10). რასაკვირველია, ზევესს არც სხვა ღმერთები ჩამოპრჩებიან ეროსისადმი ტრფიალში

¹) B. Hophan, Lucians Dialoge über die Götterwelt, Solothurn, 1904, S. 10—11.

²) Lucian und Oenomaus, Vorträge und Aufsätze. München, 1905, S. 252.

³) Griechische Literaturgeschichte II 2, S. 564 (J. Müller-s Handbuch der klass. Altertumswis.).

⁴) Uebersetzung.. Wien 1813. II S. 3.

⁵) აეროდიტას შვააბებ იბ. (dial. deor. 11; 12; 15; 17; და სხვ.), პანზე (ib. 22), პრიპასა და დონოსზე (ib. 23); არესზე (ib. 17; 19; და სხვ.), აპოლონზე (ib. 14; 15 და სხვ.), ხელენაზე (ib. 11). ჰერმესზე (ib. 22); თვით ღმერთების დედაც არა ნაკლებ გატაცებულია ეროსით (ib. 12; 19 და სხვ.). ზღის ღმერთებს შორის კი ასეთი სენით განსაკუთრებით შეპყრობილია პოსეიდონი, რომელსაც აღდგენ პირდაპირ ეუბნება: *ἦρα μοιγε εἰ καὶ ἀνὰ τὸν ἄριστον* (dial. mir. 3, იბ. აგრეთვე 6 და 13); აღფიეზე (ib. 3), და სხედასზე.

შური და მტრობა, ექვიანობა, ცბიერება, ოჯახური უთანხმოება და აყალიბებული ჩვეულებრივი მოვლენაა „ოლიმპიელთა“ შორის. ეკვით შეპყრობილი ჰერა უსაყვედურებს ზევესს: „მას შემდეგ, რაც შენ მოიტაცე და აქ მოიყვანე ფრიგიელი ლაწირაკი, ჩემდამო სრულიად გაჭრილდიო“ (dial. deor. 5); ჰერმესს ჰჰურს ჰეფესტის ბედი, რომელიც მისი სიტყვით, „ყოკლია, ხელობით ზეინჯალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცოლებად ორი ულამაზესი ღმერთ-ქალი აფროდიტა და ხარიმა შეხვება (dial. deor. 15; იხ. აგრ. dial. mar. 10 და სხვ). ღმერთების ნადიმობის დროს ასკლეპი და ჰერაკლე ერთი-მეორეს ედავეებიან, თუ რომელი მათგანი უნდა დაჯდეს უფრო საპატიო ადგილას; ჰერაკლე ასეთი სიტყვებით ემუქრება ასკლეპს: „წაგაელებ ხელს და ზეციდან თავდაყირა გადაგისერი ისე, რომ თვით ჰეანმა (Hæmon) ¹ ვერ შეგეერთოს გატეხილი თავისქალაო“ (dial. deor. 13).

აპოლონი ატყუებს უქუო ადამიანებს და მათ ხარჯზე მდიდრდება იმით, რომ გახსნა ჰერკლეს ოქროსი ჯიბეები, ერთი დღელში, მეორე კლარში და მესამე დღეში... არტემიდა სკვითიაში უცხოელებს ხოცავს და ჰბაძავს სკვითების ზნე-ჩვეულებას (dial. deor. 16). ერთ-ერთ ნადიმზე ღმერთ-ქალი ერთი ნიპატრიე-ბული არ იყო და განიზრახა შურისძიება. შეუწინველად შეიპარა დარბაზში და გადისროლა ვაშლი ამ წარწერით: „ჩი ხანიკი ხანჯანა“. ვაშლი, თითქოს განიზრახ, შეჩერდა იქ, სადაც ჰერა, აფროდიტა და ათინა ისხნენ. თითოეულ მათგანს ჰსურდა. მიეღო ვაშლი და ამ ნიადაზე კინამ სავრთო ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მაგრამ საქმეში ჩაერია ზევესი და ამ საკითხის გადაჭრა პრიამოსის შეილს მიანდო (dial. mar. 5).

დასახელებული მაგალითები საკმარისია იმისთვის, რომ გავითვალისწინოთ, თუ როგორ ეპყრობოდა მითებს ლუკიანე: არაფერს ამეტებდა და არც პაროლიად ჰქმნიდა, პირიქით მისდევდა მორწმუნეთაგან განსაკუთრებით პატივცემული მითების შინაარსს. მაშ, როგორ მოახერხა ლუკიანემ თანამედროვე მკითხველების ყურადღების მიპყრობა, თუ მხოლოდ ხშირად გავრცელებულ ბევრს მიერ დამუშავებულ მოთხრობებს არ ვასცილებია? ეს მან შესძლო ჯერ იმით, რომ მოახდინა თემების თავისებური ამორჩევა და შემდგომ იმით: რომ ამ დილოგებს მისცა განსაკუთრებული ფორმა. მითებისაგან მან ამოარჩია უმთავრესად ისეთები, რომლებშიც ღმერთების არსებობის სასაცილო მხარეები ყველაზე მეტად ნათლად მოჩანდა. მეორეს ნხრივ კი თავისი მოთხრობები ისეთ ფორმაში ჩამოასხა, მათში მოქმედების განვითარებას ისეთი მიმართულება მისცა, რომ ოდნავ დაეკვირვებულ და არა გულუბრყვილო მკითხველს ნათლად შეეძლო წარმოედგინა წთელი არარაობა მითებში გადმოცემული ღმერთებისა. საკმარისია, გადავიკითხოთ, მაგ., ლუკიანეს ის დილოგები, რომლებშიც გადმოცემულია ორი სავრთოდ ცნობილი არაკი, თუ როგორ გამოვიდა ზევესის თავიდან სრულშეიარაღებული ათინა და როგორ დაბადა ზევესმა დიონისი (dial. deor. 8 და 9), რომ ზემოთ ნათქვამში დავრწმუნდეთ. მართლს ამბობს მკვლევარი O. Schmidt:

¹) Ηχαιύς ან ჰომეროსით Ηχαιύς — ღმერთების ექიმად ითვლებოდა, შემდეგში კი აპოლონის ერთ-ერთ ეპითეტად.

Ohne Bitterkeit, ohne direkte Angriffe, sondern mit Humor und Witz, anscheinend harmlos, aber doch mit unverkennbarer Tendenz führt uns der Satiriker die Götter vor Augen und zwischen den Zeilen klingt immerfort der Refrain: „Das sind euere Götter, die ihr verehrt“¹.

„ჯერ კიდევ ბავშობაშიო, ამბობს ლუკიანე, როდესაც მე ვკითხულობდი ჰომეროსისა და ჰესიოდეს მიერ გადმოცემულ ომებსა და აჯანყებებს არა მართო ნახევარდღმერთებს შორის (ἡμιθεοι), არამედ თვით ღმერთებს შორისაც, მათ მრუშობას, ძალადობას, მოტაცებათ, აყალ-მაყალს, მათ მიერ მამების გაძევებას, ძმებსა და დებს შორის ჭორწინებას, მე წარმოდგენილი მქონდა, რომ ყოველივე ეს არაჩვეულებრივად კარგი რამ იყო და დიდად აღტაცებული ვიყავი. მაგრამ დაეაყკეებისას მე დაეინახე, რომ კანონები სულ სხვა რამეს მოგვიწერენ, ვიდრე პოეტები, და გვიკრძალავენ მრუშობას, აჯანყებებს, მოტაცებათ; მე დიდ საგონებელში ჩავეარდი და არ ვიციდი, რა გადამეწყვიტა. მე არ შემეძლო დამეგვრებია არც ის, რომ ღმერთებს შეეძლოთ მრუშები იყვნენ ან მემამბოხეები, თუ ეს უპატიონსოდ მიიჩნდათ, არც ის, რომ კანონმდებლებმა სრულიად საწინააღმდეგო რამ დაგვაკისრეს, თუ ამას სასარგებლოდ არ სთვლიდნო“ (Μηναιαδες ἢ νεμεσσηταιας 3). ამ აღსარებიდან ჩანს, რომ ბავშობაში იგი მართლმორწმუნე იყო და ყველა მითი დაურღვეველ ქეშმარიტებად მიიჩნდა. დაეაყკეებისას კი თვის რწმენაში ეჭვი შეჰპარვია და, ალბათ, ერთგვარი სულიერი რყევის შემდეგ რადიკალურად უარუყვია მთელი ძველი მითოლოგია და მასში განსახიერებული ღმერთები.

მეორე ჯგუფის დიალოგებში (Saturnalia, Prometheus seu Caucasus და Deorum Concilium) ლუკიანე უკვე აშკარად ილაშქრებს წარმართული მითოლოგიის წინააღმდეგ. Saturnalia გარკვეული გამასხარაებება მითისა კრონოსზე². დღესასწაული მონაწილე ქურუმი უზიარებს კრონოსს თვის სურვილებს, სახელდობრ, მას უნდა: იყოს მდიდარი და ჰქონდეს ბევრი ოქრო, იყოს ბატონი მრავალი სოფლისა, ჰყავდეს ბევრი მონა, ატარებდეს ლამაზ ტანსაცმელს, ნაზ ნივთებს ვერცხლისა და სპილოს ძვლისაგან და სხვადასხვა. (1) კრონოსის პასუხიდან ირკვევა, რომ მას არ ძალუძს ასეთი სურვილების დაკმაყოფილება; მან მხოლოდ დროებით მიიღო კვლავ მსოფლიოს გამგებლობა და ამიტომაც ასეთი თხოვნით ქურუმმა ზევესს უნდა მიჰმართოს. მაშინ ქურუმი კრონოსს რამდენიმე კითხვას აძლევს: 1. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის გადმოცემა, რომ კრონოსმა ყველა შვილი, რომლებიც რეისაგან დაებადა, შეკამა და უკანასკნელმა, რომ გადაეჩინა ზევესი, ბავშვის მაგიერ ქვა მიუვლო, რომელიც კრონოსმა აგრეთვე გადაყლაპა; დაეაყკეებისას ზევესმა ომი გამოუცხადა მამას, ჩამოაგდო ტახტიდან და შთააგდო ტარტარში. კრონო-

¹) O. Schmidt, O. C. S. 14.

²) რომაელებს Saturnalia თუ ბერძნებს Κρονία სატურნის თუ კრონოსის პატივსაცემო დღესასწაული იყო, რომელსაც რომში იხილდნენ 7 დღის განმავლობაში, დეკემბრის 17-დან 23-დღე, ათენელები კი ჰეკატომბაიონის მე-12-ე დღეს (ივლისის დასასრულს), მის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. G. Wissowa, Religion und Kultus der Römer, Münster, S. 204 f. f.

სი ასეთ კითხვას თავის შეურაცხყოფად თელის, მაგრამ ქურუმი თავს იმართლებს, რომ ყველაფერი ეს ჰომეროსისა და ჰესიოდეს სიტყვებიდან ამოიღო (§ 5). კრონოსი ამტკიცებს, რომ თვით დაუთმო ტახტი ზევებს.

2) მაშინ ქურუმი გვითხება: რამ აიძულა კრონოსი, უარი ეთქვა ტახტზე. კრონოსი უპასუხებს: მოხუცი ვიყავ, აღარ შემეძლო გავძლოლოდი უამრავ საქმეებს და ამიტომაც მსოფლიოს გამგებლობა ახალგაზრდა ზევებს გადავეციო. მისი მეფობის ხანაში, თურმე, ადამიანები მეტად ბედნიერი იყვნენ: დედაშიწა უშრომლად თავისთავად იძლეოდა ყველაფერს, პური დამზადებული და გამომცხვარი იზრდებოდა, მაგიდები საესე იყო საუცხოო საქმელებით, ღვინო მდინარესავით ღიოდა და სხვ.

აი, ამიტომ, თურმე, მისი დღესასწაულის დროს ყველგან ზემია, სიმღერა და ცეკვა და აგრეთვე სრული თანასწორობა მონათა და თავისუფალთა შორის, რადგანაც მის სამეფოში მონები არ იყვნენ (§ 7).

3) ქურუმი მესამე კითხვით მიჰმართავს კრონოსს: თამაშობდენ, თუ არა მის ხელისუფლების ქვეშეყოფი ადამიანები კოჭობას. დიად, უპასუხებს კრონოსი, მაგრამ არა მთელ ტალანტზე ან კიდევ უფრო მეტ თანხაზე, როგორც ეხლა, არამედ თხილზე არა უმეტესზედაო" (*ἀλλὰ πᾶσι ἄριστον ἂν ἐπιπέσσει*).

4) დასასრულ, ქურუმს ჰსურს იცოდეს, როგორ მოხდა, რომ კრონოსმა—ღმერთმა სხეულის ცუდი აგებულებით და ღრმად მოხუცებულმა თავისი დღესასწაულისათვის სწორედ ისეთი მოსაწყენი დრო აირჩია, როდესაც ყველაფერი თოვლით არის დაფარული, ჰქრის ჩრდილოეთის ქარი (*ἰσχυρὸς*), ხეები გაშიშვლებულია, მინდორ-ველმა დაჰკარგა მთელი თვისი მოკაზმულობა, ადამიანები სიცივისაგან მოკუნტულან და ბუხრების გარშემო შეჯგუფებულან. კრონოსს არც ეს შეეკითხვა ესამოვნა და ურჩევს ქურუმს, თავი დაანებოს ასეთ კითხვებს და, დღესასწაულის ჩვეულების თანახმად, სავსებით მიეცეს მზიარულებას, ამას თან დასძენს ანდაზას: „სიბერე მეორე ბავშობააო“ (*πᾶσι γὰρ ἄριστον ἂν ἐπιπέσσει ἰσχυρῶς*)—ეს დიალოგი საუცხოვოდ ააშკარავებს კრონოსზე მითის სრულ შეუსაბამობას; სწორედ მოსწრებულად ითხუხუჯა Wielandმა: Ein Gott, der Podagra hat, ist, als Gott, nicht um ein Haar besser, als einer, der einen Stein aufisst und sein Kind gegessen zu haben glaubt¹.

საყურადღებო მასალას შეიცავს აგრეთვე დიალოგი Prometheus seu Caucasus. მითი პრომეთეოსზე საერთოდ ცნობილი იყო და მისი დამუშავებისადმი მხოლოდ ახალ მიდგომას შეეძლო მისდამი ყურადღების მიპყრობა. ეს შესძლო კიდევ ლუკიანემ.

ჰერმესმა და ჰეფესტმა სისრულეში უნდა მოიყვანონ ზევების გადაწყვეტილება, რომ პრომეთეოსი მის წინაშე მძიმე დანაშაულისათვის კავკასიის მთებზე მიაჯაჭუროს. მერე რაში მდგომარეობს პრომეთეოსის დანაშაული, რომლისთვისაც მას ასეთი საშინელი სასჯელი ჰხდება წილად? ეს სასჯელი შედეგი ყოფილა იმისა, რომ: ა) პრომეთეოსს თავისთავსა და ზევების შორის ხორცის განაწილების დროს თავისთვის კარგი ნაჭრები გადაუწყვიტა, ხოლო ზევებისთვის კი მარტო

¹) Uebersetzung, III, S. 10 Anm. 5.

ძლები, რომლებზედაც მოსატყუებლად ზევიდან „თეთრი ქონი“ დაუფარებია; ბ) მას გამოუქანდაკებია ბოროტმოქმედი არსებები—ადამიანები და, რაც უფრო ცუდია, თურმე, ქალები და გ) მოუტაცნია ლმერთებისათვის მათი უძვირფასესი საუნჯე—ცეცხლი და ადამიანებისთვის გადაუტია (§ 3). ყოველივე ამისათვის ზევებს პრომეთოსის სასტიკი სატანჯველისთვის მიუცია.

სასჯელის ადგილას კვლავ ერთგვარი გასამართლება ხდება: ბრალს სდებს ჰერმესი, და პრომეთოსი თავს იმართლებს. უპასუხებს იგი ბრალდების მუხლების მიხედვით. პირველის შესახებ აცხადებს, რომ ზევესი იმდენად *μαχηστικός* *ἦν*: *μαχηστικός* არის, რომ ჯვარზე გასაკრავად აგზავნის ძველ ლმერთს მხოლოდ იმიტომ, რომ თვის ნაწილში პატარა ძვალი იპოვა. არც ერთი ადამიანი არ დასჯიდა მზარეულს, თუ ის მწეადის შემზადების დროს პატარა ნაჭერს მოიჭრიდა და შექამდა; ადამიანები ამას აპატიებენ (§ 7—10). ბრალდების მეორე მუხლის გასაბათილებლად პრომეთოსი აღნიშნავს, რომ ადამიანების გამოქანდაკებით მან სწორედ ლმერთები და მათ მიერ შექმნილი ღედამიწა აამალა, რომ მის მიერ შექმნილი არსებები პირველ რიგში თვით ზევებს აღიღებენ (§ 11—16). თუ იტყვიან, რომ ადამიანთა შორის არიან ბოროტმოქმედნი, რომლებიც გარყვნილებას მისდევენ. ომბენ, ცოლად ირთავენ დებს და ბოროტი განზრახვით ეპყრობიან მშობლებს; ასეთი მოვლენები, პრომეთოსის სიტყვით, სრულიად იშვიათი არ არის თვით ლმერთებს შორისაც. არ სცნობს თავს დამნაშავედ პრომეთოსი ქალების შექმნაშიაც, რადგან თვით ლმერთებიც სიამოვნებით უცხადებენ მათ სიყვარულს და სიხარულით მიეჭურებიან მათკენ სხედანსხვა სახით.

არ მიაჩნია სამართლიანად პრომეთოსს ბრალდების არც მესამე მუხლი, რადგან მისი აზრით ცეცხლი ლმერთებს არ სჭირდებათ და ადამიანისთვის კი იგი აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს, განსაკუთრებით მსხვერპლთა შეწირვისათვის, და ლმერთები კი სტკებებიან სამსხვერპლო კვამლით. პრომეთოსის გაკვირვებულია, რატომ არ აუკრძალეს გაუმძღარმა ლმერთებმა მზესაც ადამიანთა განათება (§ 17—20).

ეს დიალოგი ნაწილობრივ მაინც სოფისტური სახით არის დაწერილი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მას საშუალო ადგილი უკავია ლუკიანეს რიტორიკულ—სოფისტურ და დიალოგურ—სატირიკულ ნაწარმოებთა შორის. პრომეთოსის არგუმენტაცია უდაოდ გვაგონებს რიტორებისა და სოფისტების პოლემიკის წესებს. იმიტომ სამართლიანად უპასუხებს მას ჰერმესი: „ადვილი არ არის შენისთანა აღმატებულ სოფისტთან შეჯიბრებაო“ (*ὅς ἴσθ' ἂν παρ' οὖν ἔσται ἄριστος ἄνθρωπος ἔμπροσθέν σου*, § 20).

მესამე დიალოგში—*Deorum concilium* (Ὁ δὲ ἀπὸ θεῶν) ლუკიანე დასცინის კერძოდ არა ამა თუ იმ ღვთაებას და მითს, არამედ ლმერთების მთელ სამყაროს და საერთოდ ძველ მითოლოგიას. მისი სატირის საგანია თეოკრასიკა. ბერძნულ-რომაული „ჩამომავლობის“ ლმერთები ძლიერ აღელვებას განიცდიან, რადგან მათ წრეში მრავლად შემოიჭრა უცხო ელემენტები, რომლებიც დიდ კონკურენციას უწევენ მათ და თავის მიმდევართა რიცხვს დღითიდღე ამრავლებენ. რასაკვირველია, მარტო ლუკიანეს არ მიუქცევია ყურადღება ამ მოვ-

ლენისთვის. ასე, მაგ., პლინიუს უმცროსი თავის „Panegyricus ad Trajanum“-ში აქებს იმპერატორ ტრაიანეს, რომელსაც თავისთან *ministra peregrinae Superstitionis* არ დაუწესებია (§ 49). ცოტა უფრო გვიან იუვენალი არა ერთხელ მიუთითებდა თანდათან მეტად გაზრდილ „*turba deorum*“-ზე (*Iuven. Sat. 13, 46*).

ლუციანეს დასახელებული დიალოგი ეება ძველსა და ახალ ღმერთებს, გმირებს, მისნებს, ერთი სიტყვით, იმ დროინდელი წარმართული სარწმუნოების ყველა საყურადღებო ელემენტს. ზეესის მიერ მოწვეულ თათბირზე ღმერთები იხილავენ კითხვას *αἰ: τῶν ἰατρῶν καὶ ἑσῶν*, რომლებიც ამა თუ იმ გზით მოხედენ ოლიმპიელთა წრეში და არ დაკმაყოფილდნ იმით, რომ თვით მონაწილეობას იღებენ ღმერთების კრებებზე და მათთან ერთად ილხენენ, არამედ თან მოიყვანეს თვისი მსახურები და თანამოქიფეები (§ 2). კრება მომოსს ანდობს, დაასახელოს ასეთი უცხოელი ღმერთები. იგი ასახელებს ღმერთების სიაში უწესოდ შეტანილს და უკანონოდ შობილ ღმერთებს და კრების გადასაწყვეტად შეაქვს შემდეგი წინადადება:

ვინაიდან მრავალი უცხოელი, არა მარტო ჰელინი, არამედ ბარბაროსიც მოხედენ ჩვენ სიაში და ისევე ზეცა, რომ ჩვენი ნადიმობა ამჟამად უწესრიგოდ თავმოყრილ ბრბოს კრებად გადაიქცა, რომ ამბროსია და ნექტარი უკვე აღარ გვეყოფნის და მსმელების სიმრავლის გამო თასი ფასობს მთელი მინა; ვინაიდან ახლადმოსულებმა გააძევეს ძველი და ნამდვილი ღმერთები და მამაპაპათა ჩვეულების წინააღმდეგ მოითხოვენ პირველ ადგილებს და ქვეყნად უფრო მეტ პატივისცემას—ამიტომ *ἡμεῖς/ῖαι δὲ ἴσμε.τ. καὶ τὸ ἴσμε/ῖαι*—მოიწვიონ კრება ოლიმპზე *αἰ: ἑσῶν: ἰατρῶν* და ამოირჩიონ ნამდვილ ღმერთებისაგან 7 მსაჯული, სამი კრონოსის ძველი საბქოსაგან, ოთხი კი თორმეტი რიცხვიდან და მათ შორის ზეესი. მოსულებმა თან უნდა მოიყვანონ მოწმეები და მოიტანონ საბუთები თვისი ჩამომავლობისა, მსაჯულებმა კი უნდა მოახდინონ გამოკვლევა და ან გამოაცხადონ ისინი ღმერთებად და ან უკან წარგზავნონ საფლავებში და საგვარეულო აკლამებში... ფილოსოფოსებს აეკრძალოთ ცარიელი სახელების გამოგონება და ლაყბობა იმაზე, რაც მათ არ იციან... *τῶν τῶν ἰσῶν τῶν ἰσῶν* (16—18). სხვა დიალოგში ჰერმესი ერთ-ერთ კრების შესახებ ასეთი სიტყვით მიმართავს ზეესს: „ყველას არ ესმის ბერძნული, მე კი იმდენი ენა არ ვიცი, რომ წარმოვთქვა სკვითებისა და სპარსელებისათვის, თრაკიელებისა და კელტებისათვის გასაკვებლო“. (*Ζεὺς ἑρμῆος* 13). საერთოდ ლუციანეს კარგად შეუმჩნევია და აღუნიშნავს იმ დროის რომაელთა შორის უცხო, განსაკუთრებით აღმოსავლური კულტების დიდი გავრცელება. ასე, მაგ., ეგვიპტური ღმერთ-ქალის იზიდას კულტი, რომელიც უკვე წინად იყო ცნობილი რომში, დიდი თავყვანის ცემით სარგებლობდა არა მარტო ხალხის ფართო მასაში, არამედ ისეთი განათლებული პირების წრეშიაც, როგორიც იყო, თუ გინდ, პლუტარქი, რომელმაც ცალკე ტრაქტატიც კი დაგვიტოვა ამ კულტზე—*De Iside et Osiride*. სპარსული ღმერთების მითრას მისტერიები ლუციანეს დროს ფრიად გავრცელებული იყო რომში და თვალსაჩინო აყვავებას განიცდიდა.

ლუკიანეს განხილული დიალოგი სრული დამოუკიდებლობის ბეჭედს არ ატარებს და მასზე ზოგიერთ ძველ მწერალს უნდა ჰქონოდა გავლენა¹.

მესამე ჯგუფის დიალოგებში ლუკიანე გარკვევით ილაშქრებს იმ დროის ფილოსოფოსების ლმერთებსა და მათი განგების შესახებ შეხედულებათა წინააღმდეგ. აქ უკვე საქმე გვაქვს არა მარტო მითებთან, არამედ ფილოსოფიურ სისტემებთან. ამ ჯგუფს ეკუთვნის Iuppiter confutatus და Iuppiter tragoedus. პირველი დიალოგი არსებითად განსხვავდება იმ დიალოგებისაგან, რომლებშიაც მოქმედ პირებად ლმერთები გვევლინებიან. მასში ერთი სიტყვაიც არ არის ნათქვამი იმაზე, თუ როგორ შეხვდნენ ერთიმეორეს კინისკი და ზევესი, რომლებიც საუბრობენ ბედისწერასა და განგებაზე; არც ის არის აღნიშნული, თუ სად წარმოებს ეს საუბარი, ზეცაში თუ ქვეყნად. კინისკი ყოველგვარი შესავალის გარეშე აღიარებს, რომ არ შეაწუხებს ზევესს სხვადასხვა ქვეყნიური წარმატების მინიჭების თხევით, ხოლო ჰსურს მიიღოს მისგან პასუხი ერთ კითხვაზე, რომელზედაც პირდაპირ გადადის. როგორც უკვე იყო ნათქვამი, ეს დიალოგი ისეთ აზრებს შეიცავს, რომელთაც პერიპატეტეები, აკადემიელები, კინიკები და ეპიკურელები ბედისწერასა, განგებასა და ლმერთებზე სტოელთა მოძღვრების წინააღმდეგ გამოთქვამდნენ, თუმცა უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ კინისკი თვისი არგუმენტაციით ყველაზე უფრო კინიკებს უახლოვდება.

სტოელები ამტკიცებდნენ: მსოფლიოში გაბატონებულია აბსოლუტური აუცილებლობა, რომელიც იდენტურია კანონზომიერებასთან ბუნებაში და ღვთაებრივ გონებასთან. ამ აუცილებლობას ისინი უწოდებდნენ ბედისწერას (εἰς ἀναγκήν) და მასთან ერთად—განგებას (ἀνάγκη), რომელიც ყოველივეზე ბრძანებლობს².

ლუკიანეს დიალოგი სწორედ ამ მოძღვრების წინააღმდეგაა უმთავრესად მიმართული. მთავარი აზრი ამ დიალოგისა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ვინც ბედისწერას აღიარებს, ის უარს ჰყოფს ლმერთების არსებობას, რადგან უაზროა იმ ლმერთის არსებობა, რომელსაც არა შეუძლია რა შესცვალოს მსოფლიოს ტრიალში³.

როგორც აღენიშნეთ ამ დიალოგის არგუმენტაციის მიხედვით ლუკიანე ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად კინიკებს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ კინიკების და სტოელთა სკოლების მოძღვრებათა შორის იყო შეხვედრის ზოგიერთი საერთო პუნქტი, სტოელთა პოლითეიზმისა, მანტიკისა და ფატუმის შესახებ მოსაზრებათა მიმართ ნამდვილ კინიკებს მაინც სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ეკუთრათ⁴. თუ ავწონ-დავწონით ანტისთენისა და დიოგენის აზრებს,

¹) ცნობილია, რომ ჯერ კიდევ კომიკოსმა ევფრონმა დაწერა ἔχρησται μῆτις, მაგრამ მისგან დარჩენილი უმნიშვნელო ფრაგმენტები საშუალებას არ გვაძლევს გამოავარკვიოთ. სარგებლობდა თუ არა მით ლუკიანე. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ლუკიანე არისტოფანეს ბაძაგდა. რომელმაც თავის “Ὀρέζ” შრომაში ახალი ლმერთების წინააღმდეგ გაილაშქრა (Ziegler); მეორეს მხრივ შესაძლებლად მიაჩნიათ თქვან, რომ ეს დიალოგი ლუკიანეს ისეთ ზრომებს ეკუთვნის, რომელთა წყაროდ მენიპი უნდა ჩაითვალოს (Schmid). იხ. Hophan, O. C. S. 28, Ann. 1.

²) Ueberweg, Grundriss der Geschichte der Philosophie¹, I S. 255. B. Hophan, O. C. S. 33.

³) Hruus O. C. S. 253—254. ამ მხრივ Brunst ლუკიანეს ალექსანდრე აფროდიზელს ადარებს.

⁴) ამის შესახებ დაწერილებით: Bernays, Lucian und Kyniker, Berlin 1879, S. 31 f. f.

რომელთაც Bernaysი ასახელებს¹, ადვილად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ უფრო ძველი კინიკური ლიტერატურა, მენიპის და ბიოს სალიტერატურო წრე, უკვე შეიცავდა სტოელთა ამ მოძღვრების დაცინვას. რომ უსახელო კინიკი, რომელიც ამ დიალოგში ზევესს შეკითხვით მიჰმართავს და მას პირდაპირ ეუბნება, რომ იგი ყოველგვარ ძლიერებას მოკლებულია, თვის შეტევას არა ხალხური რწმენის ღმერთების წინააღმდეგ მიჰმართავს, არამედ სტოელთა მათზე შეხედულების წინააღმდეგ, — ეს იქიდან ჩანს, რომ ყველაფერი, რაზედაც კი ეს კინიკი მსჯელობს, ეხება იმ მოსაზრებას, რომ არსებობს ბედისწერა და ღმერთები მას საე-სებით ემორჩილებიან².

კინისკს არ უნდა შეაწუხოს ზევესი სხვადასხვა თხოვნით, მაგრამ ჰსურს მიიღოს მისგან პასუხი ასეთ კითხვაზე: მართალია თუ არა, რასაც რაჰსოდები გადმოგვცემენ *πᾶσι τῶν Πύθαγორῶν; καὶ τῶν Μισθῶν*, რომ მათზე ძლიერი არა არის რა და რომ მათ ღმერთებიც ემორჩილებიან და მათ ძაფზე ჰკიდიანო. ზევესი ამ ფაქტს არ უარყოფს, პირიქით ადასტურებს (§ 1—4). კინისკი განაგრძობს „თუ კი ყველაფერზე მორიგები ბრძანებლობენ, და არავის ძალუძს მათ მიერ ერთხელ დაწესებულის შეცვლა, უაზროა ადამიანებისგან ღმერთებისადმი მსხვერპლის შეწირვა და რაიმე სათხოვნელი მათი შეწუხებაო“ (§ 5).

ზევესი ცდილობს ასეთი საბედისწერო კითხვის გასაბათილებლად თვისი გასამართლებელი საბუთების წამოყენებას: ა) „ვინც მსავერპლს გეწირავს, ამბობს იგი, ამას ჩადის არა იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ მაგიერი გვიზღოს ან ჩვენგან რაიმე შეისყიდოს, არამედ იპიტომ, რომ პატივს სცემს ჩვენში რაღაც კეთილსო, (*ἀλλὰ τὰς αἰσῶνας ἀλλοῖς ἢ ἑαυτοῖς*“ § 7). კინისკი უპასუხებს, რომ ადელი არ არის, ღმერთები რაღაც კეთილად მივიჩნიოთ, როდესაც ისინიც ისეთსავე მონობაში იმყოფებიან, როგორშიაც ადამიანები, და ემსახურებიან იმავე ბრძანებლებს-მორიგებს... ღმერთების მდგომარეობა უფრო ცუდია, ვიდრე ადამიანებისა, რად-განაც უკანასკნელთ სიკვდილი მაინც ანიჭებს თავისუფლებას, ხოლო ღმერთების უბედურება უსაზღვროა და მონობა მათი მარადიული (ibid.)

ბ) კიო, ამბობს ზევესი, მაგრამ მორიგები ჩვენი მეოხებით ასრულებენ თვის განზრახვებსო (*ὅτι ἴσμεν ἕκαστα ἐπιτελεῖν*. § 11). — *Μενοιόμεν*, უპასუხებს კინისკი, *ἡ ἀρετὴ καὶ ἡ ἐλευθερία τὴν ἐν Μισθῶν εἰς αὐτὰς*... მაშ, *Πύθαγορας* მსოფლიოს გემის ამგებელია (*ναυπηγὸς αἰῶνος*), ხოლო თქვენ კი მორიგების მხოლოდ *ναυπηγὸς* (კულები) და *ἐπιτελεῖς* (ბურღელები) ხართ... ამიტომ ადამიანებს მსხვერპლი ბედისწერისთვის უნდა შეეწირათ და მისგან უნდა გამოეთხოვათ კეთილისყოფა, ისინი კი თქვენთან მოდიან სადღესასწაულო პროცესიით და თქვენ გცემენ პატივს მსხვერპლის შეწირვითო. როგორც ვხედავთ, საკითხი მეტად გარკვეულად არის დასმული, თუ კი ღმერთები მხოლოდ სხვისი განზრახვების შემსრულებლები არიან, სადღა მათი ძლევა-მოსილება და მოწყალეობა?

გ) მაგრამ ზევესს კიდევ ერთი არგუმენტი აქვს: „ჩვენ პატივს უნდა გვცემდნენ იმისთვის, რომ მომავალს ვწინასწარმეტყველებთ და ყოველივეს, რაც მო-

¹) ibid. S. 30.

²) Bruns. O. C. S. 262.

ტფილისის უნივერსიტეტის მუამბე, VII.

ირების მიერ გადაწყვეტილია, გამოვიცნობთო“. (§ 12) მაგრამ ამ მოსაზრებასაც ადვილად აბათილებს კინისკი: „სრულიად უსარგებლოა, ამბობს იგი, ვიცოდეთ მომავლი, თუ მას ვერ ავიცილებთ... იმას, ვინც იცის, რომ რკინის შუბისაგან მოკვდება, განა შეუძლია თავიდან აიშოროს ეს იმით, რომ სახლში ჩაიკეტება? მორია ხომ აიძულებს მას წავიდეს სანადიროდ და მსხვერპლი გახდეს შუბის სასიკვდილო დარტყმისა!...“

სრულიად ზედმეტია, ვთქვამებ მე, გაეფრთხილოთ განასაცდელის შესახებ იქ, სადაც ყველაფერი ისე სრულდება, როგორც წინასწარ იყო დაწესებული... ამიტომ მე არ მესმის, რომელი საფუძვლით მოითხოვთ თქვენ გასამრჯელოს წინასწარმეტყველებისთვისო“ (§ 12--13).

„შენ უფლება გაქვს დამცინო, უპასუხებს განრიხსებული ზევესი, რაკი მე ამდენ ხანს ვითმენ შენ სიტყვებს და არ გტყორცნი ელვასო“. — „მო, მომსპე მე, ზევესო, თუ კი ბელისწერით განკუთვნილი მაქვს ელვისაგან დალუპვა, ეუბნება კინისკი, მაგრამ შენ კი არ დაგდებ ამაში ბრალს, არამედ კლათოს, რომელიც შენი დახმარებით მომსპობსო“. ამას შემდეგ კინისკი კვლავ მეტად სერიოზული კითხვით მიჰმართავს ზევესს: რატომ სტოვებთ თქვენი თავისუფლად ყაჩაღებს და მკრეხელთ (*αγγαζ; αχι; αφορσ; αχαι;*) და მათ მზგავს მოძალადეებს, თავაშვებულ და ფიცის დამრღვევ ადამიანებს, ხოლო ელვას ხშირად მიჰმართავთ რომელიმე მუხისაკენ, ქვისა, თუ გემის ანძისაკენ, რომელსაც არავითარი ბოროტება არ ჩაუდენია, ან თითქმის პატიოსან ადამიანებისა და კეთილმორწმუნე შწირებისაკენო“. კინისკს ასეთი შემთხვევების მაგალითებიც მოჰყავს, სხვათა შორის, სოკრატეს ბედსაც იგონებს და თვის კითხვას ასე ათავებს: „თანამედროვე მდგომარეობის დაწერილებით განხილვას რომ თავი დავანებოთ, მე ვიტყვოდი საერთოდ, რომ ბოროტი და გაუმძღარი ადამიანები უმეტეს ნაწილად ბედნიერები არიან, ხოლო პატიოსან ადამიანებს კი სჩაგრავს სიღარიბე, ავადმყოფობა და ათასი სხვა გაჭირვებაო“ (16--17). ფრიად საგულისხმო კითხვაა წამოყენებული, რომელიც არა ერთხელ გაუმეორებიათ კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში. ზევესი უთქვარია, ამაზე გარკვეული პასუხი გასცეს და იძულებულია მხოლოდ იმაზე მოეთითოს, რომ ბოროტი ადამიანები იმ ქვეყნად სასტიკ სატანჯველს მიეცემიან, ხოლო კეთილის მყოფენი და პატიოსანნი ნეტარებაში იქნებიანო.

მაგრამ ასეთი პერსპექტივა კინისკს არ აკმაყოფილებს, მას ურჩევნია ბედნიერად გაატაროს ცხოვრების დანიშნული ვადა, შემდეგ კი 16 ძერას მისცეს თვისი მკვდარი ღვირძლი საჯიჯგნელად, არ ჰსურს იტანჯოს ქვეყნად ისეთი წყურვილით, როგორითაც ტანტალი იტანჯებოდა, ხოლო შემდეგში ნეტართა კუნძულებზე სვას გმირებთან ერთად.

ზევესი მოაგონებს მას, რომ არსებობს სასჯელი და ჯილდო და სამსჯავრო, სადაც ფასდება ყოველი ადამიანის ცხოვრება, რომ კარგ და კეთილმორწმუნე ადამიანებს ჯილდო მოულის, ხოლო ცუდებს კი სასჯელი. თვის უკანასკნელ პასუხში კინისკი საბოლოოდ აშკარავებს იმ ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც სტოელთა განგებასა და ბედისწერის ძლევაშისილების წარმოდგენაში იმარბებოდა. „ჩვენ, ადამიანები, ამბობს იგი, ჩვენი ნებით არას ჩავდივართ, არამედ

ყველაფერში ემორჩილებით აბსოლუტურ აუცილებლობას, თუ კი მართალია შენი მტკიცება, რომ ყველაფრის მიზეზი მოირააო: თუ ვინმე ჰკლავს, მაშ მკვლე-ლი მოირაა, თუ ვინმე საკურთხეველს შეურაცხყოფს, მისი გადაწყვეტილებით ხდება ესეც. ამგვარად, თუ მინოსს ჰსურს იყოს სამართლიანი მოსამართლე, მან სიზიფის მაგიერ უნდა დასაჯოს ბედისწერა, ხოლო ტანტალის მაგიერ მოირა. რაში არიან ისინი დამნაშავე, თუ წინასწარ გადაწყვეტილს დაემორჩილენ? ამგვარად, თვის ლოგიურ დასკვნამდე მიყვანილი სტოელთა მოძღვრება ბედის-წერაზე სრულიად უარყოფდა ადამიანთა მოქმედების თავისუფლებას, აღიარებდა მათ სრულ დამოკიდებულებას *ἀναγκαστῶν* და, მაშასადამე, უარყოფდა ყოველ-გვარ პასუხისმგებლობასაც. სტოელთა ზევესი უძლური აღმოჩნდა კინისკის მო-საზრებებზე სათანადო ღირსეული პასუხი გაეცა და იძულებულია დაქმყოფილ-დეს შემდეგი სიტყვებით: „შენ თავზედი სოფისტი ხარ“ (§ 19), ან „განა მე არ ვამბობდი, რომ შენ ერთი იმათთაგანი ხარ, რომლებიც თვის მსჯელობაში ღმერ-თების განგებას უარსა ჰყოფენო“ (§ 9) ¹. ამ დიალოგის შედგენაზე უეჭველია გავ-ლენა ჰქონდათ. იმ ძველ მწერლებს, რომლებიც სტოელთა წინააღმდეგ წერდნენ; ჯერ კიდევ დიოგენმა მოიხმარა გარპალის, ამ *praedo felix*-ის, ბედი როგორც *testimonium contra deos*; ასეთივე მოსაზრებით ილაშქრებდა განგების წინააღმდეგ ეპიკური; შეეხებ ამ საკითხს ალექსანდრე აფროდიზელი (*de lato* 186, 20 შემ.) შემდეგ პლუტარქი (*de stioc. rep. c. 35*) და სხვ. Bruns, რომელსაც ეს პირები დასახელებული ჰყავს, განსაკუთრებით მოწადინებულია დაამტკიცოს ნათესაობა ლუციანეს აზრებისა ენომპუსის მოსაზრებებთან ²; მას მხედველობაში აქვს მისი *ἡρώδης ἑρμού* (Euseb. praep. ev. 6, 7) ³. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ციცირონის გადმოცემით (*de nat. deor. II 13*) სტოელი კლეანთი ფიქრობდა, რომ პირველი საფუძველი ღმერთების აღიარებისა არის — *praesentio rerum fu- turarum*, რაზედაც ლუციანეს დიალოგში ზევესიც მიუთითებდა ⁴.

ამ დიალოგში გამოთქმული აზრების თავისებურ დამატებას, უფრო შემ-დგომ განვითარებას, წარმოადგენს მეორე დიალოგი *Iuppiter tragoedus*. ლუციანეს ნაწარმოებთა შორის ეს შრომა ერთი საუკეთესოთაგანია, მასში სავსებით გამოაშკარავებულია მწერლის სატირული ტალანტი. „ლუციანემო, ამბობს Bruns (გვ. 271), მოახერხა ამ დიალოგის ფრიად მხიარული გრაციით და დიდად მოსწრებული კომიზმით შემკობაო“. მასშია ხელოვნებით აღსავსე სცენები, სწერს O. Schmidt-ი (გვ. 22), თავისუფლად მჩქეფარე იუმორი და გონების მახვილობა, დამაწყვლელებელი სატირა, სწორი დახასიათება ღმერთებისა და მოპაექრე ფი-ლოსოფოსებისა, ელეგანტური და მდიდარი მხატვრული ენა და ყოველივეს ოს-ტატობის ბეჭედი აზისო.

¹) Bruns ი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ეპიკურელია ნავულისხმევი, (O. C. S. 261—262).

²) Bruns O. C. 262 f. f.

³) ენომპუსზე—ხ. Bernays O. C. S. 35.

⁴) Helmi ლუციანეს ამ დიალოგში ზოგიერთ რამეს მენიპური ჩამომავლობისად სთელის და სხვ.

ეს დიალოგი შეიძლება ორ ნაწილად გაეყოთ: პროლოგად, სადაც ლმერთების კრებაა გადმოცემული (§ 1—35) და მთავარ მომენტად, რომელშიაც ეპიკურელი დამიდი და სტოიკლე ტიმოკლე აწარმოებენ პაექრობას. პროლოგში ოლიმპზე ვიშვოფებით და მონაწილე ვართ იმ დიდი მღელვარებისა, რომლითაც მოცულია ზევესი. რამ ააღელვა „ლმერთების მამა“? ლმერთების დამცველს ტიმოკლეს დიდი კამათი ჰქონია დამიდიდან, რომელიც უარსა ჰყოფდა ლმერთების არსებობას (*ἴσ' εἶνα; ἰεῖα;...* § 4) და მათ ზრუნვას ადამიანებზე. კამათს მრავალი ხალხი დასწრებია, იგი დამთავრებულად არ ჩაუთვლიათ და მეორე დღისთვის გადაუდევიათ. ზევესი ჰერმესის დახმარებით იწვევს ლმერთების საერთო კრებას და წინადადებას აძლევს მას, ლმერთები მათი ქანდაკებათა ღირებულების მიხედვით დასხას. *Ἄξιονα ἴε παρὰ τῶν ἄλλων, ἀλλὰ καὶ ἀρετῶν τῶν ἀξίων εἶνε; ἔσ' ἄρετῶν τῶν ἀξίων* (§ 7), ამბობს ამ განკარგულების შესახებ ჰერმესი. ზევესი სიტყვით მიჰმართავს კრებას და მის წარმოთქმაში ჰმადიებს დემოსთენს (განსაკუთრებით მის 1-ლ ოლინთის სიტყვას). იგი გადასცემს ლმერთებს დისპუტის ამბავს, თვალწინ უშლის მათ იმ საფრთხეს, რომელიც ლმერთებს მოვლით, თუ ტიმოკლე დამარცხდა და, დასასრულ, სთხოვს, გამოთქვან თავისი აზრი, თუ როგორ უნდა მოიქცენ და რა ზომები მიიღონ (§ 15—18). პირველად ლაპარაკობს მომი; იგი ამტკიცებს, რომ ლმერთებს უფლება არ აქვთ ეპიკურისა, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების მიმართ გაწყრომისა, რადგან თვით კარგად ხედავენ, თუ როგორი უსამართლობაა გაბატონებული ქვეყნად, როდესაც პატიოსანი ადამიანები სიღარიბეში, მონობაში და დაავადებაში იხოცებიან, ხოლო ცუდი ადამიანები პატივით და სიმდიდრით სარგებლობენ, და სხვ. უარსაჰყოფს იგი აგრეთვე მისანთა წინასწარმეტყველებას და სამართლიანად მიაჩნია, რომ ადამიანებს ლმერთების განგებისა არა სწამთ რა (§ 19—22).

ერთი სიტყვით, მომი ისეთსავე მოსაზრებებს გამოთქვამს, როგორსაც კინისკი (Iuppit. conf. § 16). ზევესი უქმყოფილა გამოის სიტყვით და გულნატკენი ამბობს: სამართლიანად აღნიშნავდა *ἰσχυρῶς ἄρετῶν τῶν ἀξίων*; რომ ბრალის დადება, გაკიცხვა და მხილება ადვილია, მაგრამ გაცილებით ძნელია გონიერული რჩევის მიცემა (§ 23). პოსეიდონი (§ 24) და შემდეგ ჰერაკლე (§ 32) წინადადებას იძლევიან, პირდაპირ თავიდან მოიშორონ თავებელი მოწინააღმდეგე, რომ ამით აიცილონ დიდი უსიამოვნება. მაგრამ ზევესი მათ მოაგონებს, რომ ეს შეუძლებელია, რადგან „მოირები თითოეული ადამიანის ბედს ართავენ და ყოველ მათგანს წინასწარ უნიშნავენ, ვინ ელვისაგან უნდა დაიღუპოს, ვინ ხმლისაგან და ვინ ხურვებისა და დაუძღურებისაგან და რომ საერთოდ *αὐτὸς ἕκαστος ἐστὶν ἰσχυρῶς ἀρετῶν τῶν ἀξίων*, ლმერთებს კი მათზე არავითარი უფლება არ აქვთ“ (§ 32). აქაც, როგორც Iuppiter confutatusში, თვით ზევესი ადასტურებს მოირანს ყოველად ძლიერებას და მისგან ლმერთების დამოკიდებულებას. მაშინ აპოლონი ურჩევს კრებას, მოუძებნონ ტიმოკლეს გამოკიდული დამცველი, რადგან იგი, თურმე, მსმენელებს კარგად ვერ უხსნის თვის დებულებებს და იბნევა. მომი დაკინებით მოითხოვს აპოლონისაგან, რათა მან პირდაპირ იწინასწარმეტყველოს, თუ რომელი მოპირდაპირე გაიმარჯვებს. აპოლონი უარზე, თან არ მაქვს არც სამეფი არც საკმეველი და არც საწინასწარმეტყველო გასაღებიო. ბოლოს კი

უთმობს ზევესის თხოვნას და წარმოთქვამს რაღაც გაუგებარ და უშინაარსო ლექსს, რომლის მოსმენის შემდეგ მომი წამოიძახებს: „ეს წინასწარმეტყველება სრულიად გარკვეულად გვეუბნება, რომ თვით წინასწარმეტყველი შარლატანია, ჩვენ კი ჩალვადროს ვირები, თუ მას დაეუჯერებთ“ (§ 31). ამგვარად, ლუკიანე თვით ერთ-ერთ ღმერთთაგანს აიძულებს მასხარად აიგდოს მისნები, რომელთაც პირადად იგი მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანების მოსატყუებელ საშუალებად თვლის. ვერც კი მოასწრეს ღმერთებმა ეთათბირათ შექმნილ მდგომარეობაზე, როდესაც მოვიდა მოციქული და განაცხადა, პაექრობა უკვე დაიწყო. ამას შემდეგ ღმერთებს, ზევესის თქმით, სხვა აღარა დაპარჩენიათ-რა, რომ ილოცონ თავისი დამკველ ტიმოკლეს გამარჯვებისთვის (§ 34). ასეთი იყო, ლუკიანეს აღწერით, ღმერთების ტრალიკულ-კომიკური მდგომარეობა.

მთავარ ნაწილში უკვე პაექრობის მოწმენი ვხვდებით. ტიმოკლე დიდად არის მოწადინებული, დასაბუთოს ღმერთების არსებობა და მათი ზრუნვა ადამიანებზე და ამ აზრის დასაბუთებლად აყენებს შვიდ ძირითად არგუმენტს. ეს არგუმენტები სტოელთა ფილოსოფიის არსენალიდან არის ამოღებული. ციცერონის გადმოცემით (de nat. deor. II 13) სტოელი კლევანთი ღმერთების აღიარების საფუძვლად სთვლიდა: ა) მომავალ საქმეთა წინასწარმეტყველებას; ბ) იმ დიდ სარგებლობას, რომელიც ადამიანთ ენიჭებათ პაეისა, მიწის ნაყოფიერებისა და სხვათაგან; გ) საშინელებას, რომელსაც ადამიანებში იწყებს ელვა, ქარიშხალი, კირი და სხვ. და დ) ცის მოვლენათა სწორზომიერებას, სიწარმტაცეს და კანონზომიერებას¹. ტიმოკლეს არგუმენტებში არ არის კლევანთის მეორე საფუძველი, დანარჩენებში კი იგი ცოტაოდენი ცვლილებებით და დამატებით იმეორებს კლევანთის მოსაზრებებს. ტიმოკლეს არგუმენტებს და დამილის პასუხს მათზე აღენიშნავთ პარალელურად:

1) Τὰς ἄστρονόμεναι, განსაკუთრებით სწორზომიერება ელვის მოვლენათა და წელიწადის დროთა გვაიძულებს აღვიაროთ მათი მმართველი განგება (§ 38).

— დამიდი არ ჰყოფს უარს ამ ἄστροს, მაგრამ აუცილებლად არ მიაჩნია, ჩათვალს იგი ვისიმე მზრუნველობის მოქმედებად; მისი აზრი — ტიმოკლეს განგება — ეს უბრალო მექანიკური ნივთიერი აუცილებლობაა.

2) ჰომეროსი და ევრიპიდე ავტორიტეტული წყაროებია ღმერთების არსებობისა (§ 39—40).

— რომ ჰომეროსი კარგი პოეტი იყო, ამას აღიარებს დამიდიც, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რომ ვინმე დაეთანხმოს იმას, თითქოს ჰომეროსი ან სხვა რომელიმე პოეტი ღმერთების არსებობის დამამტკიცებელი მოწმენი იყვნენ. არ ამტკიცებს ღმერთების არსებობას ტრაგიკოსების მიერ მათი თვალსაჩინო გამოხატვა. ევრიპიდემაც, სადაც კი მის მიერ დამუშავებული თქმულება ნებას აძლევდა, ღმერთების შესახებ სრულიად უარყოფითი აზრი გამოთქვა. დამიდს აღნიშნული აქვს, სხვათაშორის ევრიპიდეს შემდეგი სიტყვები: „ოჰ ზევესი, ხოლო ვინ არის ზევესი, მას არ ვიცნობ მე“.

1) I. Bruns, O. C. S. 273—274.

Hophannis აზრის წინააღმდეგ (გვ. 47—48) ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მოპირდაპირე ჰქონდა საფუძველი თვის სასარგებლოდ გამოეყენებიათ ევროპილდ, რადგან ამ უკანასკნელს ემჩნევა გარკვეული წინააღმდეგობა ლმერთების შესახებ მსჯელობაში. თუ ზოგიერთ შრომაში იგი ააშკარავებს სკეპტიციზმს და რაციონალიზმს, თითქმის თამამ კრიტიკულ მოსაზრებებს ხალხურ რწმენასა და ლმერთებზე, სამაგიეროდ „ეკახანკ“-ებში, მაგ., ის აცხადებს: „ყველა მოკვდავისათვის საუკეთესო და ბრძნული გადაწყვეტილებაა—იყოს კეთილგონიერი და პატივი სცეს ყოველივე ლეთურსო“, ან „თუ მოიპოება ადამიანი, რომელიც ლმერთებს პატივს არ მიაგებს, მან დეე გადახედოს პენტეის ხვედრს და ირწმუნოს ისინიო“.

3. ყველა ადამიანი და ხალხი აღიარებენ ლმერთებს და მათ პატივსაცემად აწყობენ დღესასწაულებს (§ 42).

— ლმერთების აღიარების ამ consensus populorumის წინააღმდეგ დამიღი ხაზგასმით აღნიშნავს ფაქტს სხვადასხვა ხალხის მიერ სრულიად სხვადასხვა ლმერთების ცნობისას, მათზე განსხვავებული წარმოდგენებისას და მათი ფიგურების თავისებურად გამოქანდაკებისას.

4. მისნების წინასწარმეტყველებანი, რომელნიც მომავალს ნათელსა ჰფენენ,—დამამტკიცებელი საბუთია ლმერთების არსებობისა და განგებისა (§ 43).

— ამ არგუმენტს დამიღი სიცილით გვერდს უხევებს, რადგან, მისი აზრით, მისნები ორაზროვან და საწინააღმდეგო რჩევებს იძლევიან.

5. ქუხილი ზევებისა—მის არსებობას ამტკიცებს (§ 45).

— დამიღი უპასუხებს: კრეტელებს აქვთ საფლავი და სვეტი წარწერით, რომლიდანაც ჩანს, რომ ზევები ვერ იქუხებენ, რადგან დიდი ხანია, თურმე, მიიკვალა.

6. ტიმოკლეს ყველაზედ მეტად სერიოზული არგუმენტი—როგორც მკურანი გემი წარმოდგენილია მესაქის გარეშე, ისე მსოფლიოს ცხოვრების მიმდინარეობა თვისი მშართველის გარეშე (§ 46—50).

— დამიღი თანახმაა შეადაროს მსოფლიო გემს და ლეთაება მესაქეს, მაგრამ აღნიშნავს რა ქვეყნად უდიდესი უსამართლობის არსებობას—ეს ფაქტი იმის დამამტკიცებლად მიაჩნია, რომ არ არსებობს მსოფლიოს გამგებელი და მშართველი.

7. დასასრულ, ტიმოკლეს უდიდესად სუსტი არგუმენტი—აყენებს შემდეგ სილოგიზმს: „თუ არსებობენ საკურთხევლები, არსებობენ ლმერთებიც, საკურთხევლები არსებობენ, მაშასადამე ლმერთებიც არსებობენო (§ 51).

— დამიღი ირონიით უპასუხებს: „შენ ლმერთების არსებობა საკურთხევლების არსებობას დაუკავშირე და ჰფიქრობ, რომ ამისგან მაგარი ჯაჭვი შექმენიო“. პაექრობაში დამარცხებულ ტიმოკლეს სხვა აღარა დაპრჩენია რა, თუ არა ისევე დამიღის და მისი მშობლების გალანძლვა (§ 52).

საყურადღებოა, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ამ პაექრობამ დამსწრეებზე? პერმესის სიტყვიერიდან ჩანს, რომ მხოლოდ რამოდენიმე კაცი წაიღია ამ კამათით დარწმუნებული, უმრავლესობა კი სხვაგვარად ფიქრობდაო (§ 53). აქედან ერთხელ კიდევ შეგვიძლია დაეასკენათ, რომ ხალხის მასაში ძველ რწმენას კვლავ დიდი გასავალი ჰქონია და ლუკიანესთან პიროვნებები იშვიათი ყოფილან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლუკიანე გადაჭრით წინააღმდეგი და უარისმყოფელი იყო ძველი მითოლოგიისა და ღმერთებისა და ამ მხრივ დიდი სიძულვილი დაუშახურებია თანამედროვე მორწმუნე ადამიანთა წრეში. მაგრამ საკვირველი უფრო ის არის, რომ არა ნაკლებ ცუდად იხსენიებს მას ჩვენი დროის ერთი მკვლევარიც. ის ამბობს: „მან ათიკიდან შეითვისა არა უკეთესი არამედ მხოლოდ უახარე, რომლითაც იგი ყოველივე მალას და წმინდას განუსჯელად ეხებოდა... მას სული არ აქვს და ამიტომაც, მიუხედავად ყოველგვარი ეირტუოზობისა, აძიჯუჯამდე ამცირებს მალაღ შინაარსის მოთხრობებს“¹.

რასაკვირველია, ასეთ მოსაზრებას საფუძველი არ აქვს. ლუკიანე მეტად კეთილსინდისიერად სარგებლობდა მითოლოგიით და უმთავრესად მასზე დამყარებით ილაშქრებდა წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ. ამ მხრივ, ერთგვარად საფუძვლიანია Schmidts თქმა (გვ. 45): Lukian war eine Kampfnatur, die in einzelnen Zügen uns an die edelsten Humanisten erinnert. თვისი მშვენიერი შრომის (*Ἰλαξίχρησις*; ἢ *Ἰσαβίχρησις*) დასასრულში ლუკიანე გვეუბნება: „უფიქრობ, რომ სხვა ადამიანთათვისაც ჩემი აღწერა სასარგებლო გამოდგება, ერთს დაარღვევს, ხოლო მეორეს განამტკიცებს კეთილგონიერი ადამიანების აზროვნებაში“ (გვ. 61).

შესაძლებელია, ლუკიანე მარტო წარმართულ სარწმუნოებას ჰყოფდა უარს, ხოლო ესალმებოდა ახალ მოძღვრებას—ქრისტიანობას? როგორც დაეინახავთ, ლუკიანემ ქრისტიანობაც უარყო, თუ ხათანადოდ ვერ ჩასწვდა მას. იმპერიის პირველი ორი საუკუნის წარმართულ მწერლობაში ქრისტიანობის შესახებ ფრიად მცირე და ისიც ცალმხრივი ცნობებია შენახული. ასე მაგ., ცნობილი ისტორიკოსი ტაციტი იხსენიებს ნერონის დროს ქრისტიანების წინააღმდეგ ამართულ დევნა-წამებას და ამბობს: „...ქრისტე დასჯილი იყო ტიბერიუსის მეფობაში პროკურატორ პონტი პილატის მიერ, და დროებით ჩამქრალი ქრისტიანობა—ეს დამლუპველი ცრუმორწმუნეობა კვლავ გამოჩნდა და გავრცელდა არა მარტო იუდეაში, არამედ რომშიაცო...“ (Annal. lib. XV, 44) ამგვარად, ძველი მსოფლმხედველობის წარმომადგენელი ტაციტი ქრისტიანობას დამლუპველ ცრუმორწმუნეობად თვლიდა. პლინიუსიც ტრიაინესადმი მიმართულ წერილში აღნიშნავს, რომ ქრისტიანთა შორის ჰპოვა მხოლოდ *superstitionem pravam et immodicam* (Epist. XCVI). ამაზე შორს საერთოდ არც ლუკიანე წასულა, მაგრამ მისდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ, თუ ორი პირველი მწერალი დიდი მიმდევარი იყვნენ მართლაც სრულ ცრუმორწმუნეობაზე დამყარებული წარმართული სარწმუნოებისა, იგი სასტიკად ებრძოდა ამ უკანასკნელსაც. მეორეს მხრივ ლუკიანე ქრისტიანების მიმართ ზოგიერთ სიმპათიურ მხარეებსაც აღნიშნავს. ასე, მაგ., ქრისტიანები მას ერთ ადგილას დახასიათებული ჰყავს, როგორც ყოველგვარი მავისი და ჯადოსნობის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხი; ამ მხრივ ისინი თითქმის მისი მოკავშირეებიც კი არიან არაჩვეულებრივი ავანტურისტის ალექსანდრე აბონოტიხელის წინააღმდეგ ბრძოლაში (Alex. 25,38).

¹) Ed. Norden, Die Antike Kunstprosa, Lpz. 1898, S. 394.

ზაზგასმით გვისაბუთებს ლუკიანე ქრისტიანთა ისეთ მიმხიდველ თვისებებს როგორცაა, მისი აზრით, ურთიერთისადმი მხურვალე სიყვარულით და მოწყალებით აგზნება, ცხოვრება ძმურად, რომელიც შევასწავლა მათ მათგან დიდად პატივცემულმა ჯვარზე გაკრულმა პალესტინაში¹ (11 სურ. 7; 11 სურ. 11), რომელმაც ჩაუნერგა მათ უმაღლესი მცნება, რომ „ყველა ისინი ურთიერთ შორის ძმები არიან“ (α; ἀδελφοὶ πάντες εἰς αὐτὸν ἀγάπησθε). ცელსის მზგავსად ლუკიანე „ამ დამციკრებულ სექტანტებში“ არ ხედავს სახელმწიფოსთვის საშიშროებას (Orig. contra Cel. VII, 36) და არც მოუწოდებს სახელმწიფო ხელისუფლებას მათი მოსპობისაკენ. მაგრამ ლუკიანეს ბუნეზისათვის სრულიად უცხო იყო ყველაფერი „ხეკეყენიერი“ და ამიტომ უცხო იყო ის გასაოცარი თავგანწირვა, რომლითაც ქრისტიანები თვის მოძღვრებას ემსახურებოდნენ; მისთვის გაუგებარი იყო მოწამებრივი სიკვდილი რწმენისათვის და მზად იყო ყოველივე ამისათვის სიგვიე ეწოდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ლუკიანეს შრომა — 11 სურ. 7; 11 სურ. 11; Schmidtის აზრით, ეს ისეთი შრომაა, aus der uns Lukians Stellung zum Christentum bekannt wird (S. 10). „Christo დარწმუნებულია, რომ ეს შრომა უმთავრესად ქრისტიანების წინააღმდეგაა მიმართული; იგი წერს: Lucian findet dabei Gelegenheit, seiner Verachtung des Christentums zur Entsetzen seiner christlichen Leser sehr bösaertigen Ausdruck zu geben (S. 573). საერთოდ იმდენად განმტკიცდა აზრი, რომ ეს შრომა ქრისტიანების წინააღმდეგაა მიმართული, რომ უკვე XVI ს-ში იგი შეიტანეს „librorum phohibitorum“ ინდექსში¹.

მეორეს მხრივ Bernays (O. C. S. 48; 52) დასახელებული შრომა წარმოდგენილი აქვს, როგორც დაუნდობელი ამის გამოცხადება კინიზმის წინააღმდეგ.

ამ შრომის გულდასმით განხილვა კი გვარწმუნებს, რომ მას ერთსა და იმავე დროს ნიშანში ჰყავს ანოღებელი, როგორც კინიკები, ისე ქრისტიანები. დაეასაბუთოთ ეს მოსაზრება.

საბერძნეთში ყოფნისას ლუკიანეს გაუგონია, რომ კინიკი თეაგენი მსმენელების წინაშე დიდად აქებდა პერეგრინს, რომელსაც გადაუწყვეტია სიცოცხლე თავგანწირვით დაამთავროს, სახელდობრ, ოლიმპიის დღეობაზე თავი ცეცხლში დაიწვას (§ 1—5). პერეგრინს უყვარდა, თურმე პროტეუსის სახელწოდების ტარება, შემდეგში ფენიქსის სახელწოდებაც მიუსაკუთრებია (§ 27) ლუკიანე პერეგრინს პირადად იცნობდა, ერთ დროს მასთან ზღვიითაც უმოგზაურია. დაბადებულა პერეგრინი ჰელესპონტთან, პარიუმში და შეძლებული მშობლების შვილი ყოფილია. ახალგაზრდობისას მეტად სასტიკად ეპყრობოდა მოხუც მამას და მოუგუდავს კიდევ იგი; შეჭმინებია მეზობლებისა და დაუწყია უცხო ქვეყნებში მოგზაურობა, სადაც გარყვნილ ცხოვრებას ატარებდა (§ 9—10). პალესტინაში ქრისტიანებს ვაცნობია, გაუზიარებია მათი მოძღვრება და მათი ძმობის მეთაურად გამხდარა (§ 11). ამ ნიადაგზე განუტლია დევნა და საპყრობილეშიც მო-

¹) როგორც ჩანს, O. Seeckსაც ეს შრომა სარწმუნოებრივ ცთომილებათა წინააღმდეგ მიმართულად მიაჩნია (III, S. 156—159).

უთავსებიათ. ამ გარემოებას ქრისტიანების თვალში იგი მოწამებრივი შარავენ-
დელით შეუშვია; ყოველი მხრიდან მოდიოდა შეწირულებანი და საკმაოდ კარ-
გი შემოსავლის წყარო გაზრენია (§ 12—13). სირიის მმართველის მიერ (*—პაუსან;*
ჟანოპოპოჯე უპოპოპოპო—) იგი გიჟად ყოფილა ცნობილი და ყოველგვარი სასჯელისაგან
გაუთავისუფლებია. დაბრუნებულა სამშობლოში. მართალია მამაპაპეული ქონება
უმეტესად გაფლანგული დაზხედრია, მაგრამ 30 ტალანტის შეძლება მინც
დაპრჩენია. მისდა სამწუხაროდ მეზობლებს მისი ბოროტება არ დაპვიწყებიათ.
ამიტომ მას ასეთ საშუალებისთვის მიუშართავს: გამოცხადებულა ტრალიკუ-
ლი სახით მოქალაქეთა კრებაზე და განუცხადებია, რომ დარჩენილ ქონებას
ქალაქს სწირავს. მიუხეწვია კიდევ მიზნისათვის: ხალხი მისი მადლიერი გამხ-
დარა (§ 15). მართალია შემდეგში, როდესაც ქრისტიანები ჩამოშორდენ, შე-
ეცადა ამ ქონების დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ (§ 16). ყოფილა ეგვიპტეში
სამჯერ და აქ კინიკ აგათობულისაგან გაწერთილა კინიკების უცნაურ ვარ-
ჯარშობაში (§ 17). ეგვიპტიდან იტალიაში მისულა, სადაც მთავრობისა და
იმპერატორის გინებაც კი დაუწყია. ქალაქის პრეფექტს. იგი რომიდან გაუ-
ძეებია და ამ გარემოებას კი მისთვის ფილოსოფოსის სახელი შეუქმნია, რო-
მელიც თითქოს, *აქუ პაპოპოპოპო უპი აქუ პოპო უპაპოპოპო* დასჯილიყოს (§ 18).
გაძეებული პერეგრინი საბერძნეთში მიდის და აქ აჯანყებმა აწყობს რო-
მელეების წინააღმდეგ. როდესაც იგი ვერ მოხერხდა, პერეგრინმა ერთ-ერთ
ოლიმპიის დღეობაზე გინება დაუწყო იმ პირს, რომელმაც სხვა სიკეთესთან ერ-
თად ოლიმპიაში წყალსადენი გაიყვანა, რითაც, მისი აზრით, ბერძნები გაანე-
ბიგრა¹. პერეგრინის ასეთმა საქციელმა დამსწრეცში დიდი მღელვარება გამო-
იწვია და კინალამ ქვევით ჩაქოლეს იგი. ოლიმპიის მეორე დღეობაზე პერეგრი-
ნი უკვე ქებით იხსენიებს ამ პირს და აცხადებს, რომ მორიგ დღეობაზე ადა-
მინათადმი სიყვარულისთვის იგი ცეცხლში დაწვავს თავის თავს, რომ მიაჩვიოს
იგინი სიკვდილისადმი სიძულვილს და ტანჯვისადმი სიმტკიცეს; რომ ამის შემ-
დეგ იგი დემონად—ლამის დარაჯად იქცევა და მისგან მრავალი მიიღებს გართუ-
ლებული მალარიისაგან განკურნებას (§ 19—29). ერთგვარი ყოყმანის შემდეგ
პერეგრინი ნიშნავს კიდევ დღეს, როდესაც უნდა შეასრულოს თვისი გადაწყვე-
ტილება². მთუარანე შუალამეში კინიკების თანხლებით იგი მიდის დანიშნულ
ადგილას და ვარდება კოკონში შემდეგის სიტყვებით: *აქპაპოპო; პაპოპოპო*
პაპოპო; ბექაპოპო; პაპოპოპო; პაპოპოპო; პაპოპოპო (§ 36).

აი, ამ კაცის ცხოვრებამ მისცა ლუკიანეს საბაბი გაელაშქრა ქრისტიანო-
ბისა და კინიზმის წინააღმდეგ: პერეგრინი მანიაკის განსახიერებაა, რომელიც
უსახლეროდ არის დაპყრობილი სახელის მოხვეჭის „ფურით“ (§ 34); იგი ერ-
თი ქვეყნიდან მეორეში გადადის, ერთი ბანაკიდან მეორეში გადახტის მხოლოდ
ერთი მიზნით—რათაც უნდა დაუჯდეს, მოიპოვოს სახელი და დიდება; ამ მხრივ
მას ლუკიანე პეროსტრატეს ადარებს (§ 22).

¹) აქ ლაპარაკი, ალბათ, ჰეროდ ატიკზე უნდა იყოს (იხ. Pausan. VI, 22, 2).

²) ლუკიანე ოთხჯერ ყოფილა ოლიმპიის დღეობაზე, მაგრამ მისი სიტყვით ყველაზე უკეთესი მეოთხე ყოფილა.

ერთი რამ აქვე უნდა აღვნიშნოთ; უდაოა, რომ ლუკიანე ფერადებს მეტად ამუქებს, რომ მისთვის არა-სიმპათიური პიროვნება მისი ცხოვრების მისტიკურ-ასკეტური მიმართულებით, რაც შეიძლება, უფრო შავი ხაზებით დაგვიხატოს. ამას გარდა საყურადღებოა ვიკოდეთ, პერეგრინი, ან კინიკი თეაგენი მხოლოდ ლუკიანეს ოცნების მიერ შექმნილი პირები არიან, თუ რეალური არსებანი?

მართალია, დასახელებულ შრომაში რაიმე ქრონოლოგიური ცნობა არ არის მოცემული, მაგრამ ვფიქრობთ, ეგებ შესაძლებელი იყოს დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ ეს დრო. იმპერატორი, რომელსაც პერეგრინი რომში ყოფნისას აგინებდა, ლუკიანეს დახასიათებული ჰყავს, როგორც მშვიდი და ლმობიერი მმართველი, რომელსაც თავის ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნია დასაჯოს ადამიანი მხოლოდ მისი სიტყვებისათვის (§ 18). ეს დახასიათება ლუკიანეს თანამედროვე იმპერატორთაგან ყველაზე მეტად ანტონ პიუსს (138—161) უდგება. მისაღებია მხედველობაში ისიც, რომ აქ დასახელებული აჯანყება, შეიძლება, ის იყოს, რომლის შესახებაც ანტონის ბიოგრაფის ამბობს: *in Achaia atque etiam Aegypto rebellionis repressit.* (Scrip. Hist. Aug. Capitolini Anton. P. 5 თუ ასეთი შესაძლებლობა სიმართლეს შეიცავს, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პერეგრინის მოღვაწეობას ანტონ პიუსის მეფობის უკანასკნელ წლებში და მარკ ავრელის მეფობის დასაწყისში უნდა ჰქონოდა ადგილი. რაც შეეხება თეაგენს, ის უდაოდ რეალური პიროვნებაა. ამას ადასტურებს სეპტიმი სევერის დროის (193—211) მწერალი გალენი, რომელიც გადმოგვცემს, რომ ექიმ ატტალის¹ არა წესიერი წამლობის გამო იგი გარდაიცვალა და რომ იგი რომში ცნობილი პიროვნება იყო, რადგან ყოველდღე ტრაიანის თერმებში კამათობდაო (*Gal. ἰζηροῦσιν: ἡ γὰρ ἰατρικὴ*, Vol. 10, p. 909)².

უნდა ვიფიქროთ, რომ პერეგრინიც მოგონილი პიროვნება არ არის. ამაში გვარწმუნებს ჯერ ერთი ის, რომ ლუკიანეს მისი ცხოვრება დაწერილებით აქვს აღწერილი, არ გამოჰპარვია ისიც კი, 500, თუ 30 ტლანტის ღირებულების ქონება დაპარა მას მომზობებისაგან. სხვა ადგილას ლუკიანე იმასაც კი გვაცნობს, თუ რა ფასში გაუყიდათ პერეგრინის ჯოხი მისი სიკვდილის შემდეგ (*adv. indoct. 13* შემ.) მეორეს მხრივ, როგორც იყო ნათქვამი, პერეგრინი ილაშქრებს იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც ოლიმპიაში წყალსადენი გაიყვანა (პეროდ ატიკი); ფილოსტრატეს გადმოცემით კი, პერეგრინი—პროტეუსი მართლაც ცუდად იხსენიებდა პეროდს (*Vit. Soph. II 1,33*). ასეა თუ ისე, სწორედ ამ პერეგრინის თავგადასავალმა გამოიწვია ლუკიანეში სურვილი გამოეთქვა თვისი დამოკიდებულება ქრისტიანებსა და კინიკებისადმი. ქრისტიანების მოძღვარს ლუკიანე სოფისტს უწოდებს, და ამ შემთხვევაში ეს სიტყვა არ შეგვიძლია გავიგოთ *in bonam partem*, რათგან პერეგრინსაც იგი სოფისტად თვლის (§ 32). თვით ქრისტიანებს კი იგი ახასიათებს, როგორც მავიით, ცრუმორწმუნეობით შეპყრობილ ხალხს და საერთოდ, როგორც ბნელ და უფიც მასას. საკმარისია, თურმე, მათ წრეში გაჩნდეს რომელიმე ფიგლიარი, ამ მოხერხებული ადამიანი, რომ

¹) რომელსაც გალენი *θεσπέλειος ἰατρός* უწოდებს.

²) ეს ცნობა Bernaysს ერცლად აქვს აღნიშნული (გვ. 14—18).

ჩვენ სკურდ-მარტილის მიდამოებში დაეყავით რამოდენიმე დღე და ამ ხნის განმავლობაში მოვიარეთ შემდეგი სოფლები: ნაოლავეი (მარტილი), ინჩხური, სკურდი და ბარდა, რომელთაგანაც პირველი ორი სოფელი მდებარეობს მდ. აბაშის მარცხენა, ხოლო დანარჩენი ორი კი მის მარჯვენა ნაპირზე. აბაშა ერთადერთი მდინარეა, რომელიც იძლევა ამ ადგილების მთლიან გეოლოგიურ განაკვეთს. მას სოფ. ბარდიდან დაწყებული აბაშის „გოქყადირამდი“ საცმოდ ფართე ხეობა აქვს გაკრილი რბილ და ფხვიერ ქანებში, ხოლო აქედან სოფ. ინჩხურამდე გარდიგარდმო ჰყვეთს კირქვის ფენებს და ძალიან შევიწროებულია, თუმცა აქაც წინეთ, როგორც ამას ძველი ტერასები ამტკიცებენ, კარგა ფართე კალაპოტი ჰქონია. ერთერთ ასეთ ტერასზე შენდება დღეს აბაშის ჰიდროელექტროული სადგური. მეორე უფრო ძველი ტერასი შევაჩნით სოფ. სკურდისაკენ, აჩენს მდინარე თავის ცნობილ აბაშის ჩანჩქერს. ინჩხურიდან მდინარე კვლავ ფართედ მიმდინარეობს ჯერ შედარებით რბილი და ფხვიერი ქვიშაქვის ფენებზე და შემდეგ ალუვიონზე.

გეოლოგიური განაკვეთი სოფ. ინჩხურიდან სოფ. ბარდამდე.

1. თუ ჩვენ მდ. აბაშის შესართავიდან ზევით ავუყუებთ, ძველი დანალექი ქანები პირველად შეგვხვდება სოფ. ინჩხურის სამხრეთით, სადაც მდინარის პირას მოჩანს მუქი ნაცრისფერი მსხვილმარცვლიანი ქვიშაქვა, ალაგ სქელი და მკერივი, ალაგ თხელი და რბილი. ხშირად ქვიშაქვის ფენებს გასდევს ფიქლებრივი თიხა. ქანში ბლომად მოიპოვება მცენარეების ნაშთები და ცხოველთა შემდეგი ნაშარხები:

Ervilia aff. trigonula Sok.

Spaniodontella abashensis nov. sp.

Spirialis sp.

და რამდენიმე გაურკვეველი გასტროპოდი. ამათგან ყველაზე ბლომად გვხვდება სპირიალისები, განსაკუთრებით თხელფენოვანი თიხანარეუ ქვიშაქვაში. დანარჩენები ძალიან იშვიათია.

შემდეგ რამოდენსამე მანძილზე ფენები ალუვიონით არის დაფარული.

2. სოფ. ინჩხურში (უფრო მის ჩრდილო ნაწილში) განვითარებულია ნაცრისფერი თიხანარევი კირქვიანი ქვიშაქვა, რომელიც გამოფიტვის გამო ოდნავ გათეთრებულია. ქანში მხოლოდ თევზების აღნაბეჭდები და ქერცლები მოიპოვება.

3. იქვე თევზებიან ფენებზე განლაგებულია ღია მომწვანო ფერის უნამარხებო მერგელი, რომლის სისქე არ უნდა აღემატებოდეს 8—10 მეტრს.

ყველა ზემოჩამოთვლილი ფენები დაქანებულია SO.

4. სოფ. ინჩხურიდან სოფ. სკურდის დასაწყისამდე ამართულია პატარა მთა, რომელიც შემდგარია კირქვის შრეებისაგან. მთა წარმოადგენს ანტიკლინურ ნაოქსს, რომლის ღერძი ჩანჩქერის ცოტა ჩრდილოეთით გადის NO—SW მიმართულებით. ანტიკლინის სამხრეთი ფრთის სარქველი შედგება ნაცრის ფერი კირქვიანი ქვიშაქვისაგან, რომელიც საესეა *Ananchytes ovata*თი. ქვედა ფენები ანტიკლინალისა წარმოადგენენ მოთეთრო ფერის, ალ-

ბათ ძალზე დამტერული ტექტონური ძალების მოქმედების გამო კირქვის შრეებს, რომელნიც ძალიან ლარიბია ნამარხებით, აქ მხოლოდ ორიოდ *Rhynchonella* sp. ეპოვე.

5. სკურდიდან სოფ. ბარდამლი აბაშის მარჯვენა ნაპირს გასდევს კვლავ თევზებიანი რბილი თხელფენოვანი ფიქლებრივი თიხა, მუქი ნაცრის ფერისა, რომელიც გაშრობისას პატარა და თხელ ფურცლებად იშლება და მაშინ შიგადაშიგ კვერისებური კონკრეციები ჩანან. ქანის შრეებრივობის სიბრტყეზე განლაგებულია თაბაშირი თხელ ფენებად. ნამარხებიდან მხოლოდ თევზების ქერცლი და მცენარეების ნაშთები მოიპოვება. სკურდთან ფენები ჩრდილო დასავლეთისაკენ არის დაქანებული, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ დაქანება თანდათან იცვლება და სოფ. ბარდაში სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ გადადის.

7. თვით სკურდში ბურტყუნა გორაკის ახლო შარაგზაზე თევზებიანი ფიქლებრივ თიხას მოსდევს:

a. მოწყითალო ფერის საკმაოდ ფხვიერი ქვიშაქვა, რომელშიაც ბლომად მოიპოვება ნიჟარების ნამტერეები, იშვიათად—კენჭები და ნაგორები თიხა, მცენარეების გაურკვეველი ნაშთები და მთლიანი ნიჟარები შემდეგი მოლუსკებისა:

Pecten sp. (fragm.)

Spaniodontella abashensis nov. sp.

Cardium (fragm.)

Venus konkensis Sok. var. *scurdensis* var. nov.

Donax intermedia Hörn.

Ervilia aff. *trigonula* Sok.

Mactra sp. (fragm.)

Melaria sp.

Cerithium (fragm.)

Conus?

Spirialis sp.

Dentalium sp.

და კიდევ სხვა გაურკვეველი პატარა გასტეროპოდები. ნამარხებიდან გაბატონებულია ერვილიები, დანარჩენები იშვიათია.

b. იმავე ფერის ფხვიერი ლუმაშელი თითქმის სრულიად ნიჟარების ნამტერეებისაგან შემდგარი. მთელი ნიჟარებიდან აქ გვხვდება:

Spaniodontella abashensis nov. sp.

Donax intermedia Hörn.

Ervilia aff. *trigonula* Sok.

და ისეთივე გასტეროპოდები, როგორც ფენებში a, მხოლოდ აქ ნამარხებიდან სპანიოდონტელები სჭარბობენ.

c. მუქი ნაცრის ფერის მკვრივი ქვიშაქვა ისეთივე ნამარხებით, როგორც ფენებში a და b. შემდეგ იწყება მთელი სერია მუქი ფერის უნამარხო შრეებისა. სკურდში ყველა ფენები ჩერილემი (იქამლი, სადაც სკურდიდან სალზინოსაკენ მიმავალი გზა უახლოვდება ლელეს) ჩრდილო დასავლეთისაკენ არიან დაქანებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბაშის პირას სოფ. ინჩხურამდე ძველი დანალექი ქანები არ შეგვიმჩნევია. ამ ადგილებში შრეები მდინარის მიერ გადარეცხილია და ალუვიონით არის დაფარული; მაგრამ ნაოლალეში, ხშირია პატარა ეროზიული გორაკები, მოწმების სახით დარჩენილი. ერთი ასეთი გორაკი, რომელზედაც აშენებულია ცნობილი მარტიელის მონასტერი, შედგება მოყვითალო ფერის ზოგან ფხვიერი, ზოგან კი საკმაოდ მკვრივი ქვიშაქვის ფენებისაგან, რომელშიაც გარდა *Spaniodontella Barboti Stuck.* (= *Sp. pulchella Baily*) var. *megrelica* var. nov. და იშვიათი *Dentalium*-ის სხვა ორგანიული ნაშთი არ მოიპოვება. რადგან გორაკებს შუაფენები ალუვიონით არის დაფარული, მარტიელის სპანიოდონტელებიანი შრეების დამოკიდებულება სხვა ფენებთან ვერ გამოვარკვევია. ამრიგად სკურდ-მარტიელის მიდამოებში განვითარებულია კირქვის, თიხის და ქვიშაქვის ფენები, რომელნიც, როგორც ჭვემით დავინახავთ, სულ სხვადასხვა ასაკისა არიან.

ალუვიონი.

ალუვიონი შესწავლილ რაიონში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. სოფ. ინჩხურის მიდამოებში ის შედგება მსხვილი რიყის ქვებისაგან, რომელნიც ოდნავ არიან შეცემენტებული კირქვიანი ქვიშით. ასეთი ალუვიონი ზოგიერთ ადგილას ცარცის კირქვის ფენებზედაც არის განლაგებული, სხვა ადგილებში-კი, მაგ. ბარდაში, სკურდში და ნაოლალეში ძველ ფენებს პირდაპირ ნიადაგი ფარავს.

კარაგანის (სპანიოდონტელებიანი) ფენები.

მიოცენის ფენების დაყოფის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ კლასიფიკაციით, რომელიც ან დ რ უ ს ო ე ი ს მიერ არის მიღებული სამხრეთ რუსეთისათვის, ვინაიდან საქართველოში ჯერ ცნობილი ზედა მესამეული ეთანხმება მის ნიერ ყირიმისა და ჩრდილო კავკასიისათვის მოცემულ ნეოგენის სქემას. ცნობილია, რომ სამხრეთ რუსეთში შუა მიოცენის დანალექები წარმოადგენენ განვითარების ორ სხვადასხვა ტიპს: ერთი გავრცელებულია გალიციასა და პოდოლიაში და ძალიან ემსგავსება ვენის აუზის შუა მიოცენს, ხოლო მეორე კი ყირიმსა და ჩრდილო კავკასიაში¹. უკანასკნელში სარმატის ქვეშ მდებარე მე-II ხმელთაშუა ზღვის სართული განიყოფება ორ პალეონტოლოგიურად ძალიან განსხვავებულ ნაწილად², რომელთაგან ქვედას ჩოკრაკის, ზედას კი კარაგანის ჰორიზონტი ეწოდება³. კარაგანის ჰორიზონტი ხასიათდება ძალიან ერთფეროვანი და ლარიბი ფაუნით. „კარაგანის ფაუნაში, ამბობს ან დ რ უ ს ო ე ი, კარაგანის მსხე-

¹) N. Andrussov, Die südrussischen Neogenablagerungen. *Januc. Hn. C. Пемепр. Минерал. Отд.* II сер., ч. 26, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100.

²) Ibid., გვ. 215.

³) შემდეგში ანდრუსოვმა კარაგანის და სარმატის შუა გამოყოფა კიდევ ერთი ჰორიზონტი: ფოლასებიანი ანუ კონკის, Н. Андрусов, Конский горизонт (Фоласовые пласты); ამის შესახებ იხ. ჭვემით.

ლი სპანიოდონტელები (*Sp. pulchella* Baily, *Sp. gentilis* Eich, *Sp. opistodon* Andr. etc.), რომელთაც ხშირად მიემატებათ ხოლმე მორნენტერნიები (*Mohrensternia Barboti* Andrs, *Mohrensternia grandis* Andrs.) იშვიათად ზანდბერგერები (*Sandbergeria Sokolovi*, *Sandbergeria acicularis*), ხანდახან ფოლასებიც. სხვა ნამარხები იშვიათია. მხოლოდ მანგიშლაკში არის კარაგანი უფრო მდიდარი ფაუნით წარმოდგენილი¹. პირველად აზრი ამ ჰორიზონტის ჩვენში არსებობის შესახებ ანდრუსოვმა გამოთქვა იმ ლიტერატურული წყაროების მიხედვით, რომელიც მაშინ მოიპოვებოდა. ხშირად ამიერ-კავკასიაში რუსი გეოლოგები სარმატის ქვეშ აგვიწერდენ „მოიციენის ქვედა ზონას“ *Venusit*; „*Venusit* იგივე ხომ არ არის, რაც ჩვენი *Spaniodon Barbotii* Stuck?“ სვამს ანდრუსოვი საკითხს². მისი აზრი სწორი გამოდგა. ე. ლასკარეევმა ე. ფავრის კოლექციაში, რომელიც უკანასკნელმა საქართველოში დააგროვა და ეხლა ენევის საბუნებისმეტყველო მუზეუმში ინახება, სპანიოდონტელები იპოვა მაგ. *Spaniodontella Barboti* Stuck. და სხვა³.

შემდეგ ეს ჰორიზონტი აღნიშნეს ე. ბოგაჩევმა, ბ. მეფერტმა და ნ. ყიფიანმა. პირველმა ქიათურიდან⁴, მეორემ ქუთაისის ახლო მდებარე ადგილებიდან⁵. ხოლო უკანასკნელმა დასავლეთ სამეგრელოდან⁶.

ჩვენს რაიონში სპანიოდონტელებიანი ფენები ვიპოვეთ მხოლოდ მარტვილის მონასტერთან. გორაკი, რომელზედაც აშენებულია მონასტერი, როგორც უკვე გვეჩვენა აღნიშნული, მთლიანად შედგება მსხვილ *Spaniodontell*ებით და *Dentalium*ებით გაქედილი ქვიშაქვის ფენებისაგან; მაგრამ, როგორც სიმონოვიჩ-ბაქევიჩ-სოროკინის კოლექციის დათვალიერებამ დამარწმუნა, ეს ჰორიზონტი სკურდშიაც უნდა იყოს. ამ კოლექციაში, რომელიც საქართველოს მუზეუმში არის დაცული, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ნიმუშმა. ნიმუშს წარწერა აქვს: „*Venus*“-ოვან რაკუშნიკ с *Paludina* и *Cerithium*, сел. Скурди“⁷. ნამარხების შესწავლიდან გამოიჩინა, რომ *Venus* სპანიოდონტელებია, ხოლო *Cerithium*—მორნენტერნია, რაც შეეხება *Paludinal* ის *Hydrobials* მაგვარი გასტეროპოდა. როგორც ვხედავთ სკურდშიც, ისე როგორც მარტვილში, კარაგანი ერთფეროვანი და ღარიბი ფაუნით არის წარმოდგენილი. სამწუხაროდ ავტორების შრომიდან არ ჩანს, როგორი სტრატეგრაფიული დამოკიდებულება აქვთ ამ ფენებს ერვილებიან და პატარა სპანიოდონტელებიან შრებთან.

¹) Ibid. გვ. 252.

²) Н. Андрусов, Горизонт с *Spaniodon Barboti* Stuck. в Крыму и на Кавказе. Отд. оттиск Спб. 1887 г. გვ. 17.

³) В. Ласкарев, Заметка о сарматских отложениях Закавказья. *Записк. Новорос. Общ. Естест.* т. XXIII, вып. II, 1900 г. გვ. 39.

⁴) В. Богачев, Проблема долины р. Куры. *Извест. Кавказ. Муз.*, 1911, т. VIII, ст. 6.

⁵) Б. Мефферт, Геологическое строение Маргашевского района Аджамети—Чхари, в Кутаис. губ. *Извест. Геол. Ком.* XLIII, № 7, 1924 г.

⁶) ნ. ყიფიანი, დასავლეთ საქართ. გეოლოგ. მასალები, საქ. მუზ. შიგნით ტ. II, 1925.

⁷) იხ. საქართველოს მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების კატალოგში გვ. 261. № 1257-

ჩოკრაკის ჰორიზონტი.

ამ ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდეს სოფ. ინჩხურის მუქი ნაცრის ფერი და სკურდის მოყვითალო ფერის ქვიშაქვის შრეები. ორსავე ადგილას შემდეგი ნამარხები გვხვდება:

- Pecten sp. (fragm.)
- Spaniodontella abashensis nov. sp.
- Cardium (fragm.)
- Donax intermedia Hörn.
- Venus konkensis Sok. var. scurdensis var. nov.
- Ervilia aff. trigonula Sok.
- Mactra sp. (fragm.)
- Cerithium
- Melania sp.
- Conus (?)
- Spirialis sp.
- Dentalium sp.

და რამოდენიმე გაურკვეველი პატარა ჰიდრობიასებური გასტროპოდი. ამ ნამარხებიდან სოფ. ინჩხურში ქარბოზენ სპირიალისები, სოფ. სკურდში კი ერვილიები და პატარა სპანიოდონტელები. რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი ჩვენს მასალებში წარმოდგენილი არიან თითო ოროლა ცალით, მაგ. Donax intermedia 4 ც., Venus 4, Melania 1, Cardium 2, Mactra 1, Conus 2 და სხვა. ამიტომ ფენების დათარიღების დროს, რასაკვირველია, მთავარი უზრაღდება სპირიალისებს, ერვილიებს და სპანიოდონტელებს უნდა მივაქციოთ.

Spaniodontella ყირიმ-კავკასიის აუზში მეორე ხმელთაშუა ზღვის სართლის დანალექ ქანებში გვხვდება. ესევე ითქმის Ervilia trigonula Sok. შესახებ. ნ. სოკოლოვმა პირველად აღწერა იგი კონკის ფენებიდან¹, რომელიც შუა შიოცენის სარქველად არის მიჩნეული. მაგრამ შემდეგ, როგორც Ervilia trigonulას ისე Spaniodontellას (პატარა ფორმები) ავტორები ქვედა სარმატშიაც უჩვენებენ². ნ. ანდრუსოვი სულ სხვა აზრს გამოსთქვამს ამ ფაქტის შესახებ. ის ამბობს³: „ჩრდილო კავკასიის სხვა ადგილებში კონკის ჰორიზონტი ნაჩვენებია არ არის. შესაძლებელია, რომ მისი ექვივალენტი ის ფენები იყოს, რომელთაც ავტორები (იგულისხმება კ. ბოგდანოვიჩი და ს. ჩარნოცკი) ქვედა სარმატს აკუთვნებენ“. სოფ. სკურდში და ინჩხურში ტიპური სარმატის ფორმა არ შეგვხვედრია. Mactra, Cardium და Cerithium, რომლებზედაც შეიძლებოდა ეპეის მიტანა, გაურკვეველი დაგვრჩა. დანარჩენი ნამარხები იმის მაჩვენებელია, რომ

¹) Н. Соколов, Стлн с Venus konkensis (средиземно-морския отложения) на р. Конке. Тр. геол. Лом. т. IX, № 2, 1899.

²) К. Богданович, Геологическая исследования Кубанск. Нефтен. района Тр. Геол. Ком., Нов. Сер. Вып. 57, 1910, გვ. 35. С. Чарноцкий, Геолог. исследов. Кубан. нефтен. района, Труд. Геол. Ком., Нов. Сер. Вып. 47, 1909, გვ. 41.

³) Н. Андрусов, Конкский горизонт (фолдавые пласты), стр. 245.

აქ სარმატი არ უნდა იყოს. *Donax intermedia* Hörn. ტიპიური მე-II ხმელთა შუა ზღვის სახეა.

Venus მე-II ხმელთაშუა-ზღვის სართულის ფორმაა. სარმატიდან *Venus* ჯერ აღწერილი არ არის.

Pecten და *Conus* სარმატის ქვეშ მდებარე მიოცენის დანალექი ქანების დამახასიათებელია.

Spiralis ანდრუსოვის მიხედვით¹ სამხრეთ რუსეთში უკანასკნელად გვხვდება სპანიოლონტელებთან ჰორიზონტში (ქერჩი). მაშასადამე შუა მიოცენის მიწურულში სპირიალისები ქრებიან უირიმისა და კავკასიის აუზში. საფიქრებელია, რომ ჩვენშიაც ასე უნდა მომხდარიყო, რადგანაც ჩვენს ზედამესამეულს სამხრეთ-რუსეთის ნეოგენთან ბევრი რამ საერთო აქვს. ყველა ზემო ნათქვამიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფ. სკურდში და ინჩხურში წარმოდგენილი ქვიშაქვის ფენები მცენარეების გაურკვეველი ნაშთებით და ზემოთ ჩამოთვლილი ნამარხებით ეკუთვნის მე-II ხმელთაშუაზღვის სართულის თხელი ზღვის დანალექებს. რაც შეეხება პლანქტონის, ღრმა ზღვის—*Spiralis*ების არსებობას, აქ ეს ადვილად აიხსნება, რადგან ზღვის ზედაპირზე მოტივტივე ნიჟარები ცხოველების სიკვდილის შემდეგ შესაძლოა ზღვის ტალღებს გადაეტანა ნაპირებისაკენ, სადაც მოხდებოდა მათი დლექვა².

ზედა თევზებიანი ჰორიზონტი.

ქვედა მიოცენი (და ოლიგოცენი?)

თევზებიანი შრეების დათარიღება, მიუხედავად მათი დიდი გეოგრაფიული გავრცელებისა დასავლეთ საქართველოში, დღემდე შეუძლებელი გახდა, ვინაიდან, ერთის მხრივ, მასში გარდა თევზების ქერცლებისა და ზოგან თევზების აღნაბეჭდებისა სხვა რამ ორგანული ნაშთი ნაპოვნი არ არის და, მეორეს მხრივ, თევზებიც სრულიად შეუსწავლელია. ეს არა მარტო ჩვენში არამედ რუსეთშიაც, სადაც მათ დიდი სიერცე უჭირავს დაწყებული უირიმიდან და გათავებული აფ-შერონის ნახევარი კუნძულით.

შესავალში ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ სიმონოვიჩი, ბაცევიჩი და სოროკინი ამ შრეებს ცარცსა და ეოცენს შუა ათავსებენ. «ცხადია, რომ თევზებიანი ფენების ცარცსა და ეოცენს შუა უნდა მოთავსდეს. ამას მოითხოვს სტრატოგრაფიული მდებარეობა ამ შრეებისა, თუ ზოგიერთ ადგილებში თევზებიანი სართული განლაგებულია ცარცსა და მიოცენს შუა (აბაშა, ტხუერი, ცივი) ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ეოცენი არ არის წარმოდგენილი. იქ კი, სადაც მესამეული სრულად არის განვითარებული (სარეწკელა, ცხენის წყლის ხეობა ლეჩხუმში) თევზებიანი ფენები ცარცსა და ეოცენს შუა

¹) Н. Андрусов, Критическая заметка о русском неогене. *Запис. Киевск. Общ. Естество.*, т. XXI, Вып. I, стр. 116.

²) ანალოგიური მოვლენა ჩრდლო კავკასიაში იხ. Губкин, Геологич. исследов. Кавказского бассейна (См. Докл. Евр. Нав. Сов. Рус.), 115 — 124.

ძეეს¹. შემდეგ ავტორებმა აზრი შეიცვალეს ამ ფენების ჰასაკის შესახებ. მაგ. 1886 წელს გამოცემულ „კავკასიის გეოლოგიის მასალებში“² ისინი იძლევიან ყოფ. ქუთაისის გუბერნიის მესამეული დანალექი ქანების სქემას. სადაც „თევზებიან სართულს“ უკავია ზედა ეოცენის ადგილი, ხოლო ნუმულიტებიან და ორბიტოლიტებიან კირქვას და მერგულს შუა ეოცენის. ამავე საკითხს ეხება ნ. სოკოლოვი³ თავის შრომაში: „Нижнетретичные отложения южной России“. „საკითხი ე. წ. თევზებიანი სართულის ჰასაკის შესახებ, რომელიც კარგად არის განვითარებული ქუთაისის გუბერნიის საბოლოოდ გარკვეულად არ უნდა ჩათვალოს; მთლად უსაფუძვლოდ არ უნდა მოგვეჩვენოს ის აზრი, რომ ეს სართული, რომელშიაც შავი ქვა არის მოქცეული (ქიათურა) და რომელიც სიმონოვიჩის და სოროკინის ზედა ეოცენად მიიჩნდათ, ქვედა ოლიგოცენს უნდა მიეკუთვნოს“. ამავე აზრს გამოსთქვამს მეფერტიც⁴; „მე ამ თევზებიან ფენებს, ამბობს იგი, რომლის ექვივალენტს სტრატეგრაფიულად წარმოადგენენ შავი ქვის ფენებში განლაგებული სპონგოლიტებიანი ქანები აჯამეთის და ჩხარის მიდამოებისა, ახალციხის აუზის მესამეულის სტრატეგრაფიის მიხედვით პირობით ვაკუთვნებ ქვედა ოლიგოცენს“. ამავე ავტორის მეორე შრომიდან⁵ ვტყობილობთ, რომ ახალციხის მესამეულის აუზში ე. წ. თევზებიან ფენებში მას სანდრი წვერის მიდამოებში უპოვია Pecten arcuatus Brocchi (ქვედა ოლიგოცენის ფორმა, სართული Lattorli), სოფ. ქართუბაში კი Pectunculus obovatus Lam. და სხვა შუა ოლიგოცენის ფორმები.

თევზებიანი ფენების ჰასაკის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს რაკვალეჩუმის აუზში 1924 წ. ჩვენ მიერ შემჩნეულ გარემოებას. ამ აუზის დასავლეთ ნაწილში, ცხენის წყლის ხეობაში, სარეწკელასთან მესამეული უფრო სრულად აღის წარმოდგენილი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს რომელსამე სხვა კუთხეში. აქ მესამეულის შემდეგი განაკვეთი გვაქვს (ქვევიდან ზევით):

5. მუქი ფიქლებრივი თიხა თევზების ქერცლებით.
4. ქვიშაქვა პელიციპოდებით და კიდევ სხვა ნამარხებით.
3. კირქვიანი ქვიშაქვა ორბიტოლიტებით.
2. კირქვა თიხა ნარევი ნუმულიტებით.
1. თევზებიანი თიხა ნარევი კირქვიანი ქვიშა ქვა⁶.

¹) Симонович, Бансенич и Сорокин, Геол. опис. час Кут., Ачх., Сен. и Зугдид. уез. Кут. губ., *Матер. для геол. Кавк.* 1875, გვ. 146.

²) Симонович и Сорокин, Несколько слов о палеогеновых образованиях Кутаис., губ., *Мат. для геол. Кавк.* 1886 г.

³) Н. Соколовский *Шрома об. Труды геол. ком. т. IX, № 2, 1909, გვ. 184.*

⁴) Б. Ф. Мефферт, Геологическое строение марганоносного района Аджамети Чхари и Кут. губ. გვ. 861. *Изв. геол. Ком. XLIII № 7, 1924 г.*

⁵) Б. Ф. Мефферт, Геологические исследования в Кутаис. и Ахалцихском уездах в 1923 г. *Изв. Геол. Ком. XLIII, № 7 1924 г. გვ. 846 და 847.*

⁶) ა. დ. ჯანელიძე, ტფილისის მდამოების ჰიდროგრაფიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, 1925, გვ. 345.

როგორც განაკვეთის აღწერიდან ჩანს ლეჩხუმში გარკვეულად ორი თევზებიანი ჰორიზონტი არსებობს. ერთი ორბიტოლიტებიანი ქვიშაქვის ქვეშ, მეორე მის ზემოთ.

ეს გარემოება ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, როდესაც „თევზებიან სართულზე“ არის ლაპარაკი. მათი გარჩევა ადვილი არ იყო, ვინაიდან ორსავე ჰორიზონტში მხოლოდ თევზების ქერცლები მოიპოვება, და პეტროგრაფიულადაც დიდად არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ქვედა თევზებიან ჰორიზონტს რაკა-ლეჩხუმის აუზში ლითოლოგიურად ახასიათებს მუქი ნაცრისფერი თიხა ნარევი კირქვიანი ქვიშა-ქვა, რომელშიდაც მხოლოდ თევზების ქერცლი და აღნაბუქდები მოიპოვება. ზედა თევზებიანი ჰორიზონტი უმთავრესად შედგება მუქი ფიქლებრივი თიხისაგან, რომელიც მზეზე ადვილად იშლება თხელ და პატარა ფურცლებად, და მაშინ შიგადაშოგ ადვილად გამჩნევთ კვერისებურ კონკრეციებს; შრეებრიობის სიბრტყეზე ხშირად განლაგებულია თაბაშირის თხელი ფირფიტები. თევზების ქერცლებიც არ ჰგვანან ქვედა ჰორიზონტის ქერცლებს.

ახლა დაუბრუნდეთ ჩვენს განაკვეთს და გამოვარკვიოთ, თუ რომელ თევზებიან ჰორიზონტთან გვაქვს აქ საქმე. ინჩხურის თევზებიანი ფიქლებრივი ქვიშაქვა ძალიან წააგავს, როგორც პეტროგრაფიულად ისე პალეონტოლოგიურად ლეჩხუმის ქვედა თევზებიანი ჰორიზონტს. სრულ იგივეობაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც თევზები არც ინჩხურიდან და არც ლეჩხუმიდან შესწავლილი არ არის. რაც შეეხება სკურდის თევზებიან ფიქლებს, ის კი ზედა თევზებიანი ფიქლების ექვივალენტი უნდა იყოს და ქვედა მიოცენს უნდა ეკუთვნოდეს. ამისთვის საკმაო საბუთები მოგვეპოება. ეს ჰორიზონტი ჩვენ შესწავლილი გვაქვს რაკაში (სოფ. ხიმშში) და უფრო ადრე ნანახი გვაქვს სამეგრელოში (სოფ. ხორშის შიდამოებში) 1923 წ. საქართველოს მუზეუმის მიერ დოც. ნ. ყიფიანის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსკურსიის დროს. იქიდან ჩამოტანილი ნიმუშები ინახება საქართველოს მუზეუმში ნ. ყიფიანის მასალებში. იქ ე. ი. ხორშში ზედათევზებიანი ჰორიზონტის ფიქლებრივ უკირქვო თიხას, მოსდევს ოდნავ კირქვიანი ფიქლებრივი თიხა რომელშიაც თევზების ქერცლებთან ერთად გვხვდება:

Leda fragilis Chem. ¹
Syndesmya alba Wood.
Nassa (restitutiana?) Fon. ¹
Spirialis sp.

და კიდევ სხვა ლედები; იგივე მეორდება სოფ. ბერთემში მდ. ტეხურის პირას

რაკაში სოფ. ხიმშშიც ზედა თევზებიან უკირქვო ფიქლებრივ თიხაზე თანხმობით განლაგებულია კირქვიანი ფიქლებრივი თიხა თევზების ქერცლით და შემდეგი იშვიათი ნაპარხებით:

Leda
Cryptodon sp.
Spirialis sp.

¹) ეს სახეები კოლექციაში განსაზღვრული იყო.

სამწუხაროდ ნამარხები ძალიან ცუდად არიან შენახული, რის გამო სახეების განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

ამრიგად სამეგრელოშიც და რაჭაშიც ზედა თევზებიან ჰორიზონტს ზემოდან თანხმობით საზღვრავს ჩოკრაი. მასასადაზე ზედა თევზებიანი ფიქლები ქვედა მიოცენად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ შესაძლებელია ნაწილობრივ ქვედა და შუა ოლიგოცენსაც ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ ამის ვარკვევა ძნელია. ვინაიდან ზედა თევზებიანი ჰორიზონტის ქვედა საზღვრის დადგენა მასალების უქონლობის გამო შეუძლებელი შეიქმნა. ლეჩხუმში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მესამეული პერიოდის დანალექი ქანების სქემა არ ეთანხმება სიმონოვიჩისა და სხვათა მიერ მოცემულ დაყოფას. გეოლოგმა რენგარტენმა, რომელიც აგერ რამოდენიმე წელიწადია აწარმოებს გეოლოგიურ კვლევა-ძიებას კავკასიაში, ჩემ მიერ ლეჩხუმიდან ჩამოტანილ ორბიტოლიტებში გამოიკნო *Orthophragmina Prati Mich¹*. ეს ნამარხი, როგორც მეფერტიის შრომიდან² ვტყობილობთ, Douvillés უკანასკნელი სტრატეგრაფიული სქემის მიხედვით. დამახასიათებელია ზედა ეოცენისა. თუ ამას მიუმატებთ მასზე განლაგებულ ჰელიციპოდებიან და კიდევ სხვა ნამარხებიან ფენებს, მაშინ ცხადი იქნება, რომ ზედა თევზებიან ჰორიზონტს უფრო მაღალი სტრატეგრაფიული მდებარეობა აქვს, ვიდრე დღემდე ეგონათ. დასასრულ სინტერესოა გამოვარკვიოთ, აქვს თუ არა რაიმე საერთო ჩრდილო კავკასიის თევზებიან ფიქლებს, ე. წ. მაიკოპის ფენებს (*маикопские слои*) ჩვენს თევზებიან ფიქლებთან. Н. Губкин³ ასე ახასიათებს მათ: В литологическом отношении они выражены однообразно и высшей степени характерно: темносерыми (в свежем состоянии) и бурными шоколадного цвета (в выветрелом) слазцевыми глинами с многочисленными рыбными остатками. Не вскипание с HCl, распадение при высыхании на тончайшие листочки, обуславливающие образование характерных листоватых осыпей, присутствие на плоскостях наслоения и по трещинам бурых железистых налетов, а также характерных желтых выцветов, то в виде кусочков, то в виде налетов, образование шаровой или эллипсоидальной отдельности, присутствие сидеритовых короваеобразных конкреций сферосидерита гипсоносность и, наконец, характерный рисунок встречаемых в них рыбных чешуек—все эти признаки вместе с одним и тем же стратиграфическим уровнем, заставляют признать в них полный аналог нефтеносной свиты листов Нефтяно-Ширпанского и Хадыжинского, переименованной впоследствии в маикопскую. Отмеченные признаки описываемая свита с поразительным

¹) სამწუხაროდ ამ ნამარხების განსაზღვრისათვის საკმარის ლიტერატურა ტფილისში არ მოიპოვება სრულად.

²) Б. Мефферт. Геол. посл. в Кут. и Ахалц. у., *Из. Геол. Ком.*, XLIII, № 7, გვ. 845. აქვე დასახელებულია Douvillés შრომათ: *Revision des Orbitolites. Bull. Soc. Géol. de France*, 4 ser., t 22, 1922, p. 63, 84.

³) И. Губкин. Геологические исследования Кубанс. Нефтенос. района. Листы: Анапско-Раевский и Темрюкско-Гостодзвенский. *Тр. Геол. Ком. Нов. сер.*, Вып. 115, გვ. 136, 1915 г.

постоянством сохраняет на громадном протяжении от Керченского полуострова до Апшеронского пол..... На исследованной площади, сохраняя вышеописанные признаки, эта свита имеет и некоторые отличительные черты. В районе прилегающем с востока к известковым заводам (в Анапско—Раевском листе) она выражена характерными спонголитовыми породами¹. სპონგოლიტებიანი ქანები დღემდე ცნობილი არ იყო ჩვენში, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ის იპოვა მეფეტრმა ჩხარ-აჯამეთის მიდამოებში, რომელთაც ის თევზებიან ფენებს უკავშირებს¹. რაც შეეხება თევზებიან თიხის ფიქლებს, ისინი, როგორც ზემო მოყვანილ ამონაწერიდან ჩანს, ძალიან ემსგავსება ჩვენს ზედა თევზებიან ჰორიზონტს და შესაძლებელია სტრატეგრაფიული მდებარეობაც მზავსი ჰქონდეს. ჩრდილოკავკასიაში თევზებიანი შრეები ჩოკრასა და შუა და ქვედა ოლიგოცენს (ფორამინიფერებიანი: Globigerina, Orbulinიანი ფენები) შუა არის განლაგებული, რის გამო რუსი გეოლოგები მათ ქვედა მიოცენს და ზედა ოლიგოცენს აკუთვნებენ. ვინაიდან ჩვენში ზედათევზებიანი ჰორიზონტის ქვედა საზღვარი გაურკვეველია, ამიტომ ზედმიწევნითი პარალელიზაციაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

ზედა ცარცი.

სკურდ-მარტვილის მიდამოებში მესამეულს საფუძვლად უძევს კირქვის შრეები, რომლის ზედა ნაწილში ზედა ცარცის დამახასიათებელი ნამარხი *Ananchytes ovata* Leske გვხვდება.

ტექტონიკა.

როგორც განაკვეთის აღწერიდან ვიცით, შრეები ჩვენს რაიონში დანაოქებულია. აქ გვაქს ანტიკლინური ნაოქი (ტაბაკლა-თამაქო), რომლის ჩონჩხ-ცარცის კირქვა შეადგენს და რომელსაც NO—SW მიმართულება აქვს. მის გაგრძელებას დასავლეთით ნაქალაქევის და ეკის მთები წარმოადგენენ. ტაბაკლავის ანტიკლინი რაქა-ლენჩხუმის ვირგაციების ერთ-ერთი დასავლეთი ტოტია². სოფ. ბარდის ჩრდილოეთით არის კიდევ მეორე ტოტი (ბარდა-ჯვარის). ამ ორი ანტიკლინის შუა არსებობს სინკლინი, რომელიც სკურდის ცოტა აღმოსავლეთით იწყება და დასავლეთით სოფ. ფახულანთან გადის, ამიტომ ამ სინკლინურ ნაოქს ჩვენ სკურდ-ფახულანის სინკლინს ვუწოდებთ.

¹) Д. М е ф ф е р т, Геологич. строение марганц. район. Аджамети—Ухри...

²) იხ. აღ. ჯანელიძე, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი. ტფილისის უნივერსიტეტის ბოამბე, ტ. VI, 1926, გვ. 248.

E R V I L I A T R I G O N U L A

Ervilia aff trigonula Sok.

Tab. I fig. 1—4.

1899. *Ervilia trigonula*. Соколов, Слои с *Venus konkensis* на р. Конке. *Тр. геол. ком.* т. IX, № 5 стр. 23, Таf. II, fig. 36—41.
1903. В. Ласкарев, Фауна бугловских слоев Воыни. *Тр. геол. ком.*, Нов. Сер., Вып. 5, стр. 74, Tab. II, fig. 1—8.
- 1910 *Ervilia praepodolica* Andr. М. Баярунас, Фауна ставропольских миоценных песков. *Зап. Кавк. общ. Ест.*, XXI, вып. 3, стр. 248, Tab. I, fig. 36—39.
- 1913 *Ervilia trigonula* Sok. Ф. Швец. Фауна чокракского известняка Керченского пол. *Зап. Минер. общ.*, часть XLIX, стр. 272.
- 1917 Н. И. Андрусов, Конкский горизонт (Фоладовые пласты) *Тр. геол. и мин. муз. Акад. Наук.*, т. II, Вып. 6, 1916 г, стр. 211, Tab. XVI, fig. 39—46.

ნიქარა სამკუთხოვანი და მორგვალეულია, თითქმის თანასწორ გვერდებიანი, მოიპოვება არა თანასწორ გვერდებიანი ცალეებიც, რომელიც მოყვანილობით უახლოვდება *Er. podolica*-ს. კიდეები: წინა, ქვედა და უკანა სწორად აქვს მომრგვალებული. ზედა ნაწილი ნიქარისა სამკუთხოვანია, საკეტი კიდეები თანაზომიერად არიან დაქანებული და თხემთან უფრო მახვილკუთხეს სახვენ, ვიდრე *Er. pusilla*-ზე. თხემი შედარებით სუსტად აქვს განვითარებული და უკან არის მიშეერილი. ნიქარის ზედაპირი მოლიპულია და სწორი ზრდის ხაზებით არის დაფარული. სერი, რომელიც თხემიდან ქვედა უკანა კუთხემდე უნდა გადაუყვებოდეს, მხოლოდ რამოდენიმე ნიმუშზე ეტყობა. საკეტი აპარატი თითო კარდინალური კბილისაგან შედგება. რაც შეეხება გვერდითი კბილებს, ისინი სუსტად არიან წარმოდგენილი. მარჯვენა სარქველზე უკანა საკეტი კილის ქვეშ გასდევს ღარი მარცხენა ლატერალური კბილის მისაღებად.

Ervilia trigonula პირველად გამოჰყო ნ. სოკოლოვმა და მის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნია: ნიქარის ზედა ნაწილის სამკუთხოვანი მოყვანილობა, რაც გამოწვეულია საკეტი კიდეების თანაზომიერი დაქანებით და მახვილი კუთხე, რომელსაც ეს კიდეები ნიქარების თხემთან სახვენ. ამიტომ ბაიარუნას *Er. praepodolica* ამავე სახეს უნდა მიეკუთვნოს, ვინაიდან ავტორის სიტყვით: საკეტი კიდე წინა და უკანა ნაწილებში სწორია და აჩენს კუთხეს (115° 123°), უფრო მახვილს, ვიდრე *Er. pusilla*-ზე.

სადაურობა: სოფ. სკურდის მიდამოები; ჰასაკი: ჩოკრაის ჰორიზონტი.

Spaniodontella Barbotii Sluck. var. *megrelica* var. nov.

Tab. I, fig. 5—8.

1873. *Cyrena Barbotii* A. Штукенберг, Геологический очерк Крыма, Спб. 1873. стр. 36, Tab. I, fig. 1—5.
1875. *Cyrena Barbotii* Sluck. P. Прендель. Сарматския образования Севастополя. *Зап. Н.и Общ. Ест., т. II*, вып. I, 1875. стр. 24, Tab. I, fig. 4, 5, 6 и 7.
1884. *Venus* sp. Н. Андрусов. Геологические исследования на Керченском полуострове в 1882 и 1883 гг., *Зап. Нов. общ. Ест.*, т. IX, вып. 2, стр. 26, 31 36.
1885. *Spaniodon major*. N. Andrussow, Über das Alter der unteren dunklen Schieferthone auf der Halbinsel Kertsch. *Verhandlungen d. k. k. geol. R. A.* 1885, № 8, p. 216.
1887. *Spaniodon Barbotii* Sluck. Н. Андрусов, Горизонт с *Spaniodon Barbotii* Sluck. в Крыму и на Кавказе, Спб. 1887, ст. 4.
1890. *Spaniodon Barbotii* Sluck. Fr. Toula, Geologische Untersuchungen im östlichen Balkan. *Denkschrif. d. k. Ak. d. Wissensch.* Bd. 57, p. 383, Tab. VII, fig. 7.

ნიქარა საქნაოდ ამობურცული და მომრგვალებულია, მხოლოდ სიგრძე ოდნავ სქარბობს სიმაღლეს. კლიტის ნაწილი სამკუთხოვანი მოყვანილობისა არის. ზედაპირი ხშირი კონცენტრული ზაზებით არის დაფარული; *lunula* ძალიან სუსტად აქვს განვითარებული, თხეწი საქნაოდ კარგად უჩანს, მოკაკულია და წინ მიშველილი. ნიქარის შიგნითა ნაწილი მოლიპულია. წინა კუნთების აღნაბეჭდი ძლიერია, უკანასი კი სუსტი. ფორმა კუნთების აღნაბეჭდებისა ელიპსურია. წინა დამატებითი კუნთების აღნაბეჭდები (*m. retractor pedis*) ღრმია, უკანა კი ოდნავ ჩანს. მანტიის ხაზი მთლიანი აქვს და მოთავსებულია მაღლა.

საკეტი აპარატი კარგად აქვს განვითარებული. ის შედგება საბპის ორმოსა და მის წინ ზედაბრე კბილებისაგან. მარჯვენა სარკველზე კლიტის მოედანზე ვაჟულობთ ვერტიკალურად ჩამოშვებულ დიდ კბილს, რომელსაც ქვედა ბოლო ოდნავ წინა კიდისაგან აქვს მიწეული. ეს ნაწილი კბილისა გამსხვილებული და ამაღლებულია და ხშირად ემჩნევა ჩალრმავება, რომელიც გამოყოფს წინა და უკანა ბორცვებს. დიდი კბილი წინა კიდისაგან და საბპის ორმოსაგან გამოყოფილია ფართე და ღრმა ღარებით, რომელნიც კბილის ზევით ერთდებიან. დიდი კბილის ზევით მოთავსებულია \wedge მავარი კბილი, რომლის შიგნითა ტოტი კარგად არის წარმოდგენილი, გარეთა კი მიხრდილია წინა კიდეზე, მაგრამ არის ნიშნე, რომელზედაც შიგნითა ტოტი სუსტად ემჩნევა, გარეთა კი უკეთ

წინა კიდესთან. საბმის ორმო მდებარე და ფართე ჩაღრმავებას წარმოადგენს. საკეტი კილის უკანა ნაწილზე გასდევს ვიწრო და დაბალი ლარი, რომელიც ქვეშ გამოჰყოფს კბილისებურ სერს.

მარცხენა სარქველზე მხოლოდ ერთ კბილს ვხედავთ, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება; წინა ნაწილი კბილის ვიწრო და წაგრძელებული კიდეს გასდევს, რომლისაგან გამოიყოფა ვიწრო ლარით, უკანა ნაწილი კი უფრო დიდია.

ჩვენი ნიმუში ჰგავს ან დ რ უ ს ო ვ ი ს მიერ აღწერილ Sp. Barboti Stuck.-ს, მაგრამ იმდენად განსხვავდება მისგან, რომ სკურდ-მარტვილის ნიმუში ცალკე ეარიეტა-ე გამოყვავით. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: 1, Sp. Barboti Stuck. \wedge მავგარი კბილის ორთავე ტოტი ერთი სიგრძისაა და კარგად არის განვითარებული; ჩვენს ნიმუშზე წინა ტოტი პატარაა და უმეტეს შემთხვევაში მიზრდილია კიდზე, შიგნითა ტოტი კი უფრო დიდია; 2, Sp. Barboti Stuck. უკანა ლატერალური კბილები არა აქვს, სკურდ-მარტვილის ნიმუშებზე უკანა კიდზე კბილისებური სერი ყველა ნიმუშზე აქვს წარმოდგენილი.

სადაურობა: სკურდი და მარტვილი; ასაკი: კარაგანის ჰორიზონტი.

Spaniodontella abashensis nov. sp.

Tab. I. fig. 9—10.

ნიჟარა ძალიან პატარა არის; ზედაპირი ნიჟარისა მოტვლეპილია, მხოლოდ ლუპის ქვეშ ზოგიერთ ნიმუშზე ოდნავ, დანარჩენებზე უფრო გარკვეულად. ემჩნევა ზრდის სწორი კონცენტრული ხაზები. შიგნითა ზედაპირი სრულიად მოლიპულია; კუნთების აღნაბიჭვლები და მანტიის ხაზი არ ჩანს. ნიჟარა მეტ შემთხვევაში მრგვალია. არის ფორმები, რომელთაც კლიტის კიდე სამკუთხოვანი მოყვანილობისა აქვთ.

საკეტი აპარატი შედგება კლიტის მოედანზე მოთავსებულ დაბალი საბმის ორმოსა და მის წინ მდებარე კბილებისაგან. მარცხენა სარქველზე ერთი დიდი კბილია განვითარებული, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: წინა ნაწილი უფრო ვიწრო და წაგრძელებული გამოყოფილია ლარით კლიტის კილისაგან, ეს უკანასკნელი გრძელდება თხემის ქვეშ უკან, მხოლოდ კიდემდი არ მიდის. უკანა ნაწილი კბილისა დიდია და სამკუთხოვანი. კბილზე ორივე ნაწილის შეერთების ადგილი ვიწროა.

მარჯვენა სარქველზე დიდ კბილს სამკუთხე პირამიდის მოყვანილობა აქვს, რომლის დიდი გვერდი წინა კიდის პარალელურად გადის. კბილსა და საბმის ორმოს შუა მოთავსებულია ორი სერი, რომელთაგან წინა ძალიან სუსტად არის განვითარებული უკანა კი უფრო დიდია და ბოლოთი ვერთდება კიდეს თხემის ქვეშ. დიდი კბილი წინა კილისაგან და სერებისაგან გამოყოფილია ფართე ლარებით, რომელნიც კბილის თავზე ერთდებიან, რის გამო სერს და წინა კიდეს ეძლევა \wedge მავგარი კბილის მოყვანილობა, რომელიც, ალბათ, სპანოდონტელების \wedge მავგარი კბილად უნდა ჩავთვალოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინა ტოტის მავგერობას აქ კიდე სწევს. საფიქრებელია, რომ კბილის წინა ტოტი მიეზარდა კიდეს, რასაც უკანასკნელის გამსხვილება ადასტურებს.

ჩენი ნიმუში განირჩევა დღემდე აღწერილ პატარა სპანიოლონტელები-საგან: *Sp. nitida* Reuss. და *Sp. intermediis* საგან. ორივეზე Λ მაგვარი კბილის ორთავე ტოტი კარგად არის გამოსახული; სამეგრელოს ნიმუშებზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, წინა ტოტს რედუქცია განუტლია; შემდეგ *Sp. nitida* სრულიად მოლიპულია, ჩენს ნიმუშზე ზრდის ხაზები ემჩნევა. *Sp. intermediis* ლატერალური კბილები ახასიათებს, სკურდის ნიმუშებზე მათ მაგიერ კბილისებურ სერს ეხედეთ, და იმასაც მხოლოდ მარჯვენა სარქველზე საბმის ორმოს უკან¹.

როგორც აღწერიდან ჩანს, სკურდის ნიმუშები ძალიან ემსგავსება ამავე სოფელში, მხოლოდ უფრო ზედა ჰორიზონტში, ნაპოვნ სპანიოლონტელებს. საერთოდ სკურდის და მარტელის სპანიოლონტელების დამახასიათებელი თვისებაა Λ მაგვარი კბილის ტოტის რედუქცია. შესაძლებელია აქ ფორმების გენეტურ რი-თან (*Formenreihe*) გვეკონდეს საქმე.

სადაურობა: სკურდი, პასაკი; ჩოკრაქის ჰორიზონტი.

Venus konkensis Sok. var. *scurdensis* var. n.

1899. *Venus konkensis* Соколов, Слой с *Venus Konkensis* на р. конке, *Труды гол. ком.* т. II, № 5. p. 16, Tab. II, fig. 3 -13.

1903. var. *media*. В. Ласкарев, Фауна бугловских слоев Вольни, *Тр. гол. ком.*, Нов. сер., Вып. 5, стр. 62, Tab. III, fig. 25--30.

1912. Ф. Швец, Фауна чокракского ивез-тяка Керченского пол., *Зан. Сиб. Минер. Общ.*, Втор. сер., часть 49, стр. 282. Таб. VI, fig. 15—20.

ჩენს განკარგულებაში არის სამი ცუდად დაცული სარქველი და ერთი სარქველის ნატეხი საკეტი აპარატი.


სარქველი ოდნავ ამობურცულია, ამობურცვა უფრო თხემთან ემჩნევა. თხე-მი საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული და წინ აქვს მიშვერილი. ზედაპირი ღორთულია ხშირი და სწორი კონცენტრული ხაზებით. კარგად ემჩნევა *lunula*, რომელიც სარქველის დანარჩენ ნაწილისაგან გამოყოფილია ღარივით; ზრდის ხა-ზები *lunula*-ზედაც გადადის.

საკეტი აპარატი კარგად არის განვითარებული. თითველ სარქველზე სამ-სამი კბილია, მარცხენა სარქველზე წინა და შუათანა კბილები შეერთებულია თხემს ქვეშ; ორივე ბოლოსაკენ თანდათან მსხვილდება. უკანა კბილი, რომელ-საც თავში ოდნავ დაყოფა ემჩნევა, წინა კბილებზე უფრო გრძელია. მარჯვე-

¹) სურათზე ამ კბილის სიდიდე გადამეტებულია; საერთოდ *Sp. abashiensis* სურათზე ხაე-სებით დამაკმაყოფილებლად არ არის გადმოცემული.

ი. კაქარავე, მასალები სამეგრ.
გეოლეგიისათვის

ტფილ. უნივერსიტ. მოამბე,
ტ. VII ტაბ. I.



ჩერი-ღელე.

სკურდი.

ტაბაკელა.

სოფ. ინჩხური.



სურ. 1—4. *Ervilia* aff. *trigonula* Sok.
სურ. 5—8. *Spaniodontella* *Barboti* Stuck.
var. *megrelica* var. nov.

სურ. 9—10. *Spaniodontella* *abashensis* nov. sp.
(სურათიდან გადმოხატული $\frac{7}{1}$).

სურ. 11. *Mohrensternia* aff. *inflata* Audr.

განაკვეთი (მასშტაბი ჰორიზ. დაახლოებით 1:50000, სიმაღლ. გაოთხეცებული).

1. ზედა ცარცი, 2. ქვედა თევზებ. ფიქლები და უნამარხ. სერგელი, 3. ზედა თევზებ. ფიქლები (ქვედა მიოცენი), 4. ჩოკრაკის ჰორიზონტი, 5. კარგანის ჰორიზონტი და 6. ალუვიონი.

ნა სარკველზე წინა კბილი პატარა და თირფიტისებური წინა კიდეზე არის მიკრული, შუათანა თავში ვიწრო და ბოლოში გამსხვილებულია, უკანა კი ორად არის გაყოფილი.

სკურდის ნიმუში, როგორც აღწერიდან ჩანს *Venus marginata* Hörn. და *Venus Konkensis* Sokol. ჯგუფს ეკუთვნის. მაგრამ ორივესაგან განირჩევა. ჩვენი *Venus* პატარაა და სწორო კონცენტრული ხაზებით არის დაფარული, მაშინ, როდესაც *Venus marginata*-ზე ზრდის ხაზები ნიჟარის უკანა ნაწილში თირფიტებად არის ქცეული; შემდეგ ქვედა უკანა კუთხე, რომელიც *V. marginata*-ზე კარგად, განსაკუთრებით შიგნიდან, ემჩნევა, სკურდის ნიმუშებზე არ არის გამოსახული. ყველა ის თვისებები, რომლებითაც ის *Venus marginata*-საგან განსხვავდება, აახლოებს მას *Venus konkensis*-ს, მხოლოდ განსხვავება აქაც არსებობს. 1. ჩვენ *Venus*-ს შუათანა კბილებზე დაყოფა არ ემჩნევა. შიგნიდან კიდეების დაკბილება, რომელიც ახასიათებს *Ven. marg.* და *Ven. Konkensis*, ჩვენს ნიმუშზე არ არის წარმოდგენილი. მხოლოდ ერთ სარკველზე, რომელიც კანით არის ამოცილი, კლიტის კიდეზე და ისიც ბინოკულარის ქვეშ ოდნავი დაკბილება შევამჩნიე. სრული მასალის უქონლობა არ გვაძლევს საშუალებას სკურდის *Venus* ცალკე სახედ გამოვყოთ.

სადაურობა: სკურდი, ჰასაკი: კარაგანის ჰორიზონტი.

Mohrensternia aff. inflata Andr.

Tab. I, fig. 11.

ნიჟარა შედგება ექვს-ექვსი ხვეულისაგან, რომელნიც სწრაფად იზრდებიან. პირველი სამი ხვეული ნიჟარისა მოტელეპილია და უფრო ამობურცული, ვიდრე დანარჩენები, რომელნიც გარდი-გარდმო გვერდებით არიან მორთული. მე-4 და 5 ხვეულებზე გვერდებს სწორხაზებრივი მიმართება აქვთ, ხოლო უკანასკნელზე რკალისებურად არიან მოლუნული და შუაზე ქედისებურად ამალელებული. ნიჟარა, გარდა გვერდებისა ზრდის ხაზებითაც არის დაფარული. პერისტომი ფართი და ოვალური აქვს, ზეით კუთხოვანი, ქვეშ მომრგვალებული. გარეთა ბაგე პერისტომისა თხელია შიგნითა გადაკეცილი და ამიტომ ვასქელებული; ზოგიერთ ნიმუშზე ჩანს ვიწრო *umbiculus*.

სადაურობა: სოფ. სკურდი; ჰასაკი: კარაგანის ჰორიზონტი.

ტფილისის უნივერსიტეტის გეოლ. ლაბორატორია.

ბ ა ბ ლ ე ბ ი თ ი შ ა ო ლ გ ე ა ი .

	არის	უნდა იყოს
მე 81 გვ. ქვევიდან პირველ სტრიკონზე	1	2
„ „ მეორე	2	1
განაკეთზე (ტაბულაზე)	ჩერილელე	N--ჩერი ლელე
„ „	სოფ. ინჩხური.	სოფ. ინჩხური—S.

გიორგი ახელედიანი.

1802 წლის ოსური A ხელნაწერი. 1.

1. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაიოზ არქივანდრიტის სლავურ-ოსურ კატეხიზმოს (დაბეკლ. 1798 წ.), რომელსაც თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია ოსური მწერლობის განვითარებაზე და არც ოსური ენის მეცნიერულად მკლევარისათვის მიუტია რაიმე საყურადღებო მასალა, დღემდე ოსურის ყველაზე ძველ ძეგლებად ითვლებოდა ი. იალღუზიძის მიერ ნათარგმნი და 1820—24 წწ. გამოცემული საეკლესიო წიგნები (=A, B და C ტექსტები) და მის მიერვე შედგენილი და იმავე წლებში დაბეკილი ოსურ-ქართული ანბანი (=ანბ.)². მაგრამ ეს შრომები შენახული გვაქვს მხოლოდ ნაბეკლი. დღეს უკვე ჩვენ მოგვეპოვება 1802 წლის ხელნაწერი (=A ხელნაწ.), რომელიც იპოვნა (21. IV. 1926) პატ. დავ. კარიკაშვილმა წ.-კ. გამ. სახ. წიგნთსაცავში (№ 5136) და თავაზიანად მიგვიწვია მის შესასწავლად და გამოსაცემად³. მართალია, ხელნაწერი დიდი არ არის, სულ 80 მოკლე სტრიქონია (იხ. ქვემოთ), მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს: აქ წარმოდგენილია ოსური ენის დვალური დიალექტი⁴.

¹) წაკითხულია წინასწარი მოხსენების სახით ქართ. საენათმეცნ. საზოგადოების 1926 წლის 8 ივნისის სხდომაზე.

²) გ. ახელედიანი. Zur Geschichte des Ossetischen II, ტ. უნ-ტის მოამბე, VI ტ., 340 გვ.

³) წინამდებარე შრომა უკვე დაწერილი და მოხსენებული იყო ქართ. საენ. საზოგადოებაში, როდესაც პატ. დავ. კარიკაშვილმა მაცნობა (4. X. 1926.), რომ იმავე წიგნთსაცავში მან აღმოაჩინა ახალი ოსური ხელნაწერი, ნრწამსი და მამოა ჩვენო (№ 335): დაწერილია 19 საუკ. შიან წლებში მხედურლად. ჯერჯერობით ვიტყვით, რომ ამ ხელნაწერში წარმოდგენილია დვალური დიალექტის ძველი საფეხური, მაგრამ თარგმანი არ უნდა მომდინარეობდეს ი. იალღუზიძის ცნობილი რედაქციებიდან. შესაძლოა ადრინდელი თარგმანი იყოს. საყურადღებოა, რომ ზ. ბგერა, ორი შემთხვევის გარდა, გადმოცემულია ი. ნიშნით ან გამოშვებულია სრულიად. თუ ეს ვადამწერის შეცოთმა არ არის, ამ ძეგლს დიდი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენ გვრწამს პატ. მგლევარ დავ. კარიკაშვილთან ერთად, რომ ჩვენს მდიდარ საეკლესიო არა ერთი და ერთი ასეთი. და შესაძლოა უფრო ძველიც, ოსური ხელნაწერი აღმოჩნდებოდა. პატ. დავ. კარიკაშვილმა უკვე ორი მნიშვნელოვანი ხელნაწერი შესძინა ოსური ენის მკლევართ; იგი კვლავ განაგრძობს თვალყურის დევნებას ამ მიმართულებით.

⁴) ი. გ. ახელედიანი. ოსური ენა ისტორიისათვის I, ტფ. უნ-ტის მოამბე, V ტ., 313. გვ.

20 წლით ადრე ი. იაღლუზიძის უკვე ცნობილ შრომებთან შედარებით; გარდა ამისა იგი საერო შინაარსისაა, რის გამოც იგი თავისუფალია საეკლესიო წიგნების სტერეოტიპულ გამოთქმათაგან: შინაარსი შეეხება სოფ. ვანათში სასამართლოს დაარსებას. ამიტომ ხელნაწერის ენა ამჟღავნებს ცოცხალ ენას მაშინდელი გამოთქმით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ქართული ასოების შემწეობით; გამოყენებულია ანტ. კათალიკოზის გ და ჟ ნიშნები (როგორც A და B ტექსტებში), მაგრამ არ იხმარება Z ($=\zeta$) და j ($=\text{ж}$) ნიშნები, რომელნიც შეტანილ იქნენ პირველად C ტექსტში და ანბანში; z და z ბგერები გადმოცემულია z და o ნიშნებით.

2. ხელნაწერი შეიცავს ფურცლის სამ გვერდ-ნახევარს. თვითეულ გვერდზე სამი სვეტია: პირველი რუსულია, მეორე ქართული და მესამე ოსური—ქართული მხედრული ასოებით. ყველაზე ფართეა ოსური სვეტი, რის გამოც ფურცლის მესამე გვერდზე ოსური ტექსტის მხოლოდ ორი სტრიქონია; ქართულის სვეტი ვერ აღწევს ნახევარ გვერდს, ხოლო რუსული თითქმის ბოლომდე ჩადის. ბოლოში ხელს აწერს Подполковник Симонович და შემდეგ რუსულის სვეტში სწერია: Марта 1-го дня 1802 года лагерь при де. ванаты.

სამივე სვეტის შინაარსი საერთოდ ერთი და იგივეა, მაგრამ დეტალებში მათ შორის საკმაო განსხვავებაა: უფრო მეტი განსხვავება ჩანს რუსულისაგან ქართულ-ოსურისა, მაგრამ არც ოსურია ქართულის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი; შინაარსის მიმდევრობითაც განსხვავდებიან ურთიერთისაგან ქართული და ოსური ტექსტები. ოსური წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს ქართულიდან. ხელოვნურ გამოთქმათაგან ოსური მაინც არაა თავისუფალი; ეს ვასაგებიცაა, რადგან შესაფერი გამოთქმანი შემუშავებული არ იყო.

3. შეგვიძლია თუ არა გამოვარკვიოთ, თუ ვინ უნდა იყოს ოსური ტექსტის შემდგენელი და დამწერი? ფიქრობთ, რომ შეგვიძლია. ოსური ტექსტის შემდგენელი (ან მთარგმნელი) უნდა იყოს ბუნებით ოსი: გარდა იმისა, რომ ასეთ საქმეს უთუოდ ნასწავლ ოსს მიახლოებდნენ, თუ კი ასეთს იპოვნიდნენ, ჩვენ მოსაზრებას ამტკიცებს, სხვათა შორის, საკუთარ სახელთა (გეოგრაფიულ და ადამიანთა) გადმოცემა ოსურ ტექსტში სპეციფიკურად ოსური სახით, მაგ. ჭერიივადამ—ოს. ჭრუი ყავაი (13 სტრ), მიფარეაილამ—ოს. ნიფარეთე ყავაი (15), ელარტვიდამ—ოს. ელარსე ყავაი (14). შიქქუა—ოს. საქქუა (18), გორის ქაღაქს—ოს. გურ ქაღაქი (29.65). გვირაქ ოს. გვიმრაი ჭურთ (12), ეულუმბეგაშვილი—ოს. ეულუმბეგურთ (14),

არბიელისშვილი — ოს. აღბორჯაჯრთ (15). იმ წლებში კი ისეთი ოსი, რომელიც სწერდა ოსურად ქართული ასოებით და სწორედ სასამართლოსთან დაკავშირებულ საქმეებს, იყო ი. იალღუზიძე (და, ალბათ, მხოლოდ ის) ¹.

რაც შეეხება დამწერს, ვფიქრობთ, რომ იგივე იალღუზიძე უნდა ყოფილიყო დამწერიც. საქმე ის არის, რომ ხელნაწერში წარმოდგენილია სამი სხვადასხვა ხელი. ქართული და ოსური სვეტების ხელი წააგავს ერთი მეორეს, მაგრამ ზოგიერთი ასოს მოხაზულობა მაინც ამჟღავნებს სხვადასხვა ხელს. გარდა ამისა, ოსურ სვეტში ნახმარია ფ და გ ნიშნები, რომლებიც, მართალია, ქართულშიც იყო წინეთ ხმარებული, მაგრამ იმდენად გავრცელებული არ იქნებოდა, რომ სოფლის ყოველი გადამწერი ისე ყოფილიყო დახლოვებული ამ ნიშნების წერაში, როგორც ეს ჩვენი ხელნაწერიდან ჩანს; განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული სვეტის შემდგენელსა და დამწერზე, რომელიც ქართულ მწიგნობრულ ენაში სუსტია. ესეც რომ არ იყოს, ფ და გ ნიშნების წერაში დახლოვდება სრულიად არ იყო აუცილებელი სოფლის ჩვეულებრივი გადამწერისათვის, რადგანაც ეს ნიშნები შემთხვევითი მოვლენაა ქართული დამწერლობისათვის, ოსურისათვის კი ისინი აუცილებელნი არიან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ოსური სვეტი დაწერილიც იალღუზიძისაა. ქართული ტექსტი რომ იმავე იალღუზიძის დაწერილ არ იქნება, ჩანს იმ ცნობებიდან, რომელიც მის შესახებ მოგვეპოვება: მან ზედმიწევნით იცოდა ქართულიო ². მაშასადამე, ამიერიდან ჩვენ ვიცნობთ ი. იალღუზიძის ხელს (იხ. ქვემოთ ოსური სვეტის დასაწყისის ცინკოგრაფიული სურათი).

4. ხელნაწერში ძველი აფრიკატები წარმოდგენილია შიშინა აფრიკატების სახით: ნევეჲ ჯჷნღამ (1), ჩაჷნღაჷ (4), ჭრეი (13); ხოლო გაპალატებული ველარები უცვლელად შენახულა: ჩარგითან (3), ქისიდ (2), სეკინ (12). ამ მოვლენათა მიხედვით ეს ხელნაწერი, იალღუზიძის სხვა შრომებთან ერთად, დვალური დიალექტის ძველი საფეხურის წარმომადგენელია ³. კერძოდ, ბგერათა გადმოცემის თვალსაზრისით, ხელნაწერი ეკუთვნის იალღუზიძის A და B ტექსტთა ჯგუფს, რადგანაც მასში: 1) არ იხმარება ნიშნები და ა ბგერათათვის (თორემ იქნებოდა ჩაჷნღაჷ; ჩარგითან, ვაღდა და სხვა) და 2) არ არის განმარტებული მრჩობლი თან-

¹) გ. ახელედიანი. Zur Geschichte...

²) გ. ახელედიანი. Zur Geschichte... აგრეთვე პროფ. კ. კეკელიძის ქართ. ლიტურატი. ისტორია, ტ. II, ტფ. 1924. 201, 202 გვ.

³) გ. ახელედიანი. ოსური ენის ისტორიისათვის, 31-1 გვ.

ხმოვნები (თორემ იქნებოდა ხეფანჯესღმ, ქ.წ., ექვავ, და არა ქომისა (1), ევლავ (32) და სხვა¹. ბგერათა გადმოცემის მხრივ ხელნაწერი განიკლდის უოყმანს, უფრო მეტს, ვიდრე A და B ტექსტები; ეს გასაგებია: იგი ერთერთი პირველ ცდათაგანია იალღუზიძისა ან მისი, ვინც არის მისი დამწერი. უოველ შემთხვევაში, თუ ოსურს ჰქონდა უფრო ძველი მწერლობა, ამ ხელნაწერს მასთან კავშირი ალბათ არ უნდა ჰქონდეს.

ერთი და იმავე სიტყვის საედასხვა სახით გადმოცემაში გაზოსკევის ცოცხალი გამოთქმა, მაგ.: ქისიღ ეხვიღ (2)—ქისიღ ლქსვიღ (7,16). მართლაც; ცოცხალ ენაში (დღესაც) გვესმის მხოლოდ ერთი ლ: სწორედ ასეთი გამოთქმაა წარმოდგენილი პირველ ნიმუშში. აგრეთვე: ხრამი (40), ხრამ (45)—ხრამ (49)=ხრამ: ჩვეულებრივ საუბარში ეს მოკლე ო ხშირად არ ისმის. მოკლე უ წარმოდგენილია სამი სხვადასხვა სახით: უნით (გურჯისტანზე, 54), ვინით (გურჯისტანზე, 9, 33; დევა, 20, 22, 40) და ვუთი (ვედი, 72; სეზნავა, 41): დღევანდელ ოსურ მწერლობაშიც უოყმანია ამ ბგერის გადმოცემაში. ფონეტიკურია adessivus ბრუნვის გადმოცემა: -იღ (2, 8, 56, 61), -ღ (33), -ელ (52, 58, 76, 79), -ულ (53); აგრეთვე genit.-ისა: -ღ (4, 5 ...), -ი (12, 22, 56...). ელიზიის ნიმუშია: ლქსვიღ < ლღუქსვიღ (26) „უოველს წელიწადს“ და ქვა < ქუქვა (38) „თუ იქნეს“; აფერეზიისა: ქირსიღ < ქიქირსიღ (54).

5. ლექსიკურად ხელნაწერში საყურადღებოა შემდეგი სიტყვები: 1) სახადიგ (27) (=სახადიგ) „თეთონ“, ამ ფორმით უცნობი; 2) ქადშიდღ (56), ქადშიდღა (=ქადშიდღა ?) „ზოგნი“ (A ტექსტში 93³ „ნუ უკეე“); ვრესიანღ (75, 7.1) = ურესიანღ gen. sing. „(რუსთ) კელმწიფე“. განსაკუთრებით აღსანიშნავია უფამა (=უფამა) „საქირა“ (11, 53, 62, 64, 72), რადგანაც ჩვეულებრივ ირონულში ეს სიტყვა იხმარება უა, უამ: ფორმით, ხოლო დიგორულში ღაჰამა.

6. აღვნიშნავ ხელნაწერის (ოსური ტექსტის) რამდენსამე შეცომას; ჩარუთა ჩარე ჩ (ბ) —უნდა იყოს, ალბათ: ჩარგითა ჩარენს „მოსახლენი არიან“, ხოლო სიტყვა სიტყვით „მცხოვრებნი ცხოვრობენ“; 2) სეჰთავ (70) —უნდა იყოს სეჰთავ „(თავიანთი) საცხოვრებელ“ (=შემოსავალი); 3) ქინგ (70) —უნდა იყოს ქინგ ზესსავან (dat sing.), რადგანაც ქართულშია „მწერლისა“ (ე. ი. წიგნის დამწერისა).

ქვემოთ ვბეჭდავთ ქართ. და ოსურს ტექსტს უცვლელად. ოსურის პირველი 22 სტრიქონი გადაღებულია ცინკოგრაფიულად. რუსულ ტექსტს არ ვბეჭდავთ, რადგანაც იგი უკვე დაბეჭდილია АКТЪ-ს I ტ., 485. გვ.

¹) გ. ახვლედიანი, სამი „ოსურში: „წელიწადული“ I, 27. გვ. (თუმცა ამ A ხელნაწერში უკვე იწყება მრჩობლ თანხმოვანთა განმარტებება, მაგ. 51, 68).

1 გვერდი

დავამტკიცებთ სასამართლო
 ოსის ოსებისათვის დამორჩილებულთ
 მყოფთ არაგვისკა და ჰატარა
 ლიანხვება ბასხეპით
 ჩვენის მისს მადლ მსვლელობის
 და სდ ბრძანებლისა და.
 შეინახონ რიგით მოყვანილნი
 და დამორჩილებულნი რაჟელის
 კანონხედ ოსები რომელი
 მოსახლენი არ იან ბრძანებითა
 არაგვისკად. და ჰატარა
 ლიანხვებად სოფელსა ვანათსა
 სასამართლო რომელ იც ერთათ
 შეურილობა აქვთ ზედა მხედველობით
 სქარათ ველოს თავადნი
 მდივანი მანუარ თუმანოვი
 და გიორგი ხერხეულიძე
 და ამათან მოხუცებულნი
 კანონი ოსებისა გან სოფლის
 წვრილიდამ ქოქოვილი
 გუმი სოფლის ელ არცვიდამ
 ყულუმბეკაშვილი დოღეთა
 სოფელსა მიმუარეთი დამ
 არბოვლის შვილი ვახე თრის
 იასულეთ ერთი ქართველი
 ხადური გიგინა შორე იკაშვილი
 როსტომ ჰატარა ლიანხვიდგან
 შუა ცხვირელი ბესთავაშვილი
 აბელა ფესა შვილი შავ ქეკა
 სოფლისა. დაღურიდგან.
 ვალიშვილი შავლე ზონერელი
 ორი იასულე ჩოჩიშვილი
 უიუ და ასამბე გაშვილი
 სიმონა და არბოს მდ

1 ნეკვარჯილამ თარხონადე ქომმა
 გასაკ არქანდ ირონ არაგვილ
 ამა ქისილ ეახვილ ჩარგითან.
 ჯერდაი ში ბარზონდ ჩვენადე
 ამა ივლ 5 ხახისდარე
 ამა ბავვარათ რასდ აღდავ ელ
 ქომმა გასაკ ირე ქანეთა
 ჩარეთა ჩარენი არაგვილ
 ამა ქისილ ლეასკ ილ
 ვეჟანი ვანათე უავე თარხონად
 ივ 10 მა ვეჟსდ სარდარ გერჯესდონე
 თავად ითა მდივანი მანუარ
 თუმანი ჯერთ ამა გიორგი
 ხერხეული ჯერთ ამა აღონიმა
 სავგინ გეიმიჩი ჯერთ გიორგი
 აღონიმა ირია ჭრეი უავი
 ქოქი ჯერთ გუს ულარსე
 უავი ევლეშეგე 15 ჯერთა
 დოღეთ ნიფარეთე უავი აღბორე
 ჯერთ ვახე. ნოკი აღონიმა
 ქისილ ლეახვიე შუა ცხვრე
 უავი ბესთავე ჯერთ აბელ.
 ფუსი ჯერთ სავქეჟ დაღული
 უავი ვალიე ჯერთ შავლე
 ად 20 ონიმა იასავლითა დეჟა
 გერჯაგ ხაღური გიგინა
 ამა ასამბეკ ჯერთ სიმონ ირანიდარ
 დეჟა იასავლი იკაჭერთ როსტომ
 ამა ჩოჩი ჯერთ უიუ. ამა ნოკი
 აღონამა თაღმაჩ ვაზდან
 აუსტრე 25 ჯერთ ნიკოლაოს
 თაღმაჩ ამა იასავლი დარ აღაზიე
 აჩე აღამე ქი ჭანდა თარხონე
 ლავთა სახადიე რავეზარანთ
 სახინიარ აი ამაიე ბიუეს
 ქანანთ დინგიერ თარხონან
 ქანე ვეჟანი გურე ქადაქი
 ამა ამ 30 ჩე თარხონე ბაქანი
 უადარი უავეა გურე თარხონგანგითან
 ბაზიანენ ქანთი ჩამაი ზედენ
 ევლდავ ნიჩე არჩავე. ამა აფთა
 თარხონ ქანუთ გერჯესდონე
 აღდავლ. რავეზარეთი ქარაჯიე
 რასდ ამა ზედენ.

გლედი გიორგი გვიმრასე და
 ახსნაურშვილი აესტროფა
 ნიკოლოზ მეენე და იასაული.
 და ეოკელს წელაწადს ხალხმა
 თითოთს გამოარჩინონ მოსამა
 რალები და გამოაცხადონ დიდ
 სამართალში და რაც აქ სამარ

35 ანუ ევლდაგ ხა სისდარე ვურდაი ქონდუ
 ამა ანე თარხონ განგითან ს-თხ ვიასუ
 ანდარ ვევე ასამ ვასდა, თარხონუ ევდ
 დატ ქვა ურდამაარ ფაჩაევედილე ამა უმ
 დარ თარხონ ბაქანჯესლე რასდაი ამა

2 გვერდი

თალი მოვიდეს და ან კადასწორეს
 უნდა გამოაცხადოთ გორის ქალაქსა
 შინა განწყესებულთ მოსამართლ
 ეს წინაშე და გარჩოთ ეოვე
 ღი სამართა ი საქართველოს
 რიგზედ საქართველოს კანონი
 სამიგორ ეს საქვე ჩვენი უფორ
 თის ბრძანებით კეთდება და
 შეუძლიათ თუ საქვე იუთს სხვა
 სოფლებშიაც წავიდნენ და ისამარ
 თღონ რომელიც ამ ორს მთარეს
 სოფლები არის იქა და დრომ
 დინ ასე უნდა იუთს და უნდა
 იმოქმედოთ როგორათაც ახალი ხა
 ღხსნი ეგრეთვე შეიჩვიოთ სიტკ
 ბო. ბით და არ შეუწყვათ უბრალოთ
 იასულები და უსამ რთლობა არე
 ის არ უყონ და ხალხი არ შეა
 აწუხონ რაც ჩივილი იუოს სიტკებ
 თებით გარჩიოთ თავთავის
 გზითა და არვის უყოთ უსამართ
 ღობა საქვე იქნებ ზოგიერთი მძ
 იე ქურდობაზე ჩხუბი მამულზე
 ეურეთვე აქლბაზე საქართველოს
 სოფლებსა რთმელნიც მოვლენ
 მთიონ რნი საქართველოს ხა
 ღხსნი და უჩივლებენ ოსებსა იმ

40 ანა ხრამი დევა არდუგაიდარ
 ამა აფთონა ეავამა აფთა ე. ამა
 ქანათ ვეველდაც ჩაშია ნეუბ ადამ
 არჩახურ ქანათ ადგინ ჯორდაი ამა
 სამ მანბაჯა... სქეთათი იასავ
 45 ღი ამა სრამ მქამან რაქანთი ამა
 ადამე მასკენკაც ქანთი. სე უას
 დატ ჯორდუ ადგინ ჯორდაიე ავეზ
 არუთ ადქი ესი დანდაგი აა მ
 ქამან ბაქანუთ ხარამ ევლდაც. აი
 50 დარ ვქანი ქადემიღუმა დინგიორ
 ამა ვაზხავ ევლდაცა კარნებ ევდ
 აგილ ხელ ქანა ზახელ ქანა ანდ
 არ ახამ ჭედ ევლდაცა. გურჯს
 დონე უვთაი ქორჩავა ესდამ
 55 ამა რა ეასდ ქან- ირია აიხვან
 ჭედ ევლდაგილ ქადემიღუ ვაჩაი
 რავი ეასდ დარვა ქანა ფოსე კა
 რნებელ ეაქამ ავლ ჩერდ ბალ
 ავეთ ვათუბ ჩევა უშია ამაე სე
 60 ხხასდ ქანათ საეასდაც ვლდაი
 დარ ვაჩარაკე ევლდაგილ ეავ
 ამა იგზარდუგაი ბაზილათ აჩაქად
 ვაზხავ ევლდაცა ა ეე მამხ ხა
 ბაჭა ააზათ რასდ ქანან ეავამე
 65 რავედისათ გურე ქალაქე მიდაც
 თარხონ განგითან ამა ქად

გუარ საქმეებზედა სოგნი ტყვე
 ზედ ინიფლებენ და ზოგნი ნაქ
 ურდალის საქონელზედ და უნდა გა
 ისარჯოთ სრულის ძალითა და შე
 უსრულოთ ამათ თავიანთი სანივ
 არი ნამეტნავთ ტყვის საქმე
 ზედ გაისარჯოთ და იქნება მძი
 მე საქმე იუთს თქვენ ვერ გა
 რჩიოთ უნდა გამოუცხადოთ გორ
 ის ქალაქსა შინა გასწესებულთ

რავაგვა ვადაი სმას სარაზუთ
 რასდ უვდაცაი სომეი აგბაგა
 ავი ანდარ ისდაი. თარხონ განგ
 71) ითან სეფიაგ ამა ქინებ ამა
 იასავლითან ფუფუაგ რაგი გვ
 რჯესდონე ქედ ვედი აყოა ნურ
 დარ ისანთ აალა კაღდაი მაჩე
 რაისანა. ამა მა სოგი ჩალ
 დარ იდდარ ირონ უავთა ვერეს
 ყანე იუზარდგადელ ან არდ სორდ
 ბაზზადესთა. სმას უაქამა უდონება
 დარ ლაგ არვეითად ამა ქვერჩა
 ვოი ვერესყანე იუზარდგებელ

3 გვერდი

მოსამართლეთა წინაშე და სხვა
 საქმე აქ გარჩიოთ ჭკეშარი
 ტის სამართლით და ფიცის.
 რიგით მოსამართლეთ საცხო
 ვრებელი ეტრეთვე იასულისა
 და მწერლისა აიღოთ ქველის
 რიგით საქართველოს კანონ
 ისამებრ და მეტს კი ნუ მოინდო
 მებთ და რამთონიშე ოსის სო
 ფლები დარჩა რომ არ მოგი
 დნენ და არ დაიფიცეს დიდე
 ბულის ექლმწიფის ერთგულთ
 ბაზედ და მორჩილობაზედ და
 თქვენ უნდა გაგზავნოთ
 მოხელეები და მოაუყანინოთ
 და დაფიცოთ და დასწეროთ იმათი
 სახელები

80 არდ ბახაროი უავამა სენ სან
 ომთა ნუჭუსსათ.

ა. შანიძე.

ხანმეტი მრავალთავი¹

ჩვენი წარსულის ისტორიისათვის უეჭველია დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღმოჩენილია ახალი ძეგლი, რომელიც არსებითად ცვლის ჩვენს წარმოდგენასა და შეხედულებას ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ უძველეს პერიოდში.

ეს ძეგლი გახლავს მრავალთავი ანუ ქრესტომათია, რომელსაც ენობრივად წნამეტობა ახასიათებს და რომელსაც მოულწევია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის 3902 ნომერ ხელნაწერში, რომელიც თავიდან ბოლომდე პალიმფსესტია, მაგრამ არა მთლიანი, არამედ შემდგარი ორი სხვადასხვა მასალისაგან. რომელთაგანაც მხოლოდ ერთი ნაწილი შეიცავს ხანმეტ ტექსტს².

1.

აღნიშნული ხელნაწერი წარმოადგენს პატარა ტანის 128 გვერდიან უჯლო წიგნს, რომელსაც აკლია თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც. იგი ერთ დროს ტყავისავე ყდაში ყოფილა, მაგრამ ამ ყდისა ახლა მხოლოდ ნაშთილაა დარჩენილი ზურგში და ნაწილობრივ უკან. თუ რამდენი აკლია ხელნაწერს ბოლოში, არ ვიცით, მაგრამ თუ რამდენი აკლია თავსა და შუაში, ამას შენახული რეველების რიცხვიდან ვტყობილობთ. როდესაც ხელნაწერისათვის ახალი პაგინაცია დაუსვამთ, მასში რვა რეველი-ღა ყოფილა, რომლებშიაც ეტრატის ფურცლები ზოგი შუაზეა გაკეცილი და ოთხ გვერდს შეიცავს, ზოგიც კი მხოლოდ ორ-გვერდიანია. ზოგი ორ-გვერდიანი ფურცლის სიგანე ოდნავ მეტია, ვიდრე ოთხგვერდიანის ერთი ნახევრისა, რადგანაც რეველში ჩასაკერებლად მათ ერთი სანტიმეტრის ოდნად შემოკეცილი აქვს ხოლმე. გაკეცის წყალობით ეტრა-

¹) მოხსენებულია „საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების“ სტომამზე V ნომერს 1922 წ.

²) აღნიშნული ხელნაწერი 1914 წ. წაღებული ჰქონია ვანსე. აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ს წ.-კითხვის საზოგადოების მუზეუმიდან. როდესაც იგი გარდაიცვალა (1912 წ.), ეს ხელნაწერი, მის მიერ ნაანდერძე ბიბლიოთეკასთან ერთად, გადასცემია ლაზარაანთ ინსტიტუტს აღმოსავლენებისას მოსკოვში. ეს ინსტიტუტი რევოლუციის შემდეგ გადაკეთდა და ნაწილი მისი კონფისა დაჭრა სამხურთი კულტურის სახლს. და ჩვენი პალიმფსესტიც იქ მოჰყვა. იგი დაუბრუნდა კუთვნილებისამებრ წ.-კითხვის საზოგადოების მუზეუმს მხოლოდ 1923 წელს.

არ ვიცით, რა ანტრეპსებდა აღ. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ს ამ ხელნაწერში—ძველი თუ ახალი ტექსტი,—არც ის ვიცით, თუ რამდენად გამოიყენა მან თავისი მიხვნებისათვის ერთი ან მეორე.

ტის მთლიანი ფურცელი ახალ წიგნში ორ-ფურცელადაა წარმოდგენილი, შუაზე გაჭრილები კი ცალფურცელად. ხელნაწერი უსწორ-მასწორადაა ჩამოჭრილი, მისი საშუალო ზომაა: ოთხგვერდიანებისა 20.5 × 16 სანტიმ., ზოგი ორგვერდიანისა კი 20.5 × 17 სანტიმ.

შენახულია შემდეგი რვეულები: ბ, დ, ე, ვ, ზ, ო, თ და ი. მაშასადამე: გვაკლია ორი რვეული: ა და გ, და ბოლოში კიდევ გაურკვეველი რიცხვი რვეულებისა. რვეულების შედგენილობა სხვადასხვანაირია. ზოგში მხოლოდ მთლიანი ეტრატის ფურცლებია, შუაზედ გაკეცილი და ოთხ-ოთხ გვერდად გაკეთებული, ზოგში კი მთლიანების ნაცვლად ნახევარ-ნახევარი ფურცლებია ერთი მეორეზე ძაფით გადაკერებული, შემდეგ გაკეცილი და ისევ ოთხ გვერდად გამოყვანილი. ერთიმეორეზე გადაკერილ ფურცელთაგან ერთი ჩვეულებრივ მეტია სიგანით. ეს ზედმეტი განი გადაკეცილია და ამ ნაკეცზე მიკერებულია ის ფურცელი, რომელიც ნაკლებია. ამიტომ ნაკერი ყოველთვის ნაკლები ფურცლის მხრიდან ჩანს. წიგნში საზოგადოდ ორ-ფურცლიანები სჭარბობს ცალ-ფურცლიანებს; სულ მთლად ორ-ფურცლიანებია სამს რვეულში: ბ (გვ. 1—16), დ (გვ. 17—32) და ო (გვ. 81—96). დანარჩენებში ყველაზე ცალფურცლები ურევია, სახელდობრ: ე (გვ. 33—48), ამ რვეულში ორი ცალფურცელია: 33/34 და 47/48; ვ (გვ. 49—64), ამაში ოთხი ცალფურცელია. წყვილ-წყვილად გადაკერებულია: 49/50 (ნაკლ.)—63/64 (მეტი) და 51/52 (მეტი)—61/62 (ნაკლები); ზ (გვ. 65—80), ამაში გადაკერებულია ერთი მეორეზე 69/70 (მეტი) და 75/76 (ნაკლები); თ (გვ. 97—112), აქ გადაკერებულია ერთი მეორეზე 97/98 (ნაკლები) და 111/112 (მეტი) და აგრეთვე 99/100 (მეტი) და 109/110 (ნაკლები); ი (გვ. 113—128), აქ გადაკერებულია: 115/116 (მეტი) და 125/126 (ნაკლები) და აგრეთვე 119/120 (მეტი) და 121/122 (ნაკლები).

რვეულები ერთიმეორეზე მსხვილი ძაფით არის გადაკინძული.

ხელნაწერი წარმოშობით სეანური უნდა იყოს, რადგანაც ერთს ახალ მიწაწერში, რომელიც წარსული საუკუნის ორმოცდაათიან წლებზე ადრინდელი არ უნდა იყოს და რომელიც ფანქრით არის შესრულებული, ქრისტეს ნაცვლად ქრისტედ იკითხება, რაიცა სეანური ფორმაა¹. სახელდობრ 47 გვერდის ქვეშ აშიაზე სწერია: „ქრისტედ იესომ შეიწყალეს ამ სახარების დამწერი ამინ“.

II.

ახალი ტექსტი ამ პალიმფსესტისა დაწერილია ლამაზი გაკრული მე-14-ე საუკუნის წესხებით, შავი მელნით. წითურები მხოლოდ სათურებშია ნახმარი. შინაარსით იგი წარმოადგენს გამოკრებილ სახარებას ერგასული (პენტაკოსტაროული) მსგეფსებისა და მომდევნო შეიდეულებისას. იწყება მეორე მსგეფსის პარასკევის საკითხავით (სხარბა იესი, თავი მა. „ჰქა ონ მოსრულთა მათ მისა მიმართ ჰურიათა: უკუეთუ მე ეწამებდე თავისა ჩემისათჳს, წამებდა ჩემი არა არს კეშმარიტ“ და შემდგომი ამისი². მარტვილის შემდეგ, რვა შეიდეუ-

1) ასეთი ფორმა სამი კილოს კუთვნილებაა: ბალს-ზემოურისა, ბალს-ქვემოურისა და ლაშურისა. მხოლოდ ლენტეხურში შეიძლება იყოს ტარიანი ფორმა: ქრისტე.

2) ამაზე წინ მხოლოდ სამი უკანასკნელი სტრიქონია დარჩენილი წინა დღის საკითხავისა.

ლის საკითხავებია მოთავსებული და ამის შემდეგ კიდევ სამი შეიდეულის საკითხავებია სრულად. ხოლო მეოთხე შეიდეულიდან არის საკითხავები კვირისა, ორშაბათისა და სამშაბათისა, სამშაბათისაუ ნაწილია მხოლოდ. იგი იწყება ასე: „სახარებაჲ მარკოზისი, თაჲ: ჟ: მას ეჲსა შინა გამოვიდა ი: ჳ და იხილა ერი მრავალი და შეეწვალნეს იგინი რ: იყენეს ე: ა ცხოვარნი, რ: ლთა არა აქუნ მწყემსი და იწყო სწავლად მათდა ფ: დ“.

III.

ძველი ტექსტის მიხედვით ხელნაწერი ორ ნაწილად იყოფა: სამი რვეული (ბ, დ, ე) ხანმეტ ძეგლს უჭირავს, ხოლო დანარჩენი ხუთი რვეული (ვ, ზ, ც, თ, ი) ასიმილატიის დროინდელ ტექსტებს შეიცავს. რომ ჩვენამდე მოვლწია პირველსა (ა) და მესამე (გ) რვეულს ხელნაწერისას, მაშინ ხანმეტი ტექსტი მეტი გვექნებოდა, რადგანაც ამ ორ დაკარგულ რვეულთა პირვანდელი ტექსტი შეკველია ხანმეტი იყო, ახლა კი ხანმეტი ტექსტი მხოლოდ სამი რვეულითაა წარმოდგენილი, რომელთაგანაც ორი (ბ და დ) გაცხოველებულია ქიმიური საშუალებით უნივერსიტეტის ფარმაკიისა და ფარმაკოგნოზიის ლაბორატორიაში¹, ხოლო მესამე რვეული (ე) ქიმიურად ხელუხლებელია, რადგანაც ეს ნაწილი გაუცხოველებლადაც რიგიანად იკითხება.

გაცხოველების მიზნით და აგრეთვე იმისთვისაც, რომ ყველა სტრიქონის ამოკითხვის საშუალება მქონოდა, ხანმეტი ნაწილი გამოვეყავ ხელნაწერის დანარჩენი ნაწილიდან და ცალკე-ცალკე ფურცლებად დაეშალე, ხოლო დანარჩენი ხელუხლებელი დაეტოვე. ხანმეტ ნაწილზე სპეციალურად ქვემოთ იქნება საუბარი, ჯერ კი მეორე ნაწილის ტექსტზე შევჩერდეთ ორიოდ სიტყვით.

IV.

მეორე ნაწილი ძველი ტექსტისა დაწერილია როგორც მრგვლოვანი, ისე კუთხოვანი ასოებით, მაგრამ ისე, რომ მრგვლოვანი სკარბობს. სკარბობს კი არა, შეიძლება ითქვას, რომ იგი თითქმის მთლად მრგვლოვანი ხელითაა დაწერილი, ეინაიდან კუთხოვანი აქა-იქ არის გარეული, სხვათა შორის. სათაურებში წითელი მელანია ნახმარი, ისე კი მთელი წიგნი ჩვეულებრივ შავი მელნითაა დაწერილი.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით ეს ძველი შეიძლება დაახლოვებით მეათე საუკუნის პირველი ნახევრით განესაზღვროთ, რაზედაც უმთავრესად კუთხოვანი ასოების მოყვანილობა მიგვიჩივებს.

ხელნაწერი, სანამ ის დაიხეოდა და შემდეგში მეორედ იქნებოდა გამოყენებული, საკმაოდ დიდი ზომისა ყოფილა. თვითველ გვერდზე ოროლი სვეტი ყოფილა მოთავსებული. მთელი გვერდის სიგანე დაახლოვებით 27 სანტიმეტრი უნდა ყოფილიყო. სიმაღლე კი 35 მაინც იქნებოდა, რადგანაც ზემო და ქვემო აშვიების ნაწილის ჩამოჭრის შემდეგ ახლა 32 სანტიმეტრია დარჩენილი. გვერდზე ოროლი სვეტია მოთავსებული. თვითველი სვეტის სიგანე საშუალოდ 9.5

¹) პროფ. იოველ ქუთათელაძეს კვლავ დიდი მადლობა დანმარებისათვის.

სანტიმეტრია. ისეთი მთლიანი გვერდი, რომ სიმაღლის მიმართულებით სტრიქონები არ იყოს ჩამოჭრილი და ამით სტრიქონთა რიცხვის რაოდენობის გამორკვევა შესაძლებელი იყოს, მხოლოდ ოთხი მონაწილე (53/54—59/60, 67/68.—77/78, 71/72—73/74, 113/114—127/128), ამათაგან სამზე თვითეულ სვეტში 25 სტრიქონია, ერთზე კი 24. ამ ოთხ ფურცელზე ახალი ტექსტი ძველის გარდობად გამოა დაწერილი¹. ამ ფურცლებზე ძველ ტექსტს ჩამოჭრილი აქვს ერთ-ერთი სვეტი, მარჯვენა ან მარცხენა, მაგრამ სტრიქონი ყველა შენახული. რაიცა შეეხება დანარჩენ ფურცლებს, მათ ჩამოჭრილი აქვს სამი მხრიდან და ძველი ხელნაწერის ფურცლები, ჩამოჭრის საშუალებით, დაყვანილია ახალი წიგნის საკირო ზომაზე და დაწერილია ზედ ახალი სტრიქონები არა ძველის გარდობად, არამედ იმავე მიმართულებით, როგორც ძველი ტექსტისა. ოლონდ უმეტეს შემთხვევებში მობრუნებით, მაგრამ აქ რამოდენიმე სტრიქონი ჩამოჭრილია (ზემოთ ან ქვემოთ, ან კიდევ ორივე მხრიდან) და, ამასთანავე ერთად, ჩამოჭრის წყალობით დაზიანებულია აგრეთვე ერთ-ერთი სვეტი.

შინაარსის მხრივ ძველი ტექსტი ამ ნაწილისა არის „კანონი წელიწადისა წესისაებრ წლისა ქალაქისა იერუსალმისა“, ანუ იერუსალიმის ტიბიკონი (საქითხავებითურთ). აქ გვხვდება განგება ნოემბერ-დეკემბერ-იანვრისა. სხვათაშორის იანვრის ერთ-ერთ დღეს (ალბათ მერვეს) დადებულია ხსენება არჩილ მ(ტვისა).

ენა ამ ძეგლისა დაწერილია იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც არსებობდა მეცხრე საუკუნის მოყოლებიდან და მუათე საუკუნეში: სხვათაშორის სუბიექტის მაჩვენებელი მეორე პირისა და ობიექტის ნიშანი მესამე პირისა დაკარგულია ხმოვნების წინ, ხოლო ცვლილია დედის ბგერების წინ.

ორთოგრაფიულ თავისებურებათაგან შეიძლება დავასახელოთ ორი რამ: ორი თანაბარი ხმოვნის ნაცვლად ერთის დაწერა (ჰჰო გვ. 99 = ჰჰოო; ეკლესისა გვ. 100 = ეკლესისისა) და უბრჯგუს გამოსახატავად ეინის ხმარება (თქვა გვ. 100; უკე გვ. 62, უკეთუმცა გვ. 98). უკანასკნელი გარემოება იმდენად არაჩვეულებრივია ძველი დროისათვის, რომ, სხვა ნიშნები რომ არა, შეიძლებოდა ძველის გადაწერის დრო ძალიან წამოგვეწია ჩვენი დროისაკენ.

V.

ხანმეტი ტექსტი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამ რვეულზეა მოქცეული (გვ. 1—18). ამათგან პირველი და მეორე რვეული (ბ და დ) ერთ-ერთი მთლიანი ფურცლებისაგან არის შემდგარი. ხოლო მესამე (ე) რვეულის გარეთა ფურცელი შემდგარია ორის შუა-შუაზე გაჭრილი ფურცლისაგან, რომლებიც ერთი-მეორეზე იყო გადაკერებული.

ეს სამი რვეული დაეშალე. გაეცილი ფურცლები გაგმართე და თვითეულ ფურცელს თავ-თავისი ნომერი დაუსვი. პირველმა რვეულმა, ამგვარად, ხანმეტი ტექსტისათვის ოთხი ფურცელი მოგვცა, სახელდობრ, ფურცლები I, II, III და IV

¹) გარდობად გამოა აგრეთვე რამოდენსამე ჩამონაკერ და ერთმანეთზე გადაკერებულ ფურცლებზე.

(გვ. 1/2—15/16, 3/4—13/14, 5/6—11/12 და 7/8—9/10). მეორე რვეულმაც ოთხი ფურცელი მოგვცა: V, VI, VII და VIII (გვ. 17/18—31/32, 19/20—29/30, 21/22—27/28 და 23/24—25/26). მესამე რვეულში კი ხუთი ფურცელი აღმოჩნდა, რომელთაგანაც ორი ნახევარ-ნახევარია ძველი ტექსტისთვის და სამი მთლიანი. სახელდობრ: IXa (33/34), რომელიც გადაკერებული იყო IXb-ზედ (47/48), X (35/36—45/46), XI (37/38—43/44) და XII (39/40—41/42). გადაკერებული ფურცლები (IXa და IXb) ხელდასხვანაირადაა გადაჭრილი: ერთს წაჭრილი აქვს ზემო-ნაწილი და დარჩენილია ქვემო, ხოლო მეორეს ჩამოჭრილი აქვს ქვემო ნაწილი და დატოვებულია ზემო. ეს ორი ფურცელი ცალი გვერდითაც არის ჩამოჭრილი და ბოლო ასოები აკლია.

გვერდით ჩამოჭრილი სხვა ფურცლებიცაა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ გვერდით მხარეს თვითვეული მათგანი ცოტაა ჩამოჭრილი, სამ-ოთხ ასოზე მეტი არ არის ჩამონაკერზე გატანებული, ისე რომ დაკარგული ტექსტის აღდგენა არც ისე ძნელი საქმეა. გვერდზე ფურცლების ჩამოჭრა იმით არის გამოწვეული, რომ ძველი ხელნაწერის ფურცლებს, გაკეცის გამო, ვანი სიმაღლედ მოუფიქრა ახალ ხელნაწერში, მაგრამ იგი მაინც დიდი გამოსულა და იძულებულნი გამხდარან. გვერდები ჩამოეკრათ. ჩამოჭრილია ფურცლის ორივე მხარე, მარჯვენაც და მარცხენაც, მაგრამ სკარბობს ან ერთი, ან მეორე. ასეთი ჩამოჭრის დროს ჩვეულებრივია პირველი სვეტის ინიციალების გადაკვეთა ან თითქმის სრულებით მოკვეთა მათი. გვერდის ჩამოჭრილ ფურცელთაგან განსაკუთრებით უნდა დავასახელოთ: VI, IX (a და b), X, XII. რა თქმა უნდა, ზემო და ქვემო აწივები ნაწილობრივ ყველას აქვს ჩამოჭრილი, მაგრამ ამას ჩვენთვის მაკდენი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამ მხრივ ტექსტი არაა დაზიანებული.

ახალი ტექსტი ყველა ფურცელზე ძველი ტექსტის გარდი-გარდმოა დაწერილი, გარდა მერვე ფურცლისა (VIII), რომელზედაც ძველი და ახალი ტექსტის სტრიქონები ერთი მიმართულებით არის. ეს კია ოლონდ, რომ ახალი ტექსტისათვის ეს ფურცელი მაინც შებრუნებულია და ძველი ტექსტი რომ წაიკითხოთ, ახალი უკულმა უნდა დაიკვიროთ. ეს ერთი ფურცელი გამონაკლისს წარმოადგენს იმ მხრითაც, რომ იგი ერთად-ერთია, რომელიც შეიცავს არა ორ გვერდს ხან-მეტი ტექსტისას, როგორც დანარჩენი ფურცლები, არამედ ოთხს, რადგანაც იგი ძველი ხელნაწერის ორფურცელაა, რომლისთვისაც ჩამოუჭრიათ როგორც სიმაღლე (ზემოდან და ქვემოდანაც), ისე აგრეთვე სიგანაც (გარეთა აწივებისაკენ) და ძველი ხელნაწერის დიდი ფურცელი ასეთი ირგვლივი შემოჭრით დაუშატარავებიათ და დაუყვანიათ ახალი ხელნაწერის ზომამდე. ამის წყალობით მას ზემოდან სრულებით გარდაკვეთილი აქვს პირველი სტრიქონი, ხოლო მეორე სტრიქონისა ზოგიერთი ასოს ბოლოებიდა გადაარჩენილა. ქვემოთ კი სრულებამდ ჩამოჭრილია ორი სტრიქონი, ასე რომ 22 სტრიქონიდან უფნებლად გადარჩენილა თვრამეტი სტრიქონი (3—20). სიმაღლის მხრივ ჩამოჭრილია ორივე სვეტი, მაგრამ ამ ფურცელს კიდევ განზედაც აქვს კარგა ბლომად ჩამოჭრილი, და-ახლოვებით ორი მესამედი სვეტისა, რის გამოც ძალზე დაზიანებულია recto-ის მარჯვენა და verso-ის მარცხენა სვეტი.

რადგანაც მერვე (VIII) ფურცელი არსებითად ძველი ხელნაწერისათვის ორი ფურცელია, და რადგანაც მეცხრე ფურცელი (IX) ორი სხვადასხვა ფურცლისაგანაა შედგენილი, ამიტომ ახალი ხელნაწერის სამს რვეულში მოგვეკოვება სულ არა თორმეტი, არამედ თოთხმეტი ფურცელი ხანმეტი ხელნაწერისა: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII a, VIII b, IX a, IX b, X, XI, XII.

ზომა მრავალთავის ფურცლებისა¹ დღეს არის საშუალოდ 31,5 × 20 სანტ.; თავის ღრობზე კი იგი უნდა ყოფილიყო დაახლოვებით 33 × 26. თვითველ გვერდზე ორობი სვეტია, სვეტში კი 22 სტრიქონი. ქვემო აშოები ხელნაწერს ფართე ჰქონებია დატოვებული: ამ უამად ზოგიერთი ქვემო აშოის ზომა 6 სანტიმეტრია. მარტო ტექსტს უჭირავს სიმაღლით 23 სანტ. და სიგანით 19 სანტ. (საშუალოდ).

ორს ფურცელზე შენახულია ძველი რვეულის აღმნიშვნელი ნიშნები, საიდანაც ვტყობილობთ, რომ ერთი მათგანი (ფურც. IV) მეათე რვეულისა ყოფილა, მეორე კი (ფურც. V) მეოცისა, რადგანაც ერთს თავში უხის ი, მეორეს კი კ. ამას გარდა ერთ ფურცელს (I) რაღაც ნიშნები აქვს თავზე, რომლებიც რვეულის აღმნიშვნელი თითქო არ უნდა იყოს, რადგანაც გამოყვანილია წყვილ წყვილი ასოები ქარაგმებით: კდ იე (ან იგ, ან კიდე იე), რომლებიც ერთ-ერთისაგან ერთ-ნახევარი სანტიმეტრითაა დაშორებული.

შენახული ფურცლები ამოვლელია ხელნაწერიდან უფრო აქა-იქ, ვიდრე ერთი-მეორის მიყოლებით, როგორც ამას შინაარსის განხილვა გვიჩვენებს. ერთი-მეორის მიყოლებით მხოლოდ რამოდენიმე მოიპოვება, სახელდობრ შინაარსი ამტკიცებს, რომ ძველ ხელნაწერში X's უშუალოდ XII მოსდევდა და III's კი II და ამას VIII. ეს უკანასკნელი ფურცელი ახალ ხელნაწერში რვეულის შუაშია მოხვედრილი, მაგრამ ძველადაც მას შუა ადგილი უნდა სჭეროდა რვეულში, რადგანაც ზედ გაბმული ხანმეტი ტექსტია მოთავსებული.

VI.

შინაარსით ჩვენი ძველი წარმოადგენს მრავალთავს. რომელშიაც მოთავსებულია ნაწყვეტები შემდეგ თხზულებათაგან:

1. იოანე ოქროპირის შობისათვის (გვ. 1—4, ფ. X, XII)
 2. მისივე ნათლისღებისათვის (გვ. 5—7, ფ. VII, IV r)
 3. ივლიანე ეპისკოპოსის ნათლისღებისათვის (გვ. 8, ფ. IV v)
 4. იოანე ოქროპირის ბზობისათვის (გვ. 9, 10, ფ. IX b)
 5. ვესუჟი ხუცის მკედართა აღდგომისა და საშჯელისათვის (გვ. 11, ფ. III r)
 6. იოანე ოქროპირის ფარისეველთა შურისათვის. (საკითხავი დიდ ოთხშაბათს?) (გვ. 11—17, ფფ. III, II, VIII a, VIII b r.)
 7. მისივე სხვა სიტყვა დიდი ოთხშაბათისათვის (გვ. 18, ფ. VIII b. v.)
 8. მისივე საკითხავნი დიდისა ხუთშაბათისანი (გვ. 19, 20, ფ. XI)
- მთლიანად არც ერთი დასახელებული შრომა არ შენახულა, არამედ ყველა ფრაგმენტარული სახით არის მოღწეული. სახელდობრ:

¹ ნახევრად გაპრილისა (IX a, IX b) და სანახევროდ შემოპრილი (VIII a და VIII b) ფურცლების გამოკლებათ.

1. იოანე ოქროპირის საშობაო სიტყვისა მოღწეულია მხოლოდ ბოლო. სადაც ზიარების შესახებაა საუბარი. ამ ნაწყვეტს სრული ორი ფურცელი (X, XII, გვ. 1—4) უჭირავს, რომელთაგანაც პირველს მეორე უშუალოდ მოსდევდა ძველს ხელნაწერს და სადაც ახლა თითქმის ყველაფერი კარგად იკითხება, რის გამოც კარგა მოზრდილ გაბმულ ტექსტს გვაძლევს. აღვნიშნოთ უნდა ოღონდ ისიც, რომ ეს ტექსტი თავდება მეოთხე გვერდის მეორე სვეტის მეჩვიდმეტე სტრიქონზე და შემდეგ ხუთი სტრიქონი ამ სვეტისა (18—22) თავისუფალია. ყოველ შემთხვევაში ახლა აღარაფერი ჩანს და, თუ ოდესმე რამე ეწერა, ეწერა ალბათ ახალი თხზულების სათაური სინგურით, რომელიც შემდეგ გადარეცხის დროს სრულებით გადასულა.

2. იოანე ოქროპირისავე სანათლისგებო სიტყვისა შენახულია აგრეთვე ბოლო. ამ ნაწყვეტს უჭირავს ერთი ფურცელი სრულად (ფ. VII, გვ. 5, 6) და მეორე (IV) ფურცელზე პირველი (7) გვერდის მარცხენა სვეტი სრულად და მარჯვენისა თხუთმეტი სტრიქონი. მაგრამ ამ ორ ფურცელს შორის ხარვეზია: უნდა გვაკლდეს აქ ერთი ფურცელი. ასე რომ ამ სიტყვისა: ორი ნაწყვეტია მოღწეული.

3. ივლიანე ტაბია ქალაქის ეპისკოპოსის სიტყვისა დასაწყისია შენახული¹. ამ ნაწყვეტს სრული ერთი გვერდი უჭირავს (ფ. IVv, გვ. 8), ხოლო სათაური მას მთლად წინა გვერდზე უნდა ჰქონებოდა, იოანე ოქროპირის სიტყვის შემდეგ. მაგრამ ის ადგილი, სადაც სათაური უნდა წერებულყო (მე-7-ე გვერდის მეორე სვეტის უკანასკნელი შვიდი სტრიქონი: 16—22) ამ ეამად სულ ცარიელია. ალბათ სათაური სინგურით იყო დაწერილი და გადარეცხის დროს სულ მთლად გადავიდა.

4. იოანე ოქროპირის ბზობას წარმოთქმული სიტყვიდან ერთი ადგილია მოღწეული და ისიც არა მთლიანად, არამედ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ვინაიდან ის ერთი ფურცელი, რომელიც მას უჭირავს (ფ. IX b, გვ. 9, 10) ჩამოჭრილია უსწორმასწოროდ მეცამეტე სტრიქონს ქვემოთ. ჩამოჭრის გამო მეცამეტე სტრიქონი დაზიანებულია ნაწილობრივ.

5. ევსუქი იერუსალიმელი ხუცის სიტყვისა შენახულია მხოლოდ მცირე-ოდენი ნაწყვეტი ბოლოს. მას უჭირავს სრული ერთი სვეტი და მეორე სვეტისა სამი სტრიქონი (ფ. III r, გვ. 11).

6. ყველაზე უფრო ვრცლად მოღწეულია იოანე ოქროპირის სიტყვა „ფარისეველთა შურისათვის“, რომლისაგანაც შენახულია თავი და ბოლო და აკლია შუა ნაწილი. მისი სათაური იწყება III ფურცლის პირველი (11) გვერდის მეორე სვეტის მეოთხე სტრიქონზე. აქ ღღეს აღარ იკითხება დასაწყისი „სიტყვაჲ“, რომელიც ალბათ სინგურით იყო დაწერილი და გადარეცხის დროს მი-

¹) ეს სიტყვა ივლიანე ეპისკოპოსისა მთლად არის გამოცემული პროფ. კ. ქუკელიძის მიერ პარხალის მრავალთავის მიხედვით (კომენი. I, 10—15) გამოცემული ფიქრობს, რომ ამ თხზულებას „დოქტორული ტენდენცია აქვს: მას უნდა დაამტკიცოს, რომ იესო ქრისტე იყო არა ღმერთი მარტო, არამედ კაცო, და მან „ეორცნი შეისხნა; დაწერილი უნდა იყოს ქალკედონის კრების შემდეგ, მებუთე-მეექვსე საუკუნეში“ (კომენი. ტ. I, გვ. XL; ქართ. ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 602).

სი კვალი გაქრა. სათაურის დანარჩენი ნაწილი ალბათ შეად იყო დაწერილი და ამიტომ მოლწვეულიაა. თვით სიტყვა იწყება იმავე სვეტის მეთხუთმეტე სტრიქონზე და გადადის მეორე (12) გვერდზე, სადაც ბევრი რამ, სამწუხაროდ, აღარ იკითხება ახლა. ამის შემდეგ სიტყვა გაწყვეტილია რამოდენიმე ფურცლის უქონლობის გამო. ბოლო კი მოთავსებულია სრულ ორ ფურცელზე (II, VIII a, გვ. 13—16). მესამე (VIII b) ფურცლის პირველ (17) გვერდზე კი პირველი სვეტი მთლად მას უქირავს, ხოლო მეორე სვეტისა მხოლოდ 13 სტრიქონი. ამგვარად ამ სიტყვის ორსავე ნაწყვეტს უქირავს საერთოდ ექვს გვერდზე ცოტა მეტი. მაგრამ ბევრ ადგილას იგი აღარ იკითხება კარგად და ისეთ მთლიან ტექსტს არ გვაძლევს, როგორც ამავე ავტორის საშობაო სიტყვა. სწორედ ამ თხზულების ნაწილია მოთავსებული იმ ძველ ორფურცელაზე (VIII a და VIII b, გვ. 15—17) რომელიც ირგვლივ ჩამოუჭრიათ და საშინლად დაუზიანებიათ ტექსტი, რადგანაც მთელი სტრიქონებია ჩამოჭრილი ან სვეტები გადაკეთილი.

ამ ორი ფურცლის ტექსტის წაკითხვის საქმე ყველაზე უფრო მალონებდა თავდაპირველად, მაგრამ ჩამოჭრილი ადგილების აღდგენა ადვილი საქმე შეიქმნა იმის წყალობით, რომ იგივე ტექსტი აღმოჩნდა უდაბნოს მრავალთავში, რომელშიც, გიორგი შთაწმინდის თქმისა არ იყოს, „ღიად კელი აღმოპყრა“.

7. იოანე ოქროპირის საღიღოთშაბათო სიტყვისა (იოანეს სახარების XI, 47-48 მუხლების შესახებ) მხოლოდ დასაწყისია შენახული, რომელსაც მხოლოდ ერთი გვერდი უქირავს (VIII b. verso, გვ. 18). ოღონდ მისი სათაური წინა გვერდზე უნდა იწყებოდეს, სახელდობრ VIII b recto-ს (გვ. 17) მეორე სვეტის მეოთხმეტე სტრიქონზე და გადადიოდეს verso-ზე (გვ. 18), სადაც კიდევ პირველი სამი სტრიქონი უნდა ექიროს პირველ სვეტში. მაგრამ პირველ (17) გვერდზე ჩამოჭრისაგან გადაჩენილ ნაწილზე აღარაფერი ჩანს იმ საერთო მოვლენის გამო, რომ სინგურით დაწერილი საზოგადოდ აღარსად შენახულა, ხოლო მეორე (18) გვერდზე ვადმოსული სათაურის ნაწილი სულ მთლად ჩამონაქერს გაჰყოლია. ამ გვერდის დაზიანებული ადგილების აღდგენა იმავე უდაბნოს მრავალთავის დახმარებით მოხერხდა.

8. იოანე ოქროპირის დიდი ხუთშაბათის საკითხავიდან, რომელიც სერობაზე ფერხთა ბანის ამბავს შეეხება, მოლწვეულია ნაწყვეტი შუა ადგილიდან. მას უქირავს სრული ერთი ფურცელი (ფ. XI, გვ. 19, 20).

უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, ჩვენს ძველში მხოლოდ ეპისკოპოსად იწოდება (11b 5). საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად მისია ყველა ეს თხზულებანი, თუ არა, ეს ისტორიულ-ლიტერატურული კვლევის საგანია. ჩვენთვის კი აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ისინი ოქროპირს მიეწერება, ოქროპირის სახელითაა ცნობილი ხელნაწერთა ტრადიციით. ეგვევ ითქმის იერუსალიმელი ევსუქი ხუცისა და იელიანე ტამია ქალაქის ეპისკოპოსის თხზულებათა შესახებაც. უკანასკნელი საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი არც კი ყოფილა სრულებით¹.

¹) პროფ. კ. კეკელიძე, კიბენი. ტ. I, გვ. XL; ქართ. ლიტერატ. ისტორია. I, 622.

მაგრამ ზემორე ჩამოთვლილთ გარდა ხანმეტ მრავალთაეში კიდევ მოიპოვება ოთხი ნაწევრი, რომელთა შესახებაც ჯერჯერობით ვერ გამომორკვევია, თუ ვის ეკუთვნის.

9. ერთ მათგანში (ფ. I, გვ. 21, 22) საუბარია უბიწოებისა და სამების განუყოფლობის შესახებ.

10. მეორე (ფ. V, გვ. 23, 24) უნდა იყოს ნაწევრი ხარების სიტყვიდან, სადაც ელისაბედის მიერ მარიამის მოკითხვასა და ზაქარიას დადუმებაზეა საუბარი. ან შეიძლება იგი იყოს სიტყვა იოანე ნათლისმცემლის შესახებ, ვინაიდან ბოლოს იკითხება: „და ვ'რ გამოკდა უდაბნოასაგან“.

11. ერთი (ფ. VI, გვ. 25, 26) ნაწევრი უნდა იყოს ბზობის სიტყვიდან.

12. უკანასკნელის შესახებ (ფ. IX a, გვ. 27, 28) ჯერჯერობით არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, თუ რომელი გვერდია recto და რომელი verso. შეიძლება იგი იყოს სიტყვა „მეძვისა და ფარისეველისათვის“, რადგანაც შიგ ნათქვამია: „ამბოგის ბუყოფდა ფერკთა და თმითა თვისითა წარხოცდა“ (ლუკა 7, 38).

ამ ოთხ ფურცელთაგან (ფ. I, V, VI, IX a, გვ. 21—28) ორის ტექსტი (ფ. I, VI, გვ. 21, 22, 25, 26) თითქო ერთი და იმავე თხზულების ნაწევრებია.

დავანებოთ თავი გამოურკვეველ თხზულებათ და მიუბრუნდეთ გამორკვეულებს. აქ ჩვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა ის გარემოება იპყრობს, რომ რვა ნაწარმოებთაგან ექვსი იოანე ოქროპირისაა, ხოლო თითო-თითო იელიანე ეპისკოპოსისა და ევსუქი ხუცისა. აქედან ცხადია, თუ რამდენად სქარბობს იოანე ოქროპირის თხზულებანი სხვებისას. მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ მოღწეულ ფრაგმენტებს. ხანმეტი მრავალთაევი რომ თავისი პირვანდელი სახით შენახულიყო, ვინ იცის, თუ როგორი შეფარდება იქნებოდა სხვადასხვა ავტორის თხზულებათა შორის. იმის თქმა ახლაც შეიძლება, რომ იოანე ოქროპირი სხვებზე უფრო მეტად იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ ალბათ არა ისეთი სიჭარბით. როგორც ჩვენამდე მოღწეულ ფურცლებშია. საფიქრებელია, რომ დასახელებულ მწერლებს გარდა, ჩვენს ძეგლში მოთავსებული იქნებოდა აგრეთვე თხზულებანი ათანასე ალექსანდრიელისა, ბასილი დიდისა, გრიგოლ ლეისმეტყველისა, გრიგოლ ნოსელისა, ეფრემ ასურისა, მელეტი ანტიოქელისა, კირილე ალექსანდრიელისა, კირილე იერუსალიმელისა და სხვებისა.

VII.

მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებო აი რა გარემოებაა: ზოგი ზემორე ჩამოთვლილ თხზულებათაგანი მერმინდელ ხელნაწერებშია შენახული და სწორედ იმავე რედაქციით, როგორც ჩვენამდე მოღწეულ ხანმეტ ძეგლში. განსხვავება, რა თქმა უნდა, მოიპოვება, მაგრამ იგი ერთი რედაქციის სხვადასხვა კოპიოებს შორის არსებულ ვარიანტებზე შორის არ მიდის. უმთავრესი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ხანმეტობის ნიშნები ჩამოშორებულია მერმინდელ ხელნაწერებში. ეს ხელნაწერებია ცნობილი მრავალთაეები: გურიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსი (=B, ტფ. უნივ. სიძველეთა მუზეუმის № 1109), სვანური (=C, სიძვ. მუზ. № 19) და პარხალისა (=D, სიძვ. მუზ. № 95). კიდევ მეტი: ორი თხზულება ერთსა და იმავე საგანზე, სახელდობრ იოანე ოქროპირისა და იელი-

ანე ეპისკოპოსის „ნათლისღებისათვის“ მოიპოვება ერთს მეცამეტე საუკუნის მეტაფრასშიც კი (=E, სიძვ. მუხ. № 90). მერმინდელ მრავალთავეში დასული ტექსტის განხილვა და ხანმეტთან შედარება გვარწმუნებს, რომ ისინი ყველანი ხანმეტი (A) ტექსტიდან მომდინარეობენ.

თუ რამდენად ახლო დგას მერმინდელ ხელნაწერებში დასული კოპიები ჩვენს ხანმეტ ტექსტთან. ამას მკითხველი დაინახავს ამ ნაშრომის ბოლოს დამატებად დართული შესადარებელი მასალებიდან. აქ კი საკმარისია შევნიშნოთ რომ, თუ მერვე (VIII a და VIII b) ფურცლის (გვ. 15—18) ჩამოკრილი ადგილების აღდგენა მოხერხდა, მოხერხდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ უდაბნოს მრავალთავემა შემოგვინახა იგივე ადგილი დაუზიანებლად, თუ დაზიანებდა არ ჩვეთვლით მარტოოდენ ხანმეტობის ნიშნების განდევნას. პირდაპირ სასიამოვნო იყო დაზიანებული ტექსტის აღდგენის პროცესი, როდესაც გარდაკვეთილი სვეტებისა და სტრიქონებიდან დამრჩალ სიტყვებსა და ასოებს ამ მერმინდელი გადაწერის მეოხებით დანაკლისი აღუდგებოდა, წინადადება წინადადებაზე თანდათანობით გაიმართებოდა და ბნელით მოცული ნაწყვეტები განათლებოდა და გააზიანდებოდა ხოლმე.

კიდევ ერთი გარემოება. სანათლისღებო სიტყვები იოანე ოქროპირისა და იელიანე ეპისკოპოსისა ხანმეტ მრავალთავეში ისეა მოთავსებული, რომ თავდება ოქროპირისა და უშუალოდ მოსდევს იელიანესი. საყურადღებო აქ ის არი, რომ სწორედ ასეთი მათი თანამიმდევრობა ორ მერმინდელ მრავალთავეში (C, D) და, ასე გაშინჯეთ, მეტაფრასშიაც კი (E)! თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ ხანმეტ მრავალთავეში იოანე ოქროპირის სადიდოთხშაბათო საკითხავს („ფარისეველთა შურისათვის“) უშუალოდ მოსდევს მისივე მეორე საკითხავი დიდოთხშაბათსავე, და რომ სწორედ ამ გვარადვეა უდაბნოს (B) მრავალთავეშიც, მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება ერთი დიდი ამბავი, სახელდობრ ისა, რომ მერმინდელ ხელნაწერებში ჩვენ შენახული გექონია ბევრი ძველი მასალა და, თუ რომ წიგნი კრებულია, ხშირად თხზულებათა ისეთივე თანამიმდევრობით, როგორც ძველად უნდა ყოფილიყო¹.

ხანმეტ ძველთაგან აქამომდე მხოლოდ ბიბლიის ნაწყვეტები იყო ცნობილი და აგრეთვე ერთი აპოკრიფული ნაწყვეტი, რომლებიც გამოქვეყნებულია პროფ.

¹) სხვათა შორის ერთ ასეთ ძველად ნათარგმნ თხზულებად უნდა ვიცნათ „პოენაჲ პარტიონისა ჯუარისაჲ“, რომელიც რამდენიმე მრავალთავეთაგან არის ცნობილი და რომელსაც უდაბნოს მრავალთავეში (გვ. 32 v¹) ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი შემოუნახავს: „რ ხაქე მამის მამამან ჩემმან ამცნო მამასა ჩემსა შიმონს და პქა, და მამამან ჩემმან მე მამცნო და მრქუა: ეერძალე, შეილო, რ რქეს ძიებაჲ იყოს ძელისაჲ მის, რლსა ზა შშია ჯ რს ეცუა, რლსა პრქვან ქე, გამოუჩინე იგი პირველ, მე გუემადმდე შენდა. რ არლარა ჰებრათა ნაშობი შეფობებს, ად მიეოთვან მათი მეფობაჲ იყოს, რლნი ჯუარცმელსა ქესა თყნს სცემდენ“. ამ ნაწყვეტში, მართალია. ხანმეტობისა ან ჰემეტობის ყვალი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ შიმონ (=სიმონ) და შშია (=შშია, მესია) ასურული ფორმებია, რომელთაც სომხეთზე უნდა გამოველოს და რომლებიც უპეკელია. ძველი ლიტერატურული გზების მაჩვენებელია.

ი. ვ. ჯავახიშვილის მიერ¹. ესლა კი მოგვეპოვა სხვა ხასიათის ძეგლიც, სახელდობრ მრავალთავე, რაიცა მომასწავებელია იმისა, რომ ხანმეტი ლიტერატურა თავის დროზე საკმაოდ მრავალფეროვანი და თანაც დიდი მოცულობისა უნდა ყოფილიყო. მართლაც და თვით ფაქტი ხანმეტი მრავალთავეს არსებობისა თავის თავად გულისხმობს მრავალ ჰომილეთიკურ და აგიოგრაფიულ თხზულებათა არსებობას იმ დროს. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ საქრესტომათიო მასალა უნდა არსებულიყო მრავალთავეს გარეშეც, მისგან დამოუკიდებლივ. ეს კი ბევრ რასმე გვეუბნება. უპირველეს ყოვლისა იმას, რომ მეცხრე საუკუნემდე არსებული ლიტერატურის ზოგიერთი დარგი (ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ჰომილეთიკა, აგიოგრაფია და სხვ.) უკვე საკმაოდ განვითარებული ყოფილა ქართულ ენაზე.

VIII.

რას გვეუბნება პალეოგრაფიული შესწავლა ხანმეტი მრავალთავეისა?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლის ყველა მოღწეული ფურცელი ერთისა და იმავე პირის დაწერილი როდი უნდა იყოს, არამედ ორისა, ევნიდან ერთი ფურცლის ხელი ოდნავ განსხვავებულია დანარჩენი ფურცლების ხელისაგან. ეს ის ფურცელია (V, გვ. 23, 24), რომელზედაც მარიამის მიერ ელისაბედის მოკითხვის ამბავია მოთხრობილი და რომელიც უფრო მომალლო ასოებითაა დაწერილი, ვიდრე დანარჩენები. ორივე მწერალი კარგი კალიგრაფები ყოფილან და ხელი მეტად მოქნილი და მშვენიერად გაეარჯიშებული ჰქონიათ ასოების კობტად და თანაზომიერად გამოყვანისათვის. ლამაზი მრგვალი ასოები აქაც და იქაც მჭიდროდ არის მიწყობილი ერთმანეთზე.

ასოების საშუალი სიმაღლე ნახევარი სანტიმეტრია და განიც ამის შესაფერი. მაგრამ ზოგიერთ (ა, დ, თ) ასოს განი სიმაღლეზე მეტიც აქვს. ბოლო-ჩამოშვებული (ჟ, ფ, ქ, ყ, წ, კ) ასოების სიმაღლე 8 მილიმეტრამდე და თითქმის ცხრამდეც აღის. მაგრამ თუ ავიღებთ ინიციალებს, ანუ ასო-მთავრულებს (ე. ი. აბზაცებში წინ გამოწვეულს დიდი მოყვანილობის ასოებს), მათი სიმაღლე 12 მილიმეტრიდან ორ სანტიმეტრამდე აღის, უფრო ხშირად კი 15-16 მილიმეტრია. გარდა ბოლო-ჩამოშვებული (ფ, ყ, წ) ასოებისა, რომელთა სიმაღლეს აბზაცების დასაწყისში სამიდან ოთხ სანტიმეტრ-ნახევრამდეც აღწევს.

განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია პატარა კავი, რომელიც ასოების ზემო დონის გასწვრივ იწერება და რომელსაც მახვილი კუთხის წვეტი მარჯვენა მხარესა აქვს. ხოლო გაშლილი თავი მარცხნივ. ამ ნიშანს გარდა ასოთა შუა წელის გასწვრივ ორი ერთმანეთთან ძალიან ახლო-ახლოს ერთ პერპენდიკულარზე დაწერილი წერტილიც არის ხმარებული. ზოგჯერ ეს წერტილები ხაზებად არის წაგრძელებული და გრძელ ვიწრო კუთხედ შეერთებული.

მელანი ყველგან შავია ნახმარი, გარდა სათაურებისა, რომლებიც სინგურით ყოფილა დაწერილი, მაგრამ სინგური ყველგან გადასულა გადარეცხის გამო ეტრატის ფურცლების მეორედ გამოყენების დროს, ასე რომ სინგურის ნაალაგევზე დღეს აღარსად აღარაფერი იკითხება.

¹) „ტფილისის უნივ. მოამბე“: ტ. II.

იმ ასოთაგან, რომელნიც ხელნაწერების დასათარიღებლად. თუმცა მტკიცესა და ურუყეს არა, მაგრამ მაინც ასე თუ ისე ეროვნულ დასაყრდენს გვაძლევს იმის მიხედვით, შეკრული აქვთ თავი თუ გახსნილი. ჩვენს ძეგლში მხოლოდ ორია მოსატანი. პირველ მწერალს თავშეკრული მხოლოდ 2 ასო მოეპოვება (ნახე განსაკუთრებით „ეამსა“, გვ. 2ა 14, 15, 21), მეორეს კი, რომლის კალამსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე. ერთი ფურცელი ეკუთვნის, თავშეკრული აქვს 3 ასო (ნახე განსაკუთრებით „თვისისა“ 23ბ 3, „სუ“ 23ბ 4, „რთხელ“ 23ბ 10). დანარჩენი ასოები ყველა თავგახსნილია¹.

უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ „უ“ და „კ“ ასოებს ჩვენს ძეგლში მომცრო თავები აქვს, რომელთაც მთელი ხაზს-ზემოთი არე კი არ უჭირავს, არამედ შუამდე ან ცოტა მეტი. ეს თვისება ჩვენი ძეგლის ასოებს ბოლნისისა და მცხეთის ჯერის წარწერების ასოებთან აახლოვებს და მეცხრე-მეათე საუკუნის ხელნაწერების შესაფერ ასოთა მოყვანილობისაგან ამორებს, რადგანაც ამ ხელნაწერებში აღნიშნულ ასოებს თავი უკვე იმდენად დამსხვილებული აქვს, რომ მთელი არე აქვს მოკავებული ხაზს ზემოთ. ნაწილობრივ ასეთსავე ჩვენებას იძლევა „ფ“ ასოს მოყვანილობაც: მასაც მომცრო თავი აქვს, მაშინ როდესაც მერმინდელ ხელნაწერებში, მაგ. აღიშის სახარებაში, უკვე თავი გადიდებული აქვს.

ამ ნიშნების საშუალებით ჩვენი უთარილო ხელნაწერის დათარიღება დაახლოებით მაინც შეიძლება. არა გვეგონია, რომ შევცდეთ, თუ ვიტყვით, რომ ხანმეტი მრავალთავი მერვე საუკუნეში გადაწერილი ძეგლია.

მაგრამ ერთი საუკუნე დიდი მანძილია მაინც და ეგებ უფრო დაახლოებით განესაზღვროთ ჩვენი ძეგლის გადაწერის დრო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს მრავალთავი თავიდან ბოლომდე მრგვლოვანი ასოებით არის დაწერილი და არსად არც ერთი ასო არ გვხვდება. რომ ეგრეთ-წოდებული ნუსხური, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, კუთხოვანი იყოს. მაგრამ ამასთანავე ერთად ამ მრგვლოვან ხელს არ ეტყობა, ოდნავ მაინც, რომ სადმე გადახრილი იყოს ნუსხურისაკენ, რომ შიგ ისეთი მოყვანილობა გვექონდეს ასოებისა, რომლისაგანაც წარმოიშობა და განვითარება კუთხოვანისა, მისი საზედაო და საქვედაო ასოებით, ადელი ვამოსაყვანი იყოს, როგორც მაგალ. ჰამეტ ძეგლსა და კილ-ეტრატის თვენში. ამიტომ ჩვენი ძეგლის გადაწერის დრო შეიძლება უფრო ვიწროდაც შემოიფარგლოს: მე მგონია, რომ იგი მერვე საუკუნის პირველ ნახევარშია გადაწერილი.

IX.

როგორია ენა ხანმეტი მრავალთავისა?

A. ფონეტიკიდან შეიძლება შემდეგი მოკვლევები აღვნიშნოთ²:

¹) მე-V-ე ფურცელზე ყარები კარგად და გარკვევით არ ჩანს. რომ მის თავშეკრულებაზე თამამად ვილაპარაკოთ. ბანს კი ოდნავ ემჩნევა მიდრეკილება თავშეკრულობისაკენ, — იგი უკვე გახსნილია, თუმცა ძალიან კი არა.

²) ენის მიმოხილვის დროს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ის ადგილებია მოყვანილი, რომლებიც დაუზიანებელია და უშეკვლად იკითხება.

1) ა არსად გვხვდება დიფთონგის პირველ შემადგენელ ნაწილად: იეზა-ბელს 14b 5, ი^იშისა 22a 16 (და სხვ.), იოჰანე 6b 11, -სი11b 5, -სიგანცა 5a 13, იულაჰსნი 19a 3, არამედ მხოლოდ მეორე ნაწილად და ისიც სამი ხმოვნის შემდეგ, რომლებიცაა: ა, ო, უ. მაგალითად: ლოკვაჰ შემწირველისა 2a 1, მოკუთ თხოვაჰ გულისაჰ არა ხ^ი ამის ცხოვრებისაჰ ა^იდ საუკუნოსაჰცა 2a 6-9, საწუთროსა 1a 8, წყაროჰ იგი მოწყალებისა 8a 19-20, უბნწოჰ და უმანკოჰ 22a 11-12, უდაბნოსაგან 24b 22, გემოჰ 18b 19, ხუფროსად 25b 15, ძუძუჰ 18a 20, (ი^ი)ჰისისა 11b 8, ი^იჰას 19b 3, ხა- პრეფიქსის გავლენას თავიკიდური ფუძისეული ი არ ემორჩილება: საიდუმლოჰ 8b 1.

როცა ა მოსდევს ე^ნს. მაშინ ეჰ ჯგუფის ნაცულად მისი შერწყმული სახე გვაქვს ო ასოში. მართლაც:

2) ო გვხვდება ე ბოლოკიდურიან სახელთა სახელობითი ბრუნვის ფორმაში, როგორც „ეჰ“ ჯგუფის გამოძახატველი: სიმდაბლ^ს 2a 3, სიმდიღრ^ს 2b 22, საქმ^ს 4a 16, სიმართლ^ს 6a 11, b 5, მარჯუენ^ს 6b 12, მეუფ^ს 14a 6, 22a 16, 18, b 2, სძ^ს 18b 15, ძ^ს 22b 7,8 და აგრეთვე ე ბოლოკიდურიან საკუთარ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში იმავე „ეჰ“ ჯგუფის ბაღლად: ქ^სსისა 2b 11, მოს^სს მიერ 5a 10, იოჰან^სსიგანცა 5a 13, ნაბუთ^სსი 14b 8. სიტყვის ფუძეში ო მხოლოდ იერუსალემის უკანასკნელ მარცვალში იხმარება. ოლონდ ეს სიტყვა ჩვენს ძეგლში მუდამ ქარაგმია: ი^იშისა 22a 16, (ი^ი)შისა 22a 20, ი^იშისასა 22b 21. აღსანიშნავია უთუოდ ის გარემოება, რომ ო არ მოიპოვება ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის სუფიქსში: ხუპატიოსნეს 2a 1, ხუმეტესსა 25a 3, უხუცესთა 19a 14 და არც ესრეთ^სში: ხუპა 3a 13, 5b 1.

გამონაკლისი შეადგენს ერთი შემთხვევა, როცა „ეჰ“ ჯგუფი მოიპოვება, და არა „ო“: პავლეჰ 19a 22.

3) ვ ასო გვხვდება ორი ფუნქციით, 1) დამოუკიდებლად, როგორც განსაკუთრებული ბგერის აღმნიშვნელი, და 2) როგორც უ^{ნი}ს მეორე შემადგენელი ნაწილი. უკანასკნელი მნიშვნელობა მხოლოდ გრაფიკას განეკუთვნება, ხოლო ფონტიკოსათვის პირველს აქვს ძალა და მნიშვნელობა. თუ ო ასოთი ჩვენს ძეგლში გადმოცემულია „ეჰ“ ჯგუფი, სამაგიეროდ ვ^{ნი}შნით გადმოცემულია „უი“ ჯგუფი, ე. ი. უბრჯუღ და სრული ი, ანუ უმარცვლო უ^{ნი} და უშუალოდ მომდევნო ი. ამიტომ იგი გვხვდება უბრჯუღიანი სიტყვების იმ ფორმებში, სადაც სუფიქსი ი არის, ან ი^{ნი}თ იწყება. ასეთებია ბრუნვებში: სახელობითი (ი), ნათესაობითი (-ის) და მოქმედებითი (-ით), ზმნებში კი, თავში, როცა დამატებად პირველი პირი მრავლობ. რიცხვისა გუ ნაწილაკით არის წარმოდგენილი და სათავისო ან სასხვისო ქცევაშია დაყენებული, ბოლოში კი ი^{ნი}იან აწყოში, როცა მოქმედ. თუ ვენებითში უბრჯუღიანი ზმნების ფორმები გვაქვს, და აგრეთვე კაუზატიურ ი^{ნი} ინფი-

1) ციტატებში შავი ციფრი აღნიშნავს ხანმეტი მრავალთავის გვერდს. ა და ს პირველს და მეორე სვეტს, ბოლო შემდგომი ციფრი--სტრიქონს.

მაგალითების მოყვანის დროს ის ასოები, რომლებიც ხელნაწერში არ ჩანს, მაგრამ რომელთაც სიტყვის ამა თუ იმ ფორმის დასამოწმებლად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, არ არის ფრჩხილებში ჩასმული.

ქსთან. ამ ძეგლში სახელობითში ვ'ს ხმარების შემთხვევა არ გვაქვს. სამაგიეროდ სხვებისა ყველა გვაქვს: ნათესაობითში: თვს¹ (შენთვის 1b 6, მოღებვისათვის 2b 10 და სხვ. აქედან: თვისი 2b 15), სიტყვს 26b 1; მოკმედებითში: თვთ 9a 13, სიტყვათა 28b 15; სათავისო ქცევაში (დამატება პირე. პირისა მრ. რ.): მოგვეყანა 8b 16. სასხვისო ქცევაში: გვლის 1a 21. გამოგვჩნდა 8a 8. 12, გამოგვბრწყინდა 8b 22, გვთხარ 9b 4. აწყყოს წარმოების დროს: ხიტყვ 19a 10, ხიტყვს 2b 13, 4a 9, 9b 7, კაუზატორ -ის ინფიქსთან: შევამთხვნეთ 3a 18, მივემთხვნეთ 4b 8, შეირცხვნეს 25b 11.

ამას გარდა იგი გვხვდება რამოდენსამე ფუძეში: მშვდობითა 2a 11, განვილძობთ 3b 21, საკრველი 6b 9, გიტვრთავს 23b 14, აღვრნი 24b 15 და ერთ ბერძნულ სიტყვაში, სადაც იგი ბერძნ. ა'ს შეესაბამება: მარტვრთა 1b 13.

უნდა გავარჩიოთ უმარცვლო უ'ნისა და მარცვლიანი უ'ნის შეერთება მომდევნო ა'ნთან. პირველ შემთხვევაში ვ გვაქვს შედეგად, როგორც ენახეთ, მეორეში კი უა (ძუძუა 18a 20. ი'კას 19b 3).

4) უბრჯგუ, ე. ი. უმარცვლო უ, ჩვენს ძეგლში მუდამ უ'ნითაა გადმოცემული. უ კი ყველგან ორი ასოთია დაწერილი (ო და ვ): მაგალითები:

თანხმოვნის წინ: სასუმელისა 2b 17, თქუმელი 11b 4, გამოუთქუმელთა 7b 2, მოგუაქუს 2b 21, გუნებავენ 1a 7, განხეხუნეს 6b 17, ხუმადლობდეთ 3a 6, შეხუწირვიდეთ 3a 12, კურვიისა 11b 17, კულად 19a 15, მკუდარნი 17a 3, სიკულილსა 17b 12 და სხვ.

ა'ნის წინ (უა): საყურელნო 2b 6, 3b 14, თულნი 3a 18, ჯურად 3a 21, სიტყუასა 3b 13, ვთქუათ 7a 22, გუასწავა 7a 21, გუაწრაფებდა 2b 3 და სხვ.

ე'ნის წინ (უე): უკუეთუ 1a 4, 18b 19, 19b 19, ქუყუანასა 10b 7, წინაწარმეტყუელთა 1b 12, ვაჩუნეთ 4a 1, გუექმნეს 4b 6. აღნათქუმესა 4b 10, ძლუენი 5a 6. შუენის 6b 4, მარჯუენს 6b 12 და სხვ. ბოლოში: უტუუ 24b 17.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ძეგლში ვ არც ერთხელ არ იხმარება უბრჯგუს გადმოსაცემად, როგორც ეს ზოგიერთ 9-10 საუკ. ხელნაწერშია.

5) ზ ორჯერ გვხვდება: ზ უშჯულონო ჰურიანო 15a 5 და აგრეთვე ზ სანანაში ერთხელ (25b 18), თუმცა იგივე სიტყვა მეორეჯერ ოსანად იწერება (14a 1). 6) ჰ მხოლოდ სამ სიტყვაში გვაქვს: აპა 22a 18, იოჰანე (6b 11 და სხვაგანაც), ჰურიანო (15a 5, ჰურიათად 14b 20).

7) ვ'ნის ამბებთაგან საყურადღებოა შემდეგი:

თავ-ყანის ცემაში (7b 8) იგი ჯერ კიდევ თავის ადგილზეა, როგორც მცხეთის ჯვრის თემესტიას წარწერაში და არ არის ვ'ედ ცელილი, როგორც ბლანისის დავით ეპისკოპოსის წარწერაში, ან კიდევ გადასმული ყ'არს შემდეგ და უბრჯგულ ქცეული, როგორც მერმინდელ ხელნაწერებში. იქვეების გასაფანტავად უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა გამოცემაში ამ სიტყვის ვ ისეა ნაჩვენები, თითქო იგი ჩამოჭრილი იყოს, მაგრამ უნდა ეთქვას, რომ ჩამოჭრილია მთავარდნაწილი ასოსი, მისი ტანი, ხოლო თავის ნაწილი მაინც იმდენია დამრჩალი, რომ არავითარი ექვია, რომ იქ ვ იკითხებოდა თავის დროზე.

1) ამ სიტყვაში უბრჯგუ ე'ნისაგანა მიღებული („თავ-ი“).

ო'ნის შემდეგ იგი დაკარგულია პოა'ში 23a 4, მაგრამ ხიზოვა'ში 24a 6 (pass.) არის. იგი მოიპოვება აგრეთვე „ცხოვრ“ ფუძეში: ცხოვრებისა 1b 7, 5a 21, მაცხოვრისა 25a 20, მაცხოვრად 8a 9, მაგრამ დაკარგულია გაქსოსმცა'ში 3b 9. ამას გარდა ჩვეულებრივ „შოვრ“ გვაქვს: შოვრის 23b 9, 24a 10, განხე-შოვრენით 11a 3, განშოვრებულთ 22a 13, მაგრამ ერთხელ აქაც დაკარგულია ვინი: ნუ განხაშორებ 22b 10.

ო'ნის წინ იგი დაკარგულია: გასწაო 20b 21, ხასწაოს 20b 2 (შდრ. სწაელასა 25b 9, სწაელულ 25a 15, უსწაელელთა 25a 1, ხასწავებდა 5b 1, 13b 14, 20a 22.

უ'ნის წინაც დაკარგულია ვ: წინა დაუდვით (?) 18b 9-10, უგალობდეთ 22a 4.

ვხ ჯგუფი, რომელიც S_2O_2 პირშია მოსალოდნელი, მუდამ გადასმული სა-ხით არის წარმოდგენილი (ხვ), მაგრამ გუტურალის გავლენით ეს გადასმული ვ უბრჯგუდ არის. ქტეული და უ'ნით გამოხატული: ხუმადლობდეთ 3a 6, შეხუ-წირივდეთ 3a 12, თაყვანის ხუცემდეთ 7b 9.

8) რ არაა გვაქვს ძწოლა'ში (ძწოლით 1a 15, 1b 20, 3a 4, 6b 13), არც მწემ'ში (19a 14) და არც ახლილ'ში (17a 20).

9) ს არ არის განვითარებული წ'ილის წინ „წრაფ“ ფუძეში: წრაფაჲ 3b 22, წრაფითა 28a 15, იწრაფა 23a 1, მოწრაფე 5a 12, მოწრაფებაჲ 3b 18, გუწრაფებდა 2b 3.

იგი არ მოიპოვება არც წინაწარმეტყუელ'ში: წინაწარმეტყუელო 9b 3, —ლი-საგან 25a 4, —ლისასა 14a 20-21, 21a 12, —ელნი 21a 15, 22b 18-19, —ელთა 25a 17.

ლ 10) დ დაკარგულია ღლ'ის ნათესობითის ფორმაში, როცა იგი ზნისზედის ნაწილს შეადგენს: მარადის 7b 13, 19a 5, ე'ემდის 1b 22.

11) ხმოვანი არ არის ამოღებული რედუქციის გზით: სასუმელისა 2b 17, მა-ხლობელად 1b 22, მაგრამ ამოღებულია: საყოფლისა 11a 21, კულად 8a 15, 19a 15, შენდობლად 8a 21.

უკანასკნელი ფორმა კიდევ იმით არის საყურადღებო, რომ აქ მიმღობის შ'ანია დაკარგული ნდ ჯგუფის წინ: შე მნ დ ო ბ ლ ა დ. სამაგიეროდ

12) ორივე თანხმოვანია შენახული: ჩჩვლნი 21a 2, ჩჩვლთა 14b 2.

13) ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევებია:

ხჯ ჯგუფის შჯ'დ ცვალება: შჯული 5a 3, შჯულისა 25a 15, უშჯულონო 15a 5, უშჯულოებათა 3a 10, დაშჯისა 24b 19, დაშჯილთა 8a 8.

კ'არის ხ'ანად ცვალება წინამავალი. ხ'ანის გავლენით: გულის ხმა (გულის კ'ის ნაცვლად) 10a 10, 16b 6, 22b 11.

ბ. მორფოლოგიიდან უპირველეს ყოვლისა უნდა შევეხნეთ ხანმეტობას, როგორც ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშანს ჩვენი მეგლის ენისას. ხანმეტობა, როგორც გარკვეულ გრამატიკულ მოვლენათა გამოხატულება, გვაქვს შე-ძლებდ შემთხვევებში: 1) შედარებით-აღმატებითი ხარისხის პრეფიქსის თავიკიდუ-რად, 2) მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და 3) მესამე პირის ობიექტურ ნაწილაკად. განვიხილოთ ცალკე-ცალკე.

1) შედარებით-ალმატებითი ხარისხის წარმოება: ხუპათიოსნეს 2b 1, ხუფროს 24b 7, 25a 6, ხუფროსად 25b 15, ხუმეტესსა 25a 2. ამას გარდა მოიპოვება მრჩობლი წარმოება: უხუცესთა 19a 13, სადაც ძველი (ხანიანი) და ახალი (უხანო) წარმოებაა შეერთებული. პირველადი მარტივი წარმოება შენახულია მოხუცებულში (21a 5).

2) მეორე სუბიექტური პირის ფორმების წარმოება: ხარ 14a 2 (?), 23b 8, 21, 24a 9, ხართ 11b 15, ხდგ 1b 20, შეხიწყნარეთ 14b 11, ხტქუა (კონიუნქტ.) 22b 3, 8, ხტქუთ 15a 12. გულის ხმა ხყაე 22b 12, ხცან 22b 6, გამოხინდი 24a 3. ვერ შეხვდეთ 21b 21, ხხუაობ 19a 10.

მოყვანილ მაგალითებში & უდაოდ მაჩვენებელია მეორე პირის სუბიექტისა. სამაგიეროდ გვაქვს ისეთი ფორმები მოქმედებითში, სადაც & პრედიქსის მხოლოდ და &ხოლოდ მეორე პირის სუბიექტურ ნიშნად გავგებას ის გარეგობა აბრკოლებს, რომ აქ დამატებაც არის მრცემითს ბრუნვაში, ხოლო ენებითში საზოგადოდ ის საერთო მიზეზი, რომელიც დანარჩენ პირობებშიც გვიჩვენებს იმავე & პრედიქსის ხმარებას. მაგალითები: ა) მოქმედებითში: ნუ ხაოტებ ნა 4, ხაყენებთ 14b 17, 15a 19, და- თუმცა -ხაყენებლით 15a 7, ნუ დასწერ 14b 19, ნუ გამოხაჩინებ 14b 21, ნუ განხყოფ 22a 22, ნუ განხაზორებ 22b 10, (ნუ ხცნობ 20b 22; ბ) ენებითში: ხიყენთ 19b 3, უყუეთუ არა ხიქ(ყოლით?) 21b 8.

3) მესამე ობიექტურ პირს ხანი პრედიქსად ჩვეულებრივ ირიბი დამატების ქცევებში მოუპოვება (სათანაოსა, საზედაოსა და სასხვისოში, აგრეთვე „საზიარო“-ში), ხოლო ხანდახან აგრეთვე პირდაპირი დამატების ქცევაში. უფრო მაშინ, როცა ეს დამატება მიცემითი ბრუნვით არის გამოხატული. განცალკევებით დგას საკითხი ინიანი ენებითის შესახებ.

ა) სათანაო ქცევა. მაგალითები: დახდეა 6b 13, შეხდევს 27b 18, შეხზაეა 8b 3, მიხმალა 9a 1, ხრცხუენიან 13b 1, შეხგანდა 17a 2, შე(ესე)-ვითარი -ხგვანდა 22a 9, წარხყოლა 28a 19, დახბანა 19a 3, ხქა 23b 6, 26a 2, ხძლოს 24a 16, ხმსახურეს 27b 21.

მოყვანილ მაგალითებში ქვეყნდებარედ ყველგან მესამე პირია. მაგრამ, თუ რომ ქვეყნდებარედ პირველი პირი იქნება, მაშინ სუბიექტური ნიშანი პირველი პირისა ვ ადგილს იცვლის, მესამე პირის ობიექტური & ნაწილაკის შემდეგ გადავა და ამ უკანასკნელის ზეგავლენით უბრჯგულ გადაიქცევა, რომელიც ჩვეულებრივ უნის ნიშნით არის ხოლმე გამოხატული. მაგალითები: ხუმადლობდეთ 3a 6, თაყანის ხუცემდეთ 7b 9.

ბ) საზედაო ქცევა. აქ ქცევის ფორმებში მერყეობაა: თუ რომ ქვეყნდებარედ მეორე ან მესამე პირია, მაშინ მოიპოვება ხოლმე მესამე პირის ობიექტური ნიშანი, და თუ პირველი პირია,—მაშინ კი არა. მაგალითები:

S₂O₃: ხაცაღე 5b 5, 6b 3, დახადგერით 11b 21 (უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძანებითში მეორე პირს სუბ. ნიშანი არ აქვს. და მამასადამე ამ მაგალითებში, სადაც ბრძანებითის ფორმები გვაქვს, & უნდა ობიექტს მივაყოფოთ).

S₁O₃: ხასწაეებდა 5b 1, 13b 13 (?), 20a 22 (?), ხასწაოს 20b 2, ხასწაეებდეს (?) 21a 16, მოხასწაეებდა 25b 12 (ეს უკანასკნელი მაგალითი ცოტა საეჭიოა იმ

მხრივ, რომ აქ შეიქმნება მხოლოდ პირდაპირი დამატება ვიგულისხმოთ), (მო)-
ხანიქოს 13a 1, მოხაკლდის 18a 13, ხა(უწყებდა?) 23a 20.

S_1O_2 : არა დავაყადო 3b 13, შევამთხვნეთ 3a 17, ვაჩუენებდეთ 3b 5, ვა-
ჩუენოთ 4a 1, b 4.

გ) სასხვისო ქცევა. მაგალითები: ვინ შეხუძლოს 7a 13, სათნო ხუ-
ჩნდა 10b 8-9, მიხუგებდა 23a 7, b 1, შეხუძნდა 25a 8, აღხუხუნეს 25b 13, ამ-
ბოგრს ხუყოფდა 28a 17, ხუგალობდეს 25b 16.

მოყვანილ მაგალითებში სუბიექტი ყველგან მესამე პირია. მაგრამ თუ იგი
პირველი პირია, ობიექტური პრეფიქსი შეიძლება იყოს, შეიძლება არაც. მარ-
თლაც და, ერთის მხრით გვაქვს: შეხუერდეთ 3a 6, მოხუედეთ 4a 6, მეორეს
მხრით კი: წინა დაუღვათ (?) 18b 9-10, უგალობდეთ 22a 4-5.

დ) აბსოლუტური ფორმები პირველი უღვლილების ზმნე-
ბის ვნებითისა (იწინაი ვნებითი). აქ ჩვენს ძეგლში მერყეობაა: ხან მოი-
პოვება ზ პრეფიქსი, ხან კი არა. სახელდობრ:

მოიპოვება: ხიყო 2a 11, 5a 12, 18, 6b 7, 19b 5, 23a 9, 14, 24b
13, 17, ხიყოს 2a 19, 19b 5, ხიყავნ 4a 15, ხიყვენს 25a 16, 27a 22, ხიქმნებოდა
6b 21, ხი(დიდებინ) 17b 9, ხიძლია 7a 6, აღხივსო 23b 5, ხიქცეოდა 24a 1,
27b 15, ხიპოვა 24a 6, დახიწყლოდეს 25b 20.

არ მოიპოვება შემდეგ შემთხვევებში, სადაც სუბიექტია როგორც პირ-
ველი პირი, ისე მესამე. S_1 : ვიდილო 6a 6 (აქ წაითხვა ცოტა საექვეო და ამი-
ტომ მაგალითიც მთლად საიმედო ვერ არის), ვიქცეოდი 6a 22, ვიყვენით 8a 14,
b 15, ვიყვენთ 22a 3.— S_2 : შეიწირვის 1b 2, იქვენ 10a 1 (თუ რომ მოსალოდნელი ზ
წინ გვერდზე არ იყდა სულ ბოლოს და ჩამონაქერს არ გაჰყვა, რაიცა მეტად
საექვეოა), გარდაიქცეს 25b 2.

იწინაი ვნებითში ფორმის ექვ-მიუტანელად გამორკვევისათვის სუბიექტის
პირველი და მესამე პირია ასაღები, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, თორემ როცა
სუბიექტად მეორე პირია, მაშინ ცოტა სხვანაირადაა საქმე, ვინაიდან ზ აქ შე-
იძლება სუბიექტურ ნაწილაყადაც იქნეს გაგებული, როგორც შემდეგი მაგალი-
თი გვიჩვენებს: ხიყენთ 19b 3.

ე) რელატიური ფორმები პირველი უღვლილების ზმნათა
ვნებითისა („სახიარო ქცევა“; აგრეთვე მერყეობას იჩენს. ობიექტურ პრეფიქსს
ვერ ვპოულობთ მაშინ, როცა სუბიექტად პირველი პირია, დანარჩენ შე-
მთხვევებში იგი თავის ადგილასაა.

— S_1O_2 : მივეახლებით 2b 2, მივეახლებოდით 3a 5, შევეახლნეთ 3a 16, ვე-
გლოდეთ 3a 9, ვევედრებოდით 1a 13, მივეთხვნნთ 4b 8, სახე ვექმნეთ 4a 9.

S_2O_2 : ხევედრებინ 1b 4, ხეზიარა 5a 15, დახეცეს 6a 1, განხეხუნეს 6b 16,
ხესწავა 9a 3, განხეშოვრენით 11a 3 (აქ ბრძანებითის ფორმაა და, როგორც
ზემოთაც ვთქვი. ზ ობიექტის მაჩვენებელია და არა სუბიექტისა), ხეგულებოდა
14b 6, ხეთხრა 16b 5, დახემტკიცოს 14b 3, აღხე(სრულებინ) 17b 8, ხელიან 18b 5,
თანაზიარ ხექმნა 19a 7, ხექმნეს 25b 4, ხერქუას 20b 3, ხესმა 23a 1, 10, ხესმო-
და 25b 19, ხესხნეს 24b 15.

განსაკუთრებულ მდგომარეობაშია „განუზრახველით“ (2ა, 18, რომელიც ბრძანებითის ფორმას წარმოადგენს), ვინაიდან არ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ აქ მეორე ხმოვანი ეწია-მეთქი. თუ მართლა ე არის, მაშინ, რა თქმა უნდა, ობ. პრეფ. მესამე პირისა გვაკლია.

ვ) პირდაპირი დამატების ქცევებში ხანის პრეფიქსად ხმარების შემთხვევები შემდეგია: აღხიყრა მარჯუენს 6ხ 11, მიხილო 24ხ 20. ორსავე შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ზნა წარმოდგენილია სათავისო ქცევის ფორმით ნამყო სრულის მესამე პირში, მხ. რიცხ. მსგავსი მაგალითი ამის მეტი არსად მოგვეპოვება, თუ რომ ამ უხანო ფორმას: მოვილოთ 3ა 17, 4ა 12, ლ აღვილოთ 10ხ 12 არ ვიცნობთ მეორე მაგალითისებურ ფორმად იმ საერთო ტენდენციის გამო, რომელიც გატარებულია მთლად ამ ხელნაწერში და რომლის მიხედვითაც პირველ სუბიექტურ პირში ხანმეტობა ვერ ხარობს. ვიფიქროთ ვითომ, რომ ამ ორ მაგალითში ზ პირდაპირი ობიექტის გაპონხატველიაო, როგორღაც ძნელი საქმეა, რადგანაც მას მხარს არ უჭერს მრავალი მაგალითი, სადაც იგივე სათავისო ქცევია: იხილა 2ა 2, 18ა 15, ისმინა 2ა 5, მოიყესეთ 2ხ 12 (ბრძან.), თავს იღვა 7ა 10, შეიწყნარა 8ა 18, ნათელ ილო 8ხ 7. მოიყვანეს 11ა 8, მოიკითხა 23ა 5, დაითმინა 23ხ 2. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მესამე პირშივე ერთი ზემორე მოყვანილ ზნათაგანი უხანოდაც იხმარება: მიილოს 11ა 13. ამიტომ ხანის გაჩენა ამ ორ მაგალითში ალბათ ისევე ანალოგიით აიხსნება. მაგრამ, თუ რომ ეს საეჭვოა და ხანის ამ ფორმებში გაჩენას, ანალოგიის გარდა, სხვა რაიმე საფუძველი აქვს, რა თქმა უნდა, ეს საფუძველი ისევე რალაც მიჩქმალულ ირიბ დამატებაში უნდა ვეძიოთ, უტყვევლად.

დრო-კილოთა პირველ ჯგუფში კი ზ პრეფიქსი გეხვდება როგორც სათავისოს, ისე საარვისო ქცევის ფორმებში. მაგრამ აქ მისი გაჩენა შეიძლება იმით აეხსნათ, რომ პირდაპირი დამატება მიცემითი ბრუნვით არის გადმოცემული. მაგალითები: ხაღუმებდეს 25ა 7, უეარ ხყოფდეს 21ა 10, ჯუარსა მას ზედა დახწერს 14ხ 14, დახწერს 15ა 15, ხწუნობდა 20ა 3. საინტერესოა დამპირისპირება ერთისა და იმავე ზნის პირდაპირი დამატებიანი ფორმებისა დრო-კილოთა პირველსა და მეორე ჯგუფში: მისა დიდებაა შეეწიროთ 7ა 18—დიდსა ლოცვასა შეხუწირვიდეთ უფლისა მიმართ 3ა 12; აღასრულა 5ა 3, 20ხ 6—აღხასრულებდა 5ა 22, აღხასრულებდეს 14ა 22 (ეს მაგალითი ცოტა საეჭვოა, რადგანაც ვნებითი მას ძველს ქართულში ეწით აქვს ნაწარმოები: აღესრულა), გულის ხმა ყავთ 22ხ 18—ესრევე თქნცა ხყოფდით 19ხ 22.

ყველა მოყვანილი ფორმები საარვისო ქცევისაა. სათავისოთი ხანინი ფორმა აწმყოს ჯგუფში მხოლოდ ეს ორი გვაქვს: ხიკადრებს 4ა 22, ხიხარებს 9ა 8.

უხანო ფორმების ჩამოთვლა კი შორს წავგიყვანდა.

ზ) განკერძოებით უნდა შევეხებეთ იტყვს ზნას, რომელსაც ფორმა ენებითისა აქვს და მნიშვნელობა კი მოქმედებითისა, ვინაიდან დამატებას მოითხოვს. მიცემითში, მაგ. იტყვს ს იტყუასა. თუ მართალია აზრი იწინაინ ენებითის მოქმედებითი ზნის სათავისოაგან წარმოშობის შესახებ¹, მაშინ ეს ზნა მშვენიერია

¹) ა. შანიძე, ქართული ზნის საკცივი (ტფ. უნივ. მოამბე. VI, 332,333).

მაგალითი იქნება მოქმედებითის ფორმის ვნებითად ქცევის პროცესის გასათვალისწინებლად, რადგანაც იგი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, როდესაც ფორმას ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს მოქმედებითის ძალა, — დამატებას მოითხოვს. მაგრამ ამ შემთხვევაში \times პრეფიქსი, რომელიც თითქმის მუდამ იხმარება ამ ზნაში, ასახსნელი იქნება საზოგადოდ სათავისო ქცევის ბუნებასთან ერთად. მაგალითები: ხიტუკს 2b 13, 4b 9, 9b 7, 11b 9, 19a 22, 22a 17, ხიტყოდა 20b 1, 23a 17, ხიტყოდეს 14a 1, ხიტყვან 26a 1.

როცა სუბიექტად მეორე პირია, მაშინ \times ანში შეიძლება სუბიექტური ნიშანიც დაეინახოს: ხიტყვ 19a 10, რად ხ(იტყვთ) 15b 13. ამიტომ უფრო საყურადღებოა პირველი სუბიექტური პირის ფორმა, სადაც \times ანს უკვე ვეღარ ვხვდავთ: ვიტყოდით 10b 3.

ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ ხანმეტობა, როგორც გარკვეული გრამატიკული სისტემა, ჩვენს მრავალთავში დარღვეულია: ზოგ შემთხვევაში \times ანს იქ ვხვდავთ. სადაც საჭირო არ არის, ან და, პირიქით, იქ არ არის, სადაც მოსალოდნელია. მართლაც:

a) როგორც თავიკიდური ბგერა შედარებით-დამატებითი ხარისხის პრეფიქსისა. იგი ყველგან მოიპოვება, გარდა ორმაგი წარმოებისა (უ- \times უ-ცესთა), სადაც ძველადი წარმოება \times ანს გვიჩვენებს, ნელადა კი არა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ძველი ისეთ დროს გადაუწერიათ, როცა ხანმეტობა საქმაოდ დრო-მოქმული ამბავი ყოფილა.

b) როგორც სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა, იგი ყველგან თავის ადგილზეა და ამ მხრივ ხანმეტი მრავალთავი დახვეწილ მასალას იძლევა.

c) რაც შეეხება მესამე პირის ობიექტურ ნაწილაკად ხმარებას, \times პრეფიქსი შემთხვევათა დიდ უმეტესობაში სწორად არის ნახმარი, მაგრამ ზოჯჯერ კანონ-ზომიერება დაკლებული არ არის. პირველ სუბიექტურ პირში მაინც ძალიან იშვიათია მისი ხმარება. ესეც ნიშანია იმისი, რომ ხანმეტობა, ჩვენი ხელნაწერის მიხედვით, აღარ ყოფილა ცოცხალი ორგანიზმი, არამედ უფრო მწიგნობრული და ლიტერატურულ ტრადიციებზე დაფუძნებული.

4) ხანმეტობასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ გაკვრით, რომ უარყოფითი უ ნაწილაკის წინ \times არც ემსალოდნელია და არც გვხვდება სადმე ჩვენს ძეგლში, თუმცა ამ ნაწილაკით ნაწარმოები ფორმები საქმაოა: უნაკლულოდ 1b 8. უდებებით 2b 9. უშჯულოებათა 3a 10, შეურაცხებით 4a 16, —აა 4a 20, ურწმუნონი 1Ca 2-3, უგუნურ 15a 20, უბიწო 21b 11, 22a 3, უბიწოა 22a 11, უბიწოსა 18b 6. უბიწობითა 22a 4, უხაკუგელი 18b 15, უმანკოა 22a 12, უმანკოთა 21a 20, ურწმუნობისათვის 24b 14, უტყუ 24b 17, უდაბნოასაგან 24b 27, უსწავლეღთა 25a 1, დასრულღებელ 12b 2, დაუპორჩილებელ 25b 5. ამ გარემოებაზე იმიტომ შევჩერდი, რომ \times ზურჯულთა ფორმა, რომელიც ტფ. უნივ. 737 პალინფესტში გვხვდება¹, კანონზომიერი ფორმა კი არაა, არამედ, როგორც უკვე აღნიშნულია², ანალოგიის გზითაა მიღებული.

¹) ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართ. ხელნაწერები. — ტფ. უნ. ნოანტე. II, 348, 360.

²) ა. შანიძე, ლიტერატ. ცნობა ახლად აღმოჩ. ტექსტების შესახებ. — ის. გვ. 410.

5) ბრუნვათა მოვლენებიდან შემდეგია აღსანიშნავი:

ა) საკუთარ სახელებს სახელობითსა. მოთხრობითსა და წოდებითში ბრუნვათა ნიშნები არ მოეპოვება, როგორც ეს აქვს საზოგადო სახელებს, და ამიტომ ან ბრუნვებში ისინი გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგალითები: სახელობითი: დთ 9ა 9, პილატე 14ბ 13, პაულე 22ა 8, ელისაბედ 23ა 3: ივ 4ბ 5; მოთხრობითი: იოჰანე 6ბ 11, პაულე 7ა 19, ელისაბედ 23ბ 2, ივ 26ა 2: წოდებითი: დთ 9ბ 4. ეს კარგად ცნობილი წესია ძველი ქართულისა და ამიტომ მეტად საოცარია, რომ სახელობითში ერთხელ დაბოლოებაკა გვაქვს: პაულე 19ა 22, თითქო ეს საზოგადო სახელი იყოს. ქრისტე სახელობითში ისეა გაგებული, როგორც საზოგადო სახელი (ქმ 4ბ 3, 22ა 21), ნათესაობითში კი, როგორც საკუთარი (2ბ 11; თუმცა შდრ. რთული: ქე ივჯს 19ბ 3).

ბ) „ეკლესია“ თითქო საკუთარი სახელიაო, ისეთს ფორმას გვაძლევს ნათესაობითში: ამის ეკლესიაჲსა ყრმანი 13ბ 3. მართალია აქ „ამის“ დაზიანებულ სტრიქონშია მოყოლილი, მაგრამ გადაჭრილი ასოების ქვემო ნაწილები ჩანს და ეკვი არ არის, რომ „ამის“ იკითხებოდა, ასე რომ არც იმის ეკვია, რომ „ეკლესიაჲსა“ ნათესაობითის ფორმაა და არა მიცემითისა (ვთქვათ, რომ „ამას ეკლესიასა“ გვეგულისხმება). მაგრამ ამ შემთხვევაში წესის მიხედვით ნათესაობითში „ეკლესიისა“ უნდა იყოს და არა „ეკლესიაჲსა“. რომ ეს საკუთარი სახელი არაა, იქიდანაც ჩანს, რომ მიცემითში ჩვენ „ამავე ძეგლში „ეკლესია“ გვაქვს (1ბ 20) და არა „ეკლესიას“, როგორც იქნებოდა, რომ იგი საკუთარ სახელად ყოფილიყო გაგებული, სხვა საკუთარი სახელების მსგავსად: ზაქარიას, მართას და მისთ.

გ) -ებ სუფიქსით წარმოება მრავლობითი რიცხვისა ერთხელ გვხვდება: რტოე(ნი) 10ბ 12. მართალია აქ უკანასკნელი სამი ასო ჩამოჭრილია, მაგრამ ეწისა თავის ნაწილია დარჩენილი და ამიტომ ეკვი არაა, რომ ასე იკითხებოდა.

6) სახელინაცვლებში საყურადღებოა „ერთი-ერთისა“ 3ბ 2, 19ა 11, 20ა 17 (?), „ერთი-ერთსა“ 20ა 2, რომელიც რიცხვითი სახელის ფუძის ვაოკეცებით არის დაწაზმები, ისე როგორც სომხური *მ/ს/ს/ს/ს/ს* (ნათ. ბრ.). ეს სახელინაცვლი დღევანდელ ქართულშიც იხმარება, მაგრამ პირველი ნაწილის მოთხრობითში დაყენებით: ერთმან-ერთი (და აქედან: ერთმანეთი), ან ერთ-ერთ ნაწილში ხმოვნის შენაცვლებით: ერთ-უოთი, ურთიერთ შორის, საურთიერთო.

7) ზნჯში შეიძლება შემდეგზე შევჩერდეთ:

ა) პირველი პირის ობიექტურ პრეფიქსად მრავალ. რიცხვში ერთხელაც არ არის ნახმარი 8, არამედ ყველგან გუ: გუნებავენ 1ა 7, მოგუსტა 19ბ 8, მოგუაქუს 2ბ 21, გუეწოდა 8ა 16, გამოგჭნდა 8ა 8, 12 და მისთ. მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ

ბ) პირველ კონიუნქტივში მაწარმოებლად ხან ი გვევლინება, ხან ე. მართალია, ამ ორი ასოს მოხაზულობა ერთი-მეორისას რამოდენადმე ჰგავს საზოგადოოდ, მაგრამ რამდენადაც უნიძლებოდა, ეცილობდნენ, დედნის მართლწერა დამუდგინა, განსაკუთრებით I კონიუნქტივის ფორმებში. მაგალითები: ევედრებოდით და ოდეს იგი შევიდის ეწ იგი შიშით და ძწოლით ვდგეთ და გულს ვეტყვოდით და ღთისა მიმართ ვილოციდით (1ა 13-18), ემდის მიგესმოდის

1b 22, ჯერ არს, რა... შიშით და ძოლით მიევახლებოდით და შეხუვრდით და ხუმაღლობდით და აღვიარნით ცოდვანი ჩინნი და ცრენლით ვეგლოვდით უშჯულოებათა ჩათა და დიდსა ლოცვასა შეხუწრივდით ოლისა მიმართ 3a 2-12; და რა... ვაჩუვებდით 3b 5, რა თქნესა არა გეწყინებოდით 3b 16 (უკანასკნელ მაგალითში დანამდვილებით არ ვიცით, რა დგას: ა თუ ე. მგონია, უფრო ა უნდა იყოს), რა კაცთა თანა ვიტყუდით 6b 1, ამას გალობასა ღთისა მიმართ ვიტყუდით და ვადიდებდით 10b 1-4. ამ მაგალითებიდან თითქო იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ, თუ ოდ სუფიქსი გვაქვს, მაშინ კილოს მაწარმოებელი ა არისო.

გ) პრევერბი ზოგჯერ გამოყოფილია ზმნისაგან და მათ შორის რაიმე სიტყვა ჩასმული: გან-ლა-იცადენ 2b 14, და-თუმცა-ხაყენებდით 15a 6-7, შე-ესევრა-ხგენდა 22a 9.

ც. სინტაქსიდან აღსანიშნავია:

1) -მცა ნაწილაკის ხშირი ხმარება: რამცა 1b 13-14, 19, 2a 10, 20a 1-2, 9, 24b 1, თუმცა 15a 6, 10, ნუმცა 2b 7, 4b 1, რიმცა 2b 3, გაკოსმცა 3b 9.

2) კითხვის გამოხატვა ა ნაწილაკის საშუალებით: არა გიცნობიესა 2a 9, არა გესმისა 25b 22.

ჰ) დაუმთავრებელი (უზმნო) წინადადების წვერის განმარტება დამოკიდებული წინადადებით, რომელსაც მთავართან „ომელ“ სიტყვა აერთებს: შენ კურთხეულ რლსა გიტკრათეს 23b 13-14, შენ კურთხეულ რლსა მოგაქეს ...23b 17-18, შენ კურთხეულ რი ეგე მიდგომილ ხარ 23b 20-21, შენ კურთხეულ რლისა მუცელი ხიპოვა 24a 5-6. აბა ამათ შეადარეთ: შენ კურთხეულ ხარ რ. ტაძრად ღთისა გამოხჩნდი 24a 2-3.

4) ზნა გვაკლია ამ კითხვით წინადადებაში: ვინაჲ თქნდა ესევრა გალობაჲ შეუნიერი 10a 6-8.

X.

ხანტ მრავალთაგან შენახული თხზულებანი, ყოველ შემთხვევაში ის ნომრები, რომლებიც გამოკვეთულია, ყველა ნათარგმნია. მაგრამ უეჭველია, რომ გამოკვეთვლებიც ნათარგმნი თხზულებანია და არა ორიგინალი. რაკი აგრეა, საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელი ენიდანაა იგინი ნათარგმნი. ამ საკითხის გამოსარკვევად ორი საშუალება მოგვეპოვება: ერთია ორიგინალებთან შედარება და მეორე — ამ თარგმანთა ენის ზოგიერთი თვისებას გათვალისწინება.

იმ სამ ავტორობან, რომელთა თხზულებანიც მოიპოვება ჩვენს ძეგლში, დედანთან შედარების საშუალება იოანე ოქროპირის ზოგიერთი ნაწერებისათვის გვაქვს. თუ მივმართავთ ბერძნულ ტექსტს ოქროპირისას, რომელიც ცამეტ ტომადაა გამოცემული Bernard de Montfauconის მიერ ვენეციაში მეთვრამეტე საუკუნეში¹, შევხედვს ენაზეთ:

¹ Sancti patris nostri Johannis Chrysostomi archiepiscopi constantinopolitani Opera omnia quae exstant. Opera et studio D. Bernardi de Montfaucon. T. II 1734. T. VIII et X 1741.

მიგნის გამოცემა ტოლისში არ იშოვება. მისი მაგივრობის გაწევა შეუძლია რუსულ თარგმანს, სადაც აშვიზებ აღნიშნულია ხოლმე მიგნის გამოცემის გვერდები: Творения св. отца нашего Иоанна Златоуста, архиепископа константинопольского, в русском переводе. т. II СПб. 1886. т. VIII 1902. т. X 1901.

ა) საშობაო სიტყვა იმდენად განსხვავებულია ბერძნული ტექსტის შესაფერისი ადგილიდან (II, გვ. 365-366¹), რომ საეკევა, ძალიან საეკევა, რომ ქართული თარგმანი უშუალოდ ბერძნულსაგან მომდინარეობდეს.

ბ) ზობის სიტყვის ნაწევრები გვარიანად უდგება ბერძნული ტექსტის შესაფერ ადგილებს (VIII, Spuria 231-232²), თუმცა ზოგიერთი განსხვავება აქაც მოიპოვება. სამწუხაროდ ამ სიტყვისა ქართულში ძალიან ცოტაა შენახული და ეს ვარემოება გვევლებს თავდაპირილად ვიყენეთ.

გ) ფარისეველთა შურისათვის³ თუმცა ბლომადაა მოღწეული, მაგრამ სამწუხაროდ ბევრგან აღარ ირჩევა. და რაც ირჩევა, ის თავში კარგად უდგება ბერძნულ ტექსტს (X, 758⁴), მაგრამ ბოლოში დიდი განსხვავებაა (X, 761⁵). საეკევა, რომ იგი უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობდეს.

დ) მეორე საკითხავი დიდი ოთხშაბათისა თუმცა ხანმეტი მრავალთავნი ერთი გვერდია შენახული და ისიც ძალიან დახიანებული, მაგრამ იგივე თხზულება უდაბნოს მრავალთავში მთლიანად არის შენახული იმავე რედაქციით და ამიტომ ბერძნულ ტექსტთან დაპოკიდებულების გამოსარკვევად თამამად შეიძლება წას მივპართოთ. შედარება კი გვიჩვენებს, რომ ქართული თარგმანი საგრძნობლად განსხვავდება ბერძნულსაგან (VIII, Spuria 43⁶). აქ ისეთი რამეები მოიპოვება, რომლებიც ბერძნულში არ არის, ან და წინაუქმო. ამიტომ აქაც საეკევა, რომ ქართული თარგმანი ბერძნულიდან უშუალოდ მომდინარეობდეს. თუ როგორია საზოგადოდ ის დეტალები, რომლებიც ქართულ თარგმანს ბერძნული დედნიდან განასხვავებს, ამაზე მაშინ შეგჩრდები; როდესაც ავ ჩვენს ძეგლს ლითოგრაფიულად გამოვსცემ, ახლა კი შეიძლება მოკლედ მოვსჯათ ქართული თარგმანი ხანმეტი მრავალთავის შემადგენელი ნაწილებისა (ყველასი თუ არა, დიდი უარავლესობისა მაინც) ბერძნულიდან უშუალოდ არ უნდა მომდინარეობდეს.

ჩვენი ძეგლის ლექსიკას თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ შიგ მოიპოვება როგორც წმინდა ბერძნული და ბერძნულის საშუალებით შემოსული სიტყვები, ისე სომხური და სომხეთის გზით შემოსულებიც. შინდა ბერძნულთაგან გვხვდება: ეპისკოპოსი (1b 2, 11b 5, მარტვი 1b 13, ეკლესია 1b 20, 16a 11. 18b 3: ბერძნულის საშუალებით (?): ტაბლა (ლათინ.) 11b 18, 19a 7, ბაიაა (კოტ.) 13b 21 (?).

სომხური სიტყვები გვხვდება ქართული სუფიქსებით: პატივი (ხუპატიოსნის 2b 1), *ანნი (ახნაურება 19a 2), სომხეთის გზით შემოსულებია: ა) სპარსელიდან ბერი (ბევრეული 1a 20), ჯოჯოხეთი 7a 4, ამბოერი (ამბოვრს ხუყოფდა 28a 16-17), კეშარიტი 8b 8, 19a 21, ბ) ასურეთიდან: ქერობინნი და სერაბინნი 2a 16, ქნარი 9a 11, ჰურია 14b 20. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა ორი საკუთარი სახელის გაღწევა. ერთია დავით რომელიც აქ ქარაგმით არის დაწერილი (დ-თ 9a 9, b 4) და მეორე იოანე (5a 13, 6b 11, 11b 5, 23a 12). პირველში სომხურ წარმოშობობას ბოლოციდური თ ამტკიცებს. ბოლო მეორეში კი ასო. განსაკუთრებით მაჩვენებელია ოჰანე. რომელიც ყრავი-

¹) რუს. თარგმ. II, 398-399; ²) რუს. თარგმ. VIII, 100; ³) რუს. თარგმ. X, 856; ⁴) რუს. თარგმ. X, 856; ⁵) რუს. თარგმ. VIII, 658.

თარს შემთხვევაში ბერძნულიდან ვერ შემოვიდოდა, რადგანაც მას იქ ან სიტყვაში ან არ აქვს. მაგრამ თუ ავას დაურთავთ იმ გარემოებას, რომ ზემორე აღნიშნული ბერძნული სიტყვები (მარტური, ეპისკოპოსი და ეკლესია) სომხურშიც გვხვდება უკანასკნელი ეკელეციის სახით) შეიძლება, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ეკვი ჩენი ძეგლის შემავალი ნაწილების უშუალოდ ბერძნულიდან გადმოთარგმნის შესახებ და კითხვა დაისვას, რომ, თუ კი ვერა, მაშასადამე, სომხურიდან ნათარგმნი ხომ არ არისო. უკანასკნელი კიბების გადასაწყვეტად ჯერ ჯერობით პირდაპირი და დაურღვეველი საბუთები არ არსებობს¹. მიტომ რომ სომხური ფორმით აქ გადმოცემული სიტყვები (იოჰანე, დავით, ქნარი და სხვ.) საღვთო წერილის ძველ თარგმანებშიც არის მოსალოდნელი და შეიძლება იქიდანვე მომდინარეობდეს, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ენიდან ითარგმნა ჩენი საკრესტომათიო მასალა. ამიტომ საკითხის საბოლოოდ გამორკვევისათვის საჭიროა უსათუოდ, რომ ჩენი ძეგლის მიერ შემონახული თხზულებანი შედარებულ იქნეს სომხურ თარგმანებთან, რომლებიც ხელნაწერებშია დაცული.

XI.

საქიროდ მიგვანია ორიოდ სიტყვა წაუძღვაროთ ხანმეტი მრავალთავის წინამდებარე გამოცემას, რომელიც წინასწარი ხასიათისაა.

1. მხედრული ასოებით შერეე საუკუნის ძეგლის დაბეჭვდა სამეცნიერო გამოცემაში უხერხულადაც მიმანია და შეუფერებლადაც, მაგრამ რა ვქნა, ამას მაიძულეს ტექნიკური დაბრკოლება. — შესაფერისი ნიშნების უქონლობა.

2. მხედრულად ბეჭდვამ, სხვათა შორის, გვაიძულა, რომ უ ბგერის გამოხატველი ორი ნიშანი, რომელთაგანაც პირველია ო და მეორე ბერძნული სს შესატყვისი ქართ. ასო, აქ ყველგან ერთი ნიშნით გადმოგვეცა (უ და არა ოჰ, როგორც ჰემეტი ძეგლის გამოცემის დროს მქონდა), რადგანაც დღევანდელი უ ასო წარმოშობილია სწორედ იმ ორი ასოს შეერთებით, რომლებიც ძველად უ ნის გამოსახატვად იხმარებოდა საზოგადოდ და კერძოდ ჩენს ძეგლშიც. ამიტომ დიდი საბოლოო აქ არაფერია. ერთად-ერთი, რაც შეიძლება მართლაც უხერხული იყოს ასეთი გადმოცემის დროს, ეს ის არის. რომ ჩენს ძეგლში არის შემთხვევა ამ ერთი (უ) ბგერის აღნიშვნელი ორი ასოს ერთმანეთისაგან დაშორებისა: პირველი მათგანის ერთს სტრიქონზე დატოვებისა და მეოთხისა კი შემდეგ სტრიქონზე გადატანისა (სრულ სიტყვაში: 12ა 14-15) და აქ ძინც იძულებული ვავხდი, საზოგადო წესი დამერღვია და ერთის ნაცულად ორი ნიშანი მეხმარა, რადგანაც სხვანაირად არ შეიძლებოდა. ვინაიდან ჩენი გამოცემა სტრიქონ-სტრიქონ მისდევს ხელნაწერ ძეგლს. უფრო ნაკლებად ეცემა თვალში კაცს აბზაცებში მთავრული უნის ხმარება (1ა 4, 18ბ 19, 20ბ 19, 21ბ 18). შეუფერებლობა აქ ის არის, რომ ხელნაწერში ამ შემთხვევაში მთავრულად დაწერილი მხოლოდ პირველი ასოა (ო), და არა ორივე.

¹) საყურადღებოა მინც, რომ ვესუქი ხუცის თხზულებაში („მეუდართა აღდგომისათვის“). რომელიც დაცულია უდაბნოს მრავალთავში, გვხვდება „ძალგერი“ („რამეთუ საზრდელი იგი მქნება არს გონიერათვის და დაშუკად ძალ უ ერთად და მომორავლეთათვის“: 72უ), რაიცა ნაწარმოები უნდა იყოს „ძალგ“-ისაგან, როგორც სომხ. *გუაგუგ* („მეგრეუნი“) *ჯოს* ისაგან („ძალგნი“).

3. უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ მხედრულ ანბანში არ მოგვეპოვება ნიშანი, რომელიც ძველი ქართულის იმ ასოს გადმოგვეცემდეს, რომელიც ძველად ტ'არს შემდეგ იჯდა, რიცხვებში ოთხასის გამოხატველი იყო და რომლის ადგილიც ანბანში შემდეგ უნდა დაიქირა. მართალია ჩვენნი კარგა ხანია განმტკიცდა მის გადმოსაცემად „კ“ ნიშნის ხმარება, მაგრამ ეს ნიშანი ხომ უიჯგუფის შეერთების ნიადაგზეა წარმოდგარი და, თუ ამასთან გავიხსენებთ, რომ პირველი ამათავანი (უ) კიდევ თავის მხრივ ორი ნიშნისაგანაა წარმოშობილი, დავრწმუნდებით, რომ ვ ნიშანში ბოლოს და ბოლოს სამი ასოა შერწყმული. ამიტომ ცხადია, რომ ასეთი რთული ნიშნის ხმარება ერთი მარტივი ასოს გადმოსაცემად უხერხულზედ უხერხულია, მაგრამ აბა რა ვუყოთ, როცა სხვა ჩარა არა არის რა.

4. ის ასოები, რომლებიც აღარ იკითხება, ფრჩხილებშია ჩასმული. ყველა ასო ერთნაირად როდი ჩანს, — ზოგი კარგად იკითხება და ზოგისა კი მხოლოდ ნაწილი ჩანს, მაგრამ, როცა ეკვი არ არის, რომ ამა თუ იმ ადგილას ესა თუ ის ასოა, მაშინ ფრჩხილები ნახმარი არ არის. სადაც სულ აღარაფერი ირჩევა, იქ ადგილები ცარიელია დატოვებული.

5. ჩამოჭრილი ადგილები ხანით არის ნაჩვენები. ჩამოჭრის წყალობით ხელნაწერში ზოგი ასო გადაკეთილია, მაგრამ ხშირად გადაკეთილი ასოს ვადარჩენილი ნაწილი ცხადად და გარკვევით გვიჩვენებს, თუ რომელ ასოსთან გვაქვს საქმე. როცა ეკვი არ არის, თუ რომელი ასოა გადაკეთილი, მაშინ ამ გამოცემაში იგი გამოტანილია გარდაკეთილობის ხანს აქეთ და ისეა საქმე წარმოდგენილი, თითქო არც კი იყოს დაზიანებული. ეს კია ცუდი, რომ გამოცემაში გარდაკეთილობის ხაზები უსწორ-მასწორადაა სხვადასხვა სტრიქონში არა მარტო მარჯვენა. არამედ მარცხენა სვეტებშიც კი. მარცხენა სვეტებში იმდენი შეუსაბამობა კიდევ არ არის, როგორც მარჯვენაში (მაგალ. გვ. 3-4, 5-6, 9-10, 25-26, 27-28), რადგანაც მარცხენა სვეტში გადაკეთილია ბოლმე დასაწყისი ასოები სტრიქონებისა, მარჯვენაში კი უკანასკნელი ასოები და ტექნიკურად ძნელი იყო ისე აწყობა, რომ გადაკეთის ხაზები ყველა სტრიქონში ერთ შევულზე მოხვედრილიყო. ხელნაწერში, რა თქმა უნდა, ყველა სტრიქონი, ასე თუ ისე, თანაბრად არის ჩამოჭრილი, მაგრამ ამ გამოცემაში ეს თანაბარი ჩამოჭრა ნაჩვენებია მხოლოდ ოთხ გვერდზე (15-18), სადაც სამაგიეროდ იძულებული ვიყავ მარჯვენა სვეტებში უსწორ-მასწორად ავეწყობინებია სტრიქონები, ხოლო მარცხენაში ზოგიერთი სიტყვა დამეყო.

6. ზოგიერთ სტრიქონში, ადგილის უქონლობის გამო, უკანასკნელი ერთი ან ორი ასო უფრო წვრილად არის გამოკვანილი, ვიდრე დანარჩენები. ზოგჯერ. იმავე მიზეზით, უკანასკნელი ასო წინაშია ჩასმული. ასეთი შემთხვევები აქ ნაკლები კვლის ასოებითაა გადმოცემული (მაგ. 1a 6, 13, 19; 2a 1, 19; 3a 4, 9, 18, 22, b 11, 21 და მისთანანი). გამონაკლისს შეადგენს თავზე წარწერილი (19a 1) ან ქვეშ მოწერილი (1b 22) ასოები, რომლებიც სტრიქონთა სათვალავის გარეშე არის და სიდიდით ისეთებია, როგორც სხვა ასოები.

7. აპოსტროფითაა გადმოცემული ის განკვეთილობის ნიშანი, რომელიც ასოების ზემო ღონის გასწვრივ მახვილ კუთხეს ქმნის, ხოლო ტირეთი—ორწერტილთაგან წარზიდული და გრძელ კუთხედ შეერთებული ხაზები.

8. ქარაგმები ხელნაწერში ხშირად არა ჩანს, მაგრამ გამოცემაში მაინც ყველგანაა ნაჩვენები. მიუხედავად იმისა, ჩანს ხელნაწერში, თუ არა.

9. ხანმეტი მრავალთავის ტექსტი ამოკითხულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვანაირად: ზოგი ზაფხულის დღეებში, ზოგი შემოდგომასა და ზამთარში, ზოგი დღის სინათლეზე, ზოგიც ღამის შუქზე, ზოგი გვერდი და ადგილი პირდაპირ ზედ დაკერით, ზოგიც კიდევ სინათლეზე ეტრატის დაქერით და მელნის მიერ ამოკმულ ასოთა ნაალაგევი გამოტანებულ შუქზე გატკერით, ზოგიერთი გვერდის წაკითხვა შემოწმებულია მეორედ, ზოგისა კი არა. ამიტომ აქ მოცემული მასალა ყველა ერთნაირად სანდო არ არის. ზოგიერთ გვერდზე ძალიან კირს გადალეული ასოების ამოცნობა (მაგ. გვ. 12, 13, 26), მაგრამ დიდხანს კერეთითა და კიტინით, თუ კაცი საამისოდ მოიცლის და თვალმეტაც არ დაინდობს, კიდევ ზოგი რამის ამოკითხვა შეიძლება, რაიცა ალბათ ან ზოგი სულ ახალი იქნება, ან და კიდევ უუქველია, ამა თუ იმ შესწორებას შეიტანს უკვე წაკითხულში. ჯერ-ჯერობით ეგებ იმით დავემყოფილდეთ, რაც ამოკითხულია და როგორც ამოშიჯრულია.

XII.

უკანასკნელ დავუროთოთ რამოდენიმე შენიშვნა ზოგიერთი ადგილის განსამარტებლად. მივყვეთ გვერდობლივ:

1a 1-3: წინადადება გაუმართავია. მესამე სტრიქონში ბოლოს თითქო რალაც ასო კიდევ უნდა იყოსო. პირველ სტრიქონში ჩამოქრილი უნდა იყოს დიდი ხ, რომელიც გარედ უნდა ყოფილიყო გამოტანილი, ვინაიდან მომდევნო ა სხვა სტრიქონების პირველი ასოების ჩამოსწვრივ ხაზზეა დაწერილი. ხ 18: აქ რალაც ასეთი რამ არის მოსალოდნელი: „აწ ჯერ არს“, რომელიც გადალეულია და აღარ იკითხება.

3a 12-13 „შეხუწირვიდეთ“: აქ ხ აღარ გვაქვს, რადგანაც ეტრატი ჩამოქრილია, მაგრამ უუქველია იგი თავის დროზე იყო, ვინაიდან სხვანაირად მომდევნო უნს ვერ მივიღებდით: a 15-16 „შეევახლნეთ“: აქ ვინს ჩამოქრილი აქვს წინა მხარე და ნაწილიდაა დარჩენილი. მაგრამ უუქველია, რომ მის წინ „ხ“ არ იყო, რადგანაც, რომ ყოფილიყო, მაშინ „შეხუევახლნეთ“ ფორმას მივიღებდით, მაგრამ ამას ვერ გავამართლებდით, რადგანაც ჯერ ერთი ვინის ნაშთი მოიპოვება და მერმე უ ასოსათვის ადგილი არ არის.

4a 6-7 „მოხუ(ვ)დეთ“: აქ რომ ერთი ასო არ ჩანს გარკვევით, იგი უნდა იყოს პატარა „ვ“, — სხვა არ უდგება. a 10-11 „სიტყვათ (?) სელითა (?)“: საეჭვოა ორივე. a 19-20: ფრჩხილებში ჩანს მელი ასოები საეჭვოა. a 22: საეჭვოა უკანასკნელი სტრიქონის წაკითხვა, განსაკუთრებით უკანასკნელი ასოსი. ხ 18-22: აღარათფერი ჩანს, ალბათ იმიტომ, რომ აქ სინგურით იყო დაწერილი ახალი თხზულების სათაური და გადარეცხის დროს სულ შთლად გადაილია.

5b. ძალიან გადალუღულია მთელი სტრიქონები და რისამე ამოკითხვა ძნელია.

6a 12 „მსხორად“: ასე უნდა იყოს ხანმეტ მრავალთავში. რა ვიცი, თითქო არ შეიძლება სხვანაირად წაიკითხვა. მერმინდელ მრავალთავებში ამის ადგილას სულ სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს: C „მახვორად“, D „მსტორად“, E „მსახურებად“. სწორი არც ერთი არ უნდა იყოს, რადგანაც თავდაპირველად ალბათ „მსახურად“ იყო, რომელსაც ყველაზე უფრო A და E უახლოვდება.

7b 16-22: აღარაფერი ჩანს, რადგანაც აქ ალბათ ივლიანე ეპისკოპოსის თხზულების სათაური იყო სინგურით დაწერილი და გადარეცხის დროს გაქრა.

9a 13 „რ'ლ იგი თვთ მათ“: ამ ასოებს, უკანასკნელს გარდა, ბოლოები აქვს ჩამოჭრილი, მაგრამ ჩამოჭრილია ცერად ისე, რომ მომდევნო ასოები მეტად არის გადარჩენილი თავ-თავის წინამაგლებზე.

10a 1 „მათნი“: გარკვევით იკითხება „მათნი“ (და არა „მამათანი“, როგორც ლუკას აქვს: 1, 17); b 13 „თის ხილისაჲ“, ამ ასოებზე იგივე უნდა ვთქვათ, რაც 9a 13, მაგრამ შექცევით: წინამაგალი ასო უფრო მეტადაა გადარჩენილი, ეიღრე მომდევნო.

12. ბევრი რამ არ ირჩევა და რაც ამოკითხულია, იქაც ზოგი რამ საექვია.

13. აქაც იგივე ითქმის, რაც წინა გვერდზე.

14b 9 „წი იგი“: აქ უფრო გარკვევით ჩანს „იგი“, ვიდრე „წი“. ამ სიტყვას ქარაგმა არ უჩანს: „წიგნი“ რომ ეწეროს მთლად, აზისთვის ადგილი არ არის, ასე რომ უნდა ვიფიქროთ, რომ „წიგნი“ კი არის დაწერილი, მაგრამ შემოკლებით, ქარაგმით: „წი“; b 12 „ხ“: თითქო ეს ასო ორჯერ არის დაწერილი.

15a 2 „მას უშჯულოება“ კიდევ ჩანს ნაწილობრივ, მაგრამ ისე, რომ ჩამოჭრის წყალობით პირველი ასო მეორეზე უფრო ნაკლებ არის დაზიანებული, მეორე მესამეზე, მესამე მეოთხეზე და ეგრე თანდათანობით სამ უკანასკნელ ასომდე („ება“), რომლებიც სულ ჩამოჭრილია; a 8 თითქო უფრო „უჯეროსა“ უნდა იკითხებოდეს, ვიდრე „უშჯულოსა“.

16b. მთელი სვეტი ძალიან მკრთალია და წაიკითხვა აქა-იქ საეგებია. b 2 „წემიდეს იგი“: ასოები გადაჭრილია და მხოლოდ ბოლოებიღა უჩანს ცოტ-ცოტა.

17a 2 „შეხვანდა“: ასოები გადაჭრილია, მაგრამ ბოლოები ჩანს და გუვი არ არის, რომ ასე იკითხებოდა; b 14-20: აღარაფერი იკითხება, რადგანაც აქ ახალი თხზულების სათაური უნდა იყოს, რომელიც სინგურით იქნებოდა დაწერილი და მთლად გადასულა გადარეცხის დროს.

18a 12 „მკოლოვსა“: ეს სიტყვა ხანმეტ მრავალთავში აღარ არის, მაგრამ აღდგენილია უდაბნოს მრავალთავის მიხედვით. იქ „მკოლოვსა“ იკითხება, თუმცა ათონის დაბადებაში (გამოსლგ. 30, 14) „მკოლავი“ იკითხება. აღწერილობით უნდა, რომ საბამ ეს სიტყვა ამ ადგილიდან იცის, მაგრამ „მკოლოვანის ფორმით მოჰყავს“ (უჩვენებს გამოსლგ. 30, 15; ჩუბინაშვილს ადგილის ჩვენებაში ბეჭდვითი შეცომა უნდა ჰქონდეს: 40, 12); b 9-10 „წინა დაუღვათ“: არავითარნიშანი არ არის იმისი, რომ „წინა დაუღვათ“ წავიკითხოთ; b 11 „კათოლიკისა“: ეს სიტყვა ამოკითხულია B ტექსტის მოშველების შემდეგ, — მანამდე არ არ იყო ნათელი.

20 ამ გვერდზე კიდევ შეიძლება რამე-რამეების ამოკითხვა. b 14 „და-ბბანა“: აღდგენილია 19a 3'ის მიხედვით; b 16 „ოვი“: ალბათ „(ხმალ)ოვი“ არის.

კონსტანტი, Peetersი აზრით, რომელიც უმთავრესად თომა არწრუნის ცნობების ემყარება ამ შემთხვევაში, იყო სომეხ ტყვეთა თანამოდასე (captivus in Armeniorum calerva) და ამავე დროს სომეხთა რჯულის მიმდევარი (de secta Armeniorum..... Thomas Kachai habuerit ut suum et fidei communione sibi coniunctum). ამის საბუთად Peetersი მარტო იმას კი არ სთვლის, რომ კახაჲ, რომელიც სომეხებთან ერთად აწამა ბულამ ალბანიაში, თომა არწრუნს „წმიდანად“ მიაჩნია, არამედ უმთავრესად ატენის სიონის ცნობილს წარწერას: კონსტანტინე კახაჲ იმიტომ მოუხსენებიათ ამ წარწერაში, რომ მის შეპყრობას ადგილი ჰქონია ატენის მახლობლად; ატენის სიონი კი აშენებულია, როგორც ხუროთმოძღვრის ლაპიდარული წარწერიდანა ჩანს, სომხის მიერ, უეკველია, სომეხთა სარწმუნოების მიმდევართათვის (armenio ritu). მაშასადამე, სრულად ბუნებრივია, რომ სომეხთა ეკლესიაში წარუწერიათ სახელი გამოჩენილის ისტორიული პიროვნებისა, რომელიც, მართალია, ტომით ქართველი იყო, მაგრამ რჯულით სომეხი. სომეხთა რჯულის მიმდევარნი ამ დროს ქართველთა შორის მრავლად იყვნენ, სომეხ-ქართველთა შორის მაშინ, ყოველ შემთხვევაში ატენის ციხის მიდამოებში, მტკიცე მეგობრული ურთი-ერთობა და კავშირი სუფევდა, ამიტომ საფიქრებელია, ამბობს Peetersი, რომ აქვე, ატენის რაიონის სომეხ-ქართველთა შორის, უნდა გაჩენილიყოს თავდაპირველად კონსტანტინეს კულტი, რომელმაც, საქართველოს გაერთიანებასთან ერთად, ზოგადი ქართული ხასიათი მიიღო, ასე რომ მეთაუ საუკუნის გასულს, როგორც მიქელ მოდრეკილის ჰიმნებიდანა ჩანს, ის მიღებული ყოფილა ტაო-კლარჯეთშიაც კი, სადაც თავდაპირველად ამ კულტს ადგილი ვერ ექნებოდა, ვინაიდან კონსტანტინე ეკუთვნოდა იმ ზანაკს, რომელსაც ბავრატ ეუროტპალატი ემბოძადა.

უნდა ითქვას, რომ ამ გამოკვლევაში Peetersმა მრავალი საგულისხმო საკითხი წამოაყენა და არაერთი ისტორიულ-ლიტერატურული დეტალი გააშუქა; მაგრამ მთავარი მისი დებულებანი არამც თუ საცილობელი და პრობლემატურია, ზოგიერთ შემთხვევაში, ვგვონია, მიუღებელიცაა. მართლაც, კონსტანტინის მარტილობა რომ ფაქტობრივ მ.სალის მხრივ ღარიბია და, უმეტეს შემთხვევაში, ის ზოგადი ფრაზებისა და ადგილებისაგან შესდგება, ეს სამეცნიერო ლიტერატურაში ამდენხანაც იყო ცნობილი¹⁾; მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქო ის ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული იყოს და ან პირდაპირ სიცრუეს შეიკადღის. ან კიდევ კონსტანტინის სხვის ამბებსა და თავგადასავალს მიაწერდეს. განვიხილოთ ზემოჩამოთვლილი არგუმენტები Peetersისა.

1) მართალია, არაბთა ის შემოსევა, რომლის მსხვერპლი გახდა კონსტანტი, არ იყო განოწვეული მხოლოდ სარწმუნოებრივი მოტივებით, როგორც ჩვენს ჰაგიოგრაფს აქვს წარმოდგენილი. მაგრამ განა ეს მხოლოდ ჩვენს ჰაგიოგრაფს ჩათვლება ცოდვად? ჰაგიოგრაფიაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა; მაგალითისა-

¹⁾ ივ. ჯანაშიაშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამ. I, გვ. 19-24 გამ. 2, ავტო. 52-58; კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 567.

თვის დეასახელებთ 42 ამორიელთა მარტვილობას, რომელიც ბიზანტიელთა ისტორიას და კერძოდ მათ დამოკიდებულებას არაბებთან ნესტურ საუკუნეში სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ხსნის¹. ნუ თუ ამის გამო ევოლისა და სოფერონი კრიტიკელის შრომებს არაერთი ისტორიული ღირებულება არ აქვთ?

2) მართალია, ჰაგიოგრაფი არას ამბობს ტფილისის დაწვისა და განადგურების შესახებ ბულა თურქის მიერ, მაგრამ ვერც ეს გარემოება დაგვიმტკიცებს ჩვენი ძეგლის არარაობას და მის შეთხვევას თამარ მეფის შემდეგ. ჰაგიოგრაფი, რომელიც უმთავრესად საეკლესიო-სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ხელმძღვანელობს, ისტორიული ფაქტების გადმოცემისათვის მაინცადამაინც არ ზრუნავს. ის, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „მრავლისაგან მცირედსა აგვიწერს“, რათა მის მიერ აღწერილი არ იქნეს „ნამეტნავ განუძობთთა“. ეს, რასაკვირველია, სავალალოა ჩვენითვის, ისტორიკოსებისათვის, მაგრამ იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ჰაგიოგრაფმა ტფილისის დაწვისა და აოხრების შესახებ არა იცოდა რა.

3) პირიქით, ის გარემოება, რომ ტფილისი მას ბულა თურქის რეზიდენციად მიაჩნია, მაჩვენებელია იმისა, რომ მისთვის უცნობი არ იყო ბუღას დამოკიდებულება ამ ქალაქთან და, თუ ის შეცთომით მას ბუღას რეზიდენციად მიუჩნევია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის, როგორც აღნიშნულია უკვე სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე), არის შორს, საბერძნეთში, მყოფი რომელიმე ბერი, ანადა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, მკვიდრი რომელიმე მწერალი, რომელსაც ვერ წარმოვადგინა, თუ, ქალაქის აღებისა და დაპატრონების შემდეგ, ბულა იქ რამდენიმე ხანს მაინც არ დარჩებოდა საცხოვრებლად.

4) ვინ აწამა კონსტანტი და სად? Peetersი ფიქრობს, თომა არწრუნის ცნობათა მიხედვით, რომ ის აწამა ბულა თურქმა ალბანიაში და არა ხალიფა მუთავაქილმა სამარიაში. ჩვენ გგონია, რომ სიმართლე ჰაგიოგრაფის მხარეზე უნდა იყოს: ჯერ ერთი, თომა არწრუნი, რომელიც ვილაც კახაძეს წამებას მოგვითხრობს, პირდაპირ არ აღნიშნავს, სად მოხდა ეს ამბავი; მეორე—მისი სიტყვით, კახას დაკითხავს და აწამებს არა მთავარსარდალი, არამედ გვირგვინოსანი, ე. ი. მეფე (*Παφσαυρη, rex*), ანუ თვით ხალიფა, მამასადამე—სამარიაში. მართლაც, ამ კარდინალური საკითხის გადაწყვეტისას ისეთს საეკვო მოსაზრებას ხომ ვერ დავემყარებით, როგორიცაა პიპათეზი Peetersისა, ვითომც თომამ „მთავარსარდლის“ ნაცვლად სიტყვა „მეფე“ იხმარა (*scriptor regem dixit pro summo duce*)! მართალია, იმ ტყვეთა შორის, რომელნიც ბულამ სამარიაში გაგზავნა, არც კონსტანტია მოხსენებული და არც კახაძე, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა იმის სატყველად, რომ კონსტანტი მართლაც არ ყოფილა სამარიაში წარგზავნილი. საქმე ისაა, რომ არც იოანე პათოლიკოსს, არც თომა არწრუნის არ აღნიშნავს სახელები ყველა ტყვეებისა, რომელნიც სამარიაში

¹) В. Васильевскій и П. Никитин. Сказания о 42 аморийских мучениках и церковная служба им (Записки Академии Наук, VIII серия, т. VII, № 2 по историко-филологич. отд.), Петерб. 1905.

გაიგზანენ. გარდა ამისა მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოება: მიქელ მოღრეკილის ჰიმნებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ კონსტანტი წარგზავნილ იქმნა „ქუეყანასა უმჯულოთასა“; Peetersი ფიქრობს, რომ, ვინაიდან კონსტანტი წაიყვანეს არაბთა მიერ დაკავებულ ალბანიაში, ჰიმნოგრაფს შეეძლო licentia poetica წყობდებოდა ალბანიისათვის „უმჯულოთა ქუეყანა“. მეთხველი დავვეთანხმება, რომ არგუმენტი მაინცადამაინც დამაჯერებელი ვერაა.

5) განსაკუთრებით საყრადღებოა Peetersის ჰიმოთეზი, ვითომც ის წერილი, რომელიც მისწერა თეოდორამ თავისი სიძის, კონსტანტინე პატრიკოსის, ოჯახობას მისი მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ 848 წელს, ჩვენმა ჰაგიოგრაფმა კონსტანტინე კახაზდ გადმოიტანა. ჯერ ერთი, ამორიელთა მარტილობის სხვადასხვა ვერსიებში (В. Васильевский и П. Никитин) ვერაფერს ამ წერილის მსგავსს ჩვენ ვერ ვპოულობთ. მეორე—თეოდორას შეეძლო ამგვარი წერილი არა მარტო თავის ნათესავისათვის, არამედ შორეული ქართველი ერისთავის ოჯახისათვისაც მიეწერა. მართალია, არაბთა 853 წლის ექსპედიციას საქართველოში ბიზანტია პირდაპირ არ ჩაუთრებია, მაგრამ ხომ ვიცით, რა ქიშპობა და გამწვავებული დამოკიდებულება არსებობდა ამ დროს არაბთა და ბიზანტიელთა შორის?¹ ამ გამწვავებული ურთიერთობის ტალღები ხშირად ჩვენი ქვეყნის საზღვრებამდეც ასწევდა; მოვიგონოთ ჯერ კიდევ იმპერატორი თეოფილე, რომელმაც ჯარი გამოგზავნა ჩვენს ქვეყანაში ტფილისის ამირა საჰაკ ისმაილის ძის წინააღმდეგ;² მოვიგონოთ იმპერატორიცა თეოდორა, რომელმაც, როგორც ზევითაც ვთქვით, 842 წელს ომი დაიწყო ზემოქართლში ამირას წინააღმდეგ³. ბიზანტია ყოველ ღონეს ხმარობდა შეესუსტებია არაბები და ამისათვის ის პატარა ქრისტიან ერებისა და ქვეყნების დახმარებასაც გულმხურვალედ ღებულობდა და ყოველს მოსდენილ შემთხვევაში ამხედრებდა მათ არაბების წინააღმდეგ. ასეთს პირობებში რა გასაკვირველი იქნებოდა, თუ თეოდორა წერილს მისწერდა გამორჩენილი ქართველი მთავრისა და მხედრის ოჯახობას, რომელიც არაბებთან ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა? კონსტანტის სამხედრო მოქმედებას, როგორც უნდა ყოფილიყო იგი, ხომ ხალიფატის შესუსტება და დაუძლეურება ჰქონდა მიზნად და შედეგად! თან, კონსტანტი ამ ომში მოკავშირე იყო ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი აფხაზეთისა, მაშასადამე, ის თვით იმპერიისათვის იმრძოდა და ამ ბრძოლას მსხვერპლადაც შეეწირა. ასე რომ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა თეოდორას წერილობითი მიმართვა მისი ინტერესებისათვის დაღუპული ქართველი მთავრის ოჯახისადმი. ანაირად, ისეთს ლიტერატურულ ხელშეწყობას, როგორსაც Peetersი ჰგულისხმობს, ადვილი არ უნდა ჰქონდეს ამ შემთხვევაში.

1) А. Васильев, Византия и арабы. Политические отношения Византии и арабов во время аморийской династии, т. I, Петерб. 1900 г.

2) Marquart, Oskouräische und ostasiatische Streifzüge, SS. 421—422; Васильев Византия и арабы, т. I стр. 154.

3) Theophanes continuatus, III, c. 93, ed. I. Becker, p. 137. Laurent, L'Arménie entre Byzance et l'Islam, p. 212.

6) ესევე უნდა ითქვას კონსტანტი კახასადმი სამარის საპყრობილეში მიგზავნილ სომეხთა შესახებაც; არც აქ არის ამორიელთა მარტვილობის ეპიზოდური ლიტერატურულად განმეორებული. ამორიელთა მარტვილობაში ერთს მაცუნებელზეა ლაპარაკი, კონსტანტისაში კი ორზე, თან ჩვენ ვიცით, რომ არაბთა ხელისუფლების ჩვეულებრივი ტაქტიკა ყოფილა, რომელსაც რომელიმე შეპყრობილი ქრისტიანის გადამბრუნება ჰსურდათ, მას ციხეში თუ სხვაგან მიუგზავნიდნენ ხოლმე ყოფილ ქრისტიანებს რჩევა-დარიგებისათვის. რა გასაკვირველია, თუ ასე მოიქცენ კონსტანტის მიწართაც და მას მიუგზავნეს სომხის ერისთავები, მით უმეტეს, რომ, სომეხ ისტორიკოსთა ცნობით, ბულა თურქმა დაატყვევა და სამარიაში გაგზავნა მრავალი სომეხი, მათ შორის ერისთავებიც, რომელთაგან ზოგმა ქრისტიანობა უარყო და მაჰმადიანობა მიიღო¹.

ჩვენ ამით, რასაკვირველია, იმისი თქმა არ გვინდა, რომ ჰაგიოგრაფს თავისი შრომის შედგენისას არავითარი ლიტერატურული წყარო არ გამოუყენებია; წყაროები, უუქველია, მას ხელთ ჰქონდა, შეიძლება ამორიელთა მარტვილობაც, თუ რომელიმე მისი ვერსია 856 წლამდე იყო შედგენილი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თავის დროს (ქართული ლიტერ. ისტორია I, 567) და Peetersმაც დაადასტურა ეს, რომ შესავალში მას უსარგებლბია იოანე ოქროპირის ცხოვრებით, რომელიც ალექსანდრიის პატრიარქის გოგორჯის მიერაა დაწერილი. ესევე უნდა ითქვას იმ ადგილის შესახებ, რომელსაც სხვათა შორის, ერთერთ საბუთად იყენებს Peetersი მარტვილობის ისტორიული ღირებულობის უარყოფისას და რომელშიაც გადმოცემულია შემდეგი: „ვიდრე შეპყრობილა იყო კონსტანტინე ტფილისის შინა, მისწერა წიგნები ყოველთა მიმართ მეუღაბნოეთა ქალაქისათა და მამასახლისთა მონასტრისათა“, რომელსა წერილ იყო ესრე: „ინებეთ ჩემთჳს ლოცვისა ყოფა უფლისა მიმართ... რათა მომცეს მე ძალი ქრისტემან ღმერთმან წინამდებარისა ამისთვის საბრკისა, რომელი დაურწყავს მტერსა ჩემსა, რომელსა ჰნებაეს დაბრკოლება ჩემი გზისა მისგან, რომლისათჳს სურის სულსა ჩემსა“ (თავი 7, Peetersის გამოცემით). აქ ჩვენ გვესმის გამომდინარეობა ჰაბო ტფილისის მარტვილობისა, სადაც ნათქვამია: თავის მოკცეთის წინადღიით ჰაბომ საპყრობილეში „განიძარკუა სამოსელი თვისი და განსცა სავაჰროდ, რათა უყიდონ მას სანთლად კეროვნები და საკვეველი და წარსცა ყოველთა ეკლესიათა ქალაქისათა, რათა აღანთონ. და მიავლინა ყოველთა მღუღელთა ვედრებით, რათა ლოცვა ყონ მისთვის, რათა არა დაბრკოლდეს სარწმუნოებისაგან ქრისტესისა და ღირს იქმნას მოღუაწებასა ქრისტეს მოწამეთა (საქართ. სამოთხე გვ. 343).

დასასრულ, უნიადაგო უნდა იყოს აგრეთვე Peetersის ის პიპოთეზიც, ვითომც კონსტანტი კახა სომეხთა რჯულის მიმდევარი იყო. ის გარემოება, რომ თომა არწრუნი მას „წმიდას“ ეძახის, ამას ვერ დაგვიმტკიცებს, ვინაიდან, როგორც თვით Peetersი შენიშნავს, სომეხთა ეკლესიას ის თავის კალენდარში არ მიუღია და მის სახელს იქ ვერ ვხვდებით. ვერც ატენის წარწერა გვიშველის

¹) იოანე კათოლიკოზი, თომა არწრუნი III, 5, 6, 11; S. Martin, Histoire d' Arménie par le patriarche Jean VI, c. XII, p. 115.


ამ შემთხვევაში. სომეხ ხუროთმოძღვრის ლაპიდარული წარწერა, როგორც გარკვეულია ეხლა. ეკუთვნის ატენის თავდაპირველ აგებას¹; თუ, ვთქვათ, თავდაპირველად ის სომეხთა რჯულის მიმდევართათვის იყო აგებული, არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მეცხრე საუკუნეშიც, როდესაც კონსტანტის სახელის შემცველი წარწერა გაუკეთებიათ მის კედელზე შეგნით, სომეხს ეკუთვნოდა ის. მეორე, კონსტანტის სახელის მოხსენებას ატენის წარწერაში კავშირი არ უნდა ჰქონდეს მის, ვითომცდა, ატენის ციხესთან შეპყრობასთან; შემართანე ვადმოგვეცემს, რომ ომი, რომელშიაც კონსტანტი უნდა შეეპყრათ, ატენთან კი არ მომხდარა, არამედ კუერცხობს. აი მისი სიტყვები: „თედოსი, მეფე აფხაზთა, გამოვიდა წინააღმდეგად მისსა [და] დადგა კუერცხობს; რამეთუ ბულა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თვისი, და ბაგრატი, ძე აშოტ კურაპალატისა, და შეეზნეს და გააქციენეს აფხაზნი, და მოწყდა სიმრავლე ურიცხვი, და თეოდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დასავლისასა“ (ქართლის ცხოვრ. მარია მღვდელმთავრისა, გვ. 221). უკანასკნელ, ძნელი დასაჯერებელია, უკეთ რომ ვთქვათ, შეუძლებელია, რომ მეცხრე, მეათე, მით უმეტეს მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობა იმდენად განმწვავებული იყო, რომ ქართველები ყოველ კვალს შლიდნენ სომეხებთან ოდესღაც ეკლესიურ-კულტურული კავშირისას, სომეხთა სარწმუნოების მიმდევარი კაცი, თუგინდ ქართველი ტომით, წმიდანად აღეარებიათ მათ, მისი სახელობის დღესასწაული დაეწესებიათ, ჰიმნები და მარტილობა დაეწერათ მისი და საეკლესიო კალენდარში ნიელთ იგი.

ეხლა განვიხილოთ, როდისაა დაწერილი მარტილობა, შესაძლებელია თუ არა, Peetersთან ერთად, ვიფიქროთ, რომ ის დაეით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შემდეგაა შეთხზული?

მთავარი დასაყრდენი Peetersის აზრის, რომ მარტილობა არაა დაწერილი თანამედროვის მიერ, უნდა იყოს ჩვენი შენიშვნა მარტილობის ერთერთი წყაროს შესახებ, რომელიც მკვლევარს სწორედ ვერ გაუგია. ჩვენ ვამბობთ (ქართული ლიტერატ. ისტორია I, 567), რომ შესავალი კონსტანტის მარტილობისა წარმოადგენს „თითქმის სიტყვასიტყვითი ექსცერპტს“, ალექსანდრიის პატრიარქის გიორგის მიერ დაწერილის, იოანე ოქროპირის ცხოვრებისას. რომლის ორი ნუსხაა ქართულად დღესდღეობით ცნობილი: ერთი 958 წლისა², მეორე 977—980 წლების. Peeters ჩვენი სიტყვები ისე გაუგია, თითქო ჩვენ გვეთქვას, რომ 1) იოანე ოქროპირის ცხოვრება ნათარგმნია ქართულად 968 წელს და 2) პაგიოგრაფმა გაიმეორა თვით სიტყვები მთარგმნელისა (hagiographum nostrum ipsa verba interpretis mutuatum esse). თუ ეს ასეა, გვისაყვედურებს ავტორი, რა უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თხზულება თანამედროვის მიერაა დაწერილი? მაგრამ ჩვენ არც ერთი გვითქვამს, არც მეორე; თან,

¹) И. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Атени: Христианский Восток, I, 295.

²) ის ეკუთვნოდა პეტროგრაფის საჯარო წიგნთსაცხს (bibliotheca publica და არა militia). დღეს კი საქართულოშია: დბრუნეზული. ეს იგივე, იოანე საფარელის მიერ გადაწერილი, ხელნაწერია, რომელსაც Peeters შესაბამე ნუსხადა სთვლის (p. 546a, not. 13).



თუ დღეს ჩვენთვის ყველაზე ძველი 968 წლის ნუსხაა. ეს კიდევ რომ ჰაგიოგრაფს უფრო ძველი არ ჰქონდა ხელთ. თუმცა ჩვენ არც კვამს, რომ ის უიჟოდ ქართული თარგმანით სარგებლობდა; შესაძლოა ის თხულობდა ბერძნულ ტექსტს ამ ცხოვრებისას.

თავისი შეხედულების დასადასტურებლად Peeters იმორწმუნს, ზოგადად, მარტვილობის ლიტერატურულ მხარეს: ლექსიკას, გრამატიკულ მრმებს, სტილს და რიტორიკას. საკმარისია გულდასმით გადაიკითხოს კაცმა ეს ნაწარმოები, რომელსაც ჩვენამდე მოუხწევია მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერებით და მ. საბინინის დამახინჯებული გამოცემით, რომ დარწმუნდეს, რომ იმაში არ გვხვდება არცერთი ლექსიკური, გრამატიკული თუ სტილისტიკური მოვლენა, რომელიც შეუძლებლად ჰხდიდეს მის დაწერას მეცხრე საუკუნეში და თამარის დროს მიუთითებდეს. პირიქით, აქ ჩვენ ვპოულობთ ისეთ ფორმებს, როგორც ადგილი აქვთ სწორედ უძველესი ეპოქის (მეათე საუკუნემდე) ძეგლებში; მაგალითად: „ევანგელე“, „მძღაერი“ (მტანჯველი), „შხის თული“ (შხე), „განგუაფნა“ (დაგესაჯა), „დალიკი“, „სამი ბერი“ (3000). „აღვიწმულდეს“, „ცრემლავნ იკი ცოდვით თვისათვის“, „გონიერად გიციო შენ“, „მერმეთათა საუკუნეთა“, „ეკლმწიფება გაქუს განცხოველებად ვითარცა იგი მოსიკუდი“ და სხვ. რაც შეეხება რიტორიკას, მას მარტვილობაში ადგილი არ აქვს, თუ რიტორიკად არ ჩავთვლით კონსტანტის ლოცვა-ვედრებით მიმართვას ღმრთისადმი და თეოდორას წერილს; პირიქით, თხულება დაწერილია, შეიძლება ითქვას, მარტივი და ლიტონი ენით და რიტორიკის მხრით არ აქარბებს სხვა, ჩვენამდე შენახულ, მეცხრე-მეათე საუკუნეთა ძეგლებს. მაგრამ, ვთქვათ, იმაში მართლაც აქვს ადგილი რიტორიკას, ნუ თუ ეს გარემოება საბუთია იმისა, რომ ის მეცხრე საუკუნეში კი არაა დაწერილი, არამედ თამარის შემდეგ? სრულიადაც არა! ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან ვიცით, რომ ხატთა თავყვანისმცემლობის აღდგენის შემდეგ ბიზანტიაში თავი იჩინა რიტორთა მიუღმა რიგმა, რომელნიც ფორმასა და გარეგნობას პირველ ადგილზე აყენებდნენ თავიანთ ნაწერებში; ეხლა იწერება ისეთი ცხოვრებანი, რომლებშიაც სამი-ოთხი ფაქტიური მასალა რიტორიკული ენაშქვრობის განუქვრეტელ ბურუსშია გახვეული. ასეთმა მიმართულებამ თავის კულმინაციურ პუნქტს სწორედ მეცხრე საუკუნეში მიახწია, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში¹. რა გასაკვირველია, თუ ბიზანტიიდან ეს მიმართულება ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც გადმოვიდოდა?

კონსტანტის მარტვილობა რომ მეცხრე საუკუნეზე უგვიანეს არაა დაწერილი, ამის საბუთს იძლევა მისი სახელობის ჰიმნები, რომელიც მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში (978—983 წ.). ამ ჰიმნზე Peeters სთვლის მიქელის ნაწარმოებად, რადგანაც გამომცემელს, პ. ინგაროყვას, ისინი მიქელისათვის მიუწერია. ჩვენ გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ ეს ჰიმნები მიქელს არ შეუთხზავს, ისინი დაწერილია გაცილებით ადრე. მართლაც, ჩვენ ხელთა გვაქვს მეორე ნუსხა ამ ჰიმნებისა, რომელიც შენახულია ქუთაისის საისტორიო-

¹ X. Донарев, Византийский Жития святых VIII—IX веков; მიხივ. Житие св. Евдокия (Изв. русск. Археол. Института в Константинополе, т. XIII, стр. 161—162, 184).

საეთნოგრაფიო საზოგადოების ტყავზე ნაწერ XI—XII ს. ხელნაწერში¹. შედარება ამ ნუსხისა მიქელის ავტოგრაფთან გვარწმუნებს, რომ მიქელს თვითონ კი არ შეუთხზავს ეს ჰიმნები, არამედ სხვა, მზამზარეული, ნუსხიდან გადმოუწერია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ დაუშვებდა იმ შეცდომებს, რომელთაც ამჟღავნებს მის ავტოგრაფში ახალი აღმოსავლური ნუსხა.

ასე, მაგალითად, მიქელი წერს: „წადიერად შეიწყნარებდა მგზავროვნებათა“ (სტრიქ. 13, ინვოკოკეას გამოცემა), ახალს ნუსხაშია: „შეიწყნარებდა მგზავრ ვნებათა“, ესე იგი—კონსტანტი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას, მგზავრობისას, მოითმენდა ვნებათა. მიქელი: „ქირთა და კრულებათა სიხარულით მოითმენდა. ვითარმედ მიიწია განასსუნებელსა შენსა ქრისტე“ (სტრ. 13—14), ქუთაისის ნუსხა: „ვიღრემდის“, ესე იგი—ვიღრემდის, სანამ არ მიიწია, ან მოკვდა. მიქელი: „რამეს მოივლინა მოსე უდაბნოთ ეგვიპტედ გამოყვანებად ძეთა ისრაელისათა“ (სტრ. 24); ახალი ნუსხა: „ეგვიპტით“, ვინაიდან მოსემ „ეგვიპტედ“ კი არა, არამედ „ეგვიპტით“ გამოიყვანა ებრაელები. მიქელი: რამეთუ ბერწისაგან იქმნეს და მოეც სოფელსა წმიდანი“ (სტრ. 37), ახალში — „მოეცეს“, როგორც „იქმნეს“, ვინაიდან ქვემდებარე „წმიდანი“ მრავლობითია. მიქელი: „დასდევ მტკიცედ ძლიერებისა შენისაჲ შორის წმიდათა“ (სტრ. 45); რა „დასდევ მტკიცედ“ დამატება არაა. ქუთაისის ნუსხა ამ უაზრობას ასე ასწორებს: „დასდევ სიმტკიცედ ძლიერებისა შენისაჲ“. მიქელი: „მშვდობაჲ შენი მომეც ჩუენ ქრისტე ღმერთო და საკსენებელსა კონსტანტისა, რამათა დაუკლებლად ვედრებითა მისითა მოვილოთ შეწვენაჲ“ (სტრ. 67—70); აქ ზედმეტია „და“, ის არც არის ქუთაისის ნუსხაში. მიქელი: „დაშრიტე საკუმილი იგი სენთაჲ მორწმუნეთა შენთაჲ. რამათა დასდევდენ“ (სტრ. 101); „რამათა“ უაზრობაა, ახალ ნუსხაში მის მაგიერ სწერია „რომელნი“. მიქელი: „შენ. რომელი წყაროჲსა მისგან ცხორებისა ასუამ დამამურალად“ (სტრ. 111); ასუამ--ვის? არა „დამამურალად“, არამედ „დამამურალთა“, როგორც ქუთაისის ნუსხაშია. მიქელის ნუსხაში „უფალო დაღატყავისს“ პირველი ჰიმნის შემდეგ (გვ. რეთ) არ არის შემდეგი საგალობელი, რომელსაც ქუთაისის ნუსხაში ვკითხულობთ: „რომელი. ვითარცა ცხობარი მწყემსისა კეთილისაჲ. გმობათა განეშორე. სოფლითაგან ქუყანისათა აღიყვანენ კელთუქმნელთა საყოფელთა ზეცისათა. და მოაგე პატივი გამოუთქმელი ცათა შინა. რომელი აღუთქუა ქრისტემან ღმერთმან ნებისყოფელთა თჳსთა. ბილვაჲ ღმრთეებისა მისისაჲ. რომელსაცა მიემთხვე ნეტარო კოსტანტი. მითხოე ჩუენ. შემასხმელთა სახელისა შენისათა. რათა უგალობდეთ ჩუენ ღმერთსა და მკსნელსა უკუნისამდე“. ვიმეორებთ, ეს ჰიმნები რომ მიქელს შეუთხზა, ის ვერც ამ საგალობელს გამოსტოვებდა თავის ავტოგრაფში და ვერც აღნიშნულ შეცდომებს დაუშვებდა; მაშასადამე, მას ხელთა ჰქონია სხვა, უფრო ძველი, ნუსხა, რომელშიაც ადგილი ჰქონია ამ შეცდომებს. სანამ ამ ჰიმნებში ასეთი შეცდომები დაკანონდებოდა, რასაკვირველია, გადაწერის პროცესში, კარგა ხანს უნდა გაეელო, ამის-

¹) 1921 წელს, როდესაც ჩვენ ამ ხელნაწერს ვსწავლობდით, იგი დანომრილი არ ყოფილა.

თვის საკირო იქნებოდა არანაკლებ ერთი საუკუნისა მანძი. აქედან. მაშასადამე, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ კონსტანტის სახელობის ჰინები შეთხზულია არაუგვიანეს მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრისა, დაახლოებით — მეცხრე საუკუნის მესამე მეოთხედში. ამ დასკვნას კი მარტვილობის დაწერის დროის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ წინააღმდეგ Peetersის სიტყვებისა, ვითომც კიმნების ავტორის, მისი რწმენით — მიქელს, მარტვილობით არ უსარგებლნია, ჩვენ დავინახავთ, რომ მას ეს მარტვილობა კარგად სკოდნია და კიდევაც უსარგებლნია მით. აი ამისი დამადასტურებელი ადგილები:

1) მარტვილობაში ნათქვამია, რომ კონსტანტი იყო დიდი და წარჩინებული ერისთავი, მას ჰქონდა „მრავალი საშუებელი ამის სოფლისაჲ“ (თავი 3, Peetersის გამოცემით), რომელიც მან ქრისტესათვის უგულვებლყო; ჰიმნოგრაფიცი ამბობს: კონსტანტიმ შეურაცხყო „სოფევაჲ სოფლისაჲ (სტრ. 77—78) და „სოფლისა საშუებელი“ (სტ. 86).

2) მარტვილობაში ვრცლადაა აღწერილი, თუ როგორ უყვარდა კონსტანტის ეკლესია-მონასტრები და მღვდელ-მონაზვნები, რომელთაც ის გულუხვ მატერიალურ დახმარებას უწევდა, აგრეთვე როგორ აძლევდა მოწყალებას ღარიბ-გლახაკებს და ზრდიდა მშვიტ-მწყურვალთა და ქვირთ-ობლებს (თავი 3). ჰიმნოგრაფი ამბობს: კონსტანტის შემდეგი სიტყვებით: „კეთილთა საქმეთა მუშაკად გამოჰჩნდი ეკლესიათათჳს. მოწყალებჲჲ შეიმოსე გამოზრდითა გლახაკთაჲთა“ (სტრ. 3—5).

3) მარტვილობა ამბობს, რომ კონსტანტიმ „წინასწარვე იცოდა“ (თ. 5) დეაწლი თვისი, რომლისთვისაც ის წინასწარ ემზადებოდა. ჰიმნოგრაფიცი შენიშნავს, რომ მას „წინათვე სუროდა დათმენითა ასპარეზსა მას ძლევისასა“ (სტ. 11—12), „სუროდა დათმენად ლუაწლისა“ (სტ. 87—88), ან „წინათვე სუროდა მას ქრისტე“ (სტრ. 3).

4) მარტვილობა მოგვითხრობს, რომ კონსტანტი „შეაყენეს საპყრობილესა, ხოლო იგი ყოვლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწყვეთლი იგი მის ზედა და ჰმადლობდა უფალსა“ (თ. 5), „სიმკნით დაითმენდა უკეთურისა მის მძლავრებასა“ (თ. 6) და მრავალგვარ შევიწროება-გაჭირებას ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას. ჰიმნოგრაფიცი ადასტურებს ამას, როდესაც ამბობს: კონსტანტი „წადიერად შეიწყნარებდა მგზავრ ვნებათა, ქირთა და კრულებათა სიხარულით მოითმენდა“ (სტრ. 12—14).

5) მარტვილობაში ნათქვამია: „შემდგომად მცირედთა დღეთა შეკრეს იგი ფიცხლითა საკრველითა რკინისათა და წარსცეს იგი ქუეყანად ბაბილონისა, ქალაქსა, რომელსა ჰრქვან სამარიაჲ“ (თ. 8); ჰიმნოგრაფიცი შენიშნავს: „ნეტარი კონსტანტი... წარიყვანა ქუეყანისაგან თჳსისა და მიიწია ქუეყანად უშუქულოთა“ (სტრ. 94—95).

6) ჰაგიოგრაფი გადმოგვცემს, რომ კონსტანტის „დაურწყო საბრკე მტერ-მან, რომელსაც ჰნებავე დაბრკოლებჲჲ მისი“ (თ. 7), ის მას ეუბნებოდა: „მოიქეც ცთომისაგან და მიიღე ჩემგან კეთილი და უალრესი პატივი და გყო შენ თანამზრახველად ჩემდა და უდიდებულეს ყოველთა მოყუასთა შნთა. და უქუეთუ

არა ისმინო ჩემი, სიყუდილითა მოჰყუდე შენ პირითა მახვლისადათა და კორცნი შენნი მივსცენ საკმელად ფრინველთა ცისათა, და ვინ არს რომელმან განგაჲინოს შენ კელიაგან ჩემთა“ (თ. 8). ჰიმნოგრაფიკ თითქმის ამასვე გადმოგვცემს შემდეგ სიტყვებში: „მოიყუანეს წინაშე უშუალოდ მძლავრისა ძლევამოსილი მოწამე ქრისტესი წმიდა კონსტანტი, ხოლო იგი[ნი] განუმზადებდეს საბრკესა რაათა დაბრკოლონ გზისა მისგან ქეშნარიტისა. რამეთუ არცა პატივითა. არცა გინებითა და პირითა განეშორა სიყუარულსა ქრისტესსა“ (სტრ. 17--21).

7) ჰაგიოგრაფის სიტყვით, კონსტანტის, როდესაც ის წამების მოლოდინში იყო. „ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოდიდოდეს თუალთაგან მისთა ჩუეულენისაებრ მისისა“ (თ. 11); ჰიმნოგრაფიც ადატურებს, რომ კონსტანტი „სინანულითა და ცრემლითა განუმზადებდა თავსა თვისსა“ (სტრ. 10--11).

8) ჰაგიოგრაფი გადმოგვცემს, რომ ხალიფან კონსტანტის მიუყენა მაცოფებლად ორი სომხის ერისთავი, ტყვეობაში გამაჰმადიანებული, რომელნიც შემდეგ ხალიფას ბრძანებით, „მოვიდეს და სცემდეს მახვლითა ქელსა“ მისსა (თ. 9, 11); ამ ფაქტს უნდა ჰკვლისხმობდეს ჰიმნოგრაფიკ, როდესაც ამბობს: „მცველთა მათ ამოთა და ცრუთა მოწყალებთა მათი დაუტევეს“ (სტრ. 76).

9) მარტილობაში მოთხოვნილია, რომ შეპყრობილი კონსტანტი „ყოვლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწვეულნი იგი მის ზელა“ (თ. 5), ის კადნიერად და თამამად ელაპარაკება და ამხილებს როგორც ბულა თურქს, ისე ხალიფას; უკანასკნელს ის პირდაპირ ეუბნება: „არა მეშინის მახვლისაგან შენისა“ (თ. 8). ჰიმნოგრაფიც ამბობს: „იქადოდა ძლიერად წმიდა კონსტანტი რაჲამას წარდა იგი წინაშე უშუალოთა. სიხარულით ღაღადებდა და იტყოდა“ (სტრ. 41--42); მან „შიში მეფეთაჲ განაგლო“ (სტ. 104--105) და „მათი იგი მეფობაჲ შეურაცხყო“ (სტ. 115).

10) დასასრულ, როგორც ჰაგიოგრაფი, ისე ჰიმნოგრაფი ერთხმად აღნიშნავენ, რომ კონსტანტიმ სიხარულით და კადნიერად მოუდრიკა მახვილს ქელი და დაითმინა სიკვდილი.

მოყვანილი მაგალითებიდან სრული სიცხადითა ჩანს, რომ ჰიმნოგრაფი იმეორებს არა მარტო აზრებს და ფაქტებს მარტილობისას, არამედ ხშირად ფრაზებს და წინადადებებსაც; ვანა ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ჰიმნოგრაფს მარტილობით არ უსარგებლნია? აქედან ირკვევა, რომ ვილაც ჰიმნოგრაფს, რომლის საგალობლები მერე მიქელ შოდრეკილს თავის კრებულში შეუტანია, დაახლოევებით ნიკონზე საუკუნის მესამე მეოთხედში ხელში ჰქონია კონსტანტის მარტილობა, რომლითაც მას უხვად უსარგებლნია. მაშასადამე, ეს მარტილობა დაწერილია მართლაც თანამედროვის მიერ, როგორც აცხადებს თვით ავტორის სიტყვებიც: კონსტანტი „იყო ღლეთა ჩუენთაო“ (თ. 2).

დასასრულ ორიოდ შენიშვნა ტექსტის შესახებ.

Peetersის გამოცემას საფუძვლად დასდებია მ. საბინინის გამოცემა, რომელიც თვალსაჩინოდ დამახინჯებულია. ტექსტის შესამოწმებლად ჩვენ გვქონდა ოთხი ხელნაწერი: № 130 სიძველეთა მუზეუმისა 1713 წლისა.

№ 170 იმავე მუზეუმისა 1733 წლისა, № 176 იმავე მუზეუმისა 1734—1743 წლებისა და № 2077 საისტ. - საეთნოგრ. საზოგ. მუზეუმისა 1736 წლისა.

ზოგიერთი შეცთობა, ჩანს, ახასიათებდა იმ არქექტის, რომლიდანაც მომდინარეობს აღნიშნული ხელნაწერები; ასეთია: 1) „გული უთქუმიდა ტაძარსა მას მისლვად იერუსალიმად“ (Peetersის გამოცემა თავი 4,¹, საბინის გვ. 365,²), უნდა იყოს „ნეტარსა მას“; 2) „და პირი ნათესაეთა მისთა“ (P. 5,², ს. 365,²) — „პირველი ნათესაეთა მისთაჲ“. 3) „არა უწყული შენ რამეთუ განრიგებად იყავ სივლტოლვითა შენითა კელთაგან ჩემთა“ (P. 6,², ს. 366,¹⁻²) — „ვერ განრიგებად იყავ“. უფრო მეტი შეცთობა ჩაუდენია თვით გამოცემელს, მ. საბინისს, აქედან კი Peetersსაც; ასეთებია: 1) არცერთს ხელნაწერში სახელი კონსტანტინე არ არის, ყველგან იკითხება კონსტანტი, როგორც ამას ჰიმნებშიაც ვხედავთ; 2) სიტყვები „პარასკევსა ი ნოემბერსა მეფობასა ბაგრატ კურატპალატისა“ (P. 11,¹⁻², ს. 368,²¹⁻²²) არც ერთს ხელნაწერში არაა, ისინი ჩამატებულია თვით საბინისის მიერ. 3) „ექუს ათას სამას ორმეოცდა აოჩვდმეტ“ (P. 12,¹⁻², ს. 368,²¹), ყველა ხელნაწერებში ნაჩვენებია 6457 წელი; 4) „ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთასა ირას ოცდა შვდს“ (P. 12,¹, ს. 368,²¹⁻²²), ყველა ხელნაწერებში ნაჩვენებია 232 წელი; 5) „მოიწყოდეს“ (P. 13,², ს. 369,¹), უნდა იყოს „მოიწოდეს“.

ს. დანელია

ღავით იუმი, როგორც მოაზროვნე.

ორი ლექცია

გარდაცვალების 150 წლის თავის აღსანიშნავად

1776—1926.

I

იუმი უმაღლესი საფეხურია ინგლისური ემპირიზმის განვითარებისა და ამასთან ერთად უდიდესი ფილოსოფოსიც ინგლისისა: ჯონ სტუარტ მილლი იუმთან შედარებით იგივეა, რაც სუსტი მოწაფე დახელოვნებული მაესტროს წინაშე. გებადებათ შთაბეჭდილება, თითქო თითოეულ ერს აქვს თავისი მიდრეკილება ფილოსოფიაშიც, და ვინც ამ მიდრეკილებას უმაღლესამდე განავითარებს, ის დარჩება ამ ერის უდიდესი მოაზროვნე: ფილოსოფია; როგორც ცნებათა სისტემაში ეროვნული ხასიათის ასახვა, მდიდარი თემა ისტორიკოსისათვის.

ყველამ იცით, რომ ინგლისელთა ერს პოზიტივიზმი, პრაქტიციზმი და ემპირიზმი ახასიათებს. ერთხელ გამოცდილს ინგლისელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ინგლისურს პოლიტიკურ ცხოვრებაში ხშირად პრეცედენტი გადამწყვეტი ინსტანციაა. სოციალური წესწყობილების საკითხებშიც ისტორიულ ტრადიციას ინგლისში მეტს პატივსაცემენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ახალს ინგლისელი მხოლოდ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მიიღებს, და ისიც იმ პირობით, აუ ეს ახალი ძველის ბუნებრივი გაგრძელებაა. ხელსახები რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტილს. უტოპიას ყველაზედ უფრო ნაკლები გასაჯალი სწორედ ინგლისის საზოგადოებაში აქვს: ინგლისელი ბუნებით ემპირისტია და ფაქტის პატივისცემელი. სუბიექტის გონებით შეთხზულს და აწმყოსაგან მოწყვეტილს რაციონალურ მოსაზრებებს ის ეპვიით უტყპერის ყოველთვის.

გასაგებია ადვილად, რომ ასეთი ეროვნული ხასიათის ნიადაგზე სხვა ფილოსოფიურ მიმართულებებზე უფრო ინგლისში ემპირიზმი განვითარდებოდა. ემპირისტულმა მიმართულებამ მოიპოვა იქ შესაფერი სოციალური გარემო, რომელმაც ხელი შეუწყო მის ზრდას და ლოგიკურ ბოლომდის ბუნებრივს გაშლას.

გადავავლოთ სწრაფი თვალი ემპირიზმის განვითარებას ინგლისში. იწყებს მას ფრანცისკ ზეკონი თავისი მეთოდოლოგიური ემპირიზმით. ბეკონი ამხედრდა არისტოტელის გაულენისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ და უარაჰყო ის შეხედუ-

ლება. თითქო სილლოგიზმი საკმაო იარაღი იყოს მრავალფეროვანი ბუნების შესაცნობად. სილლოგიზმი არაფერს ნიშნავს, თუ ცდას თავი ავარიდეთ: ცდა არის ნამდვილი საშუალება ცოდნის გასაფართოვებლადო, ამტკიცებდა ბეკონი, და ფიქრობდა მოეცა წესები ცდის წარმოებისა და მისგან მიღებული შედეგების სისტემატიზაციისათვის.

მეორე საფეხური ინგლისური ემპირიზმის განვითარებისა არის ჯონ ლოკის ფილოსოფია. ბეკონიდან ლოკი წარმოდგა ფრანგული რაციონალიზმის განშაყოფიერებელი გავლენის ქვეშ. ხიდი ამ გავლენისა იყო უუდიდესი მატერიალისტი XVII საუკუნისა და საკვირველი სიღრმის მოაზროვნე თომა ჰობსი, რომელმაც გადმოიტანა ინგლისში კარტეზიანული მოძღვრების ელემენტები. კარტეზიანულმა გავლენამ მეთოდოლოგიური ემპირიზმი ბეკონისა ლოკის გნოსეოლოგიურ ემპირიზმად აქცია. ლოკი ეძებს უკვე არა იმას, თუ რა მეთოდით (ცდით თუ ცდის დაუზნარებლად) შეიძლება ცოდნის გაფართოვება, არამედ იმას, თუ რა ფასი ან ღირსება აქვს ჩვენს ცოდნას, და ფიქრობს ეს უკანასკნელი საკითხი ცოდნის გენეზისის გამორკვევით გადაწყვეტოს: ჩვენი ცოდნა არ არის დაბადებიდან თანდაყოლილი, ამტკიცებს ლოკი რაციონალიზმის წინააღმდეგ; ჩვენი ცოდნა ცდლიან მოდის და ამიტომ მისი ღირსებაც ცდით განისაზღვრება: ის ცოდნაა ნამდვილი ცოდნა, ან იმ ცოდნას აქვს ფასი და ღირსება; რომელიც ცდისაგან მივიღეთ, სხვაგვარი ცოდნა კი ღირებულებას მოკლებული შევთვამა და არა ნამდვილი ცოდნაო.

აქ საყურადღებო პრინციპი იყო წამოყენებული, მაგრამ ლოკმა ბოლომდის ვერ გაათარა იგი, რადგან მან მიიღო სუბსტანციის არსებობა. არის ორი გვარი სუბსტანციისა: სუბსტანცია გარეგნული (სხეული) და შინაგანი (სული). შინაგანი სუბსტანცია ლოკისათვის არის ჩვენი „მე“, რომელიც წარმოდგენებს ატარებს. ეს წარმოდგენები კი ჩნდება გარეგნული სუბსტანციისა და შინაგანის ურთიერთობაში. ამიტომ არის ორი რიგი წარმოდგენებისა: ზოგი შიგნით გარედან (ეს არის სენსაცია), ზოგი კი შიგნით შიგნიდან (ეს არის რეფლექსია); ზოგი ახასიათებს თვით შესაცნობ გარეგნულ საგანს ან სხეულს (პირველადი თვისებანი), ზოგი კი ახასიათებს შემცნობ სუბიექტს ან სულს (მეორადი თვისებანი). ლოკს არ დაუმტკიცებია გარეგნული სუბსტანციის რეალობა. პირველ რიგით, ის იმასაც კი ამბობდა *explicite*, რომ ამის დამტკიცება შეუძლებელია და გარეგნული სუბსტანციის არსებობა მხოლოდ ჩვენი რწმენის საგანია, ვინაიდან ცდაში გარეგნული სუბსტანცია არ შეიცნობაო. განა ეს ამკარა წინააღმდეგობა არ იყო? თუ ცოდნა ცდით განისაზღვრება და თუ ცდაში გარეგნული სუბსტანცია არ შეიცნობა, მაშინ ეს უკანასკნელი საზოგადო ცოდნის გარეშე ყოფილა, და ფილოსოფია, რომელიც. იმავე ლოკის შეხედულებით, ცოდნისა და არა რწმენის არეა, გარეგნული სუბსტანციის ცნების დაუზნარებლად უნდა აშენებულიყო.

სწორედ ასეთი იყო ის დასკვნა, რომელიც ლოკის მოძღვრებიდან შემარმა კლერჯიმენმა და კლონის ეპისკოპოსმა ჯორჯ ბერკლიმ გამოიყვანა. ჩვენი შეგვიძლია ვიცოდეთ მხოლოდ ის, რაც ცდაში შევიცანით; გარეგნული სუბსტანციის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ის, რასაც გარეგნულ სუბსტანციას ან

სხეულს უწოდებენ, მხოლოდ წარმოდგენათა ჯამია. წარმოდგენა კი წარმომდგენელის ნაყოფია და უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად ან სუბსტანციალურად არ არსებობს. არც სხეული არსებობს დამოუკიდებლად წარმომდგენელი სუბიექტისაგან და, მაშასადამე, ის არ არის სუბსტანცია: სუბსტანციალობა ექუთენის მხოლოდ წარმოდგენათა ვატარებელს სუბიექტს ან სულს.

მაგრამ თუ სხეული არ არის სუბსტანცია, თუ ის მხოლოდ წარმოდგენათა ჯამია, რით განირჩევა მაშინ ერთი წარმოდგენა ან ცოდნა, რომელსაც ჩვენ ქეშმარიტს ვეძახით, მეორე წარმოდგენისაგან (ცოდნისაგან), რომელსაც ჩვენ მცდარს ვეძახით? ჩვეულებრივ თქირობენ, რომ ქეშმარიტი ცოდნა ის არის, რომელიც შეეფერება გარეგნულ საგანს. ყალბი კი არის ის, რომელიც ამ გარეგნულ საგანს არ შეეფერება. მაგრამ თუ გარეგნული საგანი (სუბსტანცია) არ არის, მაშინ რაში უნდა იყოს განსხვავება ქეშმარიტი ცოდნისა ყალბისაგან? ამ ძნელ საკითხს ბერკლი ასე სჭირს: ქეშმარიტი ცოდნა ყალბისაგან განირჩევა თავისი წყობით: თუ ჩვენი ცოდნის წყობა შეეფერება იმ წყობას, რომელიც აქვს მის შინაარსს აბსოლუტური არსის ან ღმერთის გონებაში, მაშინ ეს ცოდნაც ქეშმარიტია; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ის ყალბია. აბსოლუტური არსი გვაძლევს ჩვენ წარმოდგენის ან ცოდნის ელემენტებს: ეს არის შეგრძნებები. ჩვენ ამ შეგრძნებებს ერთმეორესთან ვაკავშირებთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ამის ძალა მონიჭებული, ე. ი. გვაქვს მონიჭებული თავისუფლება შეგრძნებათა შეკავშირებისა. ასეთი თავისუფლების გავრა კი ზოგი აკავშირებს შეგრძნებებს არა ისე, როგორც მათი შინაარსი შეკავშირებულია აბსოლუტური არსის გონებაში, და ეს არის სწორედ შეცდომა. ამრიგად ქეშმარიტება და შეცდომა განირჩევიან მხოლოდ აბსოლუტურ არსთან მიმართებით: რომ ეს არსი არ ყოფილიყო, მაშინ არც განსხვავება იქნებოდა შეცდომასა და ქეშმარიტების შორის.

მაგრამ აი საკითხი: დამტკიცებულია თუ არა აბსოლუტური არსის ანუ ღმერთის არსებობა? ბერკლის არ უცდია ამის დამტკიცება: როგორც ეპისკოპოსს, მას სწამდა, რომ ღმერთი არსებობს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ რწმენისა და არა მეცნიერული ცოდნის საქმე. არც ის დაუმტკიცებია ბერკლის, რომ სული არის, რომ ის სუბსტანციაა: ესეც მისი რწმენა იყო მხოლოდ. ღმერთი რომ არსებობს, ამას ემპირიისტი მხოლოდ მაშინ ჩათვლიდა დამტკიცებულად, თუ ის აღმოაჩენდა, რომ ცდაში ღმერთი შეიცნობა. აგრეთვე სულის არსებობაც ემპირისტის მხოლოდ მაშინ შეეძლო ეცნო, თუ ის აღმოაჩენდა, რომ სული ცდაში განიცადებდა.

იუმმაც სწორედ აქედან დაიწყო: მან აღნიშნა, რომ ცდაში არ განიცადებდა არც ღმერთი, არც სული. რომ კონკრეტულს ცდაში ღმერთი არ შეიცნობა, ამაზედ ლაქარაკიც ზედმეტია. უფრო საყურადღებოა ის, რომ, იუმის აზრით, არც სული შეიცნობა ცდაში. სწორედ აქ იჩენს თავს ყველაზედ უფრო ნათლად ის დიდი განსხვავება, რომელიც ემპირისტს იუმსა და რაციონალისტ დეკარტს შორის იყო. როგორც ვახსოვთ, დეკარტი დარწმუნებული იყო, რომ თითოეულ ჩვენს განს აქვს საშუალება საკუთარი „მე“ ან სული შეიცნოს. დაეკვირდეთ ჩვენს

თავს და ჩვენ შევნიშნავთ, რომ ჩვენი „მე“ არსებობს. ამ „მე“-ს არსებობა დეკარტისათვის ეგვიპტური დებულება იყო: მე შემიძლია ყველაფერში ვეპეობდე. მაგრამ იმაში, რომ მე ვარსებობ, მე არ შემიძლია ეპევი შევიტანო. როდესაც მე ვეპეობ, მე ვიცი, რომ მე ვარ: je pense, donc je suis. ამ სასტიკი მსჯელობას იუმი არ დაეთანხმა. ძალიან ადვილად შეიძლება, რომ თითოეული ჩვენგანი დარწმუნებული იყოს, რომ ის ან წისი „მე“ არსებობს: არც ერთს ჩვენგანს მართლაც აო შეუძლია ეპევი შეიტანოს იმაში რომ ის ან მისი „მე“ არის. მაგრამ ეს ბოლოს და ბოლოს არათუ არამტკიცებს იმის შესახებ, ნამდვილად არსებობს ეს „მე“ თუ არა. რამდენს რამეში ვართ ჩვენ ძლიერ დარწმუნებული, რამდენს რამეში არ შეგვიძლია ჩვენ ეპევი შევიტანოთ, მაგრამ ყველაფერი ეს კუმარირება მანაც არ არის. აი მე ძილში ვარ და უცხად ვხედავ, რომ სახლს ცეცხლი გაუჩნდა: ამ მომენტში მე ეპევი არ მაქვს იმაში, რომ ეს ასეა. მაგრამ ვილვიძებ და ვხედავ, რომ სახლს არათუ დაწვავება. ვინმე თუ თქვა, რომ ეს „გარეგნული“ გამოცდილებისაგან ამოღებული მაგალითია და ჩვენს საკითხს ვერ სწევებს, შეიძლება „შინგანი“ გამოცდილების მაგალითი ავიღოთ: რამდენჯერ ხდება, რომ ვინმე ფიქრობს. თითქო ის ან მისი „მე“ კეთილია, ნამდვილად კი ის ან არის კეთილი. რამდენჯერ უფიქროს თითოეულს ჩვენგანს: „ეს მე ვიცი“, შემდეგ კი აღმოჩენილა, რომ ეს შეცდომა იყო. მაშ, რატომ არ შეიძლება, რომ მე დარწმუნებული ვიყო, რომ მე ვარსებობ ან ჩემი „მე“ არსებობს, მაგრამ ნამდვილად ეს „მე“ არ არსებობდეს? ერთია ჩვენი რწმენა, რომ „მე“ არსებობს, მეორეა ამ „მე“-ს ნამდვილი არსებობა. რწმენა არ არის მეცნიერისათვის საკმაო საბუთი კუმარირებისა. გადამწყვეტი ინსტანცია არის იქ ცდა: თუ ცდაში არის „მე“, როგორც მისი შინაარსი, ე. ი. თუ ცდაში „მე“ შეიცნობა, მაშინ „მე“ უუქველად არსებობს. თუ კი არა. მაშინ არც იმის უფლება გვაქვს ამ „მე“-ს არსებობა ან მისი სუბსტანციალობა დამტკიცებულად ჩავთვალოთ¹.

დავაკვირდეთ მაშ, შედის თუ არა ცდის შინაარსში „მე“ ან შევიცნობთ თუ არა ჩვენ ცდაში ამ „მე“-ს. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ჩვენს „მე“-ზე ვფიქრობთ, ჩვენ ვამჩნევთ ამა თუ იმ განცდას: საამოვნების ან უსამოვნების, სიბოროს ან სიცივის, ფერის ან სუნის, შიმშილის ან წყურვილის. არსად ჩვენ „მე“-ს არ განვიცდი: „მე“ არ შედის ცდის შინაარსში. მაშასადამე, „მე“-ს არსებობაც არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს.

მაგრამ თუ „მე“-ს რეალობა (სუბსტანციალობა) არ არის დამტკიცებული. თუ გარდა ამისა არ არის დამტკიცებული არც ღმერთის რეალობა, არც გარეგნული საგნებისა (სხეულებისა), მაშინ უნდა მოიხსნას, როგორც ბერკლის, ისე ლოკის თეორიები: ესენი ვერ ეტევიან ნამდვილი ნეცნიერების ფარგლებში, რომელმაც ცდაში შეცნობილი უნდა განისაზღვროს თავი. იუმიც თავს იღვა ჩამოეჭრა ამ თეორიებისათვის ყველაფერი, რაც მეცნიერების ფარგლებს სცილდებოდა, და დატოვებია მხოლოდ ის, რაც ცდის მიერ იქნებოდა გამართლ-

¹) სახვასსმელია აქ, რომ „მე“ უნდა იყოს ცდაში, როგორც მისი შეცნობილი შინაარსი. და არა როგორც შეუცნობელი აქტი. უკანასკნელი წინასწარ გამოირცხვლია, ვინაიდან ადებულება, როგორც თავისთავად არსებული რამ, როგორც აბსოლუტი, რომ ცდა „მე“-ს აკტიუობის ნაყოფია, რომ „მე“-ს გარეშე მას ახრცი ვარგება, ეს გაუმეხვლია მხედველობიდან.

ბული. როგორც ვხედავთ, იუმის ფილოსოფიური მოძღვრება მიღებულია ანალიტიკური გზით: ის უკანასკნელი ნაშთია ლოკის ფილოსოფიის დაშლისა. არც ერთს რაციონალისტს არ მიუყენებია გულუბრყვილო ემპირიზმისათვის მეტი ზიანი, ვიდრე მიაყენა მას უკიდურესმა ემპირისტმა იუმმა, რომელმაც ნაყუწ-ნაყუწად აქცია ყველა მისი დოგმატიკური წინამძღვრები, გარდა ერთისა: სახელდობრ, ცდის აბსოლუტური მნიშვნელობისა. მაგრამ ვიდრე იუმის მოძღვრების დეტალურს შესწავლას შევუდგებოდეთ, გავეცნოთ ჯერ ამ მოაზროვნის პიროვნებას.

დავით იუმი შთამომავლობით შოტლანდიელი იყო. ის დაიბადა 1711 წელს ქალაქ ედინბურგში ლარიბი აზნაურის ოჯახში. უმაღლესი განათლების მისაღებად ის შევიდა ედინბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ ვადამეტებულ მეცადინეობის გაბო დასუსტდა, თან სიღარიბემაც დააბრკოლა და ამიტომ ის იძულებული გახდა დაენებებია თავი უნივერსიტეტისათვის, რათა კომერციისათვის მოეყიდა ხელი. მალე აღმოჩნდა, რომ იუმი ვაჭრობისათვის არ იყო შექნილი, და 23 წლის ახალგაზრდა მიემგზავრება საფრანგეთში შეწყვეტილი სწავლის დასამთავრებლად. საფრანგეთში იუმმა დაჰყო ოთხი წელი. ილია ქაუკავაძე სამართლიანად შენატრის ყველას, ვისაც სტუდენტობის ოთხი წელი ბეჯით შრომაში გაუტარებია და ამით საძირკველი ჩაუყრია თავის მომავლისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ საფრანგეთში ყოფნის დროს გამოიკვანძა კვირტი იუმის ფილოსოფიისა, რომელიც მან იქვე ჩამოაყალიბა სამი ტომისაგან შემდგარ თხზულებაში (Treatise upon human nature). ამ თხზულებამ ვერ მოახქდინა ინგლისში დადებითი შთაბეჭდილება. მიზეზი ამისა უშთაერესად მის მძიმე სტილში უნდა ვეძიოთ. ნუ დაგვაიწყნებება, რომ ინგლისელი მკითხველი მეთვრამეტე საუკუნისა არ ჰგავდა იმავე ეპოქის გერმანელ მკითხველს. უკანასკნელი აპატიებდა ავტორს უსაშინლეს ბუნდოვანობას მეტყველებაში, თუ ჰქონდა იმედი, რომ მისგან რასმე ისწავლიდა. ასეთი პსიქოლოგიის გარეშე, განაეყოლებოდათ ამდენი მკითხველი თავის თანამედროვეთა შორის კანტს ან ჰეგელს, რომელთა გაუგებარ ენას ასე მზიარულად დასციინის ჰინე? მაგრამ გარდა უფარგისი სტილისა თვით შინაარსიც იუმის პირველი თხზულებისა, სადაც ახალგაზრდა ფილოსოფოსი ასე გაბედულად მსჯელობდა ზოგიერთ პრობლემებზე, არ მოეწონებოდა ინგლისის ფილისტერთა წრეებს. აღბათ ამიტომ ვერ მიიღო იუმმა ედინბურგის უნივერსიტეტში კათედრა. მაგრამ საზოგადოების გულცივობამ ვერ დაუკარგა იუმს ენერჯია, და ის მალე აქვეყნებს ახალ წიგნს: ეს იყო „მოარალური, პოლიტიკური და ლიტერატურული ცდები“. ამას მოჰყვა ადამიანის გონების გამოკვლევა* (რომელიც პოპულარული გადამუშავება იუმის პირველი თხზულებისა), *ბუნებრივი ისტორია რელიგიისა“, სადაც იუმი ამტკიცებს, რომ სახსრუნოება აუცილებელი ნაყოფია ადამიანის პსიქიკისა, და „ინგლისის ისტორია“, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა ისტორიული მეცნიერების განვითარების დარგში.

მიუხედავად ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობისა, ჯეროვანი გავლენა იუმისა ინგლისურ საზოგადოებაზე იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის პირველად საფრანგეთში დაიფასეს. მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის განმანათლებელი

ფილოსოფია ლოკიდან გამოვიდა: მონტესკიე, ვოლტერი, ჰელვეციუსი ლოკის პროულარიზატორები იყვნენ არსებითად. ამიტომ იუმის მოძღვრება, რომელიც ლოკის ემპირიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მის განვითარებას წარმოადგენდა, საფრანგეთში სახარებად უნდა მოსჩვენებოდათ. ეს გარემოება უკუდასათვის აშკარად იქცა, რადესაც პარიზში ჩამოსული იუმი აქაინა მთელი საფრანგეთის განათლებული არისტოკრატიისათვის ყურადღების ცენტრად. 1767 წელს იუმმა მიიღო დიდი თანამდებობა საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის თანაშემწისა. მაგრამ ბევრ ხანს ამ თანამდებობაზე არ დარჩენილა: ორი წლის შემდეგ იუმმა დაანება თავი სამსახურს და გადასახლდა თავის სამშობლო ედინბურგში, რათა დაჰბრუნებოდა ძველს თავის მეგობრებს: ადამ სმითს, ფერგუსონს, ჰომს, რომლებსაც ის ძლიერ უყვარდათ, როგორც პირდაპირი, გულახდილი და სულით ფაქიზი პიროვნება. გარდაიცვალა იუმი 1776 წელს. /

როგორც უკვე აღინიშნა, იუმი დღას ემპირისტული ფილოსოფიის ნიადაგზე. ყოველი ცოდნა ცდიდან იწყება და ყოველი ცოდნა ცდით განისაზღვრება. ასეთი იყო ამ ფილოსოფიის პრინციპი, რომელსაც იუმიც იზიარებს უდავოდ: მისი აზრითაც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის ვიცოდეთ, რაც შედის ცდის შინაარსში.

მერე რა შედის ცდის შინაარსში? ცდის შინაარსში შედის წარმოდგენები. თანამედროვე პსიქოლოგები და გნოსეოლოგები სწერენ, რომ გარდა შინაარსისა ცდაში არის მოცემული ცოცხალი აქტები, რომლებიც ამ შინაარსს აკავშირებენ. ასეთს შეხედულებას იუმიც იცნობს, რადგან აქტის ცნება უკვე ლეიბნიცსაც ვარკვეულად ჰქონდა გამოთქმული: აქტია, მაგალითად, მისთვის მსჯელობის ფუნქცია; ყოველს მსჯელობაში მარტო წარმოდგენები (სუბიექტის და პრედიკატის წარმოდგენები) კი არ არის მოცემული, არამედ ამ წარმოდგენათა შეერთების პროცესიცო. იუმი ასეთს შეხედულებას არ იზიარებს. ცდაში შემტყნებისათვის მოცემულია მხოლოდ ის, რაც შეიცნობა, და, მეცნიერების თვალსაზრისით, მოცემული იგივეა, რაც შეცნობილი: esse არის percipi. მაშასადამე, მეცნიერებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა უფლება ეთქვა, რომ აქტი მოცემულია ცდაში, თუ ეს აქტი განიცდებოდა ან შეიცნობოდა. მაგრამ არავითარი აქტი არ განიცდება. ყოველს მსჯელობაში, მაგალითად, ჩვენ შეცნობილი გვაქვს სუბიექტის წარმოდგენა, პრედიკატის წარმოდგენა და მათი თანმიმდევრობის წარმოდგენა. მეცნიერების თვალსაზრისით, რომელიც ცდის ნიადაგზე დგას, მსჯელობა „ა არის ბ“ არაფრით განიჭევა თანმიმდევრობის ასოციაციით დაახლოვებულ „ab“ კომპლექსიდან, ე. ი. ისეთი განცდიდან, სადაც შეცნობილია ჯერ „ა“ წარმოდგენა, შემდეგ კი „ბ“ წარმოდგენა. აქტი მსჯელობისა, რომელიც უნდა აერთებდეს ამ წარმოდგენებს და გამოხატული უნდა იყოს „არის“ სიტყვით, არ განიცდება: განიცდება მხოლოდ შინაარსი მსჯელობისა, და არა აქტი. ამიტომ მეცნიერების ფარგლებში აქტების ცნება ვერ შევა, ფიქრობს იუმი, რადგან მეცნიერება ცდის შინაარსით განისაზღვრება და აქტი კი ცდის შინაარსი ხომ არ არის, როგორც ამას რაციონალისტი ლეიბნიციც აღიარებდა: ცდის შინაარსს შეადგენენ წარმოდგენები და არა აქტები.

ეს წარმოდგენები, რომლებსაც იუმი პერცეპციებს (perceptions) ეძახის, ერთმეორისაგან განსხვავდებიან და იუმი ცდილობს მოგვეცეს მათი კლასიფიკაცია. არის, მისი აზრით, ორი კლასი ან ჯგუფი ამ პერცეპციებისა: ერთს ის უწოდებს შთაბეჭდილებებს (impressions), მეორეს კი იდეებს (ideas, thoughts). შთაბეჭდილება განირჩევა იდეისაგან თავისი სიცოფელით. იდეა უფრო მკრთალი და უფერულია, ვიდრე შთაბეჭდილება. როდესაც, მაგალითად, მე ვხედავ თეთრ ფერს, მე მაქვს შთაბეჭდილება თეთრი ფერისა. როდესაც მე მოვიგონებ მას, მე მაქვს იდეა თეთრი ფერისა. ყოველი იდეა შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ განცდილი შთაბეჭდილების შემდეგ: შთაბეჭდილება წინ უსწრებს იდეას. ჩვეულებრივი ვნით ვიტყვით, რომ იდეები მესხიერებას ეკუთვნიან. მაგრამ ეს მესხიერება არ არის იუმისათვის განსაკუთრებული ძალა ან ნიჭი, რომელიც იდეების გარეშე არსებობს. სანუგაოდ იუმი არ სცნობს თავის გამოკვლევათა კონტექსტში განცალკევებულ ნიჭიერებათა არსებობას, რადგან ისენი ცდაში არ შეიძლება. ნიჭიერება მეცნიერებისათვის შემაერთებელი სახელია კონკრეტული ფაქტების ანუ წარმოდგენებისა. მესხიერებაც ზოგადი სახელია იდეებისა და ნამდვილი მეცნიერებისათვის ის მეტს არაფერს წარმოადგენს. თუმცა იუმი ამ საკონტრასტს მხოლოდ აგრძელებდა ლოკის ტრადიციას ან, თუ გნებავთ, თვით დეკარტის ბრძოლასაც სუბსტანციალური ფორმების წინააღმდეგ და არსებითად ახალს არაფერს ამბობდა, მაგრამ მისი ისტორიული ღვაწლი მაინც დაუვიწყარია.

ნეტი განსხვავება წარმოდგენათა შორის, გარდა ზემოაღნიშნულისა, არ არსებობს, იუმის აზრით. არ არის, მაგალითად, განსხვავება შინაგანი და გარეგანი გამოცდილების წარმოდგენებისა, როგორც ეს ლოკს ეგონა. სიაზოვნება ლოკისათვის. იუმი შინაგანი გამოცდილების წარმოდგენა ან რეფლექსია, სიდიდე კი იუმი გარეგანი გამოცდილების წარმოდგენა ან სენსაცია, ვინაიდან უკანასკნელი მოდიოდა გარეშე არსებულ საგნიდან, პირველი კი მხოლოდ შიგნიდან. იუმისათვის სიაზოვნებაც და სიდიდეც ერთგვარი პერცეპციაა. არ შეიძლება ითქვას, რომ სიდიდე გარეგნულ გამოცდილებას ეკუთვნის, სიაზოვნება კი შინაგანს, ვინაიდან იუმის აზრით, მეცნიერებისათვის უცხოა გარეგნული სუბსტანციის ცნება, რომელიც ასაბუთებს ამ განსხვავებას.

არც ის შეუძლია მეცნიერებამ დაადასტუროს, რომ სიდიდე-შთაბეჭდილება გარეგნული გამოცდილების წარმოდგენაა, ხოლო სიდიდე-იდეა კი შინაგანი გამოცდილება. მეცნიერებს შეუძლია აღნიშნოს მხოლოდ ერთი ობიექტი: სიდიდე-იდეა ჩნდება უფრო ცხოველი სიდიდე შთაბეჭდილების შემდეგ, ისე როგორც სიაზოვნება იდეა ჩნდება სიაზოვნება-შთაბეჭდილების შემდეგ. მაგრამ თუ სიაზოვნება-შთაბეჭდილებას არ ვაჩვენებ ჩვენ სიაზოვნება-იდეისაგან და არ ვამბობთ, თითქო პირველი გარეგნული გამოცდილების პერცეპციაა, ხოლო მეორე შინაგანი გამოცდილებისა, არც იმის უფლება გვაქვს ჩვენ ვთქვათ, ვითომ სიდიდე შთაბეჭდილება გარეგნული გამოცდილების პერცეპცია იყოს და სიდიდე-იდეა კი შინაგანი გამოცდილებისა. უნდა დაევიწყეთ ანგარიშის გამოთქმანი, რომელიც მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებენ, და გსცნობ მხოლოდ ის, რასაც ცდა გვიჩვენებს. მაშასადამე, ხელი უნდა ავიღოთ იმ საკითხის გადაწყვეტაზედაც, თუ რა ნიჭების გამო ხდება ის.

რომ შთაბეჭდილება წინ უსწრებს იღვას: ცდა არაფერს გვეუბნება ამ საკითხის შესახებაც. ის მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ზოგი წარმოდგენა ცოცხალია, ზოგი კი, მკრთალი, რომ ცოცხალი წარმოდგენა უსწრებს მკოთალს, და ამანვე ნეტს ცდა აქ არაფერს ამბობს, და ჩვენც მისი ნაჩვენებთ უნდა დავემყოფოლოდეთ. გარდა წარმოდგენებისა, ცდაში შეიცნობა ამ წარმოდგენების მაშალღებაც, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისევ წარმოდგენაა: შთაბეჭდილება ან იღვა,¹⁾ ორგვარი შეიძლება იყოს ეს მიმართება: ერთია მიმართება მსგავსება-განსხვავების, მეორეა მიმართება თანამიმდევრობის ან მეზობლობისა. მაგალითად, წარმოდგენა ფიქვისა ენსგავსება ხის წარმოდგენას და არ ემსგავსება (განსხვავდება, ეწინააღმდეგება) მუხის წარმოდგენას. ეს შემდეგ ნიშნავს: როდესაც ცდაში შეიცნობა ფიქვის წარმოდგენა, ხის წარმოდგენა და მუხის წარმოდგენა, ამავე დროს შეიცნობა ის წარმოდგენაც, რომ ფიქვის წარმოდგენა ჰქვას ხის წარმოდგენას და არ ჰქავს, ან ეწინააღმდეგება მუხის წარმოდგენას. სგავსება-განსხვავების მიმართებას შეიძლება ეწოდოს ლოგიკური მიმართება. ეს არის სობ წარმოდგენათა მიმართება მათი ლოგიკური შინაარსის მისწევით. ფიქვის წარმოდგენა ემსგავსება ხის წარმოდგენას: ფიქვი სახეა, ხე კი გვარი. ფიქვის წარმოდგენა განსხვავდება (ეწინააღმდეგება) მუხის წარმოდგენისაგან: ფიქვი ერთი სახეა ხისა, მუხა კი ხის მეორე ან სხვა სახეა. სახისა და გვარის, ან კიდევ ერთისა და იმავე გვარის სხვადასხვა სახეთა შორის მიმართებას ეწოდება ლოგიკური მიმართება, ვინაიდან ის ლოგიკის საკვლევია. სწორედ ამიტომაც მიმართება მსგავსება-განსხვავებისა არის ლოგიკური მიმართება. წარმოდგენათა ლოგიკური მიმართების ან მათი მსგავსება-განსხვავების შესაცნობად არაფერია საჭირო, გარდა იმ ცდისა, რომელშიდაც თვით ეს წარმოდგენები შეიცნობიან: წარმოდგენებთან ერთად შეიცნობა მათი მსგავსება-განსხვავებაც.

მაგრამ მართო მსგავსება-განსხვავების ლოგიკური მიმართება კი არ შეიცნობა ცდაში წარმოდგენებთან ერთად, არამედ შეიცნობა მათი თანმიმდევრობა-მეზობლობის მიმართებაც. მაგალითად, ცდაში შეცნობილი იქნა ჯერ, ვთქვათ, თოფის წარმოდგენა, შემდეგ კი გასრაღის წარმოდგენა: ამ წარმოდგენების შეცნობასთან ერთად ისიც შეიცნობა, რომ თოფის წარმოდგენა შეცნობილი იყო პირველად, გასრაღის წარმოდგენა კი შემდეგ. წარმოდგენათა ამ თანმიმდევრობის შესაცნობად არაფერია საჭირო გარდა იმ ცდისა, რომელშიდაც შეცნობილი იქნა თვით ეს წარმოდგენები.

ეს არის ყველაფერი, რაც ცდაში შეიცნობა; ეს არის ცდის შინაარსი—წარმოდგენები და მათი მიმართებანი: მსგავსება-განსხვავებისა და თანმიმდევრობა-მეზობლობისა, რომელნიც თავის მხრივ აგროთვე წარმოდგენებია მხოლოდ. ამხედ მეტი ცდის შინაარსში არაფერია.

მეცნიერება ცდაში შეცნობილი ან ცდის შინაარსით უნდა განისაზღვრობოდეს. ცდის შინაარსში კი არაფერი ყოფილა გარდა წარმოდგენებისა და მათი მსგავსება-განსხვავების და თანმიმდევრობა-მეზობლობის ნიშანებთან. მა-

¹⁾ მიმართება იუმისათვის არის არა აქტი ან ფუნქცია მიმართებისა (როგორც ესმის იგი, მაგალითად, კანტს). არამედ ის არის მხოლოდ ფაქტი მიმართებისა.

²⁾ აქ განზრახ გავამარტივებთ იუმის კონცეპციას.

შასადამე, მეცნიერება, თუ ის ნამდვილი მეცნიერებაა, არაფერს უნდა შეიცავდეს გარდა წარმოდგენებისა და მათი მსგავსება-განსხვავების და თანმიმდევრობა-მეზობლობის მიმართებისა.

დაეხედოთ ეხლა. აკმაყოფილებენ თუ არა ამ კრიტერიუმს არსებული მეცნიერული დისციპლინები. გულმოდგინე გამოკვლევამ მიიყვანა იუმი იმ დასკვნამდის, რომ მის მიერ დამყარებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ მხოლოდ მათემატიკური დისციპლინები. თურმე ცდის საზღვრებს არ სცილდება მხოლოდ მათემატიკა, ეს უსაყვარლესი მეცნიერება ახალი დროისა, რომელსაც ერთნაირად პატივს სცემდნენ, როგორც რაციონალისტურს საფრანგეთში, ისე ემპირისტულს ინგლისში. რაც შეეხება არა-მათემატიკურ მეცნიერულ დისციპლინებს, აღმოჩნდა, რომ ისინი ვერ უძლებენ გამოცდას, რადგან მათში თურმე ბევრი ყოფილა არა-ცდისეული ან ცდით გაუმართლებელი ელემენტები. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი, თითქო დაკვირვებათა მონაცემით დამძიმებული და თავიდან ბოლომდის ემპირული მეცნიერება, როგორც არის, მაგალითად, ბოტანიკა, უფრო ნაკლებად იქნებოდა ცდის სამსჯავროს წინაშე გამართლებული, ვიდრე ანალიტიკური გეომეტრია, რომელსაც პირველი შეხედვით ცდასთან არაფერი აქვს საერთო და რომლის განუყენებელი ცნებანი გრძნობებისათვის მოცულ წარმოდგენებზე ძლიერ არიან ამაღლებული!

2.

ზევით იყო მოცემული ცდის ანალიზი. ცდა გვაძლევს საშუალებას დავაჯაროთ: ა) მსგავსება-განსხვავება წარმოდგენათა შორის, ბ) ფაქტი წარმოდგენათა თანმიმდევრობა-მეზობლობისა. ეხლა იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ღირებულია მეცნიერებათა შინაარსი.

ყოველი მეცნიერება დებულებათაგან შედგება. დებულება არის წარმოდგენა წარმოდგენათა დამოკიდებულებისა: სუბიექტისა და პრედიკატისა. თუ ნამდვილი ცოდნა განისაზღვრება იმით, რაც ცდაში არის შეცნობილი, მაშინ მეცნიერებათა შორის ნამდვილი (ე. ი. ღირებული) მეცნიერება იქნება მხოლოდ ის, რომლის დებულებანი შეიცავენ ან მსგავსება-განსხვავებას სუბიექტებსა და პრედიკატებს შორის, ან უბრალო ფაქტს ამ უკანასკნელთა თანმიმდევრობა-მეზობლობისას. დანარჩენ მეცნიერებათა ღირებულება ცდით არ იქნება გამართლებული, და ისინი ნამდვილ მეცნიერებად, ამ სიტყვის სასტიკი მიუხედავად, ვერ ჩაითვლებიან. მაშ, ჩვენ უნდა გავსინჯოთ მეცნიერებათა შინაარსი და ამ გასინჯვის საშუალებით გამოვარკვიოთ, შეეფერება თუ არა ის იმას, რასაც ცდა გვატყობინებს. თვით ეს გასინჯვა უნდა წარმოებდეს სისტემატურად და არა უწყსრიგოდ, რათა არ გამოგვრჩეს რომელიმე მეცნიერება განუხილველად. ასეთი სისტემატური გასინჯვისათვის კი საჭიროა ვისარგებლოთ მეცნიერებათა კლასიფიკაციით. საკუთარი კლასიფიკაცია მეცნიერებათა იუმს არ შეუქმნია: ის მიჰყვება ამ შემთხვევაში ისტორიულ ტრადიციას, რომლის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს ფრანცისკ ბეკონმა, თომას ჰობსმა და ლეიბნიცმა.

მაგრამ გვაქვს თუ არა მეცნიერული საფუძველი მივაწეროთ წყალს ძალა ცეცხლის გაქრობისა? ჩვენ ვგეჰნებოდა ამის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში. რომ ეს ძალა შეცნობილი ყოფილიყო წყალში. მაგრამ რამდენიც უნდა ვატრი-
 ალოთ ცდით შეცნობილი წარმოდგენა წყლისა, მასში ჩვენ ძალას ვერ შევამჩნევთ. წყალში შეიცნობია სითხე, ფერი, გემო და სხვა თვისება, მაგრამ ძალა ცეცხლის გაქრობისა მასში არ შეიკნობა. არც ლვინოში შეიკნობა ძალა კაცის დათრობისა: რამდენიც უნდა ატრიპლოთ ჭიქაში ჩასხმული ლვინი, მასში თქვენი ამ ძალას ვერ შევამჩნევთ. ამიტომ, ნოემ რომ ჰირველად ყურძნის წვენი გამოსწერა, არ იცო-
 და კიდევ, რომ ეს წვენი მას დაათრობდა. მაშ, რაკი ძალა არ შეიკნობა საგ-
 ნის წარმოდგენაში, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მიზეზობრივი დებულება.
 რომელიც საგანს ძალას აწერს, არ არის დებულება ანალიტიკური (ანალიტი-
 კური იქნებოდა ის მაშინ, რომ ძალის წარმოდგენა ყოფილიყო საგნის წარწ-
 დგენაში შეცნობილი): ის არ ეყრდნობა მსგავსების მიმართებაზე სუბიექტსა და
 პრედიკატს შორის, ისე როგორც, მაგალითად, მათემატიკური დებულება ეყ-
 რდნობა ასეთს მსგავსების მიმართებაზე. მიზეზობრივი დებულება არ ჰგავს მა-
 თემატიკურ დებულებას, და რაციონალიზმი ცთებოდა, როდესაც ის, მაგალი-
 თად, სპინოზის სხით თიქრობდა, რომ მიზევი (causa) შედეგისათვის ის არის.
 რაც მათემატიკური (ლოგიკური) საბუთი (ratio) არის ფუნქციისათვის (დანას-
 კვისათვის). Causa არ არის ratio, იუმის ფილოსოფიით.

მიზეზობრივი მიმართება არ არის მსგავსების მიმართება, რომელიც შეიკნო-
 ბა ცდაში. მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ არის მიზეზობრივობის ბედი საესებით
 გადაწყვეტილი: შეიძლება მსგავსება არ შეადგენდეს მიზეზობრივობის შინაარსს,
 მაგრამ ეს შინაარსი მაინც შედგენილი იყო ცდის მიერ მოწოდებულ ელემენტებისა-
 გან. ჩვენ ხომ ვიცით, რომ გარდა მსგავსების მიმართებისა, ცდაში შეიკნობა ფაქტი
 წარმოდგენათა თანმიმდევრობა—მეზობლობისა. რატომ არ არის შესაძლებელი,
 რომ მიზეზობრივი მიმართება, რომელიც გამოხატულია „ძალა“ სიტყვით, შედგე-
 ბოდეს მხოლოდ წარმოდგენათა თანმიმდევრობა—მეზობლობის მიმართებისაგან?
 ამ შემთხვევაშიც მიზეზობრივობა საკმაოდ გამართლებული იქნებოდა ცდით,
 ვინაიდან მასში არაფერი იქნებოდა გარდა ცდაში შეცნობილ წარმოდგენათა
 თანმიმდევრობა—მეზობლობისა.

ჯერ ვიკითხოთ, რა არის ეს ძალა, რომელსაც ვგულისხმობთ ჩვეულებრივ
 მიზეზობრივს დებულებაში. რომ ეს ძალა საგნის წარმოდგენაში არ შეიკნობა,
 ისე როგორც შეიკნობა სხვა თვისებები (ფერი, გემო, სუნი), ამაზედ იყო უკვე
 ლაპარაკი: ძალა არ არის თვისება საგნისა, რომელიც ცდაში შეიკნობა, ძალა
 არ არის ნამდვილი წარმოდგენა. მაშ, რა არის ეს „ძალა“? უპირველეს ყოვლის
 ის სიტყვაა, ბგერათა კომპლექსი. რას ნიშნავს მერე ეს სიტყვა? რას ნიშნავს
 ფრაზა „წყალს აქვს ძალა ცეცხლი გააქროს“? ან წინადადება „წყალი აქრობს
 ცეცხლს“? ორივე ნიშნავს შემდგეს: თუ წყალი მოხვდება ცეცხლს, ცეცხლი უნ-
 და გაქრეს. შეუძლებელია ცეცხლი არ გაქრეს, ცეცხლი აუცილებლად ქრება.
 მაშ, ეს „ძალა“ იგივე ყოფილა, რაც „აუცილებლობა“. რას ნიშნავს ეხლა „აუ-
 ცილებლობა“? რას ნიშნავს, რომ წყალთან შეხვედრისას ცეცხლი აუცილებლად
 ქრება? ეს ნიშნავს იმას, რომ წყალთან შეხვედრისას ცეცხლის გაქრობა არ არის

დროს პირობისაგან ან შემთხვევისაგან დამოკიდებული. თუ ცეცხლი წყალთან შეხვედრისას ერთ დროს (ერთს შემთხვევაში) ქრება, მეორე დროს (მეორე შემთხვევაში) არ ქრება, მაშინ არ შეიძლება ითქვას, რომ ის აუცილებლად ქრება წყალთან შეხვედრისას. აუცილებელი გაქრობა ცეცხლისა წყალთან შეხვედრისას ნიშნავს, რომ ეს გაქრობა ხდება ყოველთვის (ყველა შემთხვევაში), როგორც წარსულში და აწმყოში, ისე მომავალშიც. ამრიგად მივიღეთ შემდეგი მიმართებანი: წყალი მიზნისა ცეცხლის გაქრობისა=წყალი აქრობს ცეცხლს=წყალს აქვს ძალა ცეცხლი გააქროს=წყალთან შეხვედრისას ცეცხლი აუცილებლად ქრება=წყალთან შეხვედრისას ცეცხლი ყოველთვის ქრება=წყალთან შეხვედრისას ცეცხლი ქრებოდა წარსულში, ის ქრება ახლაც და გაქრება მომავალშიც.

გაჩერდეთ ამ უკანასკნელ შედეგზე მიზეზობრივობის ანალიზისა და განვადრძობთ ჩვენი ძიება იმის შესახებ, გამართლებულია თუ არა მიზეზობრივი მიმართება ცდით, შესაძლებელია თუ არა ცდამ გვესწავლოს ყველაფერი, რაც მიზეზობრივობის შინაარსში შედის. ერთი რამ ნათელია: ცდისაგან შეიძლება ვისწავლოთ, რომ წყალთან შეხვედრისას ცეცხლი წარსულში გამქრალა. წარმოვადგინათ კომპლექსი „ცეცხლი + წყალი“ წარსულ ცდებში მოყოლია თან კომპლექსი „გამქრალი ცეცხლი“. აწინდელ ცდასაც, რომელსაც მე ესლა ვაწყობ, შეუძლია მასწავლოს, რომ წყალთან შეხვედრისას, აი ესლა ცეცხლი ქრება.

მაგრამ მიზეზობრივ მიმართებაში იგულისხმება მარტო ის კი არა, რაც წარსულში ყოფილა და რაც აწმყოში არის, არამედ ისიც, რაც მოხდება მომავალში. შესაძლებელია თუ არა, რომ კონკრეტულ ცდაში შევიცნოთ ის, რაც მოხდება მომავალში (რაც მომავალი ცდის შინაარსი იქნება)? შედის თუ არა მომავალი ცდის შემთხვევა წარსული ცდის შეცნობილ შინაარსში (შეუცნობელი შინაარსი კი ცდას ხომ არა აქვს)? ბევრი დაფიქრება არ არის საჭირო, რათა მიხედვით, რომ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიციეს: ცდაში არ შეიქნობა ის, რა იქნება მომავალში! თუ ასეა, მაშინ ცდაში არ შეიქნობა აუცილებლობა, რომელიც მიზეზობრივ მიმართებაში იგულისხმება: ცდა გვატყობინებს იმას, თუ რა ხდება ან რა მომხდარა, და არა იმას, თუ რა უნდა აუცილებლად მოხდეს. რაკი აუცილებლობა ცდაში არ შეიქნობა, ცხადია, რომ არც მიზეზობრივი მიმართება შეიქნობა ცდაში: მიზეზობრივობა სცილდება ცდის საზღვრებს, რადგან ის შეიცავს აუცილებლობას, რომელიც არ არის ცდაში შეცნობილი.

1) აქ ნაკვეთისმგვილა. რომ თითოეულ ცდას აქვს სიერე და დროით განსაზღვრული საყვარელი შინაარსი, რომელიც მეორე ცდის შინაარსს არ ეხსვავსება, რომ თითოეული ცდა მოწყვეტილია მეორეს. როგორც რეალურად, ისე ლოგიკურად, და ერთი საზოგადო ან საყოველთაო ცდა, რომელიც უნდა აერთიანდეს კონკრეტულ ცდებს ისე, როგორც მთელი აერთებს საკუთარ ნაწილებს, არ არის: ცდა იღებს განაჯილვებათა კონტრასტში უდრის კონკრეტულ აღქმას. და სწორედ ამის წინააღმდეგ მომართავს შედეგი კრიტიკის ისრებს კანტი, რომელიც მიზნად დაისახავს ცდის ცნების გამოკრევეს: მეცნიერული ცდის ქვეშ უნდა გვესმოდეს არა კონკრეტული აღქმა, არამედ სისტემა აღქმათა, რომელიც მთელი შესაძლებელი გამოცდილების არეს იტყვის. თითოეული ნაწილი ასეთი ცდას უსათუოდ შეიცავს ყველა დანართან ნაწილებს, ისე როგორც მანდა შეიცავს მსოფლიოს. ვინაიდან ის ატარებს მთელი სისტემის ნიშნებს, რომლისაგან დამოკიდებულია დანართანი ნაწილებიც.

აქედან უკვე ცხადია, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ძირითადი საკითხი ფიზიკალური დარგის მეცნიერებათა შესახებ. ყველა ეს მეცნიერებანი ცერდნობიან ნისუზობრივ მიმართებას: მათი დებულებანი ზიზუზობრივი მიმართების დებულებანი არიან.

მაგრამ მიზნუზობრივი მიმართება ცდით არ ყოფილა დასაბუთებული. მაშალადმე, არც ფიზიკალური დარგის მეცნიერებანი (იუნება ეს ფიზიკა, ქინია, ეთიკა თუ პოლიტიკა) არიან ცდით დასაბუთებული. ამაშია მათი განსხვავება მათემატიკური დარგის მეცნიერებათაგან, რომელნიც სრულიად გამართლებულნი არიან, იუმის აზრით, ცდის მიერ.

ასე დაამთავრა ინგლისურმა ემპირიზმმა თავისი განვიძარება: მან იქიდან დაიწყო ბეკონის სახით, რომ აზროვნების სილოგისტურ დასკვნებს ბრძოლა გამოუცხადა და ნამდვილ მეცნიერებად მსოლოდ ის სენო, რაც ცდაზე ემყარებოდა. ენლა კი გამოიჩევა, რომ ცდა საბოლოოდ ვერ ასაბუთებს ვერც ეთის ფიზიკალურ მეცნიერებას, რომელიც ცდაში ემბედა გამართლებას და სწორედ ამისთვის იყო გთვალისწუნებული რაციონალისტების მიერ. საყურადღებოა, რომ მეცნიერებათა ლირსების დაფესებაში უკიდურესი ემპირისტი იუმი უდიდეს რაციონალისტებისაგან არ განირჩევა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ შეეძლო იუმს თავისი საქმე დამთავრებულად ჩათვალა. მისი მთავარი საკითხი, თუ რა ფასი აქვს მეცნიერულ დისციპლინებს, უკვე გადაწყვიტია: ცდის სამსჯავროს წინაშე მხოლოდ მათემატიკამ მოახერხა თავის გამართლება. რაც შეეხება ფიზიკას¹, მან ვერ შესძლო წარმოედგინა საკმაროდ დამარწმუნებელი საბუთი, რომელიც მისცემდა მას უფლებას ცდისაგან გამართლება მოეთხოვა.

მაგრამ, ვინც ვარედან უყურებს გასამართლების პროცესს, მისი ინტერესი მსჯავროს შინაარსით არ არის საეხებით დაკმაყოფილებული. მას აინტერესებს იცოდეს აგრეთვე ის სუბიექტური მოტივები, რომელთაც, მიძილება, სამსჯავროსათვის არ ჰქონდათ მნიშვნელობა. მაგრამ დანაშაულის ჩადენის აქტში თავისი როლი ითამაშეს. ბუერი სწორედ ამისთვის ესწრება გასამართლებას: ელის რომ აქ მის წინ გადაიშლება მოყვასის საიდუმლოება, რომელსაც ეს უკანასკნელი ქვეყანას უმაღაედა, როდესაც თავისუფალი იყო. დანაშაულის გამოსარკევად მსაჯულისათვის საკმარისია, თუ მან გაიგო, რომ ბრალდებული გატაცებული იყო ძლიერი გრძნობით, მგვალითად, სიყვარულით. მაგრამ უსაქმო მსჯურებელს ეს არ აკმაყოფილებს; მას სურს გაიგოს ამ სიყვარულის მოდუსი: როგორ უყვარდა ბრალდებულს, ბობრი იყო თუ შავგვრემანი მისი პასსია, რაფერ დაიწყო ეს სიყვარული, სად მოხდა პირველი გაცნობა და სხვა ათასი დეტალი, რომელიც ბლომად ამოტივტივდება ხოლმე საქმის გარჩევის დროს, და ყურადღების გარეშე რჩება მსაჯულისათვის, სამაგიეროთ გათჟიცებით მონისმინება მსყურებლის მიერ. აი სწორედ აშეგარ ინტერესს აკმაყოფილებს იუმის

¹ მეტაფიზიკის შესახებ კი იუმს არც დაუყენებია საკითხი: მეტაფიზიკა იუმი ვალსინჯულად უარყოფს, რადგან ის გამოდიხი იმ დებულებიდან, რომ მეტაფიზიკის საგანი შეუძლებელია, რამდენადაც ცდის ვადალჰა აღაფფროა. რომ ცდას აქვს პირობა, რომ ის აბსოლუტური არ არის, რომ ფიზიკის ფესვები მეტაფიზიკაშია, ამ აზრს კანტი წამოსწევს წინ.

პსიქოლოგიური ანალიზიც მიზნობრივობისა, რომელშიდაც, როგორც იუმის თანამედროვეებმა, ისე მომყოლ თაობებმა ამ ფილოსოფოსის უმთავრესი დამსახურება დაინახეს. ჩვენის აზრით, ასეთი შეხედულება იუმეზე არ არის სწორი. იუმის მთავარი საისტორიო დამსახურება იყო მეცნიერებათა ლოგიკური ანალიზი და იმის აღმოჩენა, რომ ამ მეცნიერებათაგან ზოგიერთი არ საბუთდება ცდით, და არა პსიქოლოგიური ანალიზი იმ ფაქტისა, რომ ადამიანს სწამს მიზნობრივი მიმართება საგანთა შორის. პირიქით, უნდა *explicite* აღინიშნოს, რომ ეს პსიქოლოგიური ანალიზი აქილესის ქუსლია იუმის ფილოსოფიაში. აქ აშკარად აღმოჩნდა, რომ მეცნიერული ტერმინების მარაგი, რომელიც იუმმა დაამუარა და რომლისაგან გამორიცხული იყო ყველაფერი, გარდა წარმოდგენებისა (გამორიცხული იყო „სუბსტანცია“, „მე“, „აქტი“,) არ ემარა ასეთი უბრალო პსიქიური მოვლენის ბოლომდის აღსაწერად, როგორც არის რწმენა მიზნობრივი კავშირისადმი¹.

მეცნიერებანი, რომელნიც მიზნობრივობაზე არიან აგებული, ვერ საბუთდებიან ან ვერ მტკიცდებიან ცდით. მაგრამ ყველას სწამს მათი მნიშვნელობა. საიდან მოდის ეს რწმენა? უეჭველად იქიდან, რომ ჩვენ გვრწამს მიზნობრივობის მიმართება. ამიტომ ზემოდაყენებული საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად უნდა გაშუქდეს, საიდან მოდის რწმენა მიზნობრივი მიმართებისა, რომელიც ცდაში არ შეიცნობა. უნდა გამოირკვეს გენეზისი ამ რწმენისა ან ის მექანიზმი, რომელიც მას აჩენს.

მიზნობრივობის რწმენა ჩნდება იმ მექანიზმის საშუალებით, რომელიც აჩენს სხვა რწმენასაც: მაგალითად, რწმენას გარეგნული საგნის ან სუბსტანციის რეალობისა. როგორ ჩნდება მერე რწმენა, რომ არსებობს გარეგნული სუბსტანცია, რომელიც წარმოდგენების ვალმა იმყოფება და არამც თუ დამოუკიდებელია ამ წარმოდგენებისაგან, არამედ თვით წარმოდგენებია მისგან დამოკიდებული? იუმი ცდილობს ეს გარემოება ახსნას, და ის მეთოდი, რომლითაც ის სარგებლობს, სანიმუშოდ იქცა ასოციაციური პსიქოლოგიისათვის, თუმცა უკანასკნელი მანამდისაც საკმაოდ დაწინაურებული იყო ლოკისა და ბრაუნის გამოკვლევებში.

ჯერ ვიკითხოთ, რა არის საგანი კონკრეტული ცდისათვის? კონკრეტული ცდისათვის საგანი არის ჯამი თანმიმდევარ წარმოდგენათა. ავიღოთ მაგალითისათვის ატამი (თვით იუმის მაგალითია). ცდაში, რომელშიც შეიცნობა ის, რასაც ატამი ეწოდება, წარმოდგება ჯერ თავისებური ფერი, შემდეგ კი თანდათან სიმძიმე, სუნი, სიმაგრე, გემო, ე. ი. ის, რასაც ატამის თვისებებს უწოდებენ. გარდა ამ თვისებებისა, ცდაში შეიცნობა აგრეთვე ისიც, რომ ამ თვისებების წარმოდგენები ერთმეორეს მისდევენ: ატამის ფერის შეცნობას მისდევს თან ატამის სიმძიმის წარმოდგენა, უკანასკნელს ატამის სუნის წარმოდგენა, შემდეგ ატამის სიმაგრისა და გემოს წარმოდგენები: ჯერ დაინახავთ ხომ ატამს, შემდეგ კი აიღებთ ხელში, პირთან მიიტანთ და ჩაჰკბენთ. თუ ეს წარმოდგენები განიცდებიან ერთმეორის შემდეგ მარტო ერთ ცდაში კი არა, არამედ

¹) შტრ. *С. Д а н е л и а*, Опыт исследования теории нравственности Гельвеция I, 52 с.

მრავალ ცდაში, და თუ წესი წარმოდგენათა თანმიმდევრობის ხან ერთია, ხან კი სხვა¹, ეს გარემოება აღიბეჭდება წარმოდგენათა არეში: ა. წარმოდგენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შთაბეჭდილება იქცევა წარმოდგენათა ერთდროული (ერკეული) მეზობლობის შთაბეჭდილებად, ბ. წარმოდგენათა ჯამის განცდას ემატება ახალი წარმოდგენა (შთაბეჭდილება), რომ ეს ჯამი ხშირად განმეორებული ან მულამ ასეთი იყო (ე. ი. არ ყოფილა შემახვევა, რომ ატმის ფერისა და ატმის სუნის წარმოდგენის მეზობლად გეოც არ ყოფილიყო განცდილი): ამ უკანასკნელ შთაბეჭდილებას შეიძლება ჩვეულების გრძნობა ეწოდოს. ამრიგად გამოცდილებისათვის (იქნება ის სამი ცდისაგან შემდგარი, თუ მილიონ ცდისაგან) საგანი ყოფილა წარმოდგენათა მეზობლობის მულმივობის შთაბეჭდილება და ამასედ მეტი არაფერი.

მაგრამ საგნის ქვეშ ეს ხომ არ იგულისხმება? საგანს ეძახიან არა შთაბეჭდილებას, არამედ იმას, რაც შთაბეჭდილების გაღმა უნდა იყოს: თუ ცდისათვის საგანი არის წარმოდგენათა მეზობლობის მულმივობა ცდაში, ჩვეულებრივად საგანი ეწოდება თვისებათა მეზობლობის მულმივობას ცდის გარეთ. მაგრამ ჩვეულებრივი წარმოდგენა საგნისა ხომ ცდისაგან ჩნდება. მაშასადამე, წარმოდგენათა მეზობლობის მულმივობა ცდაში გადაქცეულია წარმოდგენათა (თვისებათა) მეზობლობის მულმივობად ცდის გარედ². ამას შეიძლება ეწოდოს დასკვნა: დასკვნა ხომ ნაცნობისაგან უცნობისაკენ გადასვლაა. ის, რაც ცდაში შეიცნობა (შთაბეჭდილება მულმივი მეზობლობისა), ნაცნობია, ის კი, რაც ცდის გარეშეა, უცნობია. ცდისაგან დამოუკიდებელი საგნის იდეა ყოფილა მხოლოდ დასკვნა, წარმოდგენათა მეზობლობის მულმივობის შთაბეჭდილებაზე დაყრდნობილი. უეჭველია, ეს შთაბეჭდილება ვერ გამოდგება საკმაო საბუთად საგნის იდეისათვის. ამიტომ საგნის იდეა (ე. ი. ის დებულება, რომ საგანი არსებობს ცდის გაღმა) არ არის დასაბუთებული: ის ჩვენი რწმენაა მხოლოდ.

უფრო დაწვრილებით ამ რწმენის მექანიზმს (სახელდობრ, იმ ნაწილს ამ მექანიზმისას, რომელიც ეხება ცდის გარეშე გადასვლის შესაძლებლობას) გაევიგებთ, როდესაც განმოვიკვლევთ მიზეზობრივობის რწმენას. მიზეზობრივი მიმართებაც არის ცდიდან ცდის გაღმა გაქანება, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლა ან დასკვნა: ეს უეჭე ვიციტ იქიდან, რაც ზევით იყო ნათქვამი. როგორ ხორციელდება ეს დასკვნა, აი რა არის ეხლა გამოსარკვევი.

რომ ამ დასკვნას („მიზეზს აუცილებლად მოჰყვება თან შედეგი“) ქპონოდა მთავარი წინამძღვარი, მაშინ არამც თუ ფორმალურად ის სწორი იქნებოდა

¹) ერთ ცდაში შეიძლება ატმის ფერის შთაბეჭდილებას მოჰყვა სიმძიმის შთაბეჭდილება, მეორე ცდაში კი, პირუტყუ. ატმის სიმძიმის შთაბეჭდილებამ გაუსწრო წინ ატმის ფერის შთაბეჭდილებას: ერთხელ შესაძლებელია, რომ პირველად შევხედოთ ატმს და შემდეგ ავიღოთ ის ხელში, მეორეჯერ კი შესაძლებელია, ატამი უვეე გვეკიროს ხელში და მხოლოდ შემდეგ დაგვადოთ, რა არის ის, რაც ხელში გვეკიროვს.

²) უფრო მარტივად: თუ ა, ბ, ც მრავალჯერ იყვნენ მეზობლად განცდილი, ჩნდება იდეა, რომ ა, ბ, ც ერთად არიან მაშინაც, როდესაც ისინი არ განიცდებიან. ეს იდეა მიუღებელია მეცნიერებისათვის, რადგან esse est percipi. მაგრამ შეიძლება მისი გენეზისის ახსნა. ე. ი. მონახვა იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც უსწრებს მას. ეს შთაბეჭდილება, არის ა, ბ, ც-წარმოდგენათა ხშირი მეზობლობის შთაბეჭდილება.

და მისი მნიშვნელობა დასლუევულად ჩაითვლებოდა, არამედ მისი წარმოშობაც უბრალო სილლოგიზმის წარმოშობაზე უფრო ძნელი ასახსნელი როდი დარჩებოდა. ასეთი იყო მიზეზობრივობის პრინციპის ახსნის საკითხი დეკარტისა და სპინოზისათვის, რომლებსაც იყო წინააღმდეგობის ლოგიკური კანონის ვარაუცად აღქმად მიჩნეული. წინააღმდეგობის ლოგიკური კანონი იყო მათთვის მთავარი წინააღმდეგობა, რომლისაგან გამომდინარეობდა ლოგიკური აუცილებლობით მიზეზობრივი პრინციპი: პირველი იყო გვარი, მეორე იყო სახე. მაგრამ იუნს ასეთი გამოსავალი ხომ აღკვეთილი აქვს: ის მიზეზობრივ დასკვნას სილოგიზმად უყვე იმიტომ ვერ იცნობს, რომ მიზეზობრივობა მისთვის არის მიმართება sui generis, რომელიც წინააღმდეგობის ლოგიკურ კანონისაგან არ გამოიყვანება. მიზეზობრივობა არ არის ანალიტიკური დებულება და ამიტომ ის დამოუკიდებელია წინააღმდეგობის კანონისაგან. სწორედ როგორც დამოუკიდებელი პრინციპი, აძლევს ის დასაწყისს მეცნიერებათა მთელ რიგს, რომელნიც ფიზიკის სახელწოდების ქვეშ თავსდებიან და მათემატიკაზე ვერ დაიყვანებიან (თუმცა სარგებლობენ მათემატიკის ფორმულებით). მაშ, რაციონალისტების გზა, რომლებიც იმაზე ოცნებობდნენ, რათა ცოდნათა მთელი მარაგი ერთ უნივერსალური მეცნიერების ბუქეში ამოეპირათ, (ამ უნივერსალურ მეცნიერებას ისინი გულუბრყვილოდ „ფილოსოფიას“ უწოდებდნენ) იუმისათვის უკუსავადები იყო, და ამიტომ ის ვერ აღიარებდა წინააღმდეგობის ლოგიკურ კანონს მიზეზობრივობის პრინციპის მთავარ წინააღმდეგობად. ამიტომ მას უნდა მოეძებნა არასილოგიკური ახსნა მიზეზობრივი დასკვნისა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს დასკვნა უნდა აიხსნას წარმოდგენათა საშუალებით, ვინაიდან ამის გარდა ხომ არაფერი შეიცნობა ცდაში. ჩვენ აღვნიშნეთ უკვე, რომ იუმის აზრით ცდაში შეიცნობა მხოლოდ წარმოდგენები კი არა, არამედ მათი თანმიმდევრობაც; მაგალითად, მხოლოდ ცეცხლისა და სითბოს შთაბეჭდილება კი არა, არამედ ისიც, რომ ჯერ არის შთაბეჭდილება ცეცხლისა და შემდეგ კი არის შთაბეჭდილება სითბოსი. თუ ასეთი თანმიმდევრობა წარმოდგენებისა განმეორდა მრავალჯერ, ეს აღიბეჭდება ცდაში: მეორე ცდაში, მაგალითად, მარტო ცეცხლისა და სითბოს წარმოდგენათა თანმიმდევრობა კი არ შეიცნობა, არამედ ისიც შეიცნობა, რომ ეს თანმიმდევრობა ხშირად განმეორებულა, ე. ი. რომ ცეცხლის წარმოდგენის შენდევ მულამ სითბოს წარმოდგენა გაჩენილა. შეცნობა ამ მუდმივობისა ან სიხშირისა არის ახალი შთაბეჭდილება, რომელსაც შეიძლება ჩვეულებების გრძნობა ვუწოდოთ. ამ უკანასკნელი შთაბეჭდილებიდან კი ჩნდება იდეა, რომ განცილილი მაგალითების გარედაც (ე. ი. მომავალშიც) ცეცხლს მოჰყვება სითბო, და ეს თანმიმდევრობა წარმოდგენის ფაქტისაგან კი აო არის დამოკიდებული, არამედ მის გარეშე არსებულ საგანთა ძალისაგან. ეს არის ცდისაგან ცდის გარეშე გასვლა, ნაცნობისაგან უცნობში შეჭრა ან უცნობის ნაცნობის მსგავსად განაზრება. ამრიგად მიზეზობრივობაც იგივე ყოფილა არსებითად, რაც სუბსტანციულობა: ორივე ნაცნობით (ან ჩვეულებრივით) მომზადებული გადასვლა ყოფილა უცნობში.

¹⁾ თუ ა-ს ხშირად მოჰყვებოდა წარსულს ან განცილი ცდებში ხ, ჩნდება იდეა, რომ ა-ს მოჰყვება ხ მომავალს ან განუცდელ ცდაში.

რა გავიგეთ? ის, რომ მი¹ ეზობრივობის მიმართება, რომელიც უცნობში ვასვლია, მომზადებულია ნაცობით და ამ მომზადებას შეიძლება ჩვეულება ეწოდოს. მაგრამ კმარა განა ეს ახსნა? შეგვიძლია აქ გაჩერდეთ? არა, არ შეგვიძლია. რა ნიშნის განა ან როგორ ჩნდება მუდმივი ეზობლობის შთაბეჭდილებისაგან იდეა, რომ ეს მეზობლობა შთაბეჭდილების გარეშეც გრძელდება? როგორ არის შესაძლებელი ჩვეულის მავარი ნიალაგიდან უჩვეულოს ჰაეროვან არეში გადახტომა? როგორ იქმნება ახალი? ყველა ამ კითხვებისათვის იუმის ფილოსოფია მეცდარია. შემდეგში იუმის მიხედვებით, ახალი ფორმაციის ემპირისტები, იტყვიან, რომ ეს ნახტომი უცნობს არეში ხდება აზროვნების ეკონომიისათვის. მაგრამ განა ეს ნამდვილი ახსნაა? ეს უკვე ტელეოლოგიური თვალსაზრისის შემოტანაა ემპირიზმის მექანიკურს ფილოსოფიაში. ამ ეპიგონებზე უფრო მალა დგას იუმი, როდესაც ის ერიდება ეკონომიის ცნებას, ამ მოჩვენებით ახსნას. მაგრამ ხარვეზი მაინც ხარვეზად რჩება იუმის მოძღვრებით და თუ იუმი მას ვერ ანჩნევდა, ეს იმიტომ, რომ ის უკრიტიკოდ სარგებლობდა ასეთი ტერმინებით, როგორიც არიან „შე“, დასკვნა“. „აზროვნების აქტი“ და სხვა, რომელნიც აზრთა უცხო (არა-ემპირისტულ) წრეს ეკუთვნიან: „აქტი“ ხომ გამორიცხულია მეცნიერებიდან ემპირიზმის მიერ, რომელიც იცნობს მხოლოდ წარმოდგენებს და მათ თანმიმდევრობა-მსგავსების დაქტებს.

რას ამტკიცებს ყველაფერი ეს? იმას, რომ პიქიური ცხოვრების ინტელ-
 ლექტუალისტური გაგების ნიადაგზე რწმენა მუდამ დარჩება ბოლომდე აუხსნელ-
 საიდუმლოებად: იუმის ასსოციაციონიზმი კარტეზიანიზმით მონაბერი ინტელ-
 ლექტუალიზმია. პიქიური ცხოვრების შინაარსი მას წარმოდგენათა წრით შე-
 ძოუზღუდავს, სულიერის ფენომენალიზაციის ტენდენციას სული მეცდარ წარ-
 მოდგენათა ჯამად უქცევია. მეცდარს კი რწმენა რომ არ შეექმნება, ცხადია,
 და ვინც მას ასეთს რწმენას მიაწერს, ის ვერასოდეს ვერ მოახერხებს თვითონ
 გაიგოს და სხვასაც გააგებინოს, როგორ არის შესაძლებელი, რომ მეცდარს
 რწმენა გაუჩნდეს. რწმენა სიცოცხლეს გულისხმობს, სიცოცხლე კი აქტებს, ე. ი.
 იმას, რაც თვითონ არ არის წარმოდგენის შინაარსი, მაგრამ ურომლისოდეს
 შინაარსი ვერ განცობიერდებოდა და წარმოდგენად ვერ იქცეოდა. მიზნობ-
 რიგობის რწმენა, რომლის არსებობას იუმი არ უარყოფს და რომლის გენეზი-
 სის ახსნა იდეა მან თავზე, არყევს იუმის ასსოციაციონისტური პიქოლოგიის
 ფილოსოფიურ საფუძვლებს. ეს ახალი ილუსტრაცია არის იმ დებულებისა,
 რომელიც არა ერთხელ ყოფილა ჩვენი საუბარის საგანი: მოძრაობა, აქტი, სი-
 ცოცხლე საზღვარია ყოველი მექანიკური ახსნისათვის¹. უკანასკნელის მიზანია
 ცოცხალი მეცდარის მსგავსად წარმოგვიდგინოს, აქტი შინაარსთა ჯამად დაშა-
 ლოს. მაგრამ იმას, რაც ნამდვილი და თავისებური ან სპეციფიკური არის ამ
 ცოცხალში და აქტში, რაც სწორედ განასხვავებს მათ მეცდარისა და შინაარსი-
 საგან, მექანიკური ახსნა ვერ სწვდება. რადგან ამას უშლის ხელს თვით ბუნება

¹ დემოკრიტი, მაგ., იღებს მოძრაობას და არ ცდილობს ის ახსნას. მოძრაობა დაუშლელი პრინციპია მის ფილოსოფიაში. ის იქ ასახსნელის გარეშე მდებარეობს და ახსნის საზღვარს წარმოადგენს. იხ. ჩემი „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ“, გვ. 183

მექანიკური ახსნისა, რომელიც ზოგადისაგნა: მიპარტული. ვაკიბსენოთ, რომ ინდივიდუალური დაუქვეყნიველი პრობლემა იყო ასეთი ახსნისათვის მუდამ. კარგად გაიგებდა ამას მხოლოდ ის, ვინც შეისწავლიდა მექანიკური ახსნის ბუნებას. ე. ი. ვასცდებოდა იუმის ფილოსოფიის წინამძღვრებს და ლიბნიციისა ან კანტის მსგავსად დააყენებდა საკითხს ამ წინამძღვრების წინამძღვრებზე.

თუმცა ახსნა მიზეზობრივობის რწმენისა, რომელსაც იღმი გვაწვდის, არ არის სრული. მაგრამ იუმი მაინც დიდი ნიჭის მოაზროვნედ რჩება. ოაში უნდა ვეძიოთ ეს ნიჭიერობა? იუმის მოძღვრების ელემენტებში? არა, ვინაიდან თუ ეს მოძღვრება დაეშალეთ, ჩვენ იქ ახალს და მანამდის უცნობ ელემენტს ვერ აღმოვაჩენთ. იუმის ნიჭიერობა მისი მოძღვრების ელემენტებში როდია, არამედ იუმის განუმეორებულ პიროვნებაში, რომელმაც ეს ელემენტები. გაბნეულნი წინამორბედ თეორიებში, თავისებურად შეაერთა და ამით ფილოსოფიური ვითარების იმდროინდელი მდგომარეობისათვის ძლიერ მნიშვნელოვანი საკითხები საზოგადო ყურადღების აუანსცენაზე წამოსწია, რათა ხელი შეეწყო ფილოსოფიის დაწინაურებისათვის.

შუქძღებელი იყო, რომ აქ იუმს შეტომებიც არ ჩაედინა: ჯერ შინაგანი თანდათანობის თვალსაზრისით, ემპირისტს იუმს არ უნდა მიეღო რაციონალისტური დახასიათება მათემატიკისა. რომელიც რაციონალიზმის მთელი სტრუქტურულიდან გამომდინარეობდა და ემპირისტულ ფილოსოფიას აშკარად ეწინააღმდეგებოდა. „სამკუთხედის კუთხეთა ჯამი არის 2d“ აუცილებლად ანალიტიკური დებულება იქნება მხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტი მსჯელობისა ვაკვიგეთ, როგორც ცნება საკუთხედისა: ასეთ ცნებაში 2d-ს ცნება მართლაც მოცემულია, და ანალიზს შეუძლია პირველი ცნება დაშალოს და მიიღოს ზემოაღნიშნული დებულება. მაგრამ თუ სამკუთხედში მოცემულია მხოლოდ ის, რაც მასში ყოველ კერძო შემთხვევაში წარმოადგინება (და სწორედ ასე ფიქრობს ემპირისტი და ნომინალისტი იუმი), მაშინ მსჯელობის ყოველს კერძო შემთხვევაში მოცემული ყოფილა არა ცნება სამკუთხედისა. არამედ მხოლოდ წარმოადგენა სამკუთხედისა. ამ წარმოდგენაში კი სრულიადაც არ არის უსათუოდ მოცემული (წარმოდგენილი) 2d, ვინაიდან რამდენს აქვს წარმოდგენა სამკუთხედზე. თუმცა მან არ იცის, რომ სამკუთხედში 2d არის. მაშასადამე, დებულება სამკუთხედის კუთხეთა ჯამზე არ არის უსათუოდ ანალიტიკური, ემპირისტულ თვალსაზრისს თუ დავიკავთ, და ვინც მას ანალიტიკურს უწოდებს; ის რაციონალისტურს ნიდავზე დამდგარა: მას დაჰვიწყებია ემპირისტული esse est percipi.

მაგრამ თუ მათემატიკის დახასიათება იუმის მიერ არ ეგუება მისი ფილოსოფიის ემპირისტულ წინამძღვრებს, მაშინ მეცნიერებათა განაწილებას ორ ჯგუფად საფუძველი ეცლება. არ არის ორი სახე მეცნიერებათა: მათემატიკური და ფიზიკალური. ფიზიკის ფორმა მექანიკაა, მექანიკის ფორმა კი მათემატიკაა. ამრიგად ფიზიკალური ცოდნა ახალი გვარის ცოდნა კი არ არის, არამედ ის იმავ მათემატიკური ცოდნის ჩანასახია, რომელიც უნდა განვითარდეს და მათემატიკურ ცოდნად იქცეს. თვით ის მიზეზობრიობაც, რომელზედაც აგებულია ფიზიკა,

თავზე. ხოდა: ვერ მივდგომივართო. რომ ამოჯანთ ზემოთ. უთხარყე: კაცობის დღე'რი; აბა დავთალაბი მინ შაქენების. აორეში მიიტანოს. ა ანს ერთი სანგარი ააყენოსყე; ერთი ჩემი ბიძას ბიჭი, ერთი ალადას ბიჭი (ბიძას ჩონ მამის ძმას ვებნებით, ალადას ჩონ დედას ძმას ვებნებით), ერთი სხო იყო, რომ გათქმულია გულიან კაცი, გულადი,—ეს სამნი წაიღეს. ჩონც ევით გამოღმასაყე (var.: გამოღმასთაყე) დავაყართყე. ეს სამთა ჭათი ქნეს, ოცკოდესყე სანგარჩი, გააქციესყე. ქურთებმა რომ გააგეს, ჩონი ჯარი ბევრია და ნამაჲ სუც შოგაკრა სერები. მთები, იმაშინ ქურთები გამოიღეს ა ამანზე (ა ამანი პარსულია. ერთი ერთს რომ შეერევის, შეეხეწების... ა ამანს ჩონც ეაკარებთ ახლა) ქურთებმა მოგზავნეს სამი დედაკაცი. მივეციოთყე ა ამანი. შული დავაკარებთ. ა ავიყვანეყე შიქები, რაქთენი და იმ სხვებს დოკიოდესყე: სანგარები არ დააკარილოთ. ჩაველით ლელეჩი, თანგჩი. ფქილები ავაკიღვიეყე, ზურგით ამაჯანენს სერზე, იქ რომ სანგარი იყო ჩონი. ორ კაცი გავგზავნე სიბაქს: პირიტი იორეკონ, ვირები. ერთი გავგზავნე სედვეელთ ბონაზე გაალადარები იყნეს, ცხორის პატრონები, რომ თუ ვირები აა აქლები ყავე (=გყავსთ), მოგეციოთ (=მოგეციოთ), რომ ფქილი (ჩონ ორ ჯურად ვაკარებთ: ვქილიო და ზოვი ქილი) ავქილოთ, მოჯანოთ (თ)ქენ ბონაზე, თა სიბაქისაყე ვირები მაქსწლების. დააგვიანეს. სალომის (სალომოსაც ვამბობთ) შავსხელით ცხენებზე, აველით სედვეელთ ბონაზე. ბიჭებს მივაბარაყე: ქეშიქი გაჯიღეთ, არ დააძინოთ. არამც ქურთებმა დოგოტყულონ. ვგრე რომ ვტყობის, ამთ გავგზავნიყე ჯარსათი (=ჯარისათის). ისენი იყნეს ა ასი კაცი, ჩონცა ვიყნევით მარტყოფსაყე და სიბაქსაყე და ჯაყაყსაყე, ა ასი მეტი [მყვანდა თან]. იმაშინ აველით ბონაზე. სედვეელნი გომოგოგებნეს, დააწყეს სავბარი რომ: პირიტი (ვირები) ექ არაყვანდა, ხუთი აქლები იყო ნახოშები. ა უთხარით (თ)ქენ კაცებს რომ ჩარეკეთ: თქეს რომ, ეს ხუთი აქლები ვერ ააკიღებს ოც საპალნეს. ჩონ მუხალა არა ვქენით. მე მინდოდა გავლანძლოყე, რომ ვნახე თახსირი არა აყე, აღარა უთხარყე რა. ჩამოვკლით სხო ბონაზე. ცხორი დუგუქეს. ღამით ძრიალ გუყურეს: ა იმანინ ა ერთი სხო დიდაკაცი მოიდა ჩონთან, ჩარლანგი იყო, მითხრა რომ ჩონ რომ გავიგეთო, გუნდოდაო, რომ ჯარი გამოგაშელიაოთო... ვერივაც გავიგეთო, ა ამაზე მიგუტანესო, რომ იქონ ქართველის ჯარი მოსულაო, რომ ფრინველები ცელარ გავლენო. ა იმაშინ მე უთხარ: მამუნე ვარი. მე უთხარ: ღმერთმა უმეტოს ქართველს, იქთენ ჯარი მყავ, რომ მინდოდეს, ეს ა ილები მოგხეტო. გამამივია; (თ)ქენყე მამუნე ვარ.

ღამით ძრიალ ცივოდა (var.: სიცივე იყო). ჩონ ცხენებს სამ დღე იყო, ბზე არ შეეჭამაყე. ქერი კი გოქონდა, რომ შავაჯამოთყე. ცხენები დავხურკელით ქაფანაკებით (ჩონ დავარებასაც ვიციოთ), თა დილობამდი. დილობას შავსხელით და წამუელით, რომ აბა ვირები მოსულან თუ არა. დღობინი დოგებით სერსაყე. გამოჩნდეს რომ მარეკდეს ვირებს; ველოდეთყე, თა მოაღეს. ჩაეყვევით, ჩაველით გერივ ბიქებთან, იქ რომ ფქილები იყო, პური მეტანაყე ერთ საპალნე. ღამით ბიჭებს არა ქონიოყე პური, ა ემელოყე ხუთი ლიტრა ფქილი, წყე-

ლყე წყაროზე სუფრათ და მეეზილაყე, მეეტანაყე, ეენთოყე, ჩარსანგები დე-
 ეცხელაყე, ფათირი დეეკრაყე, ის ევამაყე. გერეიაც შიგრები იყენს: ე ასი კაცს
 რას უზემდა ხუთი ლიტრი ფქილი? უთხარყე: პურები დაჰარიგეთ და მაღლათ
 (ჩიქარასაც ვაკმარებთ) ვირები მირეკეთ და საპალნეები აპკიდეთ. წარეკეს და
 აპკიდეს და წამუელით. რო მუელით, რა ქურთიე რო შომოგოყარა (ჰა მოგო-
 დგა, ჰა მიეადეგით—შომოყარას ვიტყით) თქეს: მაშალლა ქართველსაო! თა
 მუელით სიბაქს. წომოგოზუნენს, გოგხარდაყე. გიანლა იყო დღე. უთხარყე: სა-
 პალნეები დააწყევით ერთ სახლჩი. ჩონ ბიკებო, რო მარტყოფელნი ხართ, გე-
 ბარებოდესყე (თ)ქენა, რო არმინ მეტი არ წაიღოს, თა ხუალ ჩემთი დავადგე-
 ბი, დაჭწურ, მისიე რაქთენი ყოფილა, მეეტეს; თუ ფქილებს აკლია, სუს გოგ-
 ტებო, რო ერთი არ დაბრალდეს. რაქთენიე ქურთებისა მოგოტანა. დილას,
 ხუალ, დავადექ და [ე]წწონენ მისიე რაჰყო, წაჰღეს. არა დოვკლდა რა. ე ილ
 ის დოვკლდა ხუთ ლიტრა ფქილი, ე ათ ლიტრა ქერი, რო ცხენებსათი ემე-
 ვნაყე ე იმათ.

ლიდი გმა ჩავარდა ქურთებჩი, სხოგან და სხოგან, რო თუ ქართველი არ
 ყოფილიყო, მის საქონელიცლა ყოფილიყო, აღარ დაბრუნდებოდა ე იქით, რო
 ე ემათ მოვტანიაყე. გაათქო ესე! მეტი ხორები რო მოგოტანა, დოგრიგეყე
 ფქილების პატრონებს, იმისთი რო ზოგისა ქულაჯა წეელოყე. ზოგისა ქალაშე-
 ები, ზოგისა ტუმარა, ჰა სუფრა, ჰა კაბა.

III

ის ხო იქ გათავდა? თუ დუგუელდა რამე?

იმ წამთრის ჩონ სოფლის ხალღმა დააწყვეს, რო იყიდონ ცხორი, სასუ-
 ქებიჲ—დავძახით ყოჩებს. საშიშო წელი იყო მაღიები (ყაჩაღია!) გზებჩი იყენს.
 ამი დასტანი იყენს. ჩონც სამი ხანი ვიყენეით მარტყოფჩი. თითო ერთ დასტამ
 კრეუწერიქა რო გზაჩი ჩონა თანა ვჰყვანდეთე რო მაღიებმა და ქურთებმა ყა-
 ხალოქა არ უყოწყე. ჩონ ვიყენეით რუანი. ათი მეთოფეე წამოიყვანეთ და წამუ-
 ელიე რო ჩამოიდეთ ისპანს (ჩონ ვიტყვიეთე ისპანო! ჭარსულად—ესქაჰანს!)
 თუ გზაჩიგა შოგზდა მუშტარი, გაყვიდოთ. ვერმის ჯორათი ვერ ექნა. იმისთი,
 რო რეზა-ხანსა სუ გზები დეექირა. ჩონ მოიყვანეთ მეთოფეები იქამდი. რო
 ჭერაქიდანის ჰადი იყო. იქით მეთოფე დავაბრუნეთ. სალომის ცხორები გამორე-
 კეს ბიკებმა. რო თებსაყე ვევეპარნეთე. იმ ლამით ვიარეთ, გზა დავკარგეთ,
 გერეიაც დავაბრუნეთ ცხორები და წაველით ერთ სოფელჩი. შხემ რო ჰკრა
 ონი, რეზა ხანის კაცები მოგოწყედეს ზედ, შამოიდეს ჩონ მანზილზე; ბიკებ-
 მა მითხრეს, რო ცხორები ემათ შათოლესო. სუს წაჰრეკენო. მე უთხარყე: ღმე-
 რთი დიდაა მეთქი. ე ემათ მე რო(მ) მამხედნეს, ძრიალ გამიამხანაგდეს. ამოი-
 ეე ერთი ნამმაჲ წინდა (ნამმაჲ-კარგია!), ვაპატივეყე (ჩონ ვიტყით მივეცი!—მივე-
 ყე და მივეცით--ორივე ერთია!); ე ემათ აღგეს, გავიდეს სხოგან, კაცი გამოგ-
 ზაენეს ჩემთან, დამყონალეს; წამიყვანეს თავით მანძილზე; ის ლა რო გომო(უ)-
 ვიდაყე ემათ მიყურეს (პატივისცემა არი!)-ხოდა, ლამით მეგებარა ბიკებსათი
 ცხორები გააძღონ ბზეთ; ორი საათი რო გავა, მანცობონ, რო წავიდეთ გერიე

ლამით—რეზა ხანის ორდუმ არ გაიგოს. ბიკები რო მოიდეს, მითხრეს. ცხორები მაძღრებიაო, პაზირათ ვ:რთ (ნზადლ ვართ!), მოდი, რო წავიდეთ. მე ემმათ უთხარყე, რო—რიზა ხანის კაცებს: წაე-ლ ამჩონი მანზილზე, დაეწვები, რო ფაა-შამზე წავიდეთ. მითხრეს: გაუს ჩონთან ნუ დაამალავთ. ჩონა ორნი ვართ: ეს ჯანი რო გოქ, შენი გზაზე გარდავდებთო. უთხარყე, რო ჰალაქი ეგრე მი-თხარით, სწორს ვიტყვი, დუგუწყოფ, რო ლამით გავიარნეთ. არამე (თ)ქქენი ჰამყა-თარებმა გოლოგოკიდნენ; ემათა ადგეს, თოფები აიღეს, თითამ ორი ყათარა შამაიკრეს, დაიკოლთნეს და წომოგყვეს. წაველით. ლამით ძრიად ცი(ვი)ოდა და ბლენოდა. მუგუტა წინა შუა ლამის უკან. ერთგან დაესხედით, ქაფანაკები გაღ-ვიფარეთ და ბარნები, თა იქამდი, რო წიმამ აიყარა. რო გავიხედეთ, განათლა დილობასი. ავედგით; იმ კაცებმა (რეზა ხანის კიციებმა!) დაათორიალეს, გუთხრეს, რო ემისყე ანჭით შიში აღარა აქო და ჩონი ჰადიცი აღარ არიო. თუ ეჯაზის მოგკემო, დავბრუნდეთო. მე უთხარყე: ქენი მამუნეი ვარ წიწსასყე თა ასიმანამ-დი. ჩაიყავე, ამოილე ჯიბესაყე ფული; აღარ ვიცი, რაქტენი იყო, მივეყე; არ ძართებდეს, რო ჩონაო გუნდოდაო ხეთმათი ექნათო, არა რო ფულსათი მოგყე-რითყეო. იმ ხსომ უთხრა: გამართიო, დადეგართიო ემის კელისაყეო. გამო-მართო და ხოდაჭეზი ქნეს. ორჯელ კელები დაიდრეს გულის პირზედა, და-ბრუნდეს. იმ ლამეს მო(გ)ყოლიყენს რუა აღაჯი, რო ორმოცლა თექსმეტი ვერ-სია. მე ბიკებს უთხარყე: ესენი მ:ლაქები იყენს (რო თქენ ანგელოზებს და-უძახით!), დიდი კაცობა ქნეს; თუ ილ იმ ორსა სწადებიყო, ორასი ცხორი რო გყვანდა, სუს წააქრედეს და ეგეთ კაცობა ქნეს. კაცი თითო-თითო ჩაეარდების დუნიაზე... ჩაველით იმ დღეს ნაჯაფ-აბადს. იქ კორცი ნამაძ ძირად იყო. ხალ-ლი გაქრდა, რო ემმათ როგო ჩომოურეკიყე ცხორიო, გზაჩი დალიებს არ წო-ურთომეყო; ხოდა გაეყიდეთ; იმ დღეს დოგვარდა ხუთას თუმანი. გაყუყუით რუ-აგან, დაესხედით დროშეზე, ჩაველით ისპან ქალაქს. რაცლა გუნდოდა, ვიყი-დეთ. ბიკები დაბრუნდეს ჭერეადანსათი, რო წავიდენ მარტყოფსათი. მე დაე-დექ/ქ ისპანს. მინდოდა წაიფეღ თერანს იმისით, რო წინა წელსა ჩემთი გემე-ერთოყე ბახტიარებს ათასი თუმანი, და (მინდოდა) შეაჩიელო ყენინა და ვაზი-რებს. რო გავისჯე, ბეერი საშიშო წელი იყო, სოფლის ქენარებზე კაცებს კლე-ვდეს ხუთ რიალსათი, ძირობა იყო პურისა, ვიოვანქა პური ღირდა ოთხი რიალ-ზე ხალლი ბეერი წყდებოდა შიმშილით; ამხანაგებმა მითხრეს, რო წელს არ გინდა თერანის წასლაო, და რაქტენ დღეს დავექ და რაცლა რო დანაწერი მქონდა, დაეწერე ქალაზები თე(პ)რანსათი; ერთი ნამაძ ამხანაგი იქა მყვანდა; იყო ჭერეადნელი, გოუგზავნე ქალაზები. ერთ დღეს წაველ ბატონ გერგერის ხანთან. მითხრა, რო ერთი ქართველიო თბილისსაყო ჩამოსულაო, ექ არიო; უთხარ, სად არი მეთქი? მითხრა, რო ჯულფათი(გ) არიო. ხვალ სადილზეო მუა ჩემ სახლიჩეო, შამოდი, ნახეო. მეორე დღესა სადილზე წაველ კონსოლხანეჩი. იქ იყენს აუსოფ-ხანი და გერგერის-ხანი. წაგუყუენა, წავედით თავის სახი სტუმრათ, ყონალათ. იქ გავიციან; მითხრა, რო მინდა მოიდელ თქენი საქართველო-ში. უთხარ—ჯარგი. სამ-ოთხ დღეჩი ცოტა საქმე მაქ; შენც თუ გაქ საქმე, გა-აკეთე და წავიდეთ. ხუთ ექს დღეს უკან წაველით ჭერეადანსათი, აველათ ჭე-რეადანჩი. აუსოფ-ხანი შეიჩინაქ ხუთი თეს ჩემ სახი. საქართველო, სოფლები

წამუშაობარე და წაეყვანე ქურთებჩიგა, — ორ დღეს, — და მუველით გერე მარტყოფჩი.

დღეს დავაკმარებთ იმისთინა, რო ქერიმ-ხანის გაფი მინდა გიამბო და გავრძელდების.

IV

ილ იმ ხატხულის ჰოქუმათმა მოგთხოვა მეთოფეები, რო წაეიდენ: — დე-ჰაყს იყნეს ძალიები ერთ ყალაჩი, დომაბის ყალაჩი. შავაყენეთ სამოცდაათი მეთოჟე. ჩემთინაც ავიყვანე ერთ ცხენიანი და წაველით. ერთიც ყოჩი წოუყვანე ჰოქუმათს (ცხოვრობდა დარანჩი: დარანი გუბერნატორის ადგილია შუა ჭერე-დნანჩი). ისი, რო იმან მოგცეს ერთი რამე... ჩონ (=ჩვენი) იქა ეგეთი ყანონი არი: მეთოფე ჩონყე; პური და ფული ჩონყე... საჩოქვარი წოუყვანეთ და წაველით. წაველით დარანს. შეველ ჰექიმთან: ძრილ გოუხარდა. მკითხა: ის სხო ხანები, ორნი არ მოიდესო? უთხარ, რო ხილჩი იყნეს მოიდენ, მასცდებიან თა დილობამდი. მკითხა, რაქთენი მეთოფე გყავ, რო ჯარი იყოს. უთხარ, სამოცდაათი. ძრილ კი გოვხარდა. თითან ჰყევანდა ჯარი ცხენოსანი — ორმოცი. ლამით შემინახა ყონალად (— სტუმრად იყოს). შავკერეთ გაფი, რო დილობას მეთოფე მალე გავგზავნო, ჩემთინაც მოიდე ჰექიმთან, ჩაი დავლიგოთ და წავიდეთ: შვა-ლამ ავდექე, აველ ჩონ მანზილზე; მეთოფეებს მივაბარეყე: მზე რო-ჯკრავს, უნდა შაქურებული იყნეთ, რო წავიდეთ. ჩემს კაცს უთხარ: ცხენებს ლამით ნამა უყურე; ხოდა თა დილობამდი. დილობის ადრე ავდექე; მეთოფეები დაქურებულიყნეს ჩემ მანზილზე. უთხარეყე: თქენ დიარეთ და ჩონც მოგწევიეთყე. წავიდეს, მივაბარეყე, რო გზაჩი არმის არ გედეეკიდნეთ, დაალონოთ; ჩემ კაცს უთხარ: მე წაველ ჰექიმის მანზილზე, შენა ცხენები შაკმაზე და მაიყვავე. ჩაველ ჰექიმთან, ჩაი დავლიგეთ. იმათაც ცხენები შეეკმაზაყე. ავდეგით და შავსხედით და წაველით. ერთი დიდი სივაკე (იყო); იქ ჰექიმმა მითხრა, რო შიქალი ვქნათო. ცხენიანი გაიშალა სივაკეზე. მე და თითან და ორი ცხო მივახლოვდით მთებთან. წამობტეს ჯეირნები, წომოუდეგითყე, დავაყარეთყე, ორი მოეკალით. ისეები დააკრეს თარგზე და წაველით; ყელი იყო, გადაველით. წყალი მოგწყურდა ძრილ. ჰოქუმათმა, — რო ამირი აქრამი ერქო, — მითხრა რო, წამამყეო. წყალი მოვნახოთ და დავლიგოთო. წაველით, ერთი ჩუყურჩი მიგ-დეგით: წყალი იდგა და აშხლიანი იყო; ბასქი გწყუროდა: ქული ამუაყესთ და დასმალი გადავაფარეთ და დავლიგეთ, და შავსხედით და წაველით. მზე ჩასლიე მიველით იმ ყალას ფეკზე. შემოვდექით, დავიქირეთყე ძალიები, თხუთმეტნი იყნეს; ლამით ყალა მამაბარა მე და ჩონი მეთოჟეებს; ორი დღეს დავდექით იქა; ძრილ შიმშილობა იყო; ი სოფლის ხალი, რო შახიდიყე სახლებჩი, ეყარნიანყე: შიმშილით ვაწყეტლიყნეს. პური არა ვარდებოდა ჩონი მეთოფეებისათი, ცხოვრები რო წოგოროთო ძალიებისათი, უთხარეყე და ისეები დაკლიან და ქამდეს. კორცზე ატარეს ორ-სამ დღეს. იმაშინ ავიყვანეთყე და წამუელით დარანს; რაცლა რო ჰქონდაყე ძალიებს. ისიც ჰექიმმა მაიტანა; მეორე დღეს უთხარ, მურახახობა გამუართით და წაველით მარტყოფჩი. დღეს დავაკმარებთ.

V

იმ წელს ელა, ზამთარი რო მოიდა, ოცი დღე გოქონდა ნავრუზობამდი (x აველი ზაფხულია: ზამთარი რო ათადების ახირ ჩალა ლამე გადავა ზ.ფხულირი, ნავრუზს დადვანით!), რო ჰუქუქმათსაყე, ისპანისაყე ქალაზი მოგუვიდა, რო ათი ცხენიანი და ოცდაათი მეთოფე აიყვათო და ნამაჲ თოფეებით მოლითო. შემევეყარენით, დავაწყევით, რო მე და ასადოლა ხანი წაეიდეთ. ცხენები გამოოყვანეთ, სოფლის ქუჩებზე გამუხანამეთყე; თოფლი ბევირი იყო ბინდორჩი; შიდ-რუა დღეს უკან ავიყვანეთ ათი ცხენიანი. თითომ ხუთი, და ოცდაათი მეთოფე და წაველით. მეტობა ცხენები თოვლზე გავიხილეთყე ორ დღეს; წაველით დარანს. იქ ჰოქუქმათ-ნეშინი არი ჭყრეადანისა; ჰუქუქმათმა გუთხრა, რო ორ-სამ დღეს დადევით, რო ცხენიანი ჭყრეადანსაყენაც მუა, შექეყარეთ და წადით. რეზა ხანს ფირანი დოუქერიაო; ხალს ტიტლისო და ცორკავსო. ისპანის ჰუქუქმათს თეარანსაყე უქისრია (კისერზე აულიაო!), რო დაიქიროს. ჩონც დადევით, თა ნავრუზობამდი: ნავრუზ დღეს შემევეყარენით ჭყრეადანსაყე სამოცი ცხენიანი და წაველით. მეორე დღეს მოველით ორდღი. ორდღს უფროსებმა გოგზანეს ერთ სოფელჩი, რო იქით როსაცლა შულლი შაიქნების, წავიდეთ წინ. შიდ-რუა დღეს იქ დადევით და სანგარები ვსაზღრეთ. ქალაზი მოგუვიდა, რო თქენ ქარველილებმა თქენი ცხენიანი აიყვათ და წადით ჰასან-აბადში:--ყალა იყო. ჩონ ქარველები ვიყნევით ზემოთ მარტყოფსაყე და ქომოთ მარტყოფსაყე თრამეტი ცხენიანი. ზუთ-უქსიცი ჭყრეადნელი ჩონთან იყო და წაიყვანეთყე. წაველით, შომოვდევით იმ ყალას, ჰასან-აბადის ყალას. კარი დაკლიტეს. თურმე იქ არი იმ რეზა-ხანის დედა და დედაკაცი. ბურჯებჩი ავიდეს მეთოფეები იმითი. რაც რო შაკივლეთყე: კარი გააღეთო, არ გულბდეს. მე დავდექ დარეზას უკან, სამოთხიცი იქ დავაყენე ჩონყე. რო თუ არ გააღებთ მეთქი, ტყივათ კარს დავხრეტო, საკლიტურს და შამუალთ. ასადოლა-ხანი დე ჩემი დისწული ალი-ალა ჩავიდეს ქომოთყე, ყალას კედელზე ამოსეს ალი-ალა; იქით თოფი გოუსწოჩაყე, თუ არ გააღეთო, დაგწყეტყეო. ანქით ამათა, ექითაც ჩონ შოუქუქეთყე (var: შოუქუყე-ლეთყე; თორელ-ბოჯანი იტყიან: შოუტიყეო!); იმათ შეეშინდაყე და კარი გუგულეს. შაკელით. ჩემ კაცს უთხარ, რო ექაურ ქეთხუდა, მინაც რო არი, დაიქირო და წაიყვათ თქენ მანზილზე. ჩონა ხანები შაველით, ერთ ნამაჲ ამარათჩი; ბეური საქონელი იქ იყო; ორი კაცი რო თანა გყანდა, უთხარითყე მე და ასადოლა-ხანმა რო, არამც ერთი რამე. რო ნახვე რიალზე ლირდეს, კელი წააწუდოთ და აიღოთ, სირცხილია ჩონთი. წამოიარეთ სახლები, დედაკაცები შექუჩებულყენეს ერთ სახლჩი, ჩადრი შავები წემეგსხაყე, მალევედეს რეზა-ხანის დედას და დედაკაცს. შოუტყევითყე, უთხარყე: ნუ გეშინიანყე. დედაკაცებთან საქმე არა გგოქ. მაჩენეთ ის მეთოფეები, რო ბურჯებჩი ასულიყენეს; დადგეს ფიცკოლზე, რო ჩონ არ ვიციეთო. მოვანხეთყე მეთოფეები, ტანისამოსი დემეტიკვალაყე; არცრა კი არა უყავითყე, თოფეები წაევართითყე. სამი დღეს დადევით იმ ყალაჩი; სამ დღეს უკან სხო ცხენიანებცი მოიდეს და შაიქნით ოთხმოდინი; იქით წაველით სხო ყალასათი, ერქო x ახიზ-x აბადი; დაღიებმა დოგოყარეს თოფეები სანგარებსაყე; არ შევეპოვეთყე (var.: არ გავისარვეთყე); თურმე თოფის კმაზე რეზა-ხანმა

გაიგო თირანსაყე, შახსდეს და გამოიღეს ჩონ წინ; ასი ცხენიანი მეტი გამოიღა. გაკეთდა შულლი. ჭერეჯდნელები გაიქცნეს; დაეცივდით ოცი ცხენიანი; ჩონ ქართველები და ბაატაჲ ჭერეჯდანის ქურთები. ძრიალ მაგარი შულლი შაიქნა. ახლო დაერივნენ. რო სივაკე იყო სენე („სუყელა“ დააწერე!) ცხენებით ვშულლობდით. ათი თორმეტი ჩონყე, კაცა და ცხენმა, ტყივა აიღო. ზოგი მოკდა, ზოგი გავიდა. იმითყენაც რაქთენი მოკდა—ცხენი და კაცი: და შაველით, ის ყალა დაეიქირეთ—*ა აზიზ-ა აბადის ყალა*. რაქთენ დღეს ამ ყალასაყე ცოტ-ცოტა შულლი გოქონდა. იმ დღეს შულლი კმა ჩავარდა ორდუჩი; იმ დღეს ქართველებმა ნამაჲ კმა ქნეს: ზოგი ორდუს ხალხს ეთქო, რო ქართველებს კარგა უშულლიაყე და ვაეკაცობა უქნიაყე და ზოგს ეთქო რო: არა, ქურდებსაო... ის კმა მისწდა ისპაანს: დიდი გუბინატერთან. ძრიალ გაზხარებიყო. დეწერა ქალაზი ჩონთან: თქენყე მამუნეი ვარო; ხალათს მოცტყემეყო; არცა კი აღარა ვნახეთ იმისყე. რაქთენ დღეს იმის უკან წაველით სხო სოფელჩი. ჩონი მეთოფეებიც შამოვჰყარეთ და წაველით; ახლო ერთი დიდი წისტილი იყო და ნამაჲ ბურჯი ჰქონდა. რაქთენი დღეს ჩონ გობარა იქავრობა. ხანდასხან შულლი იყისყე; რაქთენ დღეს უკან რეზა-ხანმა თავის ჯარი აიუჰან და ღამით და მღვით გვიპარნეს. წ ვიღეს ყადრიჯანს, ისპაანთან ახლოდა იყო; დილობას რო გავიგეთ, დაქრდა ორდუ და მევედენეთ ფეაზე. საღომო დროს მოვაწყვლით იმ სოფელჩი. დოგოყარეს თოფეები; შულლი გაკეთდა. ღამით დაეცივდით მინდრად; არც პური გოქონდა, არც ჩაი; ცხენები შივრები იყნეს. სიცივეც ბევრი; დილობამდი ვიშულღეთ და დილობას მამ/სცა წიმა; შავსხედით და წაველით ერთ სოფელჩი. ხურდა (ბატარემა!) სოფლები იყო. შეშევერტყით ყადრიჯანს; რეზა-ხანის ჯარი იყო ათას სამასი; ორდუცა გუბინატერისა დაქურდა ხუთი ათასი; სადაც რო იფო საშიშო იყო, ჩონ მიგზავნიდეს, ფულს კი ჩონ იფო ცოტას გომღევდეს. მე ჩაველ ისპაან ქალაჭი--გუბინატერთან. წაველ სანახელათ. მკითხა: თქენ რაქთენი ხართო, ქართველებიო. უთხარ: ათი ცხენიანი გ(ვ)ყოვ მე და ასადოლა ხანს, ოცდაათი მეთოფე-თქო: მანწენი ვარო. თალაჰას გაევიყვან თქენი ზაჰმთისაო. პატივთ მცა. სადილზე დანტუმარა. მითხრა, რო ორ დღეს დადქ და ჩემთინაც მუღ ორდუჩიგაო. მე წაველ მანზილზე. ორ დღეს უკან წაველ; მითხრა, რო: გავზავნე, ცხენი შაკმაზონ და მივიყვანონ; სადილთ უკან შავსხედებით და წაველთ. გავზავნე, ცხენი მამიყვანეს; სადილთ უკან თითანაც შაჯდა და მინაცლა რო იქ იყო მოსხილო ხალღები, წამაჲ/ჰყევს და წაველით. ნზე ჩასლიე მიველით ფოღვარგანს; ის იქ თავითი, ჰუქუმათის შვილი და ძინსწული იქ იყნეს. რო ორდუს უჟროსეები იყნეს. ღამით დავედქ იქ. დილობას უთხარ: ჯირა მამეციო, რო წავიღე ჩონ ცხენიანებთან; მირზას დოუძახა და თქო რო: ჰასაზი ქენ, რაქთენი შაიქნებისო; დააწერა სანდუხტართანაო; იმამაც ჰასაზი ქნა და, რაჲცლა რო შაიქნებოდა, დააწერა და მონცა. ავდექ ოთახსაყე და ხოდატებ უთხარ და გამუღელ. სანდუხტარს ფული განუართი და შავეღ და წაველ. იყო იქით ათი ვერსი, თა ჩონ ბიჭებამდი. რო წაველ, გოვზარდაყე: ნანაჲ სოფელი იყო, ცხენებისათი ნანაჲ ბალახი იყო, რო შავდარს დაჲძახიან.

რაქთენ დღეს იმ სოფელჩი დავედქით, ჩონ ჭერეჯდნელები. ერთი ღამეს რაქთენიმე ჯალიღეს დეებარაყე ჩონთან: გუნდა გამოიპაროთ და მოიღეთ თქენ-

თანაო, თუ პირობას მოგვემთო. ჩონც პირობა გოუგზაენეთეი, რო თქენ წამო-
 ლით და ჩონც გემეგველუბითეუ. ერთ დღეს დუშობის უბემლით, დაენახეთ
 შიდ-რუანი - თავით სანგარს გამაჲსცილდეს. ბიქენს უთხარიოთეუ, რო უნდა ესენი
 იყენდ და მოლი(ვ)ოდენ ჩონთან; რაქთენი გვეშელენითეუ და ემპითათი გაქონ-
 დესკე, არამც ტყუოდენ. დაენახეთ რო ანკით თოდეთი დაეარესეუ; ბიქენი
 გაიქენეს, გვეშელნესეუ; ა იმათ ცხენები კი დასცილდეთი მაღიებთან, თითან კი
 ორი ცხენით რვანი მაჲსწდეს ჩონთან. ესენი დადგეს და ჩონთან სანგარებნი:
 ჰოქუმათს დოუწრეთ, რო ეგოე ქნდაო და პირობა მუგუტია ჩონ ა ემითი, შენც
 უნდა პირობა ისციეე, რო გულით დადგენ. გავგზავნეთ ქალაზი. დეეწრა, რო
 ნამაჲ საქმე ვიქნაიე და პირობაც მეეცა, რო ნიპატიეებია თქენთი ეგენა.
 ლამით ორი ესეები და ოთხი ჩონ გავგზავნითეუ სანგარჩი, ქეშიტი გაჲზიდონ.
 (სადაც გავგზავნითეუ, ორი იმითეუ ღენითეუ და ოთხი ჩონეუ; ა რენდობლით);
 არამც მოგორტყუვლონ, თა იქამდი, რო ერთ დღეს თითან ჰუქუმათი და გერე-
 ნალი ანგელისებისა მოიდეს, რო მოსაზრონ დიდი თოდესათი ადგილი. ჩონც
 გავეყვითეუ მიწრათ, დანიწნეს ადგილები; ჰუქუმათმა გუთხრა, რო მოწხადებუ-
 ლი იყენეთ ხუალ ლანისათი. დოგობრუნა და წაევილით ჩონ ადგილებზე. ბუალ
 ლამე რო შაიქია, კაცი მოგუგზავნეს, რო ცხენები სანგარებსაეუ მიგზავნეთ სოფ-
 ლებჩიგაო და თქენთი ხუთი საათი რა ლამესაეუ გავაო, წამოღით მაღიებსათიო.
 ჩონც ცხენები ჩავგზავნეთ სოფელჩი. რო ადგილები გოქონდა. ხუთ საათი რო
 ვავიდა, წაევილით იმ სოფელსათი, რო მაღიები შიგ იყენეს. იმათაც იცოდეს, რო
 იმ ლამით დევეცემითეუ; რო მივახლოვდით, დოგოყარეს შიხრად ტყიეა; ა აბა-
 ბახი დაჲსცხეს მაღიებმა და ჩონც ძალა მივიტანეთ; შეაცივდით სოფელჩი; მუ-
 გუქლეს ერთი ძრიალ მოშულარი კაცი.---ჭურედენელი კაცი. ჩონც იქ ერთ ბა-
 ლი დავიკირეთ და ვიშულეთ თა იქამდი, რო უნდოდა ინათოს; ჯერზე ათასი
 თოდის კმა ნოიღისეუ. მაჲსწედა თოდის კმა ბაატა. ჩონა ვეტიო, რო ბაბტი-
 არები მისხდომილან უქანაო (შამორტყომილი ვიყენეთ სოფელსა) და ვეტიო
 რომ: ვათენდების, ცოტანი ვართ ჩონა. შომოგორტყომიან, ა ემ ბაღებს დაიქე-
 რენ; არც იმდენი თეშანგი გოქ, არც საქველი. ნამაჲ, რო მიესხდეთ ჩონც უქან,
 გამუელეთ, ქის თოღები იყო; ჩავსხდით ქის თოღებნი. ზოგ ზოგი კი ვაიპარა,
 წავიდა, წინად სანგარები რო გოქონდა. სხო სოფელჩი და ცხენები რო (გ)ყვანდა
 იქ. ჩონ მ-იცადეთ თა მზემაჲქრა. ათორმეტნი ვიყენეთ იმ ქის თოღჩი. ერ-
 თხელა ვნახეთ - ო დიდი თოდისა კმა ნოიდა: მივიხედეთ, ვნახეთ რო ბოლი
 გაჲძაბა; კარგათ გუგუხარდა; თოდები დეეზაეუ იმ სოფელსათი, რო მაღიები
 შიგ იყენეს, ორიე კარასაეუ. ემ თოდებმა რო გაათავა, სხო თოდების კმა მოი-
 და. რო მივიხედეთ სოფელსაეუ, გართი (=მტერი) ბოლანღე ადიოდა. ჩონც სი-
 ხარულით წამოვეცივდით, ვავიქენით. შეაცივდით სოფელჩი. ძრიალ წყეტა და
 ვემეტა იღვა, ორი კარასაეუ. თა სადილობამდი ვიშულეთ და დავიკირეთეუ
 მაღიები. თითან რეზა-ხანი და რაქთენი სარ-ქერდა(ქი) დილას ხანჩი ვაპარებუ-
 ლიყენეს. მაშინ რო შამოყარეთეუ მაღიები ერთ სახლჩი, რომელსაეუ ვეკითხეთ
 რეზა-ხანიო, თქენი უფროსებიო, სად არიანო, თქეს რო, შუა ლამის უქან აღარ
 გუნახავო; უნდა რო გასულიყენნო. შაქუჩდეს, რაცლა რო ბახტიარების სარდარე-
 ბი იყენეს იმ სოფელჩი, ოთხასი ცხენიანი მაადენესეუ გერივაც რეზა-ხანს; ჩონცა...

რაცლა რო ძალიები იყნეს, ორ დღეს უკან ზინჯირები დაადვესყე კისრებზე და დააუთარესყე გზაზე; რაცლა რო ნათირალეები იყნეს, ისეზიც შეყარეს ცხენებზე, მოცდევნეთყე; ჩავიყვანეთყე ისფან-ქალაქჩი. რამოდნი ხალლი მიეხვა სასეილოდ. იქითაც რო ცხენიანი მეედევნა, წემეწეწეწეწე მთებჩი. ორ-სამ დღეს უკან ჩონც გაველით. რო აველით ნაჯაფ-აბადს, დეექირაყე, მოჰყვანდაყე. დავბრუნდით და ჩამოყვივითყე და ჩამოვედით ისფან-ქალაქჩი. სულა რო დავივირეთ, იმაშინ დადგა სარდარი-ჯანგმა იმების კოცვაზე. ერთ დღესა რუა მაიყვანეს და დარზე ახიინდეს. პირველად შაჰ-ბაზ-ხანი ახიინდეს დარზე; ქვეყანაზე (ვარ: ღუნაზე) იგეთი ვეყაკი არ იყო. იმაშინ ხალლა თქო (ბახტიარებმა და სხო ხალლებმა), რო არ ვარგაო, რო ესეები დაიკოცნენო; იყნენ ჯერაო დუსალ-ხანჩო. იმის უკან ის კაცები აღარ მოკლაყე სარდარი-ჯანგმა. ხოდა, ჩონა რო იქთენი ზაჰმათი გოზინდა, მეველოდებოდით, რო დიდ პარტივი გცეს (= გვცეს); სალომის წაველ სარდარი-ჯანგთან, უთხარ რო ჩონი თაქლიფი რა არი მეთქი. მე მეგონა, რო ისეები, რო დოგპირებია, აათავებს. მითხრა, რო ბევრი თქენი მამნუნი ვარო; თუ გინდა წასლაო სოფელჩიგაო, წადითო ლმერთის ომიდითო, ემის უკანაო თალაქას გავიყვანო. დავბრუნდი და წაველ მანზილზე. დილობის, რაცლა სასყიდი გოქონდა, ვიყიდეთ და შეესხედით ცხენებზე და წაველით ჟერეფდანსათი, რო გზას ხაოჯიც აღარ მოგცა სარდარი-ჯანგმა.

ოთხი თე ნახევარს ორასი თუმანი ჩემი ჯიბესაყე ცხენიანისა და მეთოფესი დავხარჯე (ორნი ვიყენეით: ათი ცხენიანი გყვანდა და ოცდაათი მეთოფე). წაველით მარტყოფჩი. ოთხი დღეს გზაზე ვიარეთ...

იმის უკან ელემ სარდარი-ჯანგმა თავის ძმისწული ამოგზავნა ჟერეფდანი-ჩი-ჰუქუმათად. ისი რო ჟერეფდნელთა ომ წელს ბევრი ღონები ყნეს: ცხენიანი და მეთოფეც მეეცაყე და პარტივისცემა უნდოდაყე. იმის ავაზი იმ წელს ხალლი ითანალალა ჰოქუმათმა. მე რო წინათ წელსა სამოცდაათი მეთოფეთი ელ იმას წავეყოლიაყე, ძალიები დოგოკირა და მოგოყვანა - დომამისაყე (ყალა არი!); იმ წელსაც ოთხი თეს ცხენიანი და მეთოფეც იგდენი უღონებიყავ. რაქთენჯელაც დაჰპირებიყნეს ხალათსა და რას მოგცემთო, იმის ნავიერ ერთი ცხენი წამართო, რო სამას ორმოცდაათი თუმანი ფასი ჰქონდა. ქურთები, რო ბახტიარები იყნენ, ევრე გოწუხებენ.

მინაც რო წააკითხავს, გული დეეწოს ჩონთი! ცხენის გარდაჰს ორი ათასი თუმანი ფულად გომოგორთო ილ იმ წელს მარტყოფსაყე და სიბაქსაყე და ჯაყაყსაყე. ერთი ათას თუმანიც (ელა) ხარჯი გოგოზინდა. ესე კი ათავდა!

VI.

იმ წელს მოიდალა ზამთარი და ზამთრის უკან, ზაფხულჩი ამოიდა ჰაქეჩიმი ისფანსაყე. დიდი ჰაქიმი ისფანისა სარდარი-ჯანგი იყო. (თოვლის გაფი ექტი: თოვლი ჯერ არ აღდგომილიყო ჟერეფდანს). რო მუგუთხოვა: მოდით ვნახოთ ერთმან ერთიო; ო იმას ეძახოდეს, ნამაი ჰაქიმიოა. შეესხედით ცხენებზე და წაველით მე და მადყული-ხანი და ალა-მამად-ხანი. ორი ყოჩი წოუყვანეთ და წაველით სანახველად; ენახეთ, გომოგორთო ოთხას თუმანის ქალაზი: იმას დაჰ-

ძახიან თავდომი (მეტი ფულია, რო პრველ დათანალებდეს ფეხს ჩაგდება არი). იმის უკან ცო-ცოტად ბოძნა მოგუგონა. იმის უკან ჩემი აზნანაგებმაყ, რაც რო უთხარყე, არ დაიძრეს, რო წავიდეთ ისპან-ქალაქი და წავიდეთ თეირანს, რო მოვსწყიტოთ ემისი გული, რო აზრი ჰქონდა ფულის გამორთმას(ი). რაქთენ დღეს იმის უკან გუშუგუგზავნა შიღ-რუა ცხენიანი, რო ესე თქენი ნაებ-ელ-ჰუქუჰმა იყოსო. დოგოჯ(და თავზე, დოქი გთხოვა რაქთენი ხარჯი (ხარჯი ელა კმარა?). ბენა ქნა ემისი და ამისი დაქერასი და ლამით ღონებაჯი, რო კაცის თა დი-ლობამდი ორმოცდაათ თუმანი ფული მოჰლათუნა, რო აღარ ჩოყყარონ ალექ თითებში (ფარსულად ეშქელაქს იტყიან). დილობის ჩონც დაექუქდით და ისენი კი გავრეკეთყე. ის ცხენიანები სოფელსაყე. წავიდეს ჰაქიმთან: იმამაც მისწერა ისპანის ჰაქიმთან. იმან დოუწერა რო, ესეები (ქარაველის ხანები) ჩამოიდენ ის-ფაანსა, თუ არა და რაქთენი ფული გამართიყე. მე უთხარყე ამხანაგებს, რო წავიდეთ ისუაანჩიგა მეთქი; თქეს: გოშინიანო, რო იქ მამშვლებელი არა გყოო და თითან დეგუქაროსო, რო სარდარი-ჯანგი იყოს ბახტარო. იმ წელსა იღ იმ ჰუქუჰმათმა, —ერქო ჰაქი-ელ-მამალიქი, —იმ ოთხას თენის გარდაის გოდოგო-კდევიან, წოგორთო ათას ხუთას თუმანი გერიე. შამოდგომჩიგაც მოიდა ორმოც-დაათი ცხენიანით, ოთხი ლამესაც სტუმრადა გყვანდა და წავიდა: სამოცდაათ თუმანიც იმამინაც გომოგორთო: იმას დაძახიან ფულეასოქრა. იმამინაც გოწუხა ხარჯითა და გამორთმით და წავიდა. ჩონი ესეები—ერთი წაა რო კაპიკი იყოს, გადასაკდელჩი არ არი, ისეები გადასაკდელი გერიეაც სხო გოქ, რო ჰქიან მა-ლიათი, და სარბაზი. ა ემეების უფროსიცი სხო: ის უფროსებიც რო მოვლენ ემეებსათი, თაერობისაყე კი ნება არაყე, რო ხარჯი, რო საქმელი და სხო და სხო იყოს, გომოგორთონ, ა ანმა გორთბენ, მეტსაც გორთმენ.

ა იგეთ ადგილი გოქ ჩონ, ქართველებს.

VII.

en vertu de (11) on peut établir la propriété caractéristique de ces polynômes:

$$A_n(x + 1) + A_n(x + 2) + A_n(x + 2^2) = x^n;$$

les polynômes ainsi introduits sont analogues aux polynômes d'Euler.

დ. უშნაძე.

მნიშვნელოვანი წვდომის პრობლემისათვის.

(შინაარსი და საგანი).

(ტელისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიიდან).

1. საკითხის დაყენება.

გარე სამყარო ჩვენზე მრავალის მხრივ ახდენს ზედგავლენას რომელსაც ჩვეულებრივ ცნობიერების ამა თუ იმ შინაარსის სახით განვიცდით. ხოლო როგორც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, არასოდეს თვითონ მას, არამედ ყოველთვის ობიექტურ სინამდვილეს, ყოველთვის რაიმე საგანს ეგულისხმობთ. შინაარსი განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება იცვლებოდეს და იცვლება კიდევ, მაგრამ ნაგულისხმევი საგანი მუდამ ერთი და იგივე რჩება. იბადება საკითხი: როგორ ვეძებ, რომ შინაარსულ განცდათა ნიადაგზე ნაგულისხმევი საგნის მნიშვნელობას ვწვდებით? რა როლი ეკისრება ამ შემთხვევაში ცნობიერების გრძნობად უაქტებს და რა აქტები იწყებენ მოქმედებას? შეგარძნებათა შინაარსი ხომ არ ასრულებს აქ საფუძველმდებელ როლს, და მისი დახმარებით ხომ არ ვწვდებით საგნის მნიშვნელობას?

2. ექსპერიმენტული მეთოდიკა.

ამ პრობლემისა და სხვა ანალოგიური საკითხების გადასაჭრელად შემდეგ ხერხს მიემართეთ: ავიღეთ ექვსი სხეადასხვა საგანი, რომელთა ფორმაც ზოგიერთ შემთხვევაში საგრძნობლად შევცვალეთ. თითოული მათგანი მივაწოდეთ ცდის პირებს (ოცხებით რეას 18—22 წლამდე), რომელთაც თვალები დახუჭული უნდა ჰქონოდათ და საგნის ცნობა შეხების ორგანოს საშუალებით მოეხერხებიათ. — როდესაც რაიმე დასკვნამდე მივიღოდენ, ანგარიში უნდა ნოეცათ თავისი განცდების შესახებ. ჩენი მეთოდი ე. წ. სისტემატური ექსპერიმენტული თვითდაკვირვების მეთოდი იყო. იგი ცოტაოდნად იმით განსაკუთრებულია, რომ ზოგჯერ ცდას ნაადრევად შევწყვეტდით ხოლმე და ცდის პირთა ანგარიშს მოვთხოვდით (Unterbrechungsmethode). ამასთან ერთად განსაკუთრებული გულისყურით ავნიშნავდით აგრეთვე მათ ქცევასაც, როდესაც იგინი მიწოდებულ ობიექტს შინჯავდენ. მიღებული მასალის ანალიზზე შემდეგი გამოარკვია:

1. ცნობიერების ზოგადი ტონუსი.

ჩენს გარეო სამუაროში ორიენტაციას, ჩვეულებრივ, მხედველობის საშუალებით ვახდენთ. გასაგებია ამიტომ, რომ ჩენი ცნობიერება სრულიად უჩვეულო სიტუაციას განიცდის, როდესაც ამოცანად მას ამა თუ იმ საგნის მარტო შიხების საშუალებით ცნობა ეძლევა.

აო უნდა თქმა. ცნობიერება ამ შემთხვევაში სულ უძლურად არ გრძნობს თავს. მაგრამ საგნის ცნობის ჩვეულებრივი გზები მას ეხლა მოკრილი აქვს: იგი სრულიად მოკლებულია ხანგრძლივი ყოველდღიური მუშაობის ნიადაგზე განმტკიცებულ დასაყრდნობს. გასაგებია, რომ ჩენი ცნობიერება ასეთ შემთხვევაში თითქოს „უცენტროდ“ გრძნობს თავს, უდასაყრდნობოდ, რომელსაც იგი შესაძლებელი იქნებოდა დანდობოდა. ერთ-ერთი ცდის პირი ასე ახასითებს თავის ცნობიერების მდგომარეობას:

ჩ. ბ. ქ. სრულიად განსაკუთრებული განცდა მაქვს: თითქოს ცნობიერებამ ცენტრი დაკარგა... თითქოს არც კი მაქვს ცნობიერება... თითქოს საგნის მხოლოდ ორგანული შერჩენებით ვწვდები...

მაგრამ ცნობიერება მაინც მუშაობს: მას საგნის გამოცნობა სწადია. იგი იძულებული ხდება რაიმე გზა აირჩიოს, რაიმე დასაყრდნობი გამონახოს. რა თქმა უნდა, იგი ისეთ საშუალებებს მიმართავს, რომელთაც ჩვეულებრივი მუშაობის პროცესში ასეთი როლი არ აქვთ დაკისრებული. ეს ის განცდებია, რომელნიც საგანთა ცნობის პროცესში მნიშვნელობას არ უნდა იყენენ სავეებით მოკლებულნი. მაგრამ ხანგრძლივი ყოველდღიური მუშაობის გამო მექანიზირულ და ავტომატიზირულ განცდებად გარდაქმნილან. ცნობიერების დასაყრდნობის როლი ახლა მათზე უნდა გადავიდეს, და ეხადია, ასეთს უჩვეულო მდგომარეობაში სუბიექტი ვერ იგრძნობს თავს თავის რიგზე: იგი მერყეობს, იგი უმწეობას გრძნობს: და ეს მერყეობისა და უმწეობის განცდა მით უფრო იზრდება, რაც უფრო ხშირია შემთხვევები მიწოდებული საგნის საცნობად ახალ დასაყრდნობთა უკმარობის გამოაშკარავებისა. სუბიექტმა ასეთ შემთხვევაში არ იცის სრულიად. სად ეძიოს მტკიცე ნიადაგი. რომელზეც ცნობის აქტისთვის გზა უნდა გაიყვანოს. იგი დაახლოებით ისეთ მდგომარეობას განიცდის, როგორსაც მაგალითად ტყეში გზადამბნული ან გამწლილ ზღვაზე უკომპასო მეზღვაური. — განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ ის განცდები, რომელთაც ამ მომენტში კ. ცნობიერებაში აქვთ ადგილი, სრულიად განსაკუთრებული დალით არიან აღბეჭდილნი: იგინი ერთთავად მოკლებულნი არიან განცდათათვის ჩვეულებრივ გამოკვეთილობას, საოცრად მერყეობენ და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, როგორსაც, ვთქვათ, წარმოდგენა ალთქმასთან შედარებით. იგინი ჩნდებიან და კჭრებიან უმტკიცესინაარსოდ, ისე, თითქოს ჩენი ცნობიერების წიაღიდან როდი იყვენენ წარმოშობილნი. არაა საკვირველი, რომ ცდის პირები თვითონ აქევენ მათს ამ თავისებურებას ყურადღებას და თავის შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემენ:

ჩ. ბ. ქ. ჩემი განცდები უცხო განცდებად მეჩვენება, თითქოს არც კი იყვენენ იგინი მარჯულა ჩემი საკუთარი განცდები...

თავისთავად იგულისხმება, რომ შეუძლებელია, ცნობიერების მუშაობა ასეთ პირობებში თავისუფლად, სრულიად შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. პირიქით, მთელი ჩვენი ცდა ისე იყო მომართული, რომ სწორედ ასეთ თავისუფალ მუშაობას ცნობიერებისას რაც შეიძლება მკვეთრი დაბრკალება უნდა ვადაღობებოდა გზაზე. და მართლაც, ცდის პირთა შეთანხმებული მოწმობის მიხედვით, ცნობიერების მუშაობის შეფერხებული მიმდინარეობა უწინარეს ყოვლისა თავისებულ და ძაბულობის გრძნობებში იჩენს მკაფიოდ თავს.

ცდ. ა. შათ. III ხ. სკონტანურად აღნიშნავს: ვგრძნობ უკიდურეს დაძაბვას. შეიძლება. მომკეთ ნება, თვალები გავახილო და ისე ვცადო საგნის ცნობა...

უნდა აღინიშნოს გაკერით, რომ ასეთ შემთხვევაში სრულიად არაა საეჭვოდებულ, ცნობიერების დაძაბულობა უთუოდ უსიამოვნების იერით იყოს აღბეჭდილი. სასიამოვნო, რა თქმა უნდა, არაა ასეთი მკვეთრი დაძაბვა ცნობიერებისა, მაგრამ ცდის პირთა განცდის დახასიათებლად ამ შემთხვევაში ერთგვარი უხერხულობისა და ზოგჯერ უმწეობის გრძნობის დასახელება უფრო შესაფერო იქნებოდა.

თი I ა. ვერ ვიტყვი, რომ მაინც და მაინც უსიამოვნებას ვგრძნობდი... უფრო ურთვე. უხერხულობას განვიციდი, როდესაც საგნის ცნობას ვერ ვახერხებ...

ცნობიერება დიდხანს ვერ უძლებს ამ უკიდურესი დაძაბულობისა და უმწეობის მდგომარეობას. ამიტომ, რა წამს საგანს ერთი რომელიმე მანამდე შეუზღწეველი ნიშანი აღმოაჩნდება, იგი მყის მის ირგვლივ იცენტრება, და ცპ. კმაყოფილება განიცდის: ახალი დასაყრდნობი მოეჩანება, რომელიც საგნის ცნობას გამიადვილებსო. გასაგებია, რომ მტკიცე საფუძველს მოკლებულ ცნობიერებას სიამოვნების ემოციონალური იერი გადაჰკრავს, რა წანს მის ასეთი საფუძვლის პოვნის იმედი აღეძვრის.

ჩიქ. 2 II ხ. ახალი ნაწილის აღმოჩენამ ძლიერ განახარა... მე ყურადღებით დაუწყე ნა. შიწყვა...

ასეთია ცპ. ცნობიერება, სანამ იგი მიწოდებული საგნის ცნობის აქტს განახორციელებდეს. მისი საერთო ტონუსი შეიძლება მოკლედ ასე დახასიათდეს:

სანამ ცნობიერება საგნის მნიშვნელობას სწვდებოდეს, იგი მოკლებულია თავისი შინაარსების (განცდების) მტკიცე ცენტრს და საიმედო დასაყრდნობს. თვით განცდები, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება, უმტკიცო, მერყევი-გამოუყვეთელი და ლაბილურია. მტკიცე დასაყრდნობთან ერთად მათ „მე“-სადმი მიმართებაც აკლიათ: იგინი უცხო, გამოურკვეველსა და ბურუსით მოცულ შინაარსს ჰქვნიან. ცნობიერება უკიდურესი დაძაბულობის, უხერხულობისა და უმწეობის დალით არის აღბეჭდილი. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად იგი ყოველი ახალი შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობს.

2. ცნობიერების გრძნობადი შინაარსი ცნობის წინასტადიუმში.

რა განცდებია, რომ ცპ. ცნობიერებაში პირველ რიგში იკვლევს გზას და მოწილებული საგნის ცნობის პროცესში საფუძვლის როლს ასრულებს?

საკმარისა ოდნავ გადავხედოთ ჩვენი კლასიკების ჩვენებათა ოქმებს, რათა ჩვენს წინაშე მათი პირველადი განცდების განსხვავებული წრეები შემოიხაზოს. ერთის მხრივ, ჩვენს წინაშე გალიზიანებით პირდაპირ განსახლებული შეგარძნებების ჯგუფი წამოიჭრება; მეორის მხრივ, საკმაოდ გარკვეულ წარმოდგენათა წრეც, რომელიც ზოგჯერ შეგარძნებებზე ნაკლებ დახმარებას როლი უწევს ჩვენს კლასიკებს. მაგრამ ყველაზე უწინარეს—ობიექტის მეტად თუ ნაკლებად გარკვეული ფორმის რომელიმე.

1. აიღებს თუ არა ხელში ცპ. საგანს, იმწამსვე მის შინჯვას იწყებს, მაგრამ პირველად მხოლოდ ზერეღედ, ზოგადად, ისე რომ ხანგრძლივად არც ერთს მის ნაწილს საგანგებო ყურადღებას არ აქცევს. საერთო შთაბეჭდილება ყოველთვის ისეთია, თითქოს მას მთლიანი საგნის რაც შეიძლება სიმულტანური აღქმა ჰქონდეს აზრად, ალბათ იმიტომ, რომ მას პირველ რიგში საგნის ზოგადი ფორმის აგებულება აინტერესებს. კლასიკის პირთა ქცევის დაკვირვების ამ შედეგს მათი ჩვენებაც ადასტურებს:

ჩოგ. I ა. მე თავიდანვე მქონდა მისწრაფება მთლიანი საგნის შეხებით გათვალისწინებისა... მალე თვალში მესა სიმრავლე საგნისა...

იმ შემთხვევებში, როდესაც გამოსაცნობად მიწოდებული ობიექტი არც ისე დიდია, რომ ერთგზობის შეხების საშუალებით მისი გაშინჯვა შეუძლებელი იყოს, კლასიკის პირი მისი აღნაგობის აპერცეფციას ადვილად ახერხებს. სამაგიეროდ, მდგომარეობა რთულდება, როდესაც ობიექტი იმდენად დიდია, რომ მისი მთლიანი სახის დასაქერად ნაწილების სუქცესიური შეხება ხდება საჭირო. კლასიკის პირი ეხლა თავისი ამოცანის გასაადვილებლად რაც შეიძლება სწრაფად ატარებს ხელს ობიექტის ზედაპირზე და მისი ფორმის სიმულტანური აღქმის კომპენსაციას სუქცესიური განცდების სისწრაფის ხარჯზე ახდენს. საბედნიეროდ მისთვის, ობიექტის ფორმის წარმოდგენა გაცილებით უფრო ადრე ჩნდება კლასიკის ცნობიერებაში, ვიდრე მთელი საგნის თანამიმდევრობით გასინჯვა მოესწრებოდა: იგი ერთბაშად, თითქოს მოუშადადებლად აჭრება ცნობიერებაში, ოღონდ კლასიკის პირს ხელში საგნის ერთი რომელიმე დამახასიათებელი ნაწილი უნდა მოხვდეს. საინტერესოა აქ ის არის, რომ ამ გზით წამოჭრილი წარმოდგენა ფორმის შესახებ ერთბაშად მთელი საგნის ფორმად განიცდება, მიუხედავად იმისა, რომ ამავე საგნის სხვა ნაწილების აღნაგობა შეიძლება ზოგჯერ სრულიად არ ამართლებდეს შემთხვევით წამოჭრილი ფორმის წარმოდგენის მთელ საგანზე განზოგადობას. ცხადია, ამ შემთხვევაში საკმე უნდა გვქონდეს ე. წ. აღნაგობის შევსების (Gestaltung) საინტერესო ფენომენთან, რომლის ფაქტობრიობა განსაკუთრებით გერმანელმა კონფიურაციონისტ-ფსიქოლოგებმა დაასაბუთეს.

ჩ. ი. ა. აიღე თუ არა ხელში (გამოსაცნობი ობიექტი), იმწამსვე ერთგვარი ფორმის წარმოდგენა გამოჩნდა, რომელიც მთელ საგანს ეყუთებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ერთი მისი ნაწილი მქონდა გაშინჯული...

ობიექტის შემდგომი გათვალისწინების პროცესში ხშირად ხდება, რომ ცპ. ამგვარი განზოგადობების ნიადაგზე მიღებულ ფორმის წარმოდგენას უკუ აცდებს და ეხლა რომელიმე ახალის, განსაკუთრებით დამახასიათებლად ცნობილი ნაწილის მიხედვით საგნის ახალს ფორმის წარმოდგენას იმუშავებს.

მაგრამ შეცთომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ფორმის წარმოდგენის ორსავე ამ შემთხვევას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდეს. პირიქით, განსხვავება უძველესად ღიძობდა. საქმე ისაა, რომ პირველ შემთხვევაში საგნის ფორმის წარმოდგენა უშუალოდ და დამოუკიდებლად ჩნდება ცნობიერებაში: იგი, ასე ვთქვათ, წინ უსწრებს თვით საგნის ცნობის აქტს. მეორე შემთხვევაში კი სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე: ცდის პირთა საერთო მოწმობის მიხედვით, ფორმის წარმოდგენა აქ მეორედი პროცესის სახით იჩენს თავს: ცდის პირი ჯერ ობიექტის ცნობის აქტს აწარმოებს და მხოლოდ ამის შემდეგ, ან ამასთან ერთად ცნობიერებაში გარკვეული საგნის ფორმას აძლევს გზას. ფორმის წარმოდგენა, მაშასადამე, აქ შუამავალ წარმოდგენათა მეშვეობით ხორციელდება, და ასეთი შუამავალის როლს, როგორც ვხედავთ, მიწოდებული საგნის რაობის ანუ მნიშვნელობის წარმოდგენა ასრულებს. ობიექტის რომელიმე დამახასიათებელი ნაწილის მიხედვით კვ. გულისხმობს, რომ მას რაიმე განსაზღვრული საგანი აქვს ხელთ, და ასე ხდება, რომ ობიექტის აღნაგობის წარმოდგენა წინ კი არ უსწრებს თვით ნაგულისხმევი საგნის წარმოდგენას, არამედ, პირიქით. იგი თან სდევს მას.

2. რაც შეეხება საკითხს შეგრძნებათა მასალის შესახებ, რომელიც ცდის პირის ცნობიერებაში იჩენს ამ პირველსავე მომენტში თავს, მასზე დიდხანს არ შევჩერდებით. ის, რაც მისაწვდომია ხელისათვის, სახელდობრ: შეხების, ტემპერატურისა და სიმძიმის შეგრძნებები, ყველაფერი ეს ცდის პირის განკარგულებაში იმყოფება: საქმარისია კვ. ხელში აიღოს გამოსაცნობი ობიექტი, რათა მის ცნობიერებაში საგნის სიმძიმისა და სითბო-სიცივის შეგრძნებებმა იჩინონ თავი. იგივე უნდა ითქვას შეხების სხვადასხვა ცნობილ რომელობათა შესახებაც. ცდის პირი იმავეთვე გრძნობს, სწორი ზედაპირი აქვს საგანს, თუ იგი, ვთქვათ, ხორკლიანია და სხ. ა. მ.

ყველა ამ რომელობათა შორის, რასაკვირველია, პირველ რიგში ისეთები გაჩნდებიან, რომელთაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვთ თვით ობიექტის მასალის თვისებურებასთან. თუ რომ მაგალ. ცდის პირს ხელში რომელსავე ლითონის ობიექტს მივსცემთ გამოსაცნობად, თავისთავად იგულისხმება, იგი პირველ რიგში მის თავისებურ სიმძიმეს, სიცივეს და აგრეთვე დამახასიათებელ სიწყლტუეს იგრძნობს. ეს იქნება მისი ცნობიერების პირველი გრძნობადი შინაარსი.

მაგრამ შემდეგ საფეხურზე შეგრძნებათა წრე საგრძნობლად ფართოვდება. ცდისპირი თავიდანვე იმის ცდაშია, ობიექტის გამოცნობის გასაადვილებლად რაც შეიძლება მეტი მასალა მოიპოვოს, და ამას იგი იმით ახერხებს, რომ მიწოდებული საგნის ყოველი მხრივ გაშინჯავს ცდილობს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში მას შეხების ორგანოს ყველა შესაძლებლობის გამოყენების სრული ტენდენცია ამოქმედდება. ეს ყველასათვის ცხადი შეიქნება, ვისაც კი ცდის პირის ჩვენ მიერ შექმნილ პირობებში დაკვირვების შემთხვევა მიეცემა. პირდაპირ გასაოკარია, რა დაყენებით სინჯავს იგი მიცემულ საგანს, როგორ ფრთხილად ატარებს ხელს მის ზედაპირზე, ალბათ მისი სისწორის შესამოწმებლად, როგორის უკრძალვით ითვალისწინებს მის სიმკვრივს, მის წონას... მაგრამ მისთვის

არც ესაა საკმარისი: არის შემთხვევები, რომ ესა თუ ის ცდისპირი ნებართვას თხოულობს ცდის ხელმძღვანელისაგან: ხომ არ შეიძლება საგნის სუნი და გემოც გაესინჯო. მას ამ მზრიავე სწავლია ობიექტის შემოწმება: ვინ იცის, შეიძლება ამ მზრიავე მაინც მომეცეს მისი გამოცნობის უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობაო.

3. გამლზიზიანებლით განსაზღვრული შინაარსული განცდები — შეგრძნებები — სრულიად არ ამოსწურავენ ცდის პირის ცნობიერების გრძნობად შინარსს. მის წიაღში ხშირად მისი რეპროდუქტული სახეები — წარმოდგენებიც იჩენენ ხოლმე თავს. ზოგი ჩვენი ცდის პირთაგანი თვითონ, სრულიად სპონტანურად აღნიშნავს, რომ მისი აზრით საგანს ესა და ეს გარკვეული ფერი უნდა ჰქონდეს.

ასეთი წარმოდგენები (ფერის წარმოდგენები) ჩვეულებრივ ორი გზით იკრებიან ცნობიერებაში:

ა) იგინი უშუალოდ ჩნდებიან, იმწამსვე, როგორც კი ცდის პირი ობიექტს შეეხება:

ჩოგ. 5. არ ვიცი რატომ, მაგრამ საგანი შავად მჩევენება...

ჩიქ. 1. ა. მ საგანს ზარისებური ფორმა აქვს და ოდნავ ბნელი ფერისაა...

მიუხედავად იმისა, რომ ფერი ამ შემთხვევაში შეხების შეგრძნებასა და ფორმის აღქმასთან ერთად ჩნდება, შეცთობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს აქ სინესთეზიის მოვლენასთან გვქონდეს საქმე: ცდის პირს საგნის შეხებითი რომელობა ან და ფორმა კი არ ეჩვენება მის მიერ აღნიშნული ფერის მატარებლად, არამედ ასეთად იგი თვითონ საგანს სთვლის.

ბ) ფერის წარმოდგენა უშუალოდ კი არ იბადება, არამედ ჯერ საგნის რომელიმე განსაზღვრული თვისება აღიქმებას და შემდეგ ფერის წარმოდგენა ამ თვისების არსებობის ფაქტიდან დაისკვნება. არ უნდა ვიფიქროთ ოღონდ, რომ ცდის პირს ამ შემთხვევაში ფერი მხოლოდ არათვალსაჩინო ცოდნის სახით ჰქონდეს ნაგულისხმევი. არა, საინტერესო სწორედ ისაა, რომ მას თვალსაჩინო ფერის წარმოდგენა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოდგენა თითქოს განსაზღვრული წინამძღვარიდანაა დასკენილი:

თა.რ. III. საგანს ფერიც აქვს: იგი მორუხო ნათელი ფერისაა, კინაიდან ხელი ადვილად დასრიალებს მის ზედაპირზე...

როგორც ვხედავთ, ფერის წარმოდგენათა წარმოშობის გზა ორსავე შემთხვევაში სრულიად განსხვავებულია. ამის მიუხედავად, ხშირია შემთხვევები, რომ ერთი და იგივე ცდისპირი ზოგჯერ ერთ გზას მისდევს და ზოგჯერ — მეორეს. მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, თითქოს აქ ინდივიდუალობის პირობებით განსაზღვრულ მოვლენასთან გვქონდეს საქმე.

აღსანიშნავია, რომ ფერის წარმოდგენები ყველა ცდისპირის ცნობიერებაში როლი იჩენს თანაბარი სიხშირით თავს. ზოგ შემთხვევაში იგი სრულიად არ ჩანდა, ზოგში საგანგებო შეკითხვა შეიქმნა საჭირო, რათა სუბიექტს მისი არსებობისათვის მიეთითებია, ხოლო ზოგიერთ ცდის პირს იმდენად ჩამოყალიბებული ფერის წარმოდგენები აღმოაჩნდა, რომ იგი თვითონ, თავისთავად, სრულიად სპონტანურად იძლეოდა ანგარიშს მათ შესახებ. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელი კატეგორიის ცდის პირებს ხშირად ძლიერი სურვილი ჰქონდათ — წინააღმდეგინსტრუქციისა — თვალხილული გაესინჯათ მიწოდებული საგანი. ზოგი მათგანი

ველარც კი ითმენდა ბოლომდე და მიუხედავად ცდის ხელმძღვანელის გაფრთხილებისა, თვალებს ალებდა, რათა მიწოდებული საგანი მხედველობითაც გაეცადა.

უნდა აღინიშნოს გაკვრით, რომ უკანასკნელი კატეგორიის ცდის პირებს დანარჩენებთან შედარებით არავითარი უპირატესობა არ აღმოაჩნდათ: არ შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენათა სიჭარბე მათ რაიმე საგრძნობ დახმარებას უწყველა ამოცანის გადაჭრისას.

3. ცნობიერების შინაარსი ცნობის აქტამდე და მას შემდეგ.

ისმის საკითხი: რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულს ცნობიერების გრძნობად შინაარსი ცნობის აქტისათვის? ეჭვი არაა, თვითონ ცდის პირები მას გარდამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად სთვლიან. საკმარისია, ოდნავ დააკვირდეთ, თუ როგორის დაყენებით შინჯავენ იგინი მიწოდებულ საგანს, რა სიფხიზლით ეძებენ ყოველ წვრილმანს, რის აღქმაც ოდნავ მაინც შესაძლოდ მიაჩნიათ, რათა დარწმუნდეთ, რომ მთელი მათი გულისყური ცნობიერების გრძნობადი შინაარსის მარაგის გაფართოებისკენაა მიპყრობილი. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც უდავოა: იგინი ყოველ ღონეს ხმარობენ, მიწოდებულა საგანმა რაც შეიძლება მრავალ მხრივ იმოქმედოს მათზე.

ჩ. ო. გ. [ხ. ...ცდის პირი ჯერ ზოგადად გადააქვს ხელს მიწოდებულ ობიექტს და გზა-და-გზა ფრთხილად შეჩერდება ზოგიერთი ადგილის შინჯავაზე... ხშირად ხდება, რომ შემდეგში მრავალჯგის უბრუნდება ერთსა და იმავე ნაწილს... განსაკუთრებით ხშირად კიდევებს უბრუნდება, შემდეგ ტარს... უკაქუნებს საჩვენებელი თითით, შინჯავს ზედაპირის სისწოლეს, კვლავ ტარს უბრუნდება (სულ ექსჯერ)..."

ესეა რომ შეეკითხოთ ასეთ შემთხვევებში თვით ცდისპირს, თუ რატომ იქცევა ასე, რად უბრუნდება ცალკე ნაწილების განმეორებით გაშინჯვას ასე ხშირად და ასე დაყინებით, მისი პასუხიდან დაინახავთ, რომ მას რაც შეიძლება მეტი ცნობები სწავლია მიიღოს როგორც ობიექტის ფორმის, ისე მისი ცალკე გრძნობადი თვისებების შესახებ. და ეს მიტომ რომ იგი სწორედ აქედან მოელის დახმარებას, მიწოდებული საგნის მნიშვნელობას შეუცთომლად სწვდეს. ის ფიქრობს: რაც უფრო მეტი განცდები მექნება ობიექტისაგან, მისი ცნობის მით უფრო მრავალმხრივი შესაძლებლობა გაჩნდება! რამდენად საფუძვლიანი ცდის პირთა ასეთი რწმენა?

ჩვენეი ცდების ერთ-ერთს განსაკუთრებით მნიშვნელოვან შედეგს ისიც შეაღვენს, რომ იგი საბოლოო ნათელს ჰყენს ჩვენი საგნობრივი განცდების ბუნებას იმ მომენტში, როდესაც საგნის ცნობის აქტი ჯერ კიდევ არაა განხორციელებული.

გამოირკვა, რომ ცნობიერების გრძნობადი შინაარსის მონაცემთ ორი ფაზისის განვლა მაინც უხდებათ, სანამ იგინი გარკვეულ საგნობრივ განცდებად განმტკიცდებოდენ.

1. აიღებს თუ არა ცდის პირი მიწოდებულ ობიექტს, იგი განსაზღვრულ გრძნობად შინაარსს განიცდის: სიმძიმეს, სიცივეს, სიმავრეს. როგორც ვიცით,

მისი ცნობიერების პირველად შინაარსს სწორედ ეს განცდები ჰქმნიან; მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ ამ დასაწყის მომენტში იგინი სრულიად თავისებურ ფენომენებს წარმოადგენენ.

ვინაიდან ცნობიერების ყოველდღიური მუშაობის შემთხვევებში საგანთა ცნობის აქტი ექვანიზაციურ პროცესს შეადგენს, ანალოგიური განცდების დაკვირვებისა და მათი ბუნების გათვალისწინების შესაძლებლობას სრულიად მოკლებულნი ვართ. ჩვენ ყოველთვის ცნობის აქტის შემდგომი განცდების დაკვირვებას ვართ ნაჩვევნი, და ამიტომაც, რომ გრძნობადი განცდების ბუნებას საზოგადოდ ამ დაკვირვების შედეგების მიხედვით ვაფასებთ. ჩვენ არ ვიცით, რომ სანამ განცდა თავისი განვითარების უკანასკნელ ყალიბში გატარდებოდეს, მას ჯერ კიდევ წინა საფეხურები აქვს გასაუღელი.— ჩვენი ცდების ინტენცია ამიტომ ცნობის აქტის განცდებისაა, იყო მიმართული. ცხადია, მისი წინა სტადია ამ პირობებში უფრო უარყოფითად უნდა გაშლილიყო, ვიდრე ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება. და ამგვარად სათანადო განცდების დაკვირვების შესაძლებლობა მოეცა. როგორი აღმოჩნდა ამ განცდათა ბუნება?

რა თქმა უნდა, გრძნობადი შინაარსის განცდები ამ სტადიაშიც საგნობრივ ბუნების განცდებს წარჩინადგენენ: იგინი ობიექტისაა, არიან მიმართულნი. მაგრამ რა ობიექტისაა, ეს ჯერ კიდევ არა ჩანს: სანამ კდის პირს განსაზღვრული საგანი არ უგულისხმებია, სანამ მას ცნობის აქტი ჯერ კიდევ ვერ განუხორციელებია. შეუძლებელია ამ შინაარსულ ფენომენტ გარკვეული ობიექტური მიმართულება ჰქონდეს. ამდენად იგინი ჯერ კიდევ საგრძნობლად სუბიექტური მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენენ: იგინი ობიექტურისაა, არიან მიმართულნი ან— უკეთ — ობიექტისაა, მიმავალ გზაზე წვდომილ სუბიექტურ განცდებს წარმოადგენენ. ცნობიერება — ამ პირობებში — სრულიად მოკლებულია მტკიცე ნიადაგს, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მას, აღნიშნული შეგრძნებების შინაარსი გარკვეული საგნის ჩამოყალიბებულ გრძნობად თვისებათა სახით განეცადა. ან კი როგორ უნდა განცდილიყვნენ ეს შეგრძნებები საგნის თვისებებზე, როდესაც თვითონ საგანი ჯერ კიდევ არსად ჩანს. ვასაგებია ამიტომ, რომ ჩვენი კდის პირები აღნიშნულ შეგრძნებთ მერყევის, არსება-მოკლებული ფენომენტების სახით განიცდიან: მათ მტკიცე რაობა აკლიათ, მათ არ აქვთ ჩვეულებრივი, დასრულებული განცდების სოლიდობა. ცნობიერების რყევა და „ცენტრს-მოკლებულობა“, კდის პირები რომ ადასტურებენ, სწორედ აქედან გამომდინარეობს: იგინი ისე უმწეოდ გრძნობენ თავს, ისე უნიადაგოდ და „უხერხულად“, რომ ზოგჯერ აღნიშნავენ: „თითქოს ალარც კი მაქვს ცნობიერება“, ან „ჩემი საკუთარი ცნობიერება სხვისად მერყენება“.

ასეთია ცნობიერების შინაარსის განვითარების საფეხური, რომელზეც განცდები ჯერ კიდევ ვერ დასრულებულან: იგინი ჯერ კიდევ საგრძნობლად სუბიექტური მდგომარეობის შეადგენენ, და იმისთვის რომ დასრულდნენ, კონკრეტი განცდების მტკიცე და გარკვეული სახე რომ მიიღონ, სუბიექტურობის ფარგლები უნდა გაარღვიონ და თავისი ინდივიდუალური რაობა გარკვეული ობიექტის ნიადაგზე მისი ნიშნების სახით მოიპოვონ. მე ეფიქრობ, სწორედ ასეთი ლაბილობა, გაურკვეველობა და უსახეობაა, რაც განსაკუთრებით ე. წ. შეგრძნებას ახა-

სიათებს საზოგადოდ, წინა საფეხურს ნამდვილი აღქმისას, რომელშიც პირველად პოულობს იგი თავის გარკვეულს სახესა და კონკრეტ ინდივიდუალობას¹.

2. როდესაც ცდისპირი მიწოდებული საგნის ცნობას ახერხებს — თუნდ უმაოთებულოდაც, ამას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს — მისი ცნობიერების შეგროვებითი შინაარსი თვალსაჩინოდ იცვლება: იგი კონკრეტულ სახეს ლებულობს და გარკვეულს დამთავრებულ განცდებდა იქცევა. მხოლოდ ეხლა ენიჭებათ მათ მტკიცე რაობა და ჩვეულებრივი განცდების სოლიდობა. ეს მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში იჩენს თავს, რომ იგინი ეხლა მიწოდებული ობიექტის ქვეშ ნაულისხმევი საგნის კონკრეტი ნიშნების სახით განიცდებიან (ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ერთხელ კიდევ ქვემოთ შევხებით).

ამის მიხედვით, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ცნობიერების გრძნობადი შინაარსი გამლიზიანებლის მიერ როდია ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული, არამედ განსაკუთრებით იმ მნიშვნელობის მიერ, რომელსაც ცდისპირი მიწოდებულ ობიექტში გულისხმობს. თუ როდენ მართებულია ეს მოსაზრება, ეს თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ — ჩვენი ცდის პირების მონაცემთა მიხედვით — ერთი და იგივე შეგროვების შინაარსი ხან ერთი სახით გვევლინება და ხან მეორე სახით. და საგულისხმოდ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ისაა, რომ იმის კვალობაზე, თუ რა საგანს გულისხმობს სუბიექტი მიწოდებული ობიექტის ქვეშ, ერთი და იგივე შეგროვება განსხვავებულის და ზოგჯერ საწინააღმდეგო რომელობის სახითაც განიცდება. ერთ-ერთი ცდის პირი, მაგალითად, ლითონის სიმტკიცეს კაუჩუკის სირბილედ განიცდის, და ეს მანამ, სანამ დარწმუნებულია, რომ მიწოდებული ობიექტი კაუჩუკის შტრამპელს უნდა წარმოადგენდეს.

ამგვარად, ჩვეულებრივი შეხედულება, თითქოს შეგროვებათა შინაარსი მტკიცედ იყოს გამლიზიანებლის ნიადაგზე განსაზღვრული, არ მართლდება. მაგრამ ამით არც იმის თქმა გვინდა, თითქოს გამლიზიანებელი შეგროვების შინაარსის ჩამოყალიბების პროცესში ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული იყოს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შეგროვებათა შინაარსი — მართალია ჯერ კიდევ ურკვევის, ლაბილური სახით — მაგრამ მაინც მხოლოდ მიწოდებული ობიექტის ცდის პირზე ზედმოქმედების ნიადაგზე ჩნდება, და მისი იმ სახით ცნობიერებაში არსებობა, რა სახითაც იგი საგნის ცნობამდე განიცდება, მხოლოდ გამლიზიანებლის თვისებათა ზეგავლენით შეიძლება იყოს გამოწვეული: საგნის მნიშვნელობის ცნობიერება ხომ ჯერ კიდევ არაა განხორციელებული! მაშ რით უნდა იყოს იგი განსაზღვრული, თუ არ გამლიზიანებლის ზეგავლენით! — მაგრამ მისთვის რომ შეგროვების შინაარსი კონკრეტ დასრულებულ განცდად გარდაიქცეს, ამისთვის საგნის მნიშვნელობის ცნობიერება აუცილებელი. ეს უკანასკნელი, მაშასადამე, პირველ როდი ჰქმნის შეგროვების შინაარსს, არამედ ასრულებს, აყალიბებს და განამტკიცებს იმას, რაც უკვე მანამდეა ლაბილური და ურკვევი სახით მოცემული.

1) შეგროვების ცნების ასეთი გაგება პირველად ჩემს „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძველები“ შინა ნაადი. ტ. I. გვ. 273 — 281. 1925.

მაგრამ თუ მართლა ასეთია ბუნება იმ გრძნობადი შინაარსისა, რომელიც ცნობის აქტის განხორციელებამდე სუბიექტის ცნობიერებაში მოიპოვება, მაშინ ცხადია, რომ მისი დახმარებით და მის ნიადაგზე მიწოდებული ობიექტის მნიშვნელობის განსაზღვრა სრულიად მოუხერხებელი საქმე უნდა იყოს: როგორ შეიძლება განმსაზღვრელის როლი შეასრულოს მან, რაც თვითონ არაა საკმარისად განსაზღვრული. არ უნდა თქმა: შეგარძნებთა შინაარსი კი არ განსაზღვრავს მიწოდებული ობიექტის მნიშვნელობას, არამედ პირიქით: მიწოდებული ობიექტის მნიშვნელობა აძლევს განსაზღვრულსა და გარკვეულ შინაარსს თვით შეგარძნებებს.

ამგვარად, ჩვენთვის გასაგები ხდება, რომ სუბიექტის ცნობიერების შინაარსი სრულიად უძლეურია რაიმე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ობიექტის ცნობის პროცესში. სამაგიეროდ, მას შემდეგ რაც ობიექტის მნიშვნელობა მონახულია და მის ნიადაგზე გრძნობადმა განცდებმა თვისი გარკვეული და დამთავრებული სახე მიიღეს, როლი იცვლება, და ეხლა სწორედ იგივე განცდებია — ოღონდ საბოლოოდ კონსოლიდაცია-ქმნილი — რომ ობიექტის მნიშვნელობას, რომელიც აქამდე მხოლოდ ერთგვარის არა თვალსაჩინო და საეჭვო ცოდნის სახით იყო წარმოდგენილი, გარკვეულს, კონკრეტს, ხელსახებ იერს აძლევს და მისი თვალსაჩინო ფორმებში კონსოლიდაციის საქმეს ასრულებს.

იჩვენება: ცდის პირი რომ მიწოდებული ობიექტის რაობას ცნობს, იგი თავის აზრს საკმაოდ საეჭვო და სჭემატური მოსაზრების სახით განიცდის. გასაგებია, რომ იგი ასეთი მდგომარეობით არ კმაყოფილდება, და მას ბუნებრივად მისწრაფება ელვძება, თავისი მოსაზრების მართებულობა რამდენადაც შესაძლოა ბრავალმხრივ შეაჯამოს. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მის განკარგულებაში იმყოფება, ეს მიწოდებული ობიექტის ხელახალი განხილვაა. და იგი კვლავ იწყებს მის შინაგანს, ოღონდ ეხლა უკვე — მიღებული მოსაზრების თვალსაზრისით: „თუ ეს მართლა ისაა, რასაც მე ვფიქრობ, მაშინ მას ესა და ეს თვისებები უნდა ჰქონდეს“-ო, ფიქრობს იგი. წინასწარი მოსაზრების სახით მიღებული მნიშვნელობა საგნისა მისი ცნობიერების გრძნობად შინაარსს გარკვეულობას აძლევს და მას კონკრეტი ნიშნების სახით განაცდევინებს. თუ ხელახალმა შემოწმებამ გრძნობადი შინაარსის კონკრეტი სახე გაამართლა. მაშინ ცდისპირის ცნობიერებაში წინასწარი აზრი ობიექტის რაობის შესახებ კონკრეტსა და მტკიცე სახეს ღებულობს, და ეს სრულიად საკმარისია, რომ იგი საბოლოოდ შეჩერდეს მასზე.

ცდის პირების ქცევიდან ისე, როგორც მათი ჩვენებებიდანაც ცხადად ჩანს, რომ მათ მიწოდებულ საგანთა ცნობის აქტის საბოლოო განხორციელებისათვის ეს საფეხური აუცილებელ მომენტად მიაჩნიათ. მაგრამ ამავე დროს მათ კარვად ესმით, რომ ამ შემთხვევაში არსებითად იგინი უკვე მიღებული მნიშვნელობის კონტროლს აწარმოებენ და არა პირველ აგებენ მას — ამ მნიშვნელობას. კონტროლის ჩვეულებრივი შედეგი ყოველთვის ასეთია: იგი ან ასაბუთებს ნაკულისხმევი მნიშვნელობის მართებულობას და ან უარყოფს მას. თუ ადგილი აქვს უკანასკნელს, მაშინ კვლავ ძველი გზით ახალი მნიშვნელობის ძიება ხდება საჭირო. ერთი სიტყვით, არასოდეს კონტროლის პროცესი უშუალოდ ახალი მნიშვნელობის აზრს არ იძლევა; იგი მხოლოდ ასაბუთებს, ან უარყოფს სხვა გზით მოპოებულს ობიექტის მნიშვნელობის განცდას.

ამგვარად, ცხადია, რომ გრძნობადი შინაარსი, არავეითარ შემთხვევაში ობიექტის მნიშვნელობის კონსტიტუტურ ფაქტორად არ ჩაითვლება. ამიტომაც, რომ ობიექტის ცნობისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, კარბადა იგი ცდის პირის ცნობიერებაში წარმოდგენილი, თუ არა; რა ვინდ დიდი უნდა იყოს სუბიექტის ცნობიერების შეგრძნებითი მარაგი, საგნის ცნობის აქტის ეს მინიმალური უზრუნველყოფს. — თუ რაოდენ მცირეა ცნობის აქტის გრძნობადი შინაარსზე დამოკიდებულება, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იმ ფაქტიდან ჩანს, რომ იგი ყველაზე უფრო მწირად ობიექტის სწორედ უქვევლისა და დარწმუნებითი ცნობის შემთხვევებში აღმოჩნდა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც გრძნობადი შინაარსის სიჭარბის შემთხვევებში ობიექტის ცნობა ან სრულიად ვერ მოხერხდა ან და — თუ მოხერხდა — მხოლოდ იქნეული მოსაზრების სახით.

3. გაცილებით უფრო დიდია ის როლი, რომელსაც ცნობის აქტისათვის ობიექტის ფორმის განცდა ასრულებს. ცდის პირები უწინარეს ყოვლისა ფორმის თავისებურების გათვალისწინებას ცდილობენ, და ამ მხრივ არც ერთი მათგანი გამონაკლისს არ შეადგენს. ცხადად ჩანს, რომ ობიექტის ფორმა პირველი დასაყრდნობია, საიდანაც მათ საგნის მნიშვნელობისაკენ ხილის გადება სწავლიათ. ამას უდავოდ ადასტურებს როგორც ცდისპირთა თვითდაკვირვების ანგარიშები, ისე მათი ქცევაც მიწოდებული ობიექტის დათვალეობის დროს.

ჩოგ. I. ჯერ შეხების შეგრძნება განჩდა და ამავე დროს ტენდენციაც მთელი საგნის შეხებისა. ეს მისთვის მიწოდდა, რომ ობიექტის ფორმა უნდა განმესაზღვრა: ზარისებური ფორმა ვიგოქნი, და ამან ცნობიერებაში ზარის წარმოდგენა გამოიწვია. ვიფიქრე, ზარი უნდა იყოს მეთოქ...

იმავე ობიექტის განმეორებითი მიწოდების შემდეგ ცდისპირი კვლავ მისი ფორმის დადასტურებას ცდილობს — ოღონდ ეხლა ცოტა მეტის ზედმიწევნილობით — და შემდეგ აცხადებს: ისევ ზარის შესახები აზრი გამიჩნდა, მაგრამ მალე იძულებული შევიქენი, იგი უკუმეგდო.

ფორმის მნიშვნელობის შესაძლო შემთხვევად ცდის პირებს ისეთი საგნებიც მიეწოდეთ, რომელთაც განზრახ ჰქონდათ თავისი ჩვეულებრივი აღნაგობა შეცვლილი. ასეთ შემთხვევებში ივინი ჩვეულებრივ უხერხულობის გრძნობას განიცდიდენ და უმეტეს ნაწილად საგნის მნიშვნელობის გაგებას სრულიად ვერ ახერხებდენ.

ბაქ. V. ა. ვერაფერი ვერ ვიგულისხმე, ვერც თვალსაჩინოდ. ვერც რაიმე ცოდნის სახით.

განმეორებით ამავე ობიექტის მიწოდების შემდეგ ცდისპირის მთელი ყურადღება კვლავ მისი აღნაგობის ირგვლივ იკრებება; ამავე დროს იგი იმასაც ცდილობს, რომ ობიექტის თვალსაჩინო ნიშნებიც გაითვალისწინოს... საკუთარი განცდების შესახებ იგი მოგვითხრობს:

ბაქ. V. h. არა, ვერ ვაგვიგ, რა... ძალიან ნაწყენი და გაკვირვებული ვარ, რომ საგნის ცნობა ვერ შეველ...

ამგვარად ირკვევა, რომ ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ობიექტის აღნაგობის გამორკვევა არ ხერხდება, ცნობის აქტი ან ძლიერ საგრძნობლად ფერხდება, ან და სრულიად არ ხორციელდება.

ასეთ შემთხვევებში ცდისპირი იარაღს მინიმალურ არ ჰყრის და ცდილობს, მიწოდებული ობიექტის რაობის შესახებ თავისი ცნობიერების გრძნობადი შინაარ-

სის მიხედვით მაინც შეიმუშაოს აზრი. და აი აქ კვლავ ძველი ამბავი იწყება: იგი მაქსიმალური ურადლებით ითვალისწინებს ობიექტის შესაძლო ნიშნებს და ამ გზით გრძნობადი შინაარსის რაც შეიძლება მეტი მარაგის დაგროვებას ცდილობს. პირდაპირ ვასაოცარია, რა მოთმინებას იჩენს იგი ზოგიერთს ასეთ შემთხვევაში და ამასთანავე რა დიდ წარმატებას აღწევს. ამის მიუხედავად ობიექტის ცნობას მაინც ვერ ახერხებს,

ჩიქ. II ს. ობიექტის დაკვირვების და მრავალგზისი გასინჯვის შემდეგ: მაინც არაფრის თქმა არ შემძლია. რა უნდა იყოს? იგი ლითონისაა, ფერიც აქვს შესაფერისი: ლითონის ბრჭყვიალა ფერი. ზედაპირზე რამოდენიმე ჩანაქლევი აქვს. მაქვს საკმაოდ თვალსაჩინო წარმოდგენა ბევრი მისი ნაწილის შესახებ. დახატეასაც კი შევსწავლბო... მაგრამ არ შემძლია მაინც ვთქვა, თუ რა უნდა იყოს იგი.

აქ ბუნებრივად წამოიჭრება საკითხი: როგორ შეუძლია ცდისპირს ობიექტის გრძნობადი ნიშნების თვალსაჩინო და მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს, სანამ მისი მნიშვნელობის შესახებ არავითარი აზრი არ შეუღმუშავებია? აკი აღენიშნავდით, რომ გრძნობად შინაარსს მხოლოდ ნაგულისხმევი მნიშვნელობა აძლევს გარკვეულსა და კონკრეტს ინდივიდუალურ რაობას!

არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ მთლიანად საგნისა და კერძოდ მისი ნაწილების ცნობას შორის უქვეველი განსხვავება უნდა ვიგულისხმოთ. შეიძლება საგნის ნაწილობრივი ცნობა მოხერხდეს კიდევ, მაგრამ ვანა ეს იმას ნიშნავს, რომ ამით თვით მთლიანი ობიექტიც გამოცნობილია? სრულიად არა. ჩვეულებრივ ასე ხდება: ცდისპირი საგნის ნაწილების ცნობას პირველ რიგში ახერხებს. ხოლო მთლიანის ცნობის აქტზე შემდეგ ვადაღის. ორივე ეს აქტი ცალკე აქტებია, და ადეკვალდ შეიძლება, ერთი მათგანი ისე განხორციელდეს, რომ მეორეს არც მოაკლდეს ამით რაიმე და არც ენოემატოს. ცდისპირი რომ მიწოდებულ ობიექტს ხელს ჰკიდებს, ძლიერ ხშირად იმ წამსვე ცნობილობს მის მასალას: ეს ხისაა, ეს ლითონისა, ეს მინისაა-ო, აპბობს იგი. და საგულისხმოდ ისაა, რომ თვით ეს ნაწილობრივი ცნობაც გრძნობადი თვისებების მკაფიო განცდის გარეშე ხდება: იგი როდი დაასკენის საგნის მასალის შესახებ, არამედ უშუალოდ წვდება მას.

ანალოგიურ მოვლენას D. Katz-მაც მიაქცია ურადლებმა. მისი ცდებიდან ცხადად გამოირკვა, რომ შეხებით ი მასალის უშუალო ცნობის ფაქტურობაში ეკვის შეტანა სრულიად მოუხერხებელია: „Es ist sofort ein Urteil über die Tastfläche möglich, ohne dass man sich irgendwelcher isolierter empfindungsmässiger oder vorstellungsartiger Zwischenglieder bewusst geworden wäre. So wie man in der Regel auf den ersten Blick einem Material ansieht, ob es sich um Holz, Papier, Glas usw. handelt, so glaubt man auch unmittelbar das Holz, Papier, Glas usw. zu ertasten“¹. —ამგვარად, ნაწილობრივი ცნობის უშუალობა უდავოდ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ განხორციელდება თუ არა მიწოდებული ობიექტის ნაწილობრივი ცნობის აქტი, იმ წამსვე შესაფერი შეგრძნებების შინაარსი დასრულებულ

¹) D. Katz, Der Aufbau der Tastwelt. S. 131. 1925.

გრძნობად განცდებად იქცევა და გაურკვეველი და ლაბილური შეგრძნება მაგალ. სიპტიკისა ლითონის სიმპტიკის დამთავრებულსა და კონკრეტულ განცდად ყალიბდება.

მე ვფიქრობ, ეხლა გასაგები უნდა იყოს, თუ როგორ ხდება, რომ ცდის პირი უკვე მანამ ახერხებს მიწოდებული ობიექტის ზოგიერთი გრძნობადი ნიშნის გათვალისწინებას, სანამ იგი საგნის მნიშვნელობის შესახებ რაიმე აზრის შედგენას მოახერხებდეს. უეჭველია, რომ აქ მას იმ გრძნობად ნიშნებთან უნდა ჰქონდეს საქმე, რომელნიც ობიექტის ნაწილობრივი ამოცნობის ნიადაგზე დამთავრებულსა და საქმაოდ ჩამოყალიბებულ განცდებად იქცევიან.

ასეთია ის გზა, რომელსაც ცდის პირი, ჩვეულებრივ, მიწოდებული ობიექტის ფორმის გაურკვევლობის შემთხვევებში მიმართავს. ჩვენ ვხედავთ, რომ ნამდვილ გამოსავალს ვერც ეს გზა იძლევა.

სამაგიეროდ, გაცილებით უკეთ გრძნობს თავს სუბიექტი, როდესაც იგი ობიექტის ფორმის გათვალისწინებას ახერხებს. მაგრამ შეცთომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს ფორმის აღქმა საბოლოოდ უკაფადდეს მას გზას საგნის მნიშვნელობისაკენ. აღმოჩნდა, რომ საქმე არც ასე მარტივად უნდა წარმოვიდგინოთ.

ჩვენი მასალის ყურადღებითი შესწავლა ნათლად ამტკიცებს, რომ ფორმის განცდაც—შეგრძნებითი შინაარსის არ იყოს—აუცილებლად ორ საფეხურს განვილის, სანამ იგი გარკვეული აღნაგობის დასრულებულ განცდად ჩამოყალიბდებოდეს.

როგორც ვიცით, ცდის პირი პირველსავე რიგში მიწოდებული ობიექტის ფორმის გათვალისწინებას ცდილობს.

უთქვამთ, რომ იგი მიზანს აღწევს. საკითხავია: როგორ განიცდის იგი საგნის ფორმას, სანამ ცნობის აქტის განხორციელებას მოასწრებდეს?

ჩვენი ცდების სათანადო მასალა ადასტურებს, რომ პირველადი ფორმის წარმოდგენა, რომელიც ობიექტის შეხებისთანავე იხადება, ვერავითარ შემთხვევაში მისი დამთავრებულის, ყოველმხრივ გარკვეული აღნაგობის წარმოდგენად ვერ ჩაითვლება. პირიქით. ირკვევა, რომ ეს პირველადი ფორმა სრულიად სქემატურის, ლაბილურ განცდას წარმოადგენს: „რალაც ზარისებური, მაკრატლის მსგავსი, ქულისებური“-ო, ამბობენ ცდისპირები, როდესაც პირველადი ფორმის განცდის დახასიათებას იძლევიან. მათ წინაშე უფრო სქემის სახე ტრიანობს, ვიდრე ცხოველი ფორმის წარმოდგენა. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ასეთი ურკვევის, ლაბილურის, სქემატური ფორმის განცდის ფაქტი *Simoneit*-მაც დაადასტურა¹.

ასეთი სქემატური ფორმის წარმოდგენა მარტო მაშინ კი არ ჩნდება ცდის პირის ცნობიერებაში, როდესაც იგი შეხების რეცეპტორით ზოგადად შინჯავს აპოსანობ ობიექტს. არამედ მაშინაც, როდესაც იგი ობიექტის ცალკე ნაწილების გათვალისწინებას ცდილობს. უკანასკნელ შემთხვევაში ობიექტის ერთ-ერთი

¹) *Simoneit M. Beiträge zur Psychologie des Denkens. Arch. f. d. Psychologie LV, S. 176. 1926.*

ნაწილი რაიმე ფორმის წარმოდგენას იწვევს, რომელიც ცდის პირს მთელ საგანზე გადააქვს¹. ამის მიუხედავად და ამავე დროს მან იცის, რომ მთლიან საგანზე ბოლოს-და-ბოლოს მაინც სხვა ფორმა აქვს. ამიტომაც, რომ იგი ამბობს: „ზარის ან ქულისებური ფორმისა არის“-ო, „ზარისებურის“ ან „ქულისებურის“ და არა ნამდვილი ზარის ან ქულის ფორმის — ალბათ მიტომ, რომ ცდისპირი ობიექტის სხვა ნაწილებსაც ჰგულისხმობს, რომელთა აღნაგობაც საესებით ამ ფორმას არ უნდა შეეფერებოდეს.

პირველადი ფორმის წარმოდგენა ამგვარად არაა ნამდვილი გარკვეული ფორმის განცდა: მას ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი სახე, რომ მასში ობიექტის ყველა ნაწილები მწყობრ მთლიანობად შეირწყმოდენ. პირველადი ფორმის წარმოდგენას, მაშასადამე, ნამდვილი აღნაგობის განცდის უძირითადესი ნიშანი. მთლიანობა აკლია. მისი სქემატური ბუნება განსაკუთრებით ნათლად სწორედ ამ გარემოებიდან გამოდინარეობს.

ეს მთლიანობა პირველად მაშინ ჩნდება, როდესაც სხვადასხვა ნაწილის ფორმის შეუთანხმებლობა ურთიერთს ურიგდება და ობიექტის ნამდვილი აღნაგობის სახით ჰარმონიულ ერთეულს ჰქმნის. ესაა მიწოდებული ობიექტი ქულის ან ზარის მაგვარ რაღაც რაღილა ეჩვენება (ცდისპირს, არამედ სრულიად გარკვეულს, კონკრეტ-ინდივიდუალურ საგანად.

ცდისპირი ვერ ისვენებს, სანამ ასეთ მდგომარეობას არ მიაღწევს. ვიდრე ის ხედავს, რომ კიდევ არის ობიექტში რაღაც, რაც ამ ჰარმონიულ მთლიანობას არ ეგუება, გრძნობს, რომ ამოცანის გადაჭრა ვერ შესძლო, და კვლავ ძიებას განაგრძობს. ე. წ. კონტროლის სტადიუმი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, არსებითად სწორედ ამ ჰარმონიული მთლიანობის შესამოწმებლად წარმოებს: როგორც კი სადმე ისეთი რამ აღმოჩნდება, რაც მას ეწინააღმდეგება, ეს იმუშავს ნაგულისხმევი მნიშვნელობის საწინააღმდეგო ჩვენებად ითვლება, და ცდის პირი კვლავ ახალი მნიშვნელობის მოძახისათვის იწყებს ზრუნვას.

თუ რამდენად ლაბილური და გაურკვეველი და სქემატურია როგორც პირველადი ფორმის განცდა, ისე ცნობიერების გრძნობადი შინაარსისაც, ამის ნათელსაყოფად დამატებითი ცდები იქნა ზოგიერთ ცდისპირზე ნაწარმოები. ცდის ხელმძღვანელი ხშირად ცნობის აქტის განხორციელებამდე ართმევდა თავის ცდისპირებს ხელიდან ამოსაცნობ ობიექტს და მათი თვითდაკვირვების ჩვენებათა მოსმენის შემდეგ უკანვე უბრუნებდა მათ ამავე ობიექტს, მაგრამ ისე, რომ ცდის პირებმა არ იცოდნენ, კვლავ იმავე საგანთან ჰქონდათ საქმე, თუ სხვასთან. გამოირკვა, რომ ასეთ შემთხვევებში ცდისპირები ძლიერ ხშირად იმ აზრისა იყვნენ, რომ მათ ახალი საგანი მისცეს ხელთ: იგინი ვერ ცნობილობდნენ მას, მიუხედავად იმისა, რომ სულ ორიოდ წუთის წინათ სწორედ ეს საგანი ექირათ ხელში და გულდასამით შინჯავდნენ:

ზარ. II ა. ეს უკვე სხვაა. ის სუბუქი იყო. ეს კი მძიმე... ის უფრო სხვილი იყო და გაკონტრებით უფრო გრძელიც...

¹) იხ. ზემოთ გვ. 257.

ერთი სიტყვით, ერთი და იგივე შეგრძნებითა შინაარსი, ხშირად — ერთი და იგივე ფორმის რომელობაც — ხან ერთი სახით განიცდება და ხან მეორით. სამაგიეროდ, თუ ერთხელ მაინც მოახერხა ცდისპირმა მიწოდებული ობიექტის ცნობა, ის ამგვარ შეტოვმას აღარ გაიმეორებს: საგნის ფორმისა და ნიშნების განცდა ნორმალურად ამ შემთხვევაში აღარ იცვლება.

ცხადია, ობიექტის ცნობის განხორციელებაზე განცდილი ფორმის წარმოდგენა და შეგრძნებითი შინაარსი მართლა მერყევი, უსახო და ჩამოუყალიბებელი განცდების სახით უნდა ვივლინებოდეთ.

ამის მიხედვით, ჩვენი საერთო დასკვნა ასეთი იქნება:

როდესაც სუბიექტზე ესა თუ ის საგანი მოქმედებს, მის ცნობიერებაში განსაზღვრული ფსიქიური შინაარსი ჩნდება, რომელსაც ობიექტის გრძნობადი ფენომენები და ფორმის რომელობანი შეადგენენ. მაგრამ ეს უკანასკნელი სისრულით განვითარებულსა და დამთავრებულს კონკრეტ განცდებს როდი წარმოადგენენ. ასეთებად იგინი მხოლოდ მაშინ იქცევიან, როდესაც სუბიექტი საგნის ცნობას, მისი მნიშვნელობის წვდომას მოახერხებს. ეს მნიშვნელობაა, რომ გაურკვეველს, არაკონკრეტსახოვანს, ლაბილურ გრძნობადსა და ფორმის განცდებს იმთავითვე საგრძნობლად ცვლის: იგი მათ მთლიან განცდად აერთებს და ნამდვილი აღნაგობის სახეს აძლევს, რომელშიც თითოეული გრძნობადი შინაარსი და წინასწარი ფორმის წარმოდგენაც გარკვეულსა და დამთავრებულს კონკრეტ ფენომენად ყალიბდება.

4. ცნობის აქტის შესახებ.

მაშ როგორღა ახერხებს ცდისპირი ობიექტის მნიშვნელობის წვდომას? რა უღევს საფუძვლად ცნობის აქტს? ცდისპირის ქცევიდან, მიწოდებული საგნის მნიშვნელობის ძიების დროს, ცხადად ჩანს, რომ იგი ზომებს ღებულობს, რათა ობიექტმა რაც შეიძლება მრავალმხრივ იმოქმედოს მასზე.

როგორ განიცდის თვითონ ცდისპირი სუბიექტურად თავის ქცევას? რა აზრი აქვს ამ უკანასკნელს, მისი თვითდაკვირვების მიხედვით? ცდისპირთა ჩვეულებრივი მოწმობის თანახმად, იგინი მიტომ ცდილობენ მიცემული საგნის ყოველმხრივ შემოწმებას, რომ მათ სურვილი აქვთ, ამ გზით მის თვისებათა რაც შეიძლება მეტი რიცხვი გაითვალისწინონ, მეტი შეგრძნებითი შინაარსი მოიპარაგონ, რათა ამით საგნის ცნობის ამოცანა გაიაღვილონ. ისინი ფიქრობენ: თუ არ საგნის გრძნობად ნიშანთა განცდით, სხვა გზით მისი მნიშვნელობის წვდომა მოუხერხებელია-რ.

ცხადია, რომ მისთდაკვირვების ამ მონაცემში იმდენად ცდისპირის განცდათა ფაქტური მასალა არაა წარმოდგენილი, რამდენადაც ერთგვარი გულუბრყვილო ფსიქოლოგიური თეორია, რომლითაც იგინი ცნობის აქტისა და ამით თვისი ქცევის დასაბუთებას ცდილობენ.

არაა გასაკვირი, რომ მათ სწორედ ასეთი თეორია აქვთ შემუშავებული. მათ ხომ ამოცანად ობიექტის არაჩეულებრივი გზით ცნობა ევალება. რა უნდა ჰქნან, როგორ უნდა მოექცენ მიწოდებულ საგანს? ცხადია, რაც უფრო მიზანშეწონილად, მით უკეთესი. და აი მათ იციან — ჩეულებრივი ყოველდღიური გამოცდილების მიხედვით — რომ საგნის ცნობის შესახებ ლაპარაკი კი შეუძლებელია, სანამ იგი ჩვენზე არ იმოქმედებს. იციან ისიც, რომ რაც უფრო მრავალმხრივია ეს ზემოქმედება, მით უფრო დიდია შეუცთომლად მისი ცნობის შესაძლებლობაც. მეორის მხრივ, მათთვის ცხადია, რომ საგნებს ურთიერთისაგან ჩეულებრივ მათი ნიშნების მიხედვით განვასხვავებთ. ამ ნიადაგზე ბუნებრივად უმუშავდებათ რწმენა, რომ ობიექტის შეუცთომლად ცნობისათვის საუკეთესო გზას მისი ნიშნების ზედმიწევნითი გათვალისწინება წარმოადგენს. ნიშნები კი ჩეულებრივ გრძნობადი შინაარსის სახით განიცდება. მაშ მათთვის ცხადი ხდება, რომ ცნობის პროცესში ამა თუ იმ ობიექტის სუბიექტზე ზედმოქმედების ფაქტი სხვაგვარად, თუ არ გრძნობად განცდათა დაგროვების სურვილით, შეუძლებელია აიხსნას. ასეთია მათი თეორია. მაგრამ რამდენად მართებულია იგი?

ჩვენი ცდების ფაქტური მასალა, რომელსაც უკვე საკმაოდ გავეცანით, სრულიად საწინააღმდეგო სურათს შლის ჩვენს წინაშე. ჩვენ დავრწმუნდით, რომ გამდიდრებელი ობიექტის გრძნობადი და ფორმითი რომელიმე მისი ცნობის აქტამდე კი არ არიან თვისი საბოლოო სახით მოცემულნი, არამედ მხოლოდ ამ აქტის შემდეგ. გრძნობადი ნიშნების ნიადაგზე კი არ აიგება ნაჯულისხმევი საგანი, არამედ პირიქით, მხოლოდ ამ უკანასკნელის საფუძველზე ხდება მის გრძნობად ნიშანთა საბოლოო კონსოლიდაცია. — მაშასადამე, შეუძლებელია, რომ ცდისპირთა ქცევის აზრი მათი გულუბრყვილო თეორიის მიხედვით იქნეს ახსნილი.

მაშ როგორ წარმოიშობა ცდისპირის ცნობიერებაში მიწოდებული ობიექტის მნიშვნელობის განცდა? ჩვენი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ცნობის აქტი შეიძლება ორგვარი იყოს: ერთი — აქტი ობიექტის ნაწილობრივი ცნობისა, და მეორე — მისი მთლიანად ცნობის აქტი. პირველი ობიექტის ნაწილობრივ მომენტებს (მის მასალას, ზოგიერთს მის ნაწილს) ეხება, ხოლო მეორე — მთელ საგანს მთლიანად.

პირველის შესახებ ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ იგი ცდისპირის ცნობიერებაში ერთბაშად შეიქრება: მოქიდებს თუ არა ხელს სუბიექტი მიწოდებულ ობიექტს, ჩეულებრივ მან უკვე იცის, თუ რა მასალისაა იგი, ზოგჯერ ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზოგიერთს მის ნაწილს.

აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა ასეთს ნაწილობრივ ცნობას მთლიანი ცნობის აქტისათვის? როდესაც ცდისპირს რაიმე ობიექტი ეძლევა ხელით, მისი ინტენცია მთლიანია და არა მისი ნაწილების მნიშვნელობისაკენ მიმართება: მას მთელის ვაგება უნდა და არა ცალკე ნაწილებისა. მისი ფსიქიური შინაარს სწორედ ამ მთლიანისადმი განწყობით ხასიათდება. ობიექტის ნაწილების განცდა არადამოუკიდებელი მომენტის სახით არის ჩართული ამ შინაარსში. ამიტომ ხდება, რომ ცდისპირი იმთავითვე მთლიანის ძიებას იწყებს, და ნაწილები ჯერხნობით, როგორც ცალკე დამოუკიდებელი მომენტები მისთვის არ

არსებობს.—მდგომარეობა იცვლება, რა წამს გამოირკვევა, რომ მთლიანის ცნობას რაღაც აფერხებს. ცლისპირის მაშინ თავის გულისყური ცალკე ნაწილებზე გადააქვს: იგი ხან ერთ ნაწილს შეეხება, ხან მეორეს, თითქოს მისი ამოცანა მთლიანის კი არა, ცალკე ნაწილების ჩამოთვლასა და დახასიათებაში მდგომარეობდეს. უეჭველია, მისი განწყობა იცვლება, და ფსიქიური შინაარე ობიექტის ცალკე ნაწილების ფენებში თავსდება: ინტენცია ნაწილებისადმი დამოუკიდებელ მომენტად იქცევა: იგი მთლიანობის ფსიქიურ შინაარეს ეთვისება, რომელშიც წინეთ არადამოუკიდებელ მომენტად იყო ჩართული. გასაგებია, რომ ცალკე ნაწილებისადმი მიმართული აქტები ვერასდროს მთლიანის ცნობის აქტის მაგიერობას ვერ სწევენ, იგინი სხვადასხვა სიბრტყეში მოძრაობენ, და რაა საკვირველი, რომ ურთიერთს ვერ ხედეზიან.

არის შემთხვევები, თითქოს ცლისპირები ზოგჯერ ამ გზითაც ახერხებდენ ობიექტის რაობის შესახებ მტკიცე აზრის შემუშავებას. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც გამოსაცნობად ისეთი საგანია მიცემული, რომელსაც ერთი განსაკუთრებული დამახასიათებელი ნაწილი მაინც აქვს. ასეთ შემთხვევაში ცლისპირი სწვდება თუ არა ამ სპეციფიკურ ნაწილს, ჩვეულებრივ მთლიანის საგნის რაობის შესახებ იძლევა დასკვნას. ძლიერ ხშირი იყო შემთხვევა, რომ ჩვენი ცლისპირები პარაფინის სანთელს, მაგალ. იმ წამსვე ცნობილობდენ, როგორც კი მოხვდებოდათ ხელში მისი ისეთი სპეციფიკური ნაწილი, როგორცაა აატრუქი.

მაგრამ არსებითად არც ეს შემთხვევები ლაპარაკობენ ნაწილობრივი ცნობის აქტის სასარგებლოდ. საქმე ისაა, რომ აქ ნამდვილად ობიექტის ნაწილების განცალკევებულ აღქმასთან როდი გვაქვს საქმე, რომელიც მთლიანობის შინაარის სიბრტყის გარეშე მდებარეობს. არა, გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქ ნაწილის სპეციფიკურობას აქვს, და ეს სპეციფიკურობაა, რომ მას ნამდვილი ცალკე ნაწილის ბუნებას უკარავს და მთლიანის მნიშვნელობის მატარებლად აქცევს. მაშასადამე, ამოცანას აქაც მთლიანობის მომენტი სწყვეტს, და ცხადია, ეს „გამონაკლისი“ არა თუ უარყოფს ცნობის მიმდინარეობის საერთო წესს, არამედ პირიქით ადასტურებს მას.

ამის მიუხედავად შეცთობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ობიექტის ნაწილობრივი ცნობის აქტი სრულიად მოკლებულია ამოცანის გადაჭრის ძიებისას ყოველგვარ მნიშვნელობას. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რად ხდება, რომ ცლისპირები განსაზღვრულ შემთხვევებში სწორედ ამ აქტის იმედის ამარა და რჩებიან. რაღაც მნიშვნელობა მას უეჭველად უნდა ჰქონდეს.—უდავოა, რა წამს ნაწილობრივი ცნობის აქტი დამოუკიდებელ ფსიქიურ განწყობად იქცევა, იგი მთლიანობის შინაარის გარე მოძრაობს და მთლიანი ობიექტის მნიშვნელობის წვდომას ვერაფერით ეხმარება. მაგრამ როგორც დროებითს, წინასწარ ფაზის მას ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უეჭველი მნიშვნელობა მიენიჭოს. საქმე ისაა, რომ შესაძლოა ობიექტის ცალკე ნაწილებისაკენ მიმართულმა ცნობის აქტმა ერთგვარი მასალა მოამზადოს, რომელმაც შეიძლება მთლიანისადმი შესაფერისი განწყობის გაღვიძებას ხელი შეუწყოს: რაც უნდა იყოს, ნაწილი ყოველთვის მთლიანის დალით არის აღბეჭდილი.

ზოგჯერ მეტად და ზოგჯერ ნაკლებად. და როდესაც შემდეგ სუბიექტი კვლავ მთლიანისადმი ინტენციით მიმართავს მიწოდებულ საგანს, იმის მიხედვით, თუ რა და რა მთლიანის შესაფერისი განწყობა მომზადდა, მის ცნობიერებაში საგნის მნიშვნელობის სხვადასხვა შესაძლებლობა იჩენს თავს. ამ შესაძლებლობათა შორის არჩევანი უნდა მოხდეს, და ე. წ. კონტროლის სტადიუმი ამ მიზანს ემსახურება.

ჩვენი ცდებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი როლი აქვს დაკისრებული ერთხელ მიღებულის შესაძლო მნიშვნელობის კონტროლს ან შემოწმებას. ცდის პირი ფიქრობს: შესაძლოა საგანი ესა და ეს იყოს-ო, და სანამ საბოლოოდ ამ აზრზე შეჩერდებოდეს, ცდილობს, მიწოდებული ობიექტი ერთხელ კიდევ ამ თვალსაზრით შეამოწმოს. რაა შედეგი, ჩვენ უკვე ვიცით: იგი ან ადასტურებს შესაძლო მნიშვნელობის აზრის მართებულობას, ან უარაყოფს მას. ცხადია, ცდის პირს ეს გზაც საბოლოოდ დახშული ექნებოდა, რომ ობიექტის ნაწილობრივი შეფასების აქტი არ დახმარებოდა.

ამგვარად ირკვევა: როდესაც მთლიანი ობიექტის ცნობა ძნელდება, სუბიექტი ნაწილობრივი ცნობის აქტს ძიმართავს. ეს უკანასკნელი უშუალოდ ხორციელდება. რამდენადაც ამა თუ იმ ნაწილს მთლიანის უფრო მკვეთრი ბეჭედი აზის, ნაწილობრივ ცნობის აქტი ან მეტად უმზადებს მთლიანის ცნობის აქტს ნიადაგს და ან ნაკლებად. ეს იმაში გამოიხატება, რომ იგი მთლიანის მნიშვნელობის ან ერთი გარკვეული შესაძლებლობის აზრს წარმოშობს და ან მრავლისას. უკანასკნელ შემთხვევაში განსაკუთრებითი როლი ე. წ. კონტროლის სტადიუმს ენიჭება: იგი არჩევანს ახდენს ამ შესაძლო მნიშვნელობათა შორის. იმის მიხედვით, თუ მთლიანის რამდენად სპეციფიკურ დღს ატარებს თითოეული მისი ნაწილი, კონტროლის სტადიუმი მეტის და ან ნაკლები წარმატებით სრულდება.

გადავიდეთ მთლიანის ცნობის აქტის დახასიათებაზე.

ჩვენი ცდების მიმდინარეობაში ობიექტის ცნობის შემდგომ განსხვავებულ-მა შემთხვევებმა იჩინა თავი:

1. როდესაც ცდისპირს ისეთი ობიექტი ეძლევა ხელთ, რომელიც განსაკუთრებით კარგადაა მისთვის ყოველდღიური ცხოვრებიდან ცნობილი, იგი იმ-წამსვე ცნობილობს მას, სრულიად უშუალოდ, რისაზე დაუხმარებლად.

ხარ. I ა. დინამომეტრია. არ ვიცი, როგორ ვიყანი. როგორც კი მოკიდებ ხელს, იმ წამსვე დინამომეტრის აზრი გამიჩნდა...

ასეთსავე უშუალო ცნობის აქტთან გვაქვს საქმე ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მიწოდებული ობიექტის ანალოგიურ საგანს რაიმე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია ცდისპირზე, ან და მაშინაც, როდესაც რაიმე მიზეზით ცდისპირი ცდის დაწყებამდე ასეთსავე საგანზე ფიქრობდა.

ჩ. კ. I. ა. იმ წამსვე ზარის აზრი გამიჩნდა. მომავლად ზარი ჩემი პროფესორის საწერ მაგიდაზე: ბაწრით ჰქონდა მგონი ტარი შეკრული... (ცდისპირი იყინის).

2. როდესაც ცდისპირი რომელიმე შესაძლო მნიშვნელობის კონტროლს აწარმოებს, ხდება ზოგჯერ, რომ მის ცნობიერებაში ერთბაშად, სრულიად მოულოდნელად, მისი რწმენით მანინ—უსაბაზოდ საგნის მნიშვნელობის ახალი აზრი ჩნდება,

რომელსაც იგი ყველა დანარჩენებთან შედარებით უქველ უპირატესობას ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ სრულიად არაა საველდებულო. რომ ამ აზრს საფუძვლად—როგორც პირველ შემთხვევაში—უთუოდ რაიქე რეკროდუქციული მზაობით აღბეჭდილი წარმოვადგენა ელოს.

შ.თ. V. პირველად ლილი მეგონა. მაგრამ ეს აზრი არ გამართლდა: ამას სულ სხვა ფორმა აქვს. არ ვიცი პერლამუტროსა, თუ რამ სხვა მასალისა. შეიძლება ხისაც იყოს... მთელი საგანი არ უნდა იყოს, ალბათ რისაზე ნაწილია. რკინის თუა... ზემოთ რკინის ნაწილი აქვს ერთი. ის ტრიალობს... რალაც საგნის ნაწილია... ეხლა კი ვიცი, რაა: საშალია უთუოდ“...

და ცდის პირი, რომელმაც ამგვარად ერთაშად მიაგნო საგნის ნამდვილ მნიშვნელობას, ამ უკანასკნელის შემოწმებას იწყებს და წინეთ სხვა სახით წარმოვადგენილ გრძობად თვისებებს ეხლა უკვე სათანადოდ განიცდის.

3. ზოგჯერ საგნის ცნობა ისე ხდება, რომ ცდისპირი სრულიად ვერ ახერხებს სიტყვიერად, ან რაიმე თვალსაჩინო ხატის დახმარებით მის დახასიათებას. ამის მიუხედავად, მას ექვიც არ ეპარება, რომ საგნის ნამდვილ მნიშვნელობას სწვდა. ჩვეულებრივ ისეთი შთაბეჭდილება აქვს, თითქოს ეს საგანი სადღაც უნდა ენახოს, ზოგჯერ ისიც იცის, თუ სად.

თ.ა.რ. IV. ასეთი რამ ჯერ არსად მინახავს... რალაც სახომი აპარატი იქნება, რადგანაც მოძრავი ისარი აქვს. მინის არის, თუ ენაღის? უფრო მინის, მგონია... არა, სადღაც უთუოდ მინახავს. ვიცი რაა: სკოლაში ფიზიკის მასწავლებელმა გვაჩვენა.

ცდის პირი ვერ ასახელებს საგანს. როდესაც მას თვალით ხედავს, ამბობს, რომ სწორედ ასეთი აპარატი აჩვენა სკოლაში მასწავლებელმა (კოლინის დინამომეტრი იყო).

4. ზოგჯერ ასეც ხდება: ცდის პირი—ობიექტის ხანგრძლივი შემოწმების მიუხედავად—საგანს სრულიად ვერ ცნობილობს. მაგრამ ბოლოს მასში რალაც თავისებური „მომართეა“, თავისებური „ტენდენცია“ რაიმე მიმართულებით—მაგალითად, მაგიდის მიმართულებით—იჩენს თავს. შემდეგ ამ „მიმართულობის“ ნიადაგზე ერთბაშად საგნის მნიშვნელობის გარკვეული აზრიც უჩნდება:

ჩიქ. II. ხომ არ მინახავს სადმე ეს საგანი? ასეთი საკითხი გამიჩნდა, და იმწამსვე რალაც მიზიდულება ვერაძენ მაგიდის მიმართულებით, თთქოს მაგიდა თავისკენ მიზიდავდა.

რა შეიძლება ითქვას ყველა ამ შემთხვევების მიხედვით მთლიანის ცნობის აქტისათვის? საკმარისია ოდნეუ გადაავლოთ მათ თვალს, რათა იმ წამსვე ამ აქტის უშუალო ბუნებას მიაქციოთ ყურადღება: არც ერთხელ არ ხდება, რომ ობიექტის მნიშვნელობა ცნობიერების განსაზღვრული შინაარსის ნიადაგზე და მისი შუალობით აიგებოდეს; იგი ყოველთვის უშუალოდ, გრძნობად შინაარსზე სრულად დამოუკიდებლად ევლანება სუბიექტის ცნობიერებას, როგორც ნამდვილი deus ex machina, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან...

ეს დებულება ძირითადი მონაპოვარია ჩვენი ცდებისა, და მე ვფიქრობ, იგი დამახასიათებელი უნდა იყოს საზოგადოდ ანალოგიური აქტებისათვის.

მაგრამ ერთი საკითხი კიდევ: როგორ განიცდება ობიექტის მნიშვნელობა პირველად, ე. ი. მანამ, სანამ იგი გარკვეულის, კონკრეტული საგნის სახეს მიიღებდეს, იმ საგნის სახეს, რომელსაც თავის ხელში ჰგულისხმობს ცდის პირი?

დ ა ს კ ვ ნ ა .

როდესაც სუბიექტზე რაიმე ობიექტი მოქმედებს, მასში სამი განსხვავებული განცდა ისახება: გრძნობადი შინაარსი, ფორმის რომელობა და თავისებური განწყობა: ცნობიერების მდგომარეობა ან ობიექტის მნიშვნელობის ცნობიერობა (Bewusstsein). თითოეული მათგანი პირველად ურთიერთისაგან სრულიად დამოუკიდებლად და უშუალოდ იბადება: ივინი ერთი შეორიდან არ გამოიძინარეობენ. ცალკე რომ ავილოთ, ყველანი მეტად თუ ნაკლებად ლაბილურს. განსაზღვრულ ფარგლებში მერყევეს, არა კონსოლიდაციაქმნილს სქემატურ განცდას წარმოადგენენ. შედარებით ნაკლებ ითქმის ეს ობიექტის მნიშვნელობის ცნობიერობაზე, მაგრამ რადგანაც იგი პირველად ყოველგვარს თვალსაჩინო ფსიქიურ რეპრეზენტაციას მოკლებულია, თამამად შეგვიძლია აღნიშნული დებულება მასზეც გავავრცელოთ.

ამიტომაც რომ ობიექტის საბოლოო მნიშვნელობის სახე ამ განცდათაგან ცალკე არცერთზე არ დაიყვანება.

საგნის კონკრეტული მნიშვნელობა ცნობის შემდეგ გარკვეული თვისებით აღჭურვილი საგნის სახით გვევლინება, რომელსაც სუბიექტი თავის განცდების გადაღმა ტრანსსუბიექტურად ჰგულისხმობს. ამ აქტის რეალიზაცია იმაში იჩენს თავს, რომ სამივე აღნიშნული განცდა კონკრეტად ნაგულისხმევი საგნის მნიშვნელობად შეირწყმის და ხორცშესხბულ მთლიანად განიცდება. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს შერწყმის პროცესი პირველ რიგში ობიექტის პირველადი მნიშვნელობის აზრის ხელმძღვანელობით ხდება, დომინანტური როლი მას უნდა მივაკუთვნოთ. გრძნობადი შინაარსი, ისე როგორც ფორმის წარმოდგენაც ამ მნიშვნელობის ზეგავლენით ინდივიდუალდება, სრულდება და საბოლოოდ ყალიბდება. მაგრამ ამავე დროს და სწორედ ამით თვით ეს მნიშვნელობაც თავის საბოლოო-სა და გარკვეულ კონსოლიდაციას პოულობს.

ამ გვარად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სამივე ეს განცდა ნამდვილს კონკრეტ-სახივან განცდებულ მხოლოდ ურთიერთთან, ურთიერთის დახმარებით და ურთიერთში—ან უკეთ—მთლიანში იქცევიან.

ა. ბოჭორიშვილი

სიმძიმის ილუზიის ანალოგონი წნების არეში.

(მოტორული განწყობის თეორიის ექსპერიმენტული შემოწმება).

(საბელწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ლაბორატორიიდან)

1. საკითხის დასაწება.

ილუზიათა კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე. წ. სიმძიმის ილუზიის კვლევას. უკანასკნელი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ორს, სიმძიმით თანასწორს, მაგრამ მოცულობის მხრივ განსხვავებულს საგანს ვსწევთ ზევით, ყოველთვის ერთისა და იმავე ეფექტის მოწმენი ვხვდებით: პატარა საგანი უფრო მეტი სიმძიმის განცდას იწვევს ჩვენში, ვიდრე დიდი.

ეს ფაქტი ჩვეულებრივი დაკვირვებიდანაც კარგა ხნის ცნობილი ფაქტია, ხოლო ექსპერიმენტულ შესწავლის საგნად იგი ჯერ ფეხნერმა და შემდეგ — გიულერმა და შუმანმა გახადეს. უმთავრესი მიზანი მათ მიერ წარმოებულ ცდებისა არა იმდენად თვით ამ ილუზიის ფაქტიურად არსებობის შემოწმება იყო — ამაში იმათ ეჭვი არ ეპარებოდათ — არამედ იმ ფაქტორის (ან ფაქტორების) აღმოჩენა, რომელიც განსაზღვრავს თვით ფაქტს. ილუზიის საკითხი, მაშასადამე, მათ უმთავრესად ახსნის თვალსაზრისით აინტერესებდათ; და მათ თავისი ცდების შედეგად ცნობილი მოტორული განწყობის თეორია წამოაყენეს, რომელიც თუმცა არ არის ერთად-ერთი თეორია ამ საკითხისათვის, მაგრამ ყველაზე მეტად ამჟამად მაინც იგია გავრცელებული. ამ თეორიას დაწერილებით ქვემოთ განვიხილავთ; ჯერ-ჯერობით კი უნდა აღენიშნოთ, რომ იგი (ეს თეორია) უსათუოდ ემყარება ერთ შემოწმებელ აზრს, სახელდობრ: რომ ასეთი სახის ილუზია მხოლოდ სიმძიმის განცდის შემთხვევისათვის არის დამახასიათებელი, ვინაიდან იგი ისეა აგებული, რომ მისი ახსნის ძალა ისეთ მოვლენებს გულისხმობს, რომელიც მხოლოდ სიმძიმის გრძნობელობის სფეროშია შესაძლებელი.

ამიტომ საინტერესო იქნებოდა, შეგვემოწმებია, აქვს თუ არა ხსენებულ ილუზიის მსგავს მოვლენას ადგილი აგრეთვე გრძნობათა სხვა სფეროშიც. წინასწარვე ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი ფაქტის დადასტურებას არსებითი

1) შემდეგში ამავე საკითხებზე მუშაობდნენ: L. Steffens, Ueber die motorische Einstellung Zfpsych. 23; Dresslar, Amer. Journ. of Psychol. 6; Scashore, Stud. from the Yale Psychol. Lab. 3.

მნიშვნელობა ექნებოდა უწინარეს ყოვლისა მოტორული განწყობის თეორიის მართებულობის შესამოწმებლად.

არსებობს თუ არა ფენომენი პატარა საგნის მიერ გამოწვეულ წნეხითი შეგრძნების ინტენსიობის მეტად შეფასებისა იმავე წონის დიდ საგანთან შედარებით? ანუ სხეულისადა: განვიცდით თუ არა პატარა საგნებიდან უფრო ინტენსიურს წნეხით შეგრძნებას, ვიდრე იმავე წონის დიდი საგნებიდან? დადებითი პასუხი ამ საკითხზე იქნებოდა დადასტურება „სიმძიმის ილუზიის“ მსგავს მოვლენის არსებობისა წნეხითი შეგრძნების სფეროშიც¹.

მეთოდისა.

საკითხის გამოსარკვევად წარმოებულ იქნა შემდეგი ცდები:

I. აღებულია 8 კოლოფი თანასწორი სიმძიმის, ფორმისა და შედგენილობის, მაგრამ განსხვავებული სიდიდისა. განსხვავება კოლოფების სიმაღლეშია, რომელიც შემდეგნაირად გამოიხატება: $1\frac{1}{2}$ cm. $3\frac{1}{2}$ cm. 4cm 5cm. $6\frac{1}{2}$ cm. $7\frac{1}{2}$ cm. 9 და 10 cm. სიმძიმე თითოეული კოლოფისა უდრის 145 გრამს. ეს კოლოფები წვეილ-წვეილად იქმნენ შედარებული გუნდების სასწორის საშუალებით, მათი წნეხითი კოეფიციენტის გამოსარკვევად.

ცდის პირს ეძლევა შემდეგი ინსტრუქცია: „უყურეთ კოლოფებს, რომელნიც სასწორზე იქნება დადებული, შეადარეთ ორ მოცემულ კოლოფის მიერ გამოწვეული წნეხითი შთაბეჭდილების ინტენსიობა ურთიერთს“.

შესაძლებელია სამხაირი პასუხი: „მეტია პირველი“, „მეტია მეორე“, „თანასწორია.“ იმ შემთხვევებში, როდესაც ცდის პირი არ იყო დარწმუნებული, ილ¹ რომელი პასუხი იყო სწორი ამ სამ შესაძლებლობიდან, ცდა რამდენჯერნე მეორედებოდა. ნორმულ სიმძიმედ (NR) აღებული იყო 5cm. სიმაღლის კოლოფი.

ცდის პირმა არაფერი იცოდა ცდის მიზნის შესახებ და არც ის, თუ რომელი იყო მიღებული ნორმულ გამიზიანებლად. კოლოფების მიწოდების რიგი არ იყო გარკვეული. ისინი უწესრიგოდ მისდევდნენ ერთმანეთს, ე. ი. NR-ის შედარება ხდებოდა პირველად ხან $1\frac{1}{2}$ cm. კოლოფთან, ხან $3\frac{1}{2}$, ხან 10 და სხვა. რაც შეეხება NR და შესადარებელ (VR) კოლოფების რიგით ვარიაციას, აქ დატული იყო შემდეგი წესი: ერთი რიგი ცდისა ისე ხდებოდა, რომ პირველად ეძლეოდა NR, ხოლო შემდეგ რიგში პირიქით: პირველად ეძლეოდა შესადარებელი კოლოფი (VR) შემდეგ კი—ნორმული (NR). ამით თავიდან იყო აცილებული წნეხითი ინტენსიობის სხვადასხვაობაზე შესადარებელი კოლოფების სხვადასხვა დროს მიწოდების გავლენა. რა თქმა უნდა ყოველი წვეილ-წვეილი სიმძიმის შედარების დროს დატული იყო თანასწორი პირობები.

ცდის პირებზე აყვანილი იყვნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ დარგის მე-3-ე და მე-4-ე კურსის სტუდენტები: 1. ვაჰაიძე ერასტი (ვაჲ).

¹) ეს საკითხი ამ ნაშთი პირველად დ. უზნაძის „ალქმა და წარმოდგენა“-შია წამოყენებული (უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, გვ. 279).

ერ.), 2. თუთაშვილი ვერა (თუთ. ვ.), 3. ნიკოლაიშვილი დარეჯან (ნიკ. დ.), 4. ბრეგაძე ალექსანდრე (ბრ. ა.), 5. გელეიშვილი ივანე (გელ. ი.), 6. შარაშიძე კასკა (შარ. კ.).

ის შემთხვევები, როდესაც პატარა საგნით გამოწვეული წნეხით შთაბეჭდილება უფრო მეტად ფასდება, ვიდრე ასეთივე შთაბეჭდილება დიდი საგნისა, ჩვენს ცდებში აღნიშნებოდნენ +; საწინააღმდეგო მოყვლება კი — როცა ცდის პირები ვერ პოულობდნენ განსხვავებას, ისმოდა თანასწორობის ნიშანი =.

3. ცდის შედეგები.

ცდების პირველსავე სერიაში აშკარადვდება, რომ პატარა საგნის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილება გაცილებით უფრო ხშირად ფასდება, როგორც უფრო ინტენსიური, ვიდრე დიდი საგნის საშუალებით აღძრული შთაბეჭდილება. (იხ. ცხრილი № 1.)

№ 1.

№	ცდის პირი	შეღარების რიცხვი	+	-	=	$\frac{+}{+}$	$\frac{-}{-}$	$\frac{=}{=}$
1	ნიკ. დ.	44	35	5	4	79%	11%	10%
2	ბრ. ალ.	67	28	19	20	42%	25%	30%
3	ვაშ. ერ.	84	41	18	22	52%	22%	26%
4	თუთ. ვ.	69	21	18	30	30%	26%	44%
5	გელ. ივ.	56	26	16	14	47%	28%	25%
6	შარ. კ.	49	26	10	11	57%	20%	23%
სულ 6		369	182	88	101	49%	24%	27%

ამ შედეგების შესახებ ბერის თქმა არ მოგვიხდება—რიცხვები ყველაზე უფრო მჭკრამეტყველურად ააშკარაებენ მათ მნიშვნელობას.

ცდის პირების თვითდაკვირებიდან აღსანიშნავია უმთავრესად შემდეგი: ისინი ხშირად ხაზგასმით ამბობდნენ, რომ განსხვავება ინტენსიობაში სრულიად აშკარად იქნა აღქმული. უნდა ითქვას ისიც, რომ ის მცირე %, რომელიც მიწის ნიშნის ქვეშ არის მოთავსებული, მთლიანად არ წარმოადგენს იმ სიდიდეს, რომელიც ლაპარაკობს პატარა საგნის კოეფიციენტის მეტობის წინააღმდეგ. საქმე იმაშია, რომ ზოგ შემთხვევაში ცდის პირი თუმცა ხედავს კოლონებს, მაგრამ მათი სიდიდის განსხვავებას ნათლად ვერ აღიქვამს. ცდის პირი ბრ. ალ. აღნიშნავს — „უჭრადლება მიპყრობილია საეხებით წნეხის შეგრძნებაზე და თითქოს მხედველობითი შთაბეჭდილება არც მაქვს. სრულიად არა მაქვს კოლონების ფორმისა და მათი სიდიდის აღქმა; ვხედავდი მხოლოდ კოლონების ფსკერს“.

იმ ცდებში, რომელშიდაც ცდის პირს ასეთი განწყობა უფრო ხშირად ჰქონდა, იძლეოდნენ პასუხს: „თანასწორია“ და „მეტი“, (უკანასკნელ ცხრილში მინუსით არის აღნიშნული). ცდის პირს ეძლევა დამატებითი ინსტრუქცია: „მიაკეთე ყურადღება კოლოფებს, ეცადეთ ისინი მხედველობით საესებით აღიქვათ“. ასეთი ინსტრუქციის მიცემის შემდეგ, შედეგები სწრაფად იცვლება: პასუხი პატარა საგნის წნეხითი კოეფიციენტის მეტობის სასარგებლოდ უფრო ხშირი ხდება. ეს გარემოება იმიტომ არის აღსანიშნავი, რომ მნიშვნელობა აქვს არა ფიზიკურად ხედვას (თვალის მიმართვას კოლოფისაკენ), თუ შეიძლება ასე ითქვას, არამედ ფსიქოლოგიურ ხედვას — კოლოფების სიდიდის ცნობიერებას.

ჩვენს ცდებში საგანგებო ყურადღება არ იყო მიპყრობილი თეთრ შედარების აქტების შესწავლისაკენ. ეს არსებითად სულ სხვა ამოცანა იქნებოდა. ამის მიუხედავად მაინც არის ანგარიშებში ზოგი რამ ისეთი, რაც შეიძლება აქაც აღნიშნულ იქნეს. „პირველ და მეორე შთაბეჭდილების განსხვავებას, ამბობს ცდის პირი, — უშუალოდ უფრო ნათლად განვიცდი, ვიდრე როცა ამაზე ვეჭვობ შედეგში“. „შთავარი ყურადღება მიპყრობილი მაქვს პირველ შთაბეჭდილებაზე, ვცდილობ ის არ დამაიწყდეს; მეორე შთაბეჭდილება თვალწინ არის და მის დაქერისთვის არავითარი ძალისხმევა არ მჭირდება“. „შედარებისას პირველ შთაბეჭდილებიდან გადავდივარ მეორეზე.“ „პირველი და მეორე შთაბეჭდილების შედარება ხდება უშუალო მემსიერების ნივთიერებაზე. პირველი ჯერ კიდევ, ინერციის ძალით არის ცნობიერებაში, — როცა მეორე შთაბეჭდილებას ვლბებლობ“. ცდის პირების ასეთი ჩვენება ლაპარაკობს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომელიც შედარებისთვის ორი წერის ცნობიერებაში არსებობას სთვლის საჭიროდ, თუმცა აქედან სრულიად არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს სხვაგვარი შედარება (ერთ-წევრიანი, ან უწევრი) შეუძლებელი იყოს!

თუ რა მნიშვნელობა აქვს ხსენებული ილუზიის ფენომენის წარმოშობისათვის მხედველობით შთაბეჭდილებას, ნათლად სჩანს ცდების მეორე სერიის შედეგებიდან. ამ სერიაში ცდის პირებს ევალებათ არ უცქირონ კოლოფებს და ისე თვალდახუჭული შეაფასონ წნეხის ინტენსიობა. როგორც მე-2-ე ცხრილიდან ჩანს, აქ პასუხი „თანასწორია“ ძლიერ საკრძნობლად მატულობს და თან პასუხების სისწორეში ისეთივე რწმენა გამოთქმული, როგორც პირველ სერიის შემთხვევაში².

№ 2.

№ №	ცდის პირი	შედ. რიცხვი	მეტია ნორმულ	მეტია შესადარ.	თანასწორ =	w %	v %	= %
1	ნიკ. დარ.	15	3	5	7	20%	33%	47%
2	ბრვ. აღ.	8		1		25%	13%	62%
3	თუთ. ე.	16	4	2	10	25%	11%	63%
4	გულ. ივ.	14	4	3		28%	22%	50%
5	ნორ. ავ.	28	7	5	16	21%	18%	61%
სულ 5		81	20	16	45	25%	19%	56%

¹) Кравков, Очерк психологии: გვ. 127.

²) არის აქაც გამოთქმული: ზოგი პირველ სერიაში უფრო დარწმუნებულია პასუხის სისწორეში, მაშინ როდესაც კოლოფს ხედავენ; საწინააღმდეგო შემთხვევას ე. ი., რომ ცდის პირი მეორე სერიაში უფრო ყოფილიყოს დარწმუნებული პასუხის სისწორეში, ადგილი არ ჰქონია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაქტს ადგილი აქვს ისეთ ცდის პირების მიმართაც, რომელთაც პირველ სერიაში მნიშვნელოვანი რიცხვი მოგვცეს „თანასწორის“. თუ შევადარებთ პროცენტულად პირველ სერიაში მიღებულ „თანასწორის“ რიცხვს მეორე სერიასთან, განსხვავებას აშკარად დავინახავთ (შეად. № 3). „შეეთომა“ გაცილებით უფრო ნაკლებად იჩენს თავს მაშინ, როცა ცდის პირებზე არ მოქმედობს, როგორც „შთამაგონებელი“ ფაქტორი კოლოფების სილიდე.

№ 3.

ცდის პირი	I-ლ სერიაში	II სერიაში
ნივ. დარ.	10%	17%
ბრეგ. ალ.	30%	62%
თუთ. ვ.	41%	69%
გულ. ივ.	25%	54%

თუ შევადარებთ აქ მიღებულ შედეგებს წნეხითი კოეფიციენტის შესახებ იმას, რაც მიუღწერა და შუმანმა მიიღეს სიმძიმეების შედარების დროს, ერთგვარი განსხვავება მაინც აღმოჩნდება. თუ ჩვენს ცდებში მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა დიდი საგნის წოლეთი შთაბეჭდილება უფრო მეტად ფასდება ვიდრე პატარასი, ასეთ მოვლენას სიმძიმეთა მიმართ წარმოებულ ცდებში ადგილი არა აქვს. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

პასუხისათვის მყისვე ყურადღებას იპყრობს თვით ცდების დაყენების განსხვავებული წესი ერთსა და მეორე შემთხვევაში. როგორც იყო ნათქვამი, მიუღწერსა და შუმანს პირველ რიგში აინტერესებდათ არა თვით ფენომენის არსებობის დადასტურება, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, არამედ იმ ფაქტორების აღმოჩენა, რომელიც ამ ფენომენს საფუძვლად უდევს. ამისთვის მიზანშეწონილი იყო ხელოვნურად — ვარჯიშობის საშუალებით — ისეთი პირობების შექმნა, სადაც ეს ფენომენი უფრო მეტის სიმძლავრით გამოაშკარავდებოდა. ეს გარემოება მათი შრომის სათაურიდანაც ჩანს: Über die psychologischen Grundlagen der Vergleichung gehobener Gewichte. თუ ჩვენ, მაგალითად. ავიღებთ და ცდის პირს მივცემთ მარჯვენა ხელში ასაწევად 676 გრ — და მარცხენაში 2476 გრ — და უკანასკნელ სიმძიმეს, მის რამოდენიმეჯერ აწვეის შემდეგ (30 ჯერ), ცდის პირისათვის შეუქმნელად შევცვალოთ 826 გრ. სიმძიმით, აღმოჩნდება, რომ ეს სიმძიმე ცდის პირს ნაკლებად მიაჩნია, ვიდრე ძირითადი სიმძიმე-676 გრ. მარჯვენა ხელში. და ეს გასაგებია, როგორც შედეგი ვარჯიშის, ხელოვნურად შექმნილი მოტორული განწყობისა. აკად. ბეტერევი¹⁾ შემდეგნაირად ხსნის ამ ფაქტს: „რომელიმე განსაზღვრული მოძრაობის ხშირ გამეორებისას იქნება შესაფერისი მოძრაობითი იმპულსი. ამიტომ 247 გრ. სიმძიმის მრავალჯერის აწვევისას, იმპულსი არის სკმარისი ამ სიმძიმის აწვევისათვის,

¹⁾ Беттерев, Основы основ рефлексологии человека, 3 изд. стр. 335 (ბაზი ჩემია).

მაგრამ მეტად ძლიერია 826 გრ. სიმძიმისათვის, ამის გამო იგი ამ შემთხვევაში უფრო მსუბუქი გვეჩვენება, ეიღრე სიმძიმე 626 გრ." „ეს მოძრაობითი განწყობა და მოქმედებულება ვარჯიშზე“, ავტორი სამართლიანად მიუთითებს აქ ვარჯიშის წინაშენალობაზე. ის განსხვავება შედეგებში, რომელზედაც ზევით იყო ნათქვამი, უნდა აიხსნას უმთავრესად ვარჯიშის გაყვლინით.

ჩვენ ცდებში ასეთ ვარჯიშს (ხელოვნურად განწყობის შექმნას) არ ჰქონია ადგილი. რამდენიმე ცდა, სხვადასხვა სიდიდისა, მაგრამ ერთი წონის საგნების სიმძიმის კოეფიციენტის შედარებისა ააშკარაებებს, რომ პატარა საგნის მეტად დაფასებას ყოველთვის არც სიმძიმის აწევის დროს აქვს ადგილი, და რომ მეორის მხრივ აქაც, როგორც წოლის შემთხვევაში, ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენას ე. ი დიდი საგნის სიმძიმის მხრივ მეტად შეფასებას. ვარჯიშით განწყობულ განწყობას სწორედ ამ უკანასკნელი მოვლენის გაუქმება უნდა მიეწეროს და არა მთლიანად „სიმძიმის ილუზიის“ შექმნა, როგორც ეს ბებტერევის ჰკონია: პატარა საგნის მეტად დაფასების შეცომაას ადგილი აქვს მაშინაც, როცა არაერთი ვარჯიში საგანებოდ იმპულსის შექმნისათვის არ ყოფილა¹.

ცდების მსვლელობაში გამოირკვა კიდევ ერთი გარემოება: პირველ ცდებში ნორმულ საგნისადმი პირველ შედარებისას სრულიად არა აქვს ადგილი ნიშანს — და ძალიან ბევრი შემთხვევაა ისეთი, რომელთაც + -ით აღვნიშნავთ. თუ შევადარებთ მაგ. რამოდენიმე პირის მიერ მიღებულ შედეგებს ცდების მოელ ჯამისას და იმ შედეგებს, რომელნიც პირველ შედარების დროს იქნა მიღებული, განსხვავება მაშინვე თვალში გვეცემა (იხ. ცხრილი 4).

№ 4.

ცდის პირი	ყველა ცდების შედეგები %-ში			პირველი ცდების შედეგები %-ში		
	+	-	=	+	-	=
ვაშ. ერ.	52%	22%	26%	86%	0%	14%
ნიკ. დ.	79%	11%	10%	84%	0%	16%
თუთ. ვ.	30%	26%	44%	71%	0%	29%

რით უნდა აიხსნას ასეთი ფაქტი? უეჭველად აქ ჩვენ საქმე გვაქვს შედარების ნიადაგზე წარმოშობილ გართულებულ ფაქტორების მოქმედებასთან. თუ რა არიან ეს ფაქტორები და როგორია მათი წარმოშობა და მოქმედება საინტერესოა, განსაკუთრებით, შედარების საერთო თეორიისათვის. ჩვენი ცდების ნიადაგზე კი იმდენი საბუთი არ მოიპოვება, რომ რისიმე გარკვეულად თქმა

¹) Cp. cit. S. 335. საინტერესოა, რა შედეგს მოგვეცემდა, ჩვენ მიერ წარმოებულ ცდებში-დაც ხელოვნურად შექმნილ განწყობის მოქმედება რომ შემოგვეტანა. ვარჯიშის წინაშენალობის დადასტურება პატარა საგნის მეტად შეფასების სასარგებლოდ იქნებოდა კიდევ ერთი ზედმეტი საბუთი, რომ ილუზიის ფენომენი წნეხით შთაბეჭდილებაშიდაც მიგველო.

შეიძლება აღეს ამის შესახებ. ჩვენი პირდაპირი მიზანი არც იყო შედარების ფსიქოლოგიაში რაინეს შეტანა ამ ცდებით და ამიტომ წარმოებულ იქნენ ისეთი ცდები. სადაც თავიდან იქნებოდა აცილებული ხსენებული გართულებანი. ბუნებრივი გზა ამისათვის იყო მხოლოდ ერთი შედარების ნიადაგზე ცდების წარმოება. და რადგანაც შედარება ხდებოდა ერთჯერ, იგი მრავალ პირზე უნდა მომხდარიყო. მასიური ცდის მოსაწყობად მოწყველ იყვნენ ცხრა წლედის მოწაფეები — რიცხვით 28 კაცი, წლოვანობით 14-18 წლ. ცდა ხდებოდა იმავე წესით, რა წესითაც მიმდინარეობდა ცდების პირველი სერია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ თვითველ პირზე ხდებოდა კოლოფების შედარება მხოლოდ ერთჯერ. შედეგებმა სავეებით გაამართლეს მოლოდინი: პატარა საგნის წნეხითი კოეფიციენტის მეტად შეფასებას აქ უფრო მეტ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, ვიდრე აშინ, როცა ცდა ერთსა და იმავე პირზე ხდებოდა რამოდენიმეჯერ (6-12-მდე). მიღებულ იქნა შემდეგი საერთო შედეგი: $\frac{+}{-} = 71\% : 15\% = 14\%$. უზრადლებას იპყრობს განსაკუთრებით ის გარემოება, რომ რაც მეტია ნორმულ კოლოფსა (ამ ცდებში ნორმულად აღებულ იქნა კოლოფი, რომლის სიმაღლე უდრის $\frac{1}{2}$ სანტ.) და შესადარებელს შორის განსხვავება სიმაღლეში, საერთოდ, მით მეტია + ნიშანი და ნაკლები — ნიშანი. (იხ. ცხრ. № 5). ამ შედეგების ნიღბის შეპდგ აღარ იყო საჭირო ცდების გაგრძელება; ფაქტი პატარა საგნის წნეხითი კოეფიციენტის მეტად დაფასებისა — დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

№ 5.

კოლ. სიმაღლე.	+			სულ.	პროცენტუად.		
	+	-	=		+	-	=
10 ს. მ.	24		2	28	86%		
9 ს. მ.	24	3	1	28	86%	11%	3%
7 1/2 ს. მ.	18	4	6	28	65%	14%	21%
6 1/2 ს. მ.	18	6	4	28	65%	21%	14%
5 ს. მ.	15		6	28	54%		22%
3 1/2 ს. მ.	20	4	4	28	71%	14%	15%
სულ.	119	26	23	168	71%	15%	14%

4. თეორიული დასკვნები.

ჩვენს წინაშე ისმის შემდეგი ამოცანა: რას ამბობ ეს ფაქტი იმ თეორიებისათვის, რომელნიც შემუშავებულ იქნენ მსგავსი მოვლენის ასახსნელად სიძიმის განცდის სფეროში?

ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ნოტორული განწყობის თეორია, რომელიც მოგვცეს ზემოთ დასახელებულ გაოკვლევაში გ. მიულერმა და შუმანმა¹⁾.

¹⁾ G. E. Müller und Schumann. Ueber die psycholog. Grundlagen der Gewichte. Pflügers Archiv B. 45. 1889.

მთავარი ხაზები ამ თეორიისა შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: ორი სიმძიმის შედარების დროს ჩვეულებრივ გამოცდილებაში თვითთვის მიმართ ჩვენ ვაზნადებთ შესაფერ იმპულსს, რომლის ძალაც არ ვიცით, ვინაიდან არ არსებობს ინერჯაციული შეგრძნებები¹. სიმძიმეებზე ემსჯელობთ არა იმ იმპულსის სიძლიერის მიხედვით, რომელსაც მოვიხმართ ამა თუ იმ სიმძიმის ასაწევად, არამედ იმ ეფექტისა, რომელიც სიმძიმის აწევის ხასიათს გამოხატავს. რა არის საზომი ამ ეფექტის შეფასებისთვის? წარსულის ნიადაგზე გვიქმნება შეხედულება, რომ ის საგნები, რომელნიც ალების დროს სწრაფად ჰშორდებიან ნიადაგს, უფრო მსუბუქია ვიდრე ისინი, რომელნიც წელის სიჩქარით აიღებიან. ამისდა მიხედვით ვფასებთ საგანთა სიმძიმეს². მაშასადამე არსებობს ერთგვარი მასშტაბი ჩვენი დამოკიდებულებისა საგნებისადმი: ღიდი საგნებისათვის მეტ იმპულსს მოვიხმართ და პატარა საგნებისთვის პატარას. რომ არსებობდნენ ინერჯაციული შეგრძნებები და სიმძიმეს ამ შეგრძნებათა ინტენსიობის ხარისხით ვაფასებდეთ, მივიღებდით შედეგად იმას, რომ თანასწორი სიმძიმისა, მაგრამ განსხვავებული სიდიდის საგანთაგან პატარას ნაკლებ სიმძიმის კოეფიციენტს მივაკუთვებდით, ვიდრე ღიდას, რაც სინამდვილეში არ ხდება. ურთიერთობა, რომელიც არსებობს საგნის ობიექტურ წონასა და მისდამი განკუთვნილ მოტორული იმპულსის სიძლიერეს შორის, ქმნის იმ მოვლენებს, რომელნიც „აფრენის“ და „დაწებების“ სახელწოდებით არიან ცნობილი. ღიდი იმპულსით აღებული საგანი სწრაფად აღის მალა, იგი „აფრენს“, და ამავე წონის საგანი, რომლის მიმართ, მისი სიპატარავის გამო, მიმართული იყო პატარა იმპულსი, ძლიერ სცილდება მიწას, (kaum vom Boden lösen³. აი ამ ეფექტის აღქმა, რომ განსაზღვრავს ჩვენს განცდას სიმძიმეთა შედარების დროს.

ამ თეორიის შეფასებისთვის საჭიროა ერთი წინასწარი დებულება იქნეს ნათლად წარმოდგენილი, რომელსაც უეჭველად ემყარება იგი. რას ნიშნავს თავისთავად ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ გარჩეული მოვლენა ცნობილია, როგორც სიმძიმის ილუზია, როგორც შემტარი შეფასება? აქ, შეცთომებაზე ლაპარაკს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ მივიღებთ, რომ საგანი თუმცა იწვევს ჩვენში „სწორ“ განცდას, მის ობიექტურ სიმძიმის ადეკვატურ შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს „ქვეშაირტება“ ჩვენთვის იფარება იმ თანხლებ ნიშნებით სიმძიმეთა აწევის დროს, რომელნიც „აფრენა“ და „დაწებებით“ გამოითქმება. მაშასადამე, ნაგულისხმევია, რომ განცდას თუმცა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამოიზიანებული, მაგრამ ჩვენ ამის დანახვის საშუალებას არ გვაძლევენ დამატებითი შთაბეჭდილებები. ცხადია, რომ თვით განცდის მიმართება გამოიზიანებლისადმი აქ ნაგულისხმევია, როგორც კონსტანტი. ამ თეორიიდან უშუალოდ გამოდინარეობს აგრეთვე ის, რომ თუ შესაძლებელი იქნება მოხპობა იმ თანხლებ ნიშნების, რომელნიც, თითქოს, ხელს გვიშლიან „ნამდვილი“ განცდა მივიღოთ, ილუზიასაც აღარ ექნება ადგილი. ჩვენი ცდების პირდაპირი შედეგი კი ამ დას-

¹ იქვე, გვ. 56.

² იქვე, გვ. 57.

³ იქვე, გვ. 62. ეს მოვლენა ფეხნერმა აღნიშნა, როგორც „უარყოფითი წონა“.

კენის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. წნეხით შეგრძნებებში აბსოლუტურად განორიციხულია ის ნიშნები, რომელნიც მიუღწერის და შუმანის თეორიის თანახმად ქმნიან „ილუზიას“, მაგრამ ამის მიუხედავად „ილუზია“ მაინც არსებობს. „აფერენის“ და „დაწებების“ მოვლენებს ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს, და თუ ფაქტი „შეცთომისა“ მაინც არის. იგი სხვანაირად უნდა აიხსნას.

როგორც აღნიშნული იყო, ხსენებული თეორია აშენებულია სიმძიმეთა ნეფასების იმ მოვლენების საფუძვლებზე, რომელთაც მხოლოდ ამ სტეროში აქვთ ადგილი, და რამდენადაც შესაძლებელია მსგავსი „ილუზია“ სხვა სფეროშიდაც აღმოჩნდეს, სადაც ეს სიმძიმეთა შემთხვევაში არსებული მოვლენები არ არიან, იმდენად ეს თეორია საეჭვოა. მთელი რიგი დაშვებათა (აბსოლუტური შთაბეჭდილება¹, მოტორულ განწყობების სხვადასხვაობა — სხვადასხვა სიდიდის საგნების მიმართ, მკიდრო ასოციატური კავშირი სინსტრუქსა და „აფერენის“ ფენომენს და სიმძიმესა და „დაწებებს“ შორის), რომელიც დასკირდათ მიუღწერსა და შუმანს სიმძიმის „შეცთობათა“ ასახსენლად. სრულიად ზედმეტი იქნებოდა, რომ ისინი ერთჯერ მაინც შეეცებულოყვენ ე. წ. Konstanzhypothesეს სისწორეში. არის თუ არა სწორი ფორმულა: განსაზღვრული გამლიზიანებელი, — განსაზღვრული განცდა, — უცვლელი გამლიზიანებელი — უცვლელი შეგონება? დღეს ბევრი ლაპარაკობს ამ ფორმულის წინააღმდეგ, მაგრამ იგი მაინც ბევრგან შეუგნებლად თუ შეგნებულად მაინც მოქმედებს, და ეს რწმენა კონსტანტობის ჰიპოთეზისა ჯერ კიდევ იმდენად მტკიცეა, რომ ამის გასამართლებლად და ამის საფუძვლზე მთელი რიგი საეჭვო მოსაზრებათა იქნა შემუშავებული. ს. კრავკოვი მაგ. არჩევს სიმძიმის „ილუზიის“ ფაქტს და შემდგენიარად ხსნის მას: „ქეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს იქნება არა ცნობიერ გონებრივი დასკენის დაშვება სიმძიმეთა შემდარებელ სუბიექტის მიერ. სახელდობრ: იცის რა გამოცდილებიდან, რომ ერთ მასალიდან გაკეთებული საგნები (როგორადაც გეეჩენება ჩვენ მოცემული ცილინდრები) მით უფრო მსუბუქია, რაც პატარაა — ის ამის მიხედვით ადარებს რა მიცემულ ცილინდრების სიდიდეს, აგზაენის იმპულსს თავის ხელში. ვაგზაენილი იმპულსისა და ობიექტური სიმძიმის ურთიერთობიდან იქმნება სიმძიმის შეგრძნება და იმის ილუზია, რომ ყველაზე პატარა ცილინდრი (რომლის ასაწევად განკუთვნილია ყველაზე მცირე იმპულსი) ყველაზე მცირეა.“ გარდა ამისა ავტორი მიუთითებს იმაზე, რომ ასოციატურად ამ მოვლენის ახსნა შეუძლებელია და რომ აქ უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ შედარების და დასკენების აქტები². პატარა საგნის წნეხითი და სიმძიმითი კოეფიციენტების სიდიდე არ არის რასაკვირველია დასკვნა, არამედ იგი უშუალოდ განიცდება და ისეთივე რეალური ძალის მქონეა, როგორც სხვა „ნამდვილი“ განცდები. რომ ამ შემთხვევაში თვითდაკვირვების ნიადაგზე არაფითარი დასკენის დადასტურება არ შეიძლება, კრავკოვი მაც კარგად იცის, და ამიტომ ანას არა ცნობიერ

¹) მესსერი სამართლიანად მიუთითებს იმის გარკვევის საკიროებაზე, თუ რას წარმოადგენს ეს აბსოლუტური შთაბეჭდილება ფენომენოლოგიურად და გენეტურად (Psycholog. ზგ. 167, 1922).

²) С К р а в к о в, Самооб.лющене, 1922. გვ. 37.

რის სტეროში გულისხმობს. და ეს ჰიპოთეტური დაშვება ხდება დოგმატურად ნიღბულ კონსტანტობის ჰიპოთეზის გამართლების მიზნით. ჩვენ შეგვეძლო კიდევ ვავყოლოდით აზრთა ამ მიმდინარეობას და დაგვესვა კითხვა ამ არაცნობიერი დასკვნების ბუნების შესახებ. აქ კვლავ რომელიმე ჰიპოთეზს შემოგთავაზებდნენ აოაცნობიერის დანკველები და ასე მივიღებდით დაუსრულებელ ჰიპოთეზთა რიგს, და ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ჰსურთ აღიარონ ვრანობადი შინაარსის ცვალებადობა გამლიზიანებლის და ალგზნების უცვლელობასთან. გამლიზიანებლით და ალგზნებით არ არის საბოლოოდ განსაზღვრული განცდაც. უკანასკნელის საბოლოო გამოკვეთვისათვის თვით სუბიექტს აქვს მნიშვნელოვანი როლი. მარტო იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა მოქმედებს და ან როგორ მოქმედებს, არამედ იმასაც თუ რაზე მოქმედებს და როგორ უსურებს სუბიექტი იმას, რაც მასზე მოქმედებს, როგორც გამლიზიანებელი. თუ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი ეს ურთი-ერთობა სუბიექტსა და მასზე ნომბდარ მოქმედებას შორის, ფსიქოლოგიის ძირითად საკითხს წარმოადგენს, რომელზედაც მხოლოდ ჩვენი ცდების ნიადაგზე დგომით არაფერი გარკვეულის თქმა არ შეიძლება.

დასასრულ დიდად პატივცემულს ჩემს მასწავლებელს პროფ დ. უზნაძეს თემის მოცემისთვის და განუწყვეტლივ იდეურად ხელმძღვანელობისათვის ეუძღვნე დიდს მადლობას. მადლობის ღირსი არიან აგრეთვე ჩემი ცდის პირები, რომელთაც არ დაიზარეს საკმაოდ ხანგრძლივ ცდებში მონაწილეობის მიღება.



ქ. თოფურია.

სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში¹.

ა. სახელობითი ბრუნვა.

როგორც პროფ. აკ. შანიძემ აღნიშნა, სვანურ სახელებს წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნია: ორისავე ბრუნვის ნიშანი ნულთაა წარმოდგენილი. ანალოგიურ მოვლენას ვამჩნევთ ზოგიერთ თანამედროვე ქართულ დიალექტსაც, სახელობრ: ხევსურულსა და ინგილოურს. ნაგრამ ხსენებულ კილოებში ეს მოვლენა რომ შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა, მტკიცდება იმით, რომ ძველს ქართულში სახელობით ბრუნვას თავის საკუთარ დაბოლოებად ი მოეპოვებოდა, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში თანხმომენიან ფუძეებს² შეუხორცდა ისე, როგორც ეს მეგრულში მოხდა და ამით გაბატონებულ იქნა სახელობითი ბრუნვა, ხოლო ხმოვნიან ფუძეებს² მოეკვეცა და ამითვე წრფელობითი ბრუნვის ხშირ ხმარებას მიეცა დასაბამი. ამდენად ახალს ქართულსა და მეგრულში ეს ფორმით განსხვავებული ორი ბრუნვა ფუნქციით ერთნენთს შეხედა და დღეს თანაბარ მოვალეობას ასრულებს; ხევსურულსა და ინგილოურში კი ფუნქციური იდენტობას ფორმალური მსგავსებაც დერთო, ოღონდ სახელობითი ბრუნვის ნაცვლად წრფელობითი მოგვევლინა. სვანურიც ასე მოქცეულა. ამიტომაც, რომ იქ სახელთა უმრავლესობა თანხმომენიანი ფუძეებით გვხვდება. მაგრამ სვანური რომ დასახელებულ კილოებთან შედარებით უფრო შორს არის წასული და სახელ. ბრუნვის — ი დაბოლოებასთან ერთად ფუძისეული ხმოვანიც აქ:

1) წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1926 წლ. 28 დეკემბერს.

2) სიმოკლისათვის თანხმომენით დათავებულ ფუძეს თანხმომენიან ფუძეს, ხოლო ხმოვნიან დასრულებულს — ხმოვნიან ფუძეს ევძახით, თუმცა მასაკმაო უხერხულობა ახლავს თან.

მოკვეცილი. ჩანს იქიდან, რომ ხმოვნინი ფუძეები ქართულ-მეგრულ (-ქა-ნღ-რ)თან შეფარდებით სვანურში მცირე გვხვდება, თუ კი, რასაკვირველია, ხმოვნებს—როგორც ფორმალ კუთვნილებათ—გამოვირიცხავთ. აი რამოდენიმე ნიმუში:

ფუძისეული: -ა	-ე	-ი	-უ
ღანს ქალიშვილი	ბაღე ფოთოლი	კუდი შალი	ფუტუ ხერელი
ღერს გაყინული თოვლი	ტყარე ტყავი თე თვალი	ტყაში ქალი	ტყნუ პატარა ქოთანი
ჰ ფიქალი (ქვა)	მარე კაცი	ტელფი (მცენ.) ში ხელი	ჭანუნიშა, შუბლზე თეთრი ნიშანი, და სხვადასხ.
პანსა ნეკი	ფხუღე თითი		
კანა ნაჯახი	ქანე სახელი		
შარა წისკვილის ქვა	ღანსე ქონი		
ჩერშა კვირის-თავი	ღანსე ფრთა		
ტაყნა (მცენ.)	ეჭიფე ღვიძლი		
ჭანს მაჯა	წანსე ფესვი		
	ღანსე სათიბი		

თქმულისდა კვალად კითხვა იბადება თუ: 1. რა დაბოლოება უნდა ჰქონოდა სვანურ სახელებს სახელობით ბრუნვაში და 2. რომელი ფუძისეული ხმოვანი (-ა, -ე, -ი თუ -უ) უნდა იყოს მოკვეცილი? თავის წერილში პროფ. აკ. შანიძე შეეცადა პირველი კითხვისათვის სათანადო პასუხი გაეცა. მისი აზრით: „ქართულში სახელობითის ნიშნად ი გვაქვს, რომელიც „იგი“ ართონის ნაშთი უნდა იყოს. სვანურად „იგი“ არის ეჭი ანუ ეჭა და ამიტომ სვანურშიც სახელობითის ნიშნად ამ ეჭა'ს ანუ ეჭა'ს შემოკლებაა მოსალოდნელი, თითქო ე“ (უმლაუტი სვან., გვ. 214). ამას მან გამართლებაც კი მოუპოვა ხალხურ ლექსებში. რაც შეეხება მეორე საკითხს, ამის შესახებ მასვე გაკვირთა აქვს ნათქვამი: „ჯერ კიდევ ნათლად არა ჩანს, თუ რა დამოკიდებულებაა ამ «უტყვე» (ა ე ი) ხმოვნებს შორის და რას უნდა მივაწეროთ მათი ხმარება ლექსებში. შეიძლება მართლაც აღმოჩნდეს, რომ ერთი მათგანი (ი ან ე) განსაზღვრული ნომინატივის ნიშანი იყოს, სხვები კი ფუძის მოკვეცილი ბოლოკიდური“ (ib., 220; დაწვრილებით: აკ. შანიძე, უმლაუტი სვანურში: „არილი“ პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, გვ. 218—220). მაშასადამე, პასუხი ასე თუ ისე გაცემულია. ახლა ჩვენი მიზანია დასმული საკითხების გადასაჭრელად ლიტერატურა-

ში არსებული მოსაზრებების ან მიღება ან უარყოფა. მაგრამ ვიდრე პირდაპირ საკითხის განხილვაზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია გაცერით მაინც სვანურ უმლაუტს შევეხო, რადგანაც მის გაუთვალისწინებლად ქვემო მსჯელობა ბუნდოვანი და არადამაჯერებელი იქნება.

„უმლაუტს სვანურში“ პროფ. აკ. შანიძემ მშვენიერი გამოკვლევა უძღვნა (დასახელებ. წერილი, გვ. 171-231), სადაც უმლაუტთან დაკავშირებით წამოკრილი ყველა საკითხი აუარებელი ფაქტებით ჯეროვნადაა გაშუქებული; ამიტომ უმლაუტის შესახებ ჩვენ აქ ლაპარაკი არ მოგვიხდება, მხოლოდ დებულებებს დავესესხებით: უმლაუტი — ერთ-ერთი ძირითადი ფონეტიკური მოვლენაა სვანური ენისა, რომელიც ასხევეებს მას არა მარტო მისი მოძვე ქართულ-მეგრულისაგან, არამედ თვით სვანურ კილოვბსაც ურთიერთს უპირისპირებს. უმლაუტობა ახასიათებს არაგრძელ ა ო ჟ და გრძელ ო ო ხმოვნებს; გვაქვს: ო ო ო; ო ო ო. ორი უკანასკნელი უფრო ხშირად ო ო (= ო ო) ო ო (= ო ო) და ო ო (= ო ო) ო ო (= ო ო) სახით გამოითქმის და ჩვენც გრაფიკულად ასე გამოვცემთ. „უმლაუტების წარმოშობას განსაზღვრული ფონეტიკური საფუძველი აქვს,—ეს გახლავს ენისა და განსაკუთრებით კი ო ო-ის გავლენა. გავლენისათვის კი საჭიროა, რომ საუმლაუტო ხმოვნიან მარცვალს უშუალოდ მოსდევდეს ო ო-იანი ან ე ო-იანი მარცვალი, სადაც უმლაუტის გამომწვევი ხმოვანი ე ან ო შეიძლება ფაქტიურად კიდევაც იყოს, ან არა, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მარცვალთა ურთიერთობა. მაგრამ თუ ფაქტიურად მეუმლაუტე ხმოვანი არ არის, თეორიულად იგი მაინც უნდა იგულისხმებოდეს, ე. ი. შეიძლება ამოღებული იყოს რედუქციის გზით“ (ib., 171-175)... აი რამოდენიმე მაგალითი:

კუჭში ქადი

ხმოვნის ამოღებით:

ღაჭი თესლი

შის ნახშირი: ხაჭში ვწეავ

ღაჯელ დღე: ღაღღიშ

ღაჭაჭი ზღურბლი

“ეიმ [სი-ემ-ილი; მეგრ. ეუმ-ენი

ჭემ თივა: ჰჭემ თიბავს

ჭაჭი ცალიერი

(წყურილი) ჰემე ახზობს

ტუბდი თბილი: ჰტ-

ტის: ჰტხე აბრუნებს

ბიდე ათბობს

„ე ო-ნი, როგორც ისედაც საკმაოდ ვიწრო ხმოვანი, უფრო ნაკლებად განიცდის დავიწროებას, ვიდრე ო ან მით უმეტეს ა. იგი ჩვეულებრივ მაშინ არის ხოლმე დავიწროებული, როცა უმლაუტის გამომწვევი ო ო-ნი თვითონ დაკარგულია რედუქციის ძალით. ამიტომ გვაქვს:

სუბი ცეკავს სჷბდა (სუბიდა) ცეკავდა, სჷბდჷს (სუბიდაჷს) ცეკავდეს.

ტჷლი იძახის ტჷლდა (ტჷლიდა) იძახდა“ და სხ. (ib., 177-8)... და ამიტომაც არის, რომ უშუალოდ გვხვდება:

ჷ:		
ჷული შალი		მჷრგჷი (მცენ.)
ღჷხჷრა საცოლე		ბჷრღჷი (მცენ.)
ფჷგჷი მშრალი		მჷსჷლი გვირილა და, სხ. ¹

მაშასადამე, უშუალოდ გამომწვევი ი თუ უმეშვეოდ მოსდევს ა || ან თ || რ.ს, მაშინ წინამავალ ხმოვნებს დაავიწროებს და მოგვეცემს || ს.სა და ა || რ.ს, ხოლო თუ რედუქციით ამოღებულია, მაშინ ამათ გარდა უ || ჷ.ზედაც მოქმედობს და გვაძლევს უ || ჷ.ს. ე კი ბალსზემოურის მხედვით უთუოდ ამოღებული უნდა იყოს, რომ მან მხოლოდდამხოლოდ აზე მოახდინოს გავლენა და წარმოგვიდგინოს. ასეთია მოკლედ საქმის ვითარება სვანურში და ასე აქვს იგი უშუალოდ ავტორს განხილული. გადავიდეთ სახელებზე.

I

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელთა უმრავლესობა სვანურში თანხმონიანი ფუძეებით არის წარმოდგენილი, რომელთა ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში ძალიან გავრცელებულია უშუალოდ, „იმდენად გავრცელებული, რომ პირველი შეხედვით კაცს ეგონება, რომ სვანური ნეტყველების ფიზიოლოგია ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში ვერ იძენს ფართო ა თ ხმოვნებს და ავიწროებს მათო. ეს მოვლენა ვრცელდება, როგორც წმინდა სვანური ჩამომავლობის სიტყვებზე, ისე სხვა ენებიდან ნასესხებზედაც“... (გვ. 215).. აი თვით ფაქტი:

ბზ ბარი	თზ ჩირქი	შდჷმ (მცენ.; იქმება)
თჷ სიცხე	ჷუმჷ საქონელი	ჷჷნ ქონი
აფხაზ აფხაზი	ღზრტე სარტყელი	სჷჷ ცხენი
ბსე მარწყვი	მჷკერ მკლავი	ძინარ დილა
ბჷ ნაბიჯი	მინკ მანკი	ჷსლჷმ (სოფელია)

¹) იშვიათად თ'ც უშუალოდ -ი'ს წინ: დღლი (მცენ.); სკნდი ღრმა: ჷრდი [ჷჷქდას] გრძელი...

განჯ ჟანგი	ტან ბრალი	სან ლორი
დანს სუსტი	დანი ნაბადი	ქან მუცელი
ჟანგ აზნაური	ჟან ყავარი	ქან ხარი
ზანგლანჯ ხარი	ჭანქან კული	ჭან ვარცლი...

ან:	ჟი:	
გუმე საქმე	ბინტე ნისლი	რომ მოყვანილ მაგალითებში
გუმეს გოკი	გუნი წაბლი	უმლაუტი გვაქვს. მტკიცდება
გუნი ეშმაკი,	დუნ რთვილი	იმით, რომ თუ მათ მრავლ.
გულთმისანი	ჟისგუ ვაშლი	რიცხვში გადავიყვანთ, მაშინ
ჟერ მიწა	ჟიქმ უქმი	ჟეს ნაცვლად ყველგან ო და
ჟერბ ორბი	ჟიშქე პირისახე	ჟ ჟის მაგიერ უ აღგვიდგება:
ჟეგ ბზე	ჟიშდ წიხლი	გუმე გოშან
დჟებ სკა	თხეიმ თავი	გუნი გოჯან...
ქუმე ტარი (ფო-	კუმე საჯდომი	ჟიშქე : უსქუნ
ცხის და სხვ.)	ჯირკი; მეგრ.	დუნ დუნან
ეშედე კერის გარ-	„კველა“	ჟისგუ : უსქუნ...
შემო აღგილი	კუნიშან კვირტი	
ქუნერ ყვავი (ერთვ.)	მუნქე რქა	
გუმე გომი	ქუნიუ ჩიყვი...	
მედურანს ლოკო-		
კინა...		

სამივე შემთხვევისათვის მაგალითების მოყვანა შემგძლო უამრავად, მაგრამ მათ ქვემოთ მოვიტან.

რამ გამოიწვია აქ უმლაუტი? ნუ თუ იმან, რომ მარცვალი დახუ-
რულია? პროფ. აკ. შანიძემ ცხადყო, რომ მარცვლის დახურვა აქ
არაფერ შუაშია: „არის შემთხვევებიც, სადაც შეიძლება ისეთი სლფი-
ქსიკ დაერთოს, რომ მარცვალი გაიღოს, მაგრამ უმლაუტი მაინც და-
რჩეს: ტანტურ უხელო“ (გვ. 217) ანდა არის მრავალი სიტყვა, რომელთაც
ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში არავითარი უმლაუტი არ გააჩნი-
ათ, მაგ.:

ან:	ო:	ჟი:
ამანე მტერი	კან ახალუხი;	ჟოდ მყინვარი
აფხუ ბაყაყი	კაბა	(უმდნარი თოვ-
ამხალ შტო	კან ფთილა	ლი მთახე)
ბან მლედელი	კან კალა (სო-	შოდ ახა
		საუდ მონატ-
		ვრა (?)
		ტუუბულ სოკო
		ფუნს (ფუნს)

ბარჯ ბეკი	ფელია)	ნაბოზ საღამო	ბატონი
გაღან ვალი	ღახუ მთა	ურ კარი	ქუთუქ მუხლი
ბეზალ შვილი	მასალ ცოდნა	ეზუ კოვზი	უშგულ (სოფე- ლია)
გარდ წრე	სტამან სტამანი	ჭორ სახლი	
ჭად ნატვრა	სკარხალ სეტყვა	ფოუ თემო	ნათხუმ ნათავე- რი, და სხ.
ზუნალ ქალი	სარავ წყარო	როგუ ცერცვი	
თანად მთა	ფაუქ ქუდი	კოჯ კლდე	
ანსაუ სიზმარი	ქათალ ქათამი	მორ მორი	
ცხამ ღვარძლი	ღახუ ორსული...		

მაგალითები ამისთვისაც საკმაოა.

მაშასადამე, თანხმობიანი ფუძეები ორ ნაწილად იყოფიან: პირველ ჯგუფს შეადგენენ ის სახელები, რომელთაც დახურულ მარცვალში უმლაუტობა ახასიათებს, ხოლო მეორეთ ასეთი რამ ამ გააჩნიათ. ამდენად მარცვლის დახურვა-გაღება, ვითარცა უმლაუტობის მიზეზი, უნდა მოიხსნას.

მაშ სად ვეძიოთ მიზეზი პირველი ჯგუფის სახელებში უმლაუტის წარმოშობისა? რატომ არა გვაქვს იგი მეორე ჯგუფისაში?

უმლაუტს, როგორც ზევით ვთქვით, იან რედუქციით ამოღებული ე იწვევს. მაშასადამე, უმლაუტიან სახელებს დაბოლოებად ამ ორი ხმოვნიდან ერთერთი უნდა ჰქონოდა ოდესღაც, რომელიც დროთა ვითარებაში ალბათ მოეკვეცა და შედეგი (უმლაუტი) კი დაგვრჩა. ხოლო უუმლაუტო სახელებს დანარჩენ (ა თ უ) ხმოვანთაგან ერთერთი ჰქონდათ დართული და ის დაეკარგათ. ეს მოსაზრება პროფ. შანიძეს ვინაობის სახელებთან დაკავშირებით უფრო დაბეჯითებით აქვს გატარებული: „ვინაობის სახელებს ძველად ბოლოში -ი სუფიქსი ჰქონდათ, რომელიც წინა მარცვლის ხმოვანზე გაელენას ახდენდა“ (გვ. 215).

მართალია თუ არა ეს? და თუ მართალია, როგორ და რა საშუალებით მოენახოთ ის ხმოვანი, რომელიც თანხმობიან ფუძეებს სახელობით ბრუნვაში მოეპოვებოდა?

მაგალითებზე დაკვირვებამა და მათ სხვადასხვა კონსტრუქციებში მოქცევამ დაგვარწმუნა, რომ:

1. უკეთეს სახელი უმლაუტიანი ია, მას უთუოდ ნათესაობით ბრუნვაში -იშ ფორმანტი გაუჩნდება, ხოლო

2. თუ სახელი უუმლაუტოა, მას იმავე ბრუნვაში -შ დაბოლოება ევლინება. ვნახოთ მაგალითები:

მოვიყვანოთ -ისათვის:

სვია ანქუთან ღაშგარი (2 ₁₁ : ოსეთის ლაშქარი დაიძრა)	ღაშგარი
ქრისდე ზაგარი-ღ თნეჟედი (2 ₁₅ მიმართ. ბრ.: ქრისტეს მთამდე მოვედი)	ზაგარი
იმჟაჟე ტუბი-ღ ამჟედღის (10 ₁₀ მიმართ. ბრ.: სადაც ხევამდე მოსულან)	ტუბი
სგა ჟგვრაგი ჟიმაზურას (20 ₂₂ : თქვენ წმ. გიორგის შევედრიხართ)	ჟგვრაგი
ღუშკადი მინე თოფარე (22 ₂₄ : მოკედლილი მათი თოფები)	ღუშკადი (part. perf. pass., 2, I, C)

ისგან დასწქქემუნე აბჟარის-

აბჟარი

ქაშხან ღანწქქემუნე ატღასი-ს (28₂₄₋₂₅ მიც. ბრ.:

შიგნით ჩაეიცვამ აბჯარს, გარეთ ჩაეიცვამ ატღასს)

ქუა-ჴიშქღარის (sic, 42₂₂ მიც. ბრ.: ხაქაპურ-

ქიშღარს), და ასე სხვა მრავალი Ⴆ.

მაშასადამე, ჩვენი მოლოდინი გამართლდა: ხალხურმა ლექსებ-
მაც დაამტკიცეს აღდგენილი ფორმები. ამით „უტყვი“ ხმო-
ვნების ბედიც გადაწყდა: ისინი ადრინდელი ფორმალი და ფუძისეული
ელემენტები გამოდგენ. პროფ. ა. შანიძის მოსაზრებაჲ: „სადაც პო-
ეზიაში „უტყვი“ ანია, პროზაში იმის წინ ხმოვანი უცვლელია და სა-
დაც „უტყვი“ იანია, იმის წინ უმლაუტს აქეს აღგილი“ (უმლ., გვ. 220),
მართებული აღმოჩნდა. მაშ დაეასკენათ: ყველა ზემომოტანილი სა-
ბუთებიდან გამოდის, რომ უმლაუტიან თანხმოვნიან ფუძე-
ებს სახელობით ბრუნვაში -ი დაბოლოება ჰქონიათ, ხო-
ლო უმლაუტოებს -ა. ეს დებულება ვრცელდება სხვა სახელებზე-

1) მკითხველთ შეუძლიათ დამატებითი მაგალითები ამოკრიფონ Св. мат.'ის
მე-X ტომის მე-II განყ.-დან; მე-XVIII ტ. 91 — 93 გვ., ეგნ. გაბლიანის წი-
გნიდან, გვ. 196—199; 205—213. ყველა ამათ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, სა-
კმაო რიცხვი შეცთომებისა ახასიათებთ. გამონაკლისს შეადგენს არს. ონიანის
„ლუშუნე ამბვარ ლულაშხუ შუმი ნინშჴ“, სადაც ლექსები მოყვანილია 82—86
გვერდზე.

აკად. ნ. მარის მიერ შედგენილ (Извлечение из сванско-русского сло-
варя, Птгр. 1922) ლექსიკონში უმლაუტიანი სიტყვები სისწორით ყველა ვერ
არის გადმოცემული.

დაკ: თუ ნომენს ნათესაობით ბრუნვაში -ი-შ ალუდგება, მაშინ მის დაბლოგებად ნომინატივში -ი უნდა ეივარაუდოთ, თუ -ა-შ, მაშინ — ა:

III

თითქოს საკითხი გადაწყვეტილია; საძებნი მონახულია და მასალებს შეჯერებული; ამით სახელობითი ბრუნვის დაბლოგება აღდგენილია. მაგრამ ეს ერთის შეხედვით. მართლაც: ნომინატივში -ის არსებობის დაშვებას ხომ უმლაუტი გვიკარნახებდა! უმლაუტის მიღების საკითხში კი მოკვეცილ ე.ს.ს იმდენივე პრეტენზია აქვს, რამდენიც ის! ამ მხრივ მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. შესაძლებლობა ორსავე ამ შემთხვევაში ერთიდაიგივე მოეპოვება. ამდენად -ის სი-მკვიდრე, ვითარცა სახ. ბრ. ფლექსიისა, ე.ს. მიერ შერყეულია. — ეს ერთი.

აგრეთვე -ისკენ ნათეს. ბრ. -ა-ში ელემენტი გვითითებდა. მაგრამ ხსენებული ბრუნვის ერთადერთი მესაკე მარტო -ი-ში არ არის. მას გვერდით, თუმცა არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც, -ე-ში ფორმანტი ევლინება. აი თუნდაც რამდენიმე ნიმუში:

nom.	gen.	nom.	gen.
მე მამა	მე-ე-ში	მიჟ მზე	მიჟე-ში
დი დედა	დი-ე-ში	ღაშს ლაშხეთი	ღაშსე თსუემს (სვან. ტექსტ. ა. ო ნ ი ა - ნ ის ა, 1 ₃₋₄)
ცემ მიწა	ცემ-ე-ში	ღიფ წყალი	ღიფე ჰიღფი (სვან. ტექსტ., 5 ₂₃)
ღეც ცა	ღეც-ე-ში	(ღეცეღწრტე ცისა- რტყელა)	და სხ.

ლექსებიდანაც:

თსუემ თავი თსუმ-ე-ში (ღიწქრად ამკედელი 40₂: საკუთარი სისხლის ალების დრო მოსულა; შდ.
თსუემ-ი ღწქრად მამგნა 10₁: თავი ნასისხლები მგონია);
თსუმ-ე-ში (ი ჭქსე ნესტა: ეგნ. გაბლ., 209₉ თავსა და ფეხს შუა)!...

1) გარდა პირველი ორი (დი, მე) მაგალითისა, დანარჩენები უმეტესს შემთხვევაში ნათეს. ბრ.-ში -ი-ში ელემენტს ირთავენ. მაგრამ ეს შეიძლება ანალოგიას მივაწეროთ.

ესეც ხომ საექვოდ ხდის -ის, როგორც სახელ. ბრუნვის ერთადერთ დაბოლოებას! —ეს შვორე.

შიდილება -ის საწინააღმდეგოდ მესამე უფრო ძლიერი საბუთიც მოვიტანოთ. ხალხური ლექსების შესწავლამ უმლაუტის ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ -ე მრავლ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად გამოაცხადა (გვ. 219). აი თვით მეტყველი სინამდვილე. როგორც მეტიც თქმულს აქვე დაამოწმებს:

„მაგ ღუთიში ყიფიანარე	ყველა რჩეული ყიფიანები
მაგ ღუთიში მახაშარე...	ყველა რჩეული მახაშლები (გვ. 20 ₁₄₋₁₅)
„ნაბდარე ისეჟე ფაჟჟარე...	ნაბდები თქვენი ქულები 2(6 ₃₁)
„აუ, ჰა-ჰა, მასე-ღუჟარე...	აუ, ჰა-ჰა, ახალგაზრდებო ... 12 ₁
„ქაშეშხან ისეჟი ძაჟდარე...	გარედან შენნი ზღუდენი 1, 2 ₅)
„დაღკანს (sic) ისეჟი კანარე...	შეწირული შენი ხარები (1b ₁₀), და სხ.

მაშასადამე, 1. უმლაუტობა ფუძეში, 2. ნათესაობით ბრუნვაში -ე-შ ფორმანტის გამოვლენა და 3. მრ. რ. სახ. ბრ. -ის გამოყენება ხალხური ლექსების მიხედვით, თუ მეტს არა, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ შესაძლებლობას ჰბადებს. რომ სასწორი ე-სკენ გადაეხაროთ და იგი გამოვაცხადოთ სახ. ბრ. დაბოლოებად მხოლ. რიცხვშიაც¹. მაგრამ ესეც ერთის შეხედვით². ჩვენ მიერ საბუთებად გამოყენებულმა ნასესხებმა სიტყვებმა და სიტყვათაწარმოებამ სწორედ ი-ნისკენ მიგვაქცევინეს ყურადღება. ხოლო იგი უმლაუტმა და ნათეს. ბრ.-ში გამოვლენილმა ფორმანტმა შეამაგრეს. კიდევ მეტი: თუ იგი მართლაც სახ. ბრ.-ის ელემენტი იყო, ნუ თუ მან ერთხელაც მაინც ვერ პოვა ადგილი ხალხურ ლექსებში, იმ ლექსებში, სადაც ადრინდელი სახე სიტყვებისა დღემდე დაცულა? ეგების გვითხრან: დაიკარგო. მაგრამ რატომ -ე დაიკარგა და -ა შემოინახა? უკანასკნელი ხომ ნამდვილად გვხვდება: ეკუდაში (გვ. 2₁, ლაშგარი; ზაგარი-დ, ჰოჟერი-დ (გვ. 2); ხარჯი-ს (8); სადგომი (24) და სხ. მაშ რა -ე არის ის -ე-, ნათეს. ბრ.-ის ელემენტი რად ჩნდება? ჩვენ

¹) ამ შემთხვევაში ვსარგებლობ არნ. ჩიქობავას მიერ მოხსენების გამო გამართული მსჯელობის დროს მოცემული შენიშვნით, სადაც ის ცდილობდა მრ. რ.-ის -ე სვანურში ქანურ -ე-სთან ერთად მხოლ. რიცხვშიაც გადმოეტანა და ამით ქართ. -ისთვის მორფოლოგიური ექვივალენტი მოეპოვებინა: სვან. -არ ე = ქან. -ეფ-ე.

²) შიდილება ზემორე მოსაზრება მართლაც ქართველური ენების ბრუნვათა დაბოლოების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლამ გამართლოს; დღევანდელი და დროით ცოტა ადრინდელი სვანურის მიმართ ეს არ გვეთქმის.

იგი უფრო ფუძისეულ ხმოვნად მიგვაჩნია, ვიდრე სახელობ. ბრ.-ის დაბოლოებად. ამას გვაფიქრებინებს ზოგიერთი მათგანის ქართულ-შვედურულთან შედარება. მაგ.: *მიჟ-ე=მზე; *ვიმ-ე (მიწა, ადგილი) შდ. მეგრ. გიშქის (ქვევით: პროფ. შანდიის შენიშვნით); *დო < 1? დეჟე და სხ. რაც შეეხება მრ. რ. -ე'ს, იგი მართლაც ბრუნვითი ფორმანტია და სწორედ სახელ. ბრუნვისა. მაშ როგორ შევეუთანხმთ -ი მხ. რ. და -ე მრავლ. რიცხვისა ერთმანეთს? ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე! კითხვა თითქოს ჩიხში გვაშწუვდევს, მაგრამ გამოსავალიც არის; სვანურის ანალოგიური მდგომარეობა კანურსაც ახასიათებს: იქაც მხ. რიცხვისათვის -ი გვაქვს და მრავლობითისათვის -ე. უკანასკნელის შესახებ კი აკად. ნ. მარი ამბობს: Рядом с -о... в Им. падеже чанский язык обнаруживает и ე.. Судя по Им. падежу мн. числа, где оно восстанавливается в м. -о (ე-ფე в м. ი-ფე), это ე и представляет специальное чанское, я бы сказал—тубал-кайнское окончание Им. падежа (Гр. чан. яз., § 10, b). შენიშვნა მისაღებია, მაგრამ არა დღევანდელი კანურისათვის, არამედ წინარესთვის. დღეს კი კანურში ქართ. -ი არის გაბატონებული: მან მხ. რ.-ში -ე განდევნა. ხოლო უკანასკნელი მრავლ. რიცხვს შეჰჩა¹. მეგრულსა და სვანურშიც ისეთივე მდგომარეობა იქნებოდა ოდესღაც, როგორც კანურის მიმართ არის დაშვებული. მაგრამ ქართ. იმ აქაც თავისი ძლიერამოსილობა გამოიჩინა და მოსალოდნელი -ე შეიწირა; შეიწირა კანურსა და სვანურში მხოლოდ მხოლ. რიცხვში, მაგრამ მეგრულში მრ. რიცხვშიაც მიაყოლა. თუ როდის მოხდა იეს გაბატონება, ან დაშვებული მართალია თუ არა—ეს მომავალი დროისთვის გადაგვიდვია. ისე კი დღევანდელი და, როგორც შენიშვნაში ვთქვით. დროით ცოტა ადრინდელი სვანურისათვის მხ. რ. სახელობით ბრუნვის ფორმალ კუთნილებად ჩვენ -ი მივიჩნით. ეს დაგვიდასტურებს ნასესხებმა სიტყვებმა, სიტყვათწარმოებამ და ხალხურმა ლექსებმა².

¹ აკად. ნ. მარის მრ. რ.-ის სუფიქსის ანალიზს ჩვენ არ ვიზიარებთ. მას -ეჟეჟში პირველი -ე მიაჩნია სახ. ბრ.-ის ელემენტად და ასე ანაწევრებს -ე-ფე (ib., § 18); ჩვენ კი პირუკუ: უკანასკნელ -ეში ვხედავთ ბრუნვით ფლექსიას და ასე ვშლით -ეჟე-ე (შდ. ქართ. -ებ-ი, მეგრ. -ეჟ-ი, სვან. -არ-ე...)

² ამით თითქოს სახ. ბრ.-ის დაბოლოების საკითხი გადაიჭრა: გენეტივში -ი-ში თუ არის. სახელობითში -ის უნდა მოელოდეთ, თუ -ჲ-ში, მაშინ —-ჲ'ს. მაგრამ ყველა სახელის მიმართ ეს არ ითქმის, რადგანაც: როგორც შენიშვნით, ზოგს სახელს შეიძლება ანალოგიით მიეღოს ეს დაბოლოება და ნამდვილად კი სხვა ჰქონო-

IV

ზევით დავასკვნით, რომ ნათ. ბრ.ის -ი-ში ბოლოსართი საშუალებას გვაძლევს, რომ სახ. ბრ.ში -ი ვიგულოთ; ან: ფუძეში უმლაუტი თუ არის. სახელობითში ი უნდა ვიგულისხმობო. ეს ორი მოვლენა ერთმანეთზე მკიდროდ არის გადახლართული; ერთიდან მეორე გამომდინარეობს; უმარავი მაგალითი ადასტურებს და ამდენად დებულება სწორი ხდება. იქმნება მთელი სისტემა. მაგრამ ყველა სუანურ ნომენს თუ განვიხილავთ, აღმოვაჩინთ ისეთ შემთხვევებს, რომელნიც თავიანთი უმლაუტობითა და ნათეს. ბრუნვაში მოსალოდნელი -ი-ში ნაცვლად -ი-ში ელემენტით (უფრო სწორად: ელემენტებით) ჩვენს ამდენი ფაქტით შეჯერებულსა და დადასტურებულ დებულებას შეარყევენ და თვით სისტემას საეკვეოდ გახდიან; აი როგორი შემთხვევებია:

nom.	gen.		nom.	genet.
ბჳ	ბჳ-ი-ში	ქვა	ფჳტჳ	ფჳტჳ-ი-ში ფეტვი
გჳ	გჳ-ი-ში	გემო	ჩჳწჳ	ჩჳწჳ-ი-ში ერქვანი, (მაკი)
გჳ	გჳ-ი-ში	დანა	ქჳნტჳ	ქჳნტჳ-ი-ში მომწიფო მსხალი
ტჳტ	ტჳტ-ი-ში	ქატო	ღჳზჳ	ღჳზჳ-ი-ში ბუზია ერთგვარი
ღჳჳ	ღჳჳ-ი-ში	მღვეი; ჩერჩეტი	შჳწჳ	შჳწჳ-ი-ში მწყერი
ღჳშღჳ	ღჳშღჳ-ი-ში	დათვი	შჳწღ	შჳწღ-ი-ში ხელიკი
ღჳბ	ღჳბ-ი-ში	ყანა	ჩჳჳ	ჩჳჳ-ი-ში ჩელტი (მარხილისა)
თჳჳ	თჳჳ-ი-ში	თოკი	ტჳწჳ	ტჳწჳ-ი-ში ქორი
კჳწ	კჳწ-ი-ში	კაეი (ყვერში)	ჭჳწღ	ჭჳწღ-ი-ში კედელი
კჳტს	კჳტს-ი-ში	წვერი, ბოლო	კჳფ	კჳფ-ი-ში ფრინველია
სჳჳ	სჳჳ-ი-ში	მარხილი	რჳჭჳ	რჳჭჳ-ი-ში კურდღელი
ღჳჩჳ	ღჳჩჳ-ი-ში	ირემი	ჟჳჳწ	ჟჳჳწ-ი-ში არყის ხე, და სხ.
ნედჳტ	ნედჳტ-ი-ში	თიქანი		

და (შდ. ლჳტჳ-ში || დიჳ-ი-ში; გიჳ-ჳ-ში || გამ-ი-ში და სხ.); ანდა: არის მთელი რიგი სახელებისა, რომელნიც ნათ. ბრ.-ში მერყეობას განიცდიან, ან უკეთ: ორსავე ელემენტს იღებენ, მაგ.: მჳჩიჩჳ (მცენ.): მჳჩჩჳ-ი-ში || მჳჩჩჳ-ი-ში (რიყის ქვა): მჳქქჳ-ი-ში || -ი-ში; მაღატ: მალტჳ-ში (იხ. E, c); მაგრამ: მჳზიგ (ჭირი) მჳ-ზგ-ი-ში; ფჳთჳ (თმა): ფჳთჳ-ი-ში || -ი-ში; კჳრს (კიდე, ნაპირი): კჳრბ-ი-ში || -ი-ში. წარმოიღვანეთ, თითო ლექსებშიაც ეგეთივე მდგომარეობაა: თხჳი-ი (10₁) = თხჳ-ი-ს (28₂; თხჳ-ი-ა-დ 2₂); ტჳჳ-ი-ა-დ (10₁₀) = ტჳ-ა-დ (26₁₀)... მაგრამ ასეთი არც ისე ბევრნი არიან, რომ საერთო სისტემა შეარყიონ, ოღონდ საჭიროა სხვა გზით მათი ნამდვილი დაბოლოების აღდგენა.

ესეც კმარა. ფუძეში უმლაუტი და ნათეს.-ში -შ ჩვენი დებულე-ბით დაუშვებელია. მაშ: ან ჩვენი დებულება მტარია, ან მგავლითები არ ეარგა. —ენის ფაქტს ვერ მიეჩქმალავთ. სიტყვების მართლწერა სწო-რია: გამოთქმაში : ისმის. დებულებაც სხვადასხვა საბუთებით შემაგრე-ბულია. ერთმანეთს ვერც შეარყევენ და ვერც გამორიცხავენ. თუ უთან-ხმოებაა, დისპარმონიაა, მათ შორის, ეს ალბათ სხვა ფაქტორს მიეწე-რება. მართლაც: უმლაუტის გამომწვევი „მიზნთა მიზნი“ ი ან ე სრუ-ლებით არა ჩანს; ვერც თეორიულად აღვადგენთ. ფუძისეულ ბოლოკი-ღურ ხმოვნად კი -ა გვევლინება. გენეტივის ელემენტებად -ა-შ-ის პარა-ლელურად (ზოგიერთს გარდა: გ:ტ-ა-შ გ:ტ-ა-შ; შ:ჟ-ა-შ შ:ჟ-ა-შ სტვენა...) -ი-შ არა გვაქვს. მაშასადამე მიზნის სრულებით გამორიცხულია; უმლაუტი კი არის. რატომ? საიდან ან რისგან მივიღეთ? ჯერ მასალა:

1. ენახოთ ნასესხები სიტყვები ქართულ-მეგრულიდან:

- a. ა:ჟ ნაბიჯი = ფურჯი (არნ. ჩიქობავას ჩვენებით)
- | | | | |
|---------|--|----------|--------------------------------|
| ა:ჟ | მღვეი; ჩერჩეტი | ნ:ბ | ნება |
| ა:ჟ:ჟიღ | ღეკეული | ფ:ტუ | ფეტვი |
| თ:ჟუ | თოკი (> თჟუ >
თჟუ metath. >
თ:ჟუ) | უ:ჟ:რ:ჟღ | „ვეერული“ (=ლაფშა) |
| | | წ:ჟრ | წერო (> წერუ >
წ:ჟრ > წ:ჟრ) |
| კ:ჟიარ | კვერი | ტ:ჟღ | კედელი (იხ. ნ. მარი, |
| კ:ჟ | კენკი (კაეი) | | Тубал-кайн. вклад в св.) |
| კ:ჟნ | (მეგრ. ნა-კერ-უა) | უ:არღუ | (მეგრ. ჯერღვი ძარღვი) |
| მ:ჟიკ | მეტეკი | ჭ:ზუ | ეზო |
| ფ:ჟნს | (მეგრ. ფეჟნსი
ფიჩხი) | გ:შ | გემო |
| | | ღ:ღუ | ღედალი ¹ |
- b. ქართ. -ჟბ- სუფიქსიც სახით არის წარმოდგენილი:
- | | | |
|--------------|-----------------|---|
| ანღ:ჟ | ამალღება | (პროფ. აკ. შანიძის ჩვენებით) |
| სიღი მოხსნ:ჟ | სულის მოხსენება | |
| გ:ან:ბ | „გონება“ | (მნიშვნელობა შეცვლილი აქვს
სიანურში) |
| ღიღ:ბ | ღიდება | |
| მ:ჯრღ:ბ | მორიდება | |

¹) მ:ღ:იკ ამათ რიცხვში შედის; მიღებულია სესხების გზით შეღა'სა-გან -ა'ს მოკვეცითა და ე'ს ა'დ გადასვლით, ოღონდ უმლაუტობა არა აქვს შე-რჩენილი.

დიდი და მაგრად შეზრდილი იყო საშვილსნოს კედლებთან (Натансон, Таранецкий). ციკლოპიის არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა აღნიშნული მშობლების რაიმე ფიზიკური ნაკლებობა. მათი დანარჩენი შვილებიც იყვნენ ნორმალურად განვითარებულნი (Элиава Гр., Таранецкий, Натансон, Ильяшевич). გამონაკლისის სახით Otto აღწერს შემთხვევას, სადაც დაიბადნენ ტუქუები: ქალვაეი. ქალი იყო ციკლოპი, ხოლო ვაჟს არც ერთი თვალი არა ჰქონდა. Caradeci თვალყურს ადევნებდა ერთ დედას, რომელსაც ეყოლა ხუთი შვილი და საოცარი ფაქტი აღნიშნა: პირველი და უკანასკნელი შვილი ციკლოპები იყვნენ.

ციკლოპი ჩვეულებრივად იბადება მკედარი, ან მალე კვდება დაბადების შემდეგ. იგი ცოცხლობს სულ რამოდენსამე წუთს ან საათს. Gebauerის შემთხვევაში სიცოცხლე გაგრძელდა 12 საათს და Bhisისაში კი—15 საათს. თუ მხედველობაში მივიღებთ თავის ტინის ტლანქ ცვლილებებს, ჩვენთვის გასაგები გახდება. რომ ასეთი მახინჯებისათვის დაბადების შემდეგ სიცოცხლე შეუძლებელია. მეორე მთავარი მიზეზი ამ მახინჯების სიცოცხლის უუნარობისა არის ცხვირის ღრუს უქონლობა. ესეთი მოვლენა ციკლოპზედ დამლუპველად მოქმედობს, რადგანაც ხელს უშლის წოვას და იმდენად აფერხვებს სუნთქვას, რომ ცოცხლად დაბადებული ციკლოპი უფრო ასფიქსიისაგან იღუპება. მთელ არსებულ ლიტერატურაში ციკლოპიის შესახებ მოყვანილია სულ რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ციკლოპი ბავშვებს ცსტა თუ მეტი დრო უცხოვრიათ. Panumის დაკვირვებით ციკლოპი ცხოვრობს 18 დღიდან — 6 კვირამდე. Caradeci ორი შემთხვევა ჰქონდა, სადაც პირველის სიცოცხლე გრძელდებოდა 8 დღეს, მეორისა კი—9 დღეს. შედარებით საინტერესო შემთხვევაა აღწერილი Schoenის მიერ, სადაც ციკლოპ ჰავშმა იცოცხლა 10 წელი (?).

რომელი სქესი სჭარბობს ციკლოპიის დროს? ამაზედ პასუხის გაცემა ძნელია. უნდა ითქვას, რომ სიმახინჯის დროს საერთოდ მდებარობითი სქესი სჭარბობს. ეს აზრი უტყუარია, რადგანაც ამ აზრს ადასტურებენ, როგორც ლიტერატურული წყაროები, ისე, ნაწილობრივად, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალებიც¹; იგივე დებულება შეიძლება ციკლოპიაზედაც გავრცელდეს. სხვადასხვა ავტორის 38 შემთხვევიდან—27 მდებარობით სქესს ეკუთვნის და 11 კი მამრობითს, ჩვენი 5 შემთხვევიდან ყველანი მდებარობითი სქესისანი არიან. შემთხვევითი გამონაკლისის სახით უნდა აღინიშნოთ Таранецкийის და Батыевის შემთხვევები, სადაც პირველის 9 შემთხვევიდან 6 იყო მამრობითი² და მეორის სამივე შემთხვევა მამრობით სქესს ეკუთვნოდა.

ციკლოპების სხეული უფრო ხშირად სრულიად ნორმალურია და მისი სიდიდე ეფარდება ნაყოფის დროულობას, და იმ ნაწილობრივ ანორმალობათა შორის, რომელთაც ადგილი აქვთ ხოლმე, უნდა აღინიშნოს: უსწორო მდებარეობა კიდურებისა pedes valgi et varis, polydactylia, syndactylia, hernia umbilica-

¹) ტფილისის სახ. უნივერსიტეტის ანატომიურ ინსტიტუტის ტერატოლოგიურ განყოფილებაში ჯერ-ჯერობით შეგროვილია სხვადასხვა მახინჯთა 31 პრეპარატი. მათ შორის მხოლოდ ერთი ეკუთვნის მამრობით სქესს.

²) Таранецкийის მიერ აღწერილ 10 შემთხვევიდან მხოლოდ ერთს არა აქვს აღნიშნული სქესი.

lis, spina bifida, atresia ani, შორისის მიდამოში ჩვეულებრივი გამოსავალი ხერხების მავიერ საერთო კლოაკის არსებობა. შინაგანი ორგანოების აგებულების მხრივ ზოგიერთ შემთხვევაში უნახავთ დამატებითი ელენთა, ჯორჯლების უსწორო დალაგება, გულის ნაწილების განუვითარებლობა და შემცირება, აორტის რკელის დანაწილების შეცვლა, სასქესო ორგანოების არა სწორი განვითარება, კველა ორგანოს, როგორც გულმკერდის ისე მუცლის ღრუსა, გადანაცვლება, სრული ან ნაწილობრივი. Otto აღნიშნავს ერთ მოვლენას, რომელსაც იგი შეჰხედრია. ეს არის თირკმლის ზედაჯირკვლების ნაკლები განვითარება (სამჯერ) და მისი სრული უქონლობა (ერთ შემთხვევაში). თვითონ იგი არ უკავშირებს ამ მოვლენას ციკლოპიას და არ ხსნის ამას. საერთოდ ამ მოვლენებში რაიმე კავშირის გატარება და მისი ახსნა დღეს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ციკლოპიის ზოგადი განხილვის დასასრულში ქვემოთ ჩვენ მოგვეყავს ციკლოპიის კლასიფიკაცია თავისი სახეებით. ამ კლასიფიკაციის წყალობით შეიძლება მოხდეს სწორი განრიგება ჩვენი შემთხვევებისა.

ციკლოპიის სიმანხვეში არჩევენ ორ მთავარ ფორმას: A. Cyclocephalia და B. Cyclo-oto-cephalia, რომლებსაც აქვთ თავისი სახეები.

A. Cyclocephalia სახეები:

1. Ethmocephalia — ორი თვალი ძალიან დაახლოვებული, მაგრამ განცალკევებული; ცხვირის აპარატი ატროფიული და მისი რუდიმენტები გარეთ ჩმყოფებიან წაგრძელებული შორჩის სახით თვალბუდეების ზევით.

2. Cebocephalia — ორივე თვალი ძალიან დაახლოვებული, მაგრამ განცალკევებული; ცხვირის აპარატი ატროფიული და უმორჩო.

ქვემოთ მოყვანილ სახეებში არსებობს მხოლოდ ერთი ორბიტა.

3. Rhinocephalia — ორი შეერთებული ან ორმაგი თვალი, მდებარე მედიალურ ხაზზე და მოთავსებული საერთო ორბიტაში; ცხვირის აპარატი ატროფიული და მორჩიანი.

4. Cyclocephalia — ორი შეზრდილი, ან ერთი ორმაგი თვალი მედიალურ ხაზზე; ატროფიული ცხვირის აპარატი, უმორჩო.

5. Stomocephalia — ორი შეზრდილი, ან ერთი ორმაგი თვალი მედიალურ ხაზზე; ატროფიული ცხვირის აპარატი მორჩიანი; რუდიმენტალური ყბები, განუვითარებელი პირი. რომელიც შეიძლება სრულიად არ იყოს.

6. Ophthalmocephalia — არა აქვს, არც თვალი და არც თვალბუდე; ცხვირის აპარატი განუვითარებელი, არა აქვს მორჩი (ეს სახე შესწავლილია 1885 წელს M. Lavocat-ს მიერ. რომელსაც ახასიათებს სრული უქონლობა როგორც თვალბუდის ისე ორბიტისა); ზედაყბა ატროფიული; ყურები განვითარებული და კარგად გამოხატული.

B. Cyclo-oto-cephalia სახეები:

1. Sphenocephalia — თვალები მკაფიოდ დაშორებული; დაახლოვებული ან შეერთებული ყურები და მოქცეული თავის ქვეშ; ყბა და პირის ნაპარალი კარგად გამოხატული.

2. Strophocephalia— თვალები ჩვეულებრივ განცალკევებული, მაგრამ ძალზედ დაახლოვებული, მოთავსებული სახის ქვემო ნაწილში ყურების წინ; პირი არ არსებობს; ან წარმოადგენს უბრალო ნაპარას, მოთავსებულს სახის წაგრძელებულ ბოლოში; თავი ვითომ გადაბრუნებულია.

3. Otocephalia— ერთი ან ორი თვალი საერთო თვალბუდეში; ორივე ყური შეერთებული ან ძალზედ დაახლოვებული ერთმანეთთან; თავის ქვემოთ გამოხატული ყბა და პირის ნაპარალი; არა აქვს საცხვირო მორჩი.

4. Edocephalia— ერთი ან ორი თვალი ერთ თვალბუდეში; ყურები დაახლოვებული ან შეერთებული და მოქცეული თავის ქვეშ; ატროფიული ყბები, არა აქვს პირის ნაპარალი; საცხვირო მორჩი თვალის ზემოთ.

5. Opocephalia— ერთი ან ორი თვალი ერთ თვალბუდეში; ყურები შეერთებული ან დაახლოვებული თავის ქვემოთ; ატროფიული ყბები, არა აქვს პირი და ცხვირის მორჩი.

6. Triocephalia— არა აქვს თვალები; ორივე ყური დაახლოვებული ან შეზრდილი მედიალურ ზახზე; არა აქვს პირი; სასმენი მილების შესავალი ხერხელები ცრუ პირის ღრუს ჰქმნიან.

შემათხვევა I¹.

ამონაწერი დედის მშობიარობის ისტორიიდან:

დედ-მამა ქართველები— ინტელიგენტები. დედა 22 წლისა, დიასახლისი, მეორედაა ორსულად. პირველი თეიური 13 წელს დაეწყო, სამი დღე მიმდინარეობდა სისხლის ცოტა რაოდენობით. პირველი ორსულობა ნორმალურად დამთავრდა. დროული, ცოცხალი, ნორმალური ნაყოფით. მეორე ორსულობის დროს არაერთაზრად ფსიქიურ და ფიზიკურ ტრაუმას ადგილი არა ჰქონია. მუცელი დიდი აქვს და კედელი ძალზედ დაჭიმულია, რის გამოც ბავშვის პალპაცია სიძნელეს წარმოადგენს. მშობიარობა ნორმალურად ჩატარდა. მშობიარობისას აღენიშნება გარემო სითხის ბევრი რაოდენობა. მამის ანამნეზში აღნიშნულია ათამანგი.

მახინჯი ბავშვის აღწერა (იხ. სურ. I. 1.).

ახლად დაბადებული ბავში, მდებრობითი სქესის, 42 cm. სიგძისა, 2825 gr. წონისა, სრულიად ნორმალური აგებულობისაა. კუნთოვანი ქსოვილი კარგად გამოხატული; კიდურები ნორმალურია და მისი სახე წარმოადგენს საინტერესო მოვლენას სიმახინჯის მხრივ. სახის შუა ადგილას glabellას მიდამოს ქვეით მოთავსებულია ერთი თვალი მოზრდილი და ღია. პირველი შეხედვითვე თვალი ერთია, მხოლოდ დაკვირვებისთანავე ჩანს ორი ირისი და ორი გუგა. თვალის ნაპარას რომბის მოყვანილობა აქვს და შესდგება ოთხი ქუთუთოსგან. ზემო და ქვემო ორი ქუთუთო ერთი-მეორეში გადასვლისას რკალსა ჰქმნიან. ქვემო რკალ-

¹) მახინჯის პრეპარატი მიღებულია ქ. სამტრედიის საბჭოთა საყვადმედიკალური და ვად-მოცემულია ექიმ ი. ჯაშის მიერ; რისთვისაც მადლობას მუყახსენებთ.

ში მოთავსებულია საცრემლე კორძი. წამწამები ოდნავადაა ზემო ქუთუთოზედ. თვალის ზევით და ქვეით სახე სადაა. თვალის გვერდითი კუთხეებიდან წარინდება ღარები. ამ ღარებს უკავიათ ადგილი ნორმალური თვალებისა. ღარების ზევით არის კანის მორგვები დართული წარბებით. საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებენ ტუჩები, რომლებზედაც კანი მკაფიოდ და მკვეთრად განსაზღვრულია ლორწოიანი გარსისგან. ამის გარდა ზემო ტუჩს არა აქვს phyltri და სახის შუა ადგილას გაორკაპება ემჩნევა (labium leporinum). პირის ღრუ განვი-



სურ. 1. 1.

თარებულია, ენის წვეტი მოსჩანს პირის გახსნისას. მხოლოდ თვით პირის გარდიგარდშო ზომა განუვითარებელია. თავი დაფარულია კარგად განვითარებული თმით, რომელიც შუბლზედაც ვრცელდება. ყურები ნორმალური მოყვანილობისაა და მოთავსებულია ჩვეულებრივ ადგილას. კისერი მოკლე, ღრმა ღარით მკაფიოდ მოსაზღვრულია სხეულისგან. გარეთა სასქესო ორგანოების დიდ ბაგეთა შორის მოთავსებულია სამივე ხერელები: შარდსადინარისა, საშოსი და ყითა ნაწლავისა. სხეული სხვა მხრივ ნორმალურია.

მახინჯის განკვეთა და შინაგანი ღრუების აღწერა.

მუცლის და გულმკერდის ღრუ. მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში დიადრაგმას აქვს ნიჰრილი ხერელი, რომელშიაც თავისუფლად შეიძლება ცერის გატარება. განკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ ამ ხერელის საშუალებით მარცხე-

ნა პლევრის ღრუში შეპრილან: მთლიანად ელენთა. კუჭის ძირი და სხეული, დიდი ბაღექონი მთლიანად, პანკრეასის სხეული და კული. ამის გარდა აქვე წვრილ ფესვზედ ჩამოკიდებულია მარცხენა ფილტვი სრულიად განუვითარებელი, ფორმა დაკარგული, მცირე ნაგლეჯის ოდენობისა, რომლის ცნობა შეიძლება მხოლოდ დიდი დაკვირვების შემდეგ. ეს დანამატი მიქცეულია პლევრის გუმბათზედ. მარჯვენა ფილტვი მშვენივრად განვითარებულია, მაგრამ ორი ნაწილისხანა შესდგება. შედარებით მაინც პატარაა და ფორმა შენახული. გული მარჯვნივაა გადახრილი, ფორმა შენარჩუნებული და ყველა ნაწილი მკაფიოდ გამოხატული. წვრილი ნაწლავების გრეხილები შეგუფლებულია, მის ჯორჯალის ფირფიტები ერთმანეთთან შეზრდილია. მსხვილი ნაწლავი ეხვევა წვრილ ნაწლავებს გარშემო და მათ გარესწელთანვე შეწყებებულია. კოლინჯის მარჯვენა დასაწყისის ნაწილი მცირე ბაღექონშია ჩაქსოვილი. ლეიძლი შედარებით დიდია, საკიდი იოვი კარგადაა განვითარებული. ქვედა ზედაპირზედ ღარები დასახულია. ნაღლის ბუშტი განუვითარებელი ბუშტუკოვანი, ლეიძლის კარშია ჩამალული პერიტონეუმის ფურცელზე შორის. Coecum მშვენივრად განვითარებულია. მისი კიკაყლა დანამატი 3 cm. სიგრძისაა და აქვს ძაბრისებრივი მოყვანილობა.

ქალახ განკვეთა. ტუინის მაგარი გარსი ძალზედ გასქელებულია კეფის მიდამოში და ერთი cm. სისქეს აღწევს, რაც წარმოადგენს ანთებითი მოვლენის შედეგს. საფეთქლის ფოსოები წყვილია. მათ შორის შევიწროვებული ძირითადი ძელის სხეულია, რომელსაც არც ტუინის დანამატი და არც მისთვის შესატყვისი ფოსო არა აქვს. თვალბუდის ფორფიტთა შორის მცირე ფორაკი (incisura ethmoidalis) დაკავებული არის რბილი შემაერთებელი ქსოვილით. ამ უკანასკნელის და თვალბუდის ფორფიტების მოშორების შემდეგ გაიხსნა თვალბუდის ფართე ფოსო. ამ ფოსოს ლატერალური კიდეების გასწვრივ წყვილ-წყვილი კუნთოვანი წარმოქმნები არსებობს. თვალბუდესში შესასვლელი ბუნებრივი ხერხელი შუა ხაზის გასწვრივ ნდებარეობს ძირითადი ძელის სოლებრივ მორჩებეს შორის. ამ ადგილიდან ე. ი. სოლებრივი მორჩებიდან მოუწყსრიგებლად იწყება კუნთოვანი ბოქოები. თვალის კაკალი ოვალური მოყვანილობისაა. გარდიგარდმოდ მდებარეობს. თვალის გახსნისას იკიდან ამოღებულ იყო ორი მრგვალი მოყვანილობის ბროლი. საინტერესოა, რომ მაგარი გარსი ყველა ამ მიდამოშიაც გასქელებული მოჰყვება თვალბუდესს. მხედველობის ნერვი (n. opticus) თვალთან ვერ ვნახეთ.

ტუინი. ტუინის წონა 55 gr-ს უდრის. ტუინი როლიმენტალურ მდგომარეობაშია და მისი ჰემისფერობის თხემისა, კეფისა და საფეთქლის ნაწილები სრულიად არაა გამოხატული (იხ. სურ. 1. 2). ამ რიგად telencephalonს აქვს მხოლოდ შუბლის ნაწილები გაერთიანებული ისე, რომ არაა გაყოფილი მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებზედ, რადგან fissura longitudinalis არ არსებობს. Talamen optici თავისუფალი გაშიშვლებული და აგრეთვე გაერთიანებული, საკმარისად მსხვილი წარმოქმნილია. მათ შორის მესამე პარაკუჭი მხოლოდ დასაწყისს ნაპრალს წარმოადგენს და სიღრმეში არ ჩადის. მხედველობის ბორცვებს შორის უკან მკაფიოდ გამოხატული ოთხკორაკი მოსჩანს. მისი წინა ბორცვები დაახლოვებით ორჯერ მეტია უკანა ბორცვებზედ. მის უკან ძვეს ფაშარი მეტად ოხელი განუვითარებელი, მაგრამ მორფოლოგიურად ნორმალურ ნაწილებისგან

შემდგარი ნათხემი. ტენის ფუძეზედ რუსი ბორცვის წინ tractus optici გაერთიანებულია. ვაროლის ხიდის წინა ტენის ფეხებიდან მკაფიოდ გამოხატულია გამოსული n. oculomotorius. ვაროლის ხიდი და მოგრძო ტენი კარგადაა გამოხატული, მხოლოდ მოგრძო ტენის წინა ნაწილი უმთავრესად ოლიგეებს უკირავთ. შუბლის ნაწილს წიგნით პარკუჭის ღრუ აქვს.



სურ. 1. 2.

ამ ტენის განსაკუთრებული თავისებურობა მდგომარეობს: ღართის ნაწილობრივ განვითარებაში, კუდიანი სხეულების და მხედველობითი ბორცვების კენტ ჩასახვაში და მხედველობის ნერვის გაერთიანებულ წარმოქმნაში. შუბლის წილზედ ეტყობა ზერელე ღარები და ხეულები. ტენი შეხვეული იყო რბილ გარსში, რომელიც ტენის ფუძეზედ გასქელებულ და გამკერივებულ წარმოქმნას ჰგავს, ტენის გამოდრეკილ ზედაპირზედ კი თხელია, გამსჭვირვალე. ფაშალებს და სითხითაა ამოვსებული.

შემთხვევა II¹.

ამონაწერი დედის მშობიარობის ისტორიიდან.

ეფ. ბ-ეა 26 წლისა. ტომით რუსი. დიასახლისი. მესამედ არის ორსული. პირველი ორი მშობიარობა დამთავრებულა დროული, ცოცხალი, ნორმალური ნაყოფებით. თიური პირველად ნახა 15 წლისას, მოსდიოდა ყოველ თვე, გრძელდებოდა 3-4 დღე უმტკივნელოდ და ზომიერად. არავითარი სპეციფიური სენით ავად არ ყოფილა; ტუბერკულოზს და ათაშანგს უარაჰყოფს, როგორც თავის ისე

¹) პრეპარატი მიღებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო კლინიკიდან პროფ. ი. თიკანაძის და ორდინატორ გ. ლორთქიფანიძისაგან. რისთვისაც მადლობას ესწირავთ. ეს შემთხვევა კართველ ექიმთა საზოგადოების სხდომაზე 8. I—1925 წელს წარმოდგენილი იყო გ. ლორთქიფანიძის მიერ და ქვემოთ მოყვანილი მშობიარობის ისტორია და ნაწილობრივად გარეგანი აღწერა ამ პრეპარატისა მას ეკუთვნის. ეს პრეპარატი გადმოცემული იყო ანატომიურ ინსტიტუტში კონსერვაციისათვის და რბილი ნაწილების დეტალური შესწავლისათვის.

ქმრის ახლო ნათესავებში. შემოვიდა კლინიკაში 1924 წლის 31 დეკემბერს ღამის 1 საათზედ. მუცლის სიდიდე გარეგანი გასინჯვისას უდრის $7\frac{1}{2}$, თვის. ბავში დაიბადა თეთრ ასფიქსიაში, რომელიც მიღებული ზომების შემდგომ მოსულიერდა. ბავში მოსულიერების შემდეგ ყვიროდა, მაგრამ დაბადების 1 ს. 45 წ. შემდეგ გარდაიცვალა.



სურ. II.

ბავშვის აღწერა. დღენაკლული ნაყოფის გვამი, მღებრობითი სქესის, სიგრძით 38 cm., წონა 2.200 gr. ნაყოფი დაახლოვებით $7\frac{1}{2}$ თვისაა. გარეგანი შეხედულობით ნაყოფი ნორმალურად არის განვითარებული. ზემო და ქვემო კიდურები ნორმალურია. კუნთოვანი და კანქვეშა ქსოვილი კარგად განვითარებული. სახე ამ ბავშვისა წარმოადგენს შებრტყელებულ სივარტეს, რომლის შუა ადგილას იქ, სადაც ნორმალურად ცხვირის ფუძე უნდა იყოს, მოთავსებულია ერთი ორბიტა და მასში ერთი ღია თვალი (იხ. სურ. II). ამ თვალებულის ზემო ქუთუთო ორი ნახევრისგან შესდგება, რომლებიც რკალივით ერთი-მეორეში გადადიან შუა ხაზზედ. ქვემო ქუთუთო აგრეთვე ორი ნახევრისგან შესდგება, რომლებიც შეერთდებიან კუთხის ქვეშ, სადაც მოთავსებულია განუვითარებელი საცრემლე კორძი. კონიუქტივა დანაოკებულია. ზემო და ქვემო ქუთუთოები ერთი მეორეს უერთდებიან მახვილი კუთხის ქვეშ, რომლებიც გრძელდება გარდიგარდმოდ ნაპრალივით 0,25 cm. მანძილზედ. თვალის ზემოთ არსებობს ხორთუმის მსგავსი კანის მრგვალი წარზიდულება, რომლის სიგრძე 3,5 cm. უდრის. მისი დიამეტრი 1 cm.-ა და დართულია ერთი ხერელით. ყურები ნორმა-

ლური მოყვანილობისა და ჩვეულებრივ ადგილას მოთავსებული. პირის ნაპრალი ზემო და ქვემო ტუჩებიათაა მოსახლეობის. ზემო ტუჩს არა აქვს phyltri და შეიებული წაწეულია ზევითყენ.

მუცლის და გულმკერდის ღრუების განკვეთისას აღმოჩნდა, რომ ყველა ორგანო, როგორც მორფოლოგიის ისე ტოპოგრაფიის მხრივ, ნორმის შესაბამე-ბიან, მხოლოდ ელენთა წარმოდგენდა გამონაკლისს. მას ენის მოყვანილობა ჰქონდა და დართული იყო დანამატი ელენთით (lien accessorius).

ქალას განკვეთა და ტვინის აღწერა. თვალის ზემოთ არსებულ კანის ხორ-თუმის მსგავს წარმოქმნის წინა მწვერვალში მოიპოვება წვრილი ზერელი ნემ-სის ნაჩხვლეტივით, რომლიდანაც გამოდის თრთვილისებური ლორწოიანი სითხე. ხორთუმი შეკავშირებულია შუბლის წიაღთან. საფეთქლის ფოსოები ქალას ფუ-ძეზედ გაყოფილია ქედით, რომელიც ეკუთვნის ძირითად ძვალს. ეს ქედი არის შევწროვებული, შეზრდილი და ულრუო ძირითადი ძვლის სხეული. Sella turcica. მისი ფოსო და ტვინის დანამატი არ არსებობს. შუბლის ძვლის თვალბუდის ფირფიტები შეერთებულია, მათი ამოღების შემდეგ თვალის კაკალი რბილი ქსოვილებით საერთო ღრუშია ჩართული. ამ ღრუს ქვედა კედელი ამავე დროს არის მიგარი სისა. პირის ღრუ ნორმალურად არის განვითარებული და ენა მკაფიოდ გამოხატული და გამოყოფილი. თვალის კაკალს აქვს სამი სწორი კუნ-თი, ერთი ირიბი, და რამოდენიმე კუნთი ერთი მეორესთან შეზრდილი, რომ-ლებიც იწყებიან თვალის კაკლიდან და რამოდენიმე გაურკვეველი კუნთოვანი კონები ერთი მეორეში გადახლართული არიან.

ტვინის ჰემისფეროებს აქვთ განვითარებული ქვედა ბაზალური ნაწილები, სახელდობრ: შუბლისა, საფეთქლისა და ნაწილობრივ თხემის წილებისა. და-ნარჩენი ნაწილები არ არსებობს. მათ მაგივრად ტვინის რბილი გარსითაა ამო-ფენილი ქალა და ამოვსებული სითხით. ტვინის ღეროს ნაწილებს შორის არსე-ბობს ვაროლის ხიდი, მოგრძო ტვინი. ნათხემის ნაწილები, რომლის ქია დარ-ლეულია. კუდიანი სხეული, ოთხგორაკი, მხედველობის ბორცვები გაერთიანე-ბულია ერთ მთლიან მასსაში. ტვინას ფუძეზედ რუხი ბორცვი ბლაგვად თავდე-ბა. მის წინ მოჩანს მხედველობის ნერვის დაწვეტიანებული ნაწილი 0,25 ctm. სიგძით. ტვინის დანამატი არ არის. ტვინის რბილი გარსი სისხლოვანი სითხით გავსილი, მუქ-წითელ ფერად შეღებილი, მჭიდროდაა შეზრდილი ტვინის ნაწილებ-თან, რის გამოც მისი მოშორება ტვინის ქსოვილს არღვევს¹⁾. ტვინის ჰემისფერო-ზედ მხოლოდ რუხი ნივთიერება სჩანს, თეთრი აქა-იქ მოიპოვება და ტვინის com- missuraeბის ჩანასახიც არ მოჩანს. ტვინის პარაკუტები არ არსებობს.

შენიშვნა III²⁾.

ნაყოფი მახინჯი, მდებარებითი სქესისა, 180 gr. წონისა და 22 ctm. სიგრ-ძით. ამ ნაყოფს გარდა ციკლოპიისა სხვა სიმახინჯეც ემჩნევა: acrania et spina

¹⁾ კონსერვაცია კრეპარატისა სამწუხაროდ დაკვიანებული იყო და ამიტომ ტვინის უფრო დეტალური შესწავლა შეუძლებელი გახდა.

²⁾ კრეპარატი მიღებულია ს. ჯ. კ. სამენაო-გინეკოლოგიური ინსტიტუტიდან ექ. ს. ო. ბ. ე. ტ. ი. ა. ნ. კ. ი. ა. ნ. რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

diffida. მთელი ქალა წარმოდგენილია მხოლოდ სახით. სარქველი მას არა აქვს. უკანოდან იგი შებრტყელებულია, გახსნილია და ტეინის ნაწილები მოუჩანს. ქალას გარდა, ხერხემალიც გახსნილი აქვს მთელ კისრის მიდამოში გულმკერდის მეორე მალამდის. წინიდან ქალაზედ შუბლის მიდამოში *glabellal* ადგილას (იხ. სურ. III) მოთავსებულია ცალი ღია თვალი ერთ თვალბუდეში. გარდიგარდმო დიამეტრი ამ თვალბუდისა 2 *cm*-ს, ხოლო ვერტიკალური 1,5 *cm*-ს აღწევს. ღია თვალს მხოლოდ ერთი თვალბუდე ამჩნევია. თვალბუდეს დართული აქვს ორი ქუთუთო. ზემო და ქვემო ქუთუთოები შეუმჩნევლად გადადიან ერთი-მეორეში. ქვემო ქუთუთოს შუა კუთხეში საცრემლე კორძი გადმოიყურება. ზემო ქუ-



სურ III.

თუთოს მახლობლად იწყება ხორთუმი, რომელიც სახის კანიტაა დაფარებული. სიგეე ხორთუმისა 1,5 *cm*., სისქე კი 0,3 *cm*. ხორთუმი დართულია ერთი პატარა ხერხელით, რომელიც არხში არ გადადის და ბრმად თავდება. პირის ნაპრალი მრგვალია, ღია აქვს და ენა მოუჩანს. მაგარი სასა განვითარებულია. კისერი ამ მახინჯს არა აქვს, მისი თავი უშუალოდ სხეულში გადადის, თუმცა წინიდან ღრმა ღარიტაა მოსაზღვრული. სხეულის დანარჩენი ნაწილები: გულმკერდის და მუცლის წინა ნაწილი და კიდურები ნორმალურადაა განვითარებული ნაყოფის დროულობისდა მიხედვით.

გულმკერდის და მუცლის ღრუების განკვეთისას ორგანოების განზილვა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან ისინი მთლიანად გაწყალებული იყვნენ. გულმკერდის ღრუში ფილტვებს და გულს ნორმალური აგებულობა აქვს. მუც-

ლის ღრუში ორგანოები თითქმის უპარენქიმო შემაერთებულ ქსოვილოვან პარკებს წარმოადგენენ. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ამ პრეპარატს წინასწარი ფიქსაცია არ ჰქონდა გაკეთებული და კიდევ მიზეზია — პრეპარატის სიძველე¹.

შემაჯავებ IV².

ნაყოფი მახინჯი მდებრობითი სქესისა 440 gr. წონისა და 24 cm. სიგრძით. ამ მახინჯს, ისე როგორც ზემოთ მოყვანილს, გარდა ციკლოპიისა აქვს *acrania et spina bifida*. ქალა წარმოდგენილია მხოლოდ სახით, სარქველი მას არა აქვს და უკანიდან მთლიანად გახსნილია, ქალას გარდა გახსნილია ზერხვალის მთელ თავის სიგრძეზედ. როგორც ქალას ისე ზურვის ტვინის აფარია ტვინის



სურ. IV.

რბილი გარსი, რომლის ქვეშაც მოჩანს ტვინის ქსოვილი. წინ სახეზედ შუბლის შუა ადგილას წამოწეულია მრგვალი მორგევი, რომლის გარდიგარდმო დიამეტრი 2,5 cm-ს უდრის, ვერტიკალური კი — 1,5 cm-ს. ამ მორგეზედ წინიდან ვარჩევთ თვალის ნაწილებს: ორ გუგას და ორ ირისს (იხ. სურ. IV). ამ რიგად ეს მორგევი წარმოადგენს ორბიტიდან გამოსულს და შეერთებულ ორ თვალს. ამ მორგევის გარშემო შემოვლებულია კანის ორი ნაოჭი, რომლებიც თავისი მოხაზუ-

¹ სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში ეს პრეპარატი ინახებოდა 1915 წლიდან.

² პრეპარატი მიღებულია კ. ქუთაისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებიდან, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ლობით ქუთუთობებსა ჰგვანან. ქვედა ქუთუთოს ცენტრალურ ნაწილში მკაფიოდ შიანს თავისებური მოყვანილობის სატრემლე კორძი. თვალის ზემოთ უკანისკენ წაწეულია ხორთუმის მსგავსი წარზიდულება, რომელიც სახესთან მეტად ვიწრო ფეხითაა შეკავშირებული. ხორთუმის სიგრძე 2 სმ. და გარდიგარდმო დიამეტრი კი 0,5 სმ. ყურები ჩვეულებრივ ადგილას მოთავსებული ნორმალური მოყვანილობისაა. პირის ნაპრალი მრგვალია, ღია და განვითარებული — იქიდან ენა გამოიყურება. კისერი არა აქვს. თავი შეუმჩნეელად სხეულში გადადის. კიდურები და დანარჩენი ნაწილები ნორმალურად განვითარებულია ნაყოფის ჰასაკის მიხედვით.

გულმკერდის და მუცლის ღრუების განკვეთა არ მოხდა, რადგან ასეთი მანიპულაცია მოითხოვდა მთელი პრეპარატის დაშლას.

შეშთხვავა V¹.

ნაყოფი მახინჯი, მღებრობითი სქესისა 890 gr. წონისა და 40 სმ. სიგრძისა. ამ შემთხვევაში ნაყოფის მხოლოდ თავისა და კისრის მიდამო წარმოადგენს ინტერესს. ქალა სრულიად მრგვალია და სუნავითა მკირედ მოსილი. საბეჭედ შუბლის მიდამოში მას აქვს კენტი მრგვალი მორჩი 1,5 სმ. სიგრძით, ხორთუმის მოყვანილობისა, რომელსაც დართული აქვს ერთი ხერული; უკანასკნელი აონში გადადის. მის ქვეით ხელის შეხებით შეიძლება ვიგრძნოთ დიდი ძვლოვანი ორმო, რომელიც ამოესებულია ცალი თვალით. მხოლოდ წინიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ეს თვალი წარმოადგენს ორი ორგანოს შეერთებას და აქვს ორი გუგა (იხ. სურ. V). ამ რიგად ორბიტის ღრუ და შემცველი ორგანოები მდებარეობენ სახის შუა ნაწილში. თვალს აქვს ოთხი ქუთუთო პატარა ღარებით ერთი მეორისაგან გაყოფილი. პირის ნაპრალი არ არსებობს. ნიკაპის მიდამოში, ხელის შეხებით, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ შუა ხაზზედ ძვლოვანი კედელი არ არსებობს. მის მაგიერად არის კანის მორჩი, რომელსაც ქვევიდან მრგვალი ხერული აქვს. ეს ხერული გადადის ფართე ღრუში, რომელიც ნიკაპის ქვეშ მდებარეობს. ამ წარმოქმნას ჩვენ ვარჩევთ, როგორც განუვითარებელ პირს. ქალას ქვედა საზღვარზედ არსებობს წყვილი ჩანასახი: მარჯვენა, და მარცხენა, ყურის ნიჟარისა, რომლებიც თავისი ქვედა კიდევებით ყელის წინა ზედაპირზედ გადადის და ქმნიან კანის ნაოქს. სიღრმეში თავის საზღვარზედ არსებობს ორი სიმეტრული მომრგვალო მოყვანილობის ხერულები. კისერი გრძელი აქვს. იგი განსაკუთრებულად განვითარებულ ნაწილს, ცილინდრულ მოყვანილობის, დანაოქიანებულ კანით დაფარებულ სხეულს წარმოადგენს, რომელიც მკაფიოდ განისაზღვრება გულმკერდის მიდამოდან და რომლის სიმაღლე სახის ქალას სიმაღლეს უდრის. წინიდან მისი სიგრძე 4 სმ-ს უდრის უკანიდან კი — 6 სმ-ს. ყურების ნიჟარები ჩამოწეულია უფსილონი ძვლის ნიმართულებით შუა ხაზისაკენ სახისა და კისრის საზღვარზედ.

განკვეთის შედეგი. გულმკერდის ღრუ. პლევრის ღრუები გამოკალკავებულია. ფილტვები განვითარებული ოდენობისა და დანაწილების მხრივ. მარ-

¹) პრეპარატი მიღებულია ქალაქის I საჯანმეყოფის სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილებიდან ვქმ მონიისგან, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ

ცხენა ფილტვებზედ წინა და უკანა კიდებზედ საკმარისად ღრმა ლარებია, მაგრამ ფილტი ორ ნაწილად ჯერ გაყოფილი არაა. გულის ფორმა, ნაწილები, ოდენობა, მდებარეობა ნორმალურია. აორტის რკალის ტოტები თვალსაჩინო ანომალიას წარმოადგენენ. სახელდობრ: art. anonyma არ არსებობს, მის მაგივრად პირველი ტოტი წარმოდგენილია art. carotis communis dextraთი, რაც შეეხება art. subclavia dextral, რომელიც art. anonymal ტოტი უნდა ყოფილიყო. იგი გამოდის აორტის რკალის ბოლოდან, როგორც მისი მეოთხე ტოტი.




სურ. 5.

ამ რიგად აორტის რკალიდან ოთხი ტოტი ამოდის: ორი საძილე, როგორც პირველი და მეორე და ორი ლაეიწქეშა, როგორც მესამე და მეოთხე. მარჯვენა ლაეიწქეშა არტერია მარცხნიდან მოუვლის სასულეს და საყლაპავ მილს უკანიდან და ხერხემლის წინ ირიბად მიდის წინ spatium interscalenumისაკენ. დანარჩენი მთავარი სისხლის ძარღვები გულისა ნორმალურია. Thymusი აგრეთვე ანომალური განვითარების ნიშნებს წარმოადგენს. სახელდობრ: იგი ორი განცალკევებულ ნაწილისაგან შესდგება. ერთი მდებარეობს ჩვეულებრივ ადგილას, ძვეს მკერდის ტარის უკან და მარცვლოვანი აგებულობა აქვს. მეორე ნაწილი სრულიად დამოუკიდებლად მოთავსებულია მარჯვენა პლევრის გუმბათზედ, განსაკუთრებულ შემაერთებელ ქსოვილოვან პარკში მდებარეობს და ძვეს art. carotis dextra და შუა კიბისებრ კუნთის შორის.

მუცლის ღრუს განკვეთისას აღმოჩნდა. რომ ყველა ორგანო მორფოლოგიის და ტოპოგრაფიის მხრივ სრულ ნორმალობას შეესაბამებოდა.

ქალას განკვეთა. ქალას სარქველის ძელებისა და ნაკერების განვითარება ნორმალური იყო. ქალას სარქველის მოშორების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ღრუ საკმარისად ფართო, ამოვსებულია ტვინის რბილი გარსის ელემენტებით და მისი სხვადასხვა ფირფიტოვანი და ბოქოიანი მორჩები ტვინის ნაწილების ზედაპირთან შვიდროდ არის შეკავშირებული. ქალას ღრუ ამოვსებულია გამსჭვირვალე სითხით. თავის ტვინის განვითარება დიდ ანორმალობას წარმოადგენს (იხ. სურ. V. 2.), სახელდობრ ტვინის ღეროს დორზალური მხარე თავისუფალია. ჰემი-



სურ. V. 2.


სფეროები განვითარებულია ნხოლოდ წინა ნაწილში შუბლის ძვლის შესატყევისად. დანარჩენი ნაწილები ჰემისფეროებისა—თემებისა, კეფისა, საფეთქლისა სრულიად განუვითარებელია. არ არსებობს აგრეთვე არავითარი ჩასახვა კორდიანი სხეულისა. კუდიანი სხეული და მხედველობის ბორცვები მოზრდილ. მორგვიან ერთი-მეორესთან შეწყებულ სხეულებს წარმოადგენენ, რომელთა შორისაც უკანა ნაწილში მცირეოდენ ორმოს სახით ჩასახულია მესამე პარკუჭი. ამ წარმოქმნების უკან მოჩანს ოთხგორაკის წინა ორი ბორცვი ზედმეტად განვითარებული.

ნათხები არსებობს. თავისი ორიგინალური ჩეულებრივი განვითარებით, მაგრამ სამწუხაროდ გაწყალებულია და მისი დეტალური განხილვა სიძნელეს წარმოადგენს.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბეჭდო ცენტრალურად მდებარე ცალი თვალი, მოთავსებული გავრთიანებულ თვალბუდეში, რომელსაც თავისი მხრივ ცხვირის ადგილი უჭირავს. თეორიული თვალსაზრისით სწორედ ასეთი თვალბუდეების გადანაცვლა და თვალის კაქლების შეერთების გენეზისი იპყრობს დღემდის მკვლევართა ყურადღებას.

ძველი ავტორები და მათ შორის Huschke ციკლოპიის მიზეზს ეძებდნენ ტვინოვანი ბუშტულების განვითარების ადრეულ შეჩერებაში, რადგან მათ უკ-

ყე ჰქონდათ საკირო ცნობები თვალის განვითარების ისტორიისა. ამ ორგანოს განვითარების ისტორია კი აშკარად ხდის იმ უდავო დებულებას, რომ ციკლოპის განვითარებას საძირკველი ეყრება ჩანასახის ცხოვრების 2-3 კვირის პერიოდში. ციკლოპიური თვალის განვითარების შესახებ იყო წარმოდგენილი მრავალი თეორია, როგორც საშუალო ისე ძველ საუკუნეებში. მრავალი მათთაგანი სრულიად არ ესაბამებოდენ ემბრიოლოგიურ ფაქტებს და ამიტომ თავისი მეცნიერული უსაფუძვლობის გამო დღეს დავიწყებული არიან. შედარებით დასაბუთებულ თეორიებს ეკუთვნის მე-XIX საუკუნის ცნობილი ტერატოლოგის Daresteinის თეორია. Daresteinის თეორიის მიხედვით ციკლოპია ვითარდება ტვინოვანი მილის წინა ნაპრალის ნადრევი დახურვით. თანახმად ამ თეორიისა უჯრედოვანი მასალა, რომლიდანაც წარმოიშობა თვალების ბადურები, დალაგებულია პირველ ხანებში ზერელედ ექტოდერმის სისქეში, ტვინოვანი მილის წინა ნაპრალის ორთავ მხარეზე, როგორც ეს VI სურათზედ მოჩანს (იხ. სურ. VI. A) ¹.



სურ. VI.

სურათის ახსნა.

A—პირველი დელი ტვინოვანი ბუშტუები: a—წინა, b—შუა, c—უკანა; d—შუა ნაპრალი წინა ბუშტუის წინა ნაწილში; S-S—მიმართულება იმ გარდვიარდობა ნაკვეთისა, რომელიც წარმოდგენილია B. სურ. B, C და D (სურათები Déjérine—Daresteinით) მხედველობითი ორგანოს თანდათანობით განვითარების პერიოდი იმავე s-s ნაკვეთზედ; ბადურას წარმოშობი მასალის თანდათანობითი გადანაცვლა ექტოდერმის არედან, ჯერ სიღრმისკენ ნაპრალის გვერდებიდან და შემდეგ შუა ხაზის გვერდებზედ. E (სურ. Déjérine-სი) მხედველობითი ბუშტუების ფიალისებრი ფორმის პერიოდი: ბრალის წარმოქმნის დასაწყისში; ერთის მხრივ უფრო ადრეული, მეორის მხრივ კი—არამოდენადმე დაგვიანებით. d—ნაპრალი წინა ტვინოვან ბუშტუკისა; r—ბადურა განვითარების სხვადასხვა პერიოდებში: f—საფარველი ექტოდერმა; o—ბადურას პიგმენტური ნაწილი; l—ბოლოვანი ბუშტუკი.

¹) სურათი VI A, B, C, D, E. ამოღებულია Gravelotten-ის დისერტაციიდან და მოყვანილია ჩვენ მიერ Barjean-ით.

წებტილოვანი S-S პუნქტორით აღნიშნულია გარდიგარდმო გაკეპა, რომელიც შემდეგში VI. B სურათზედ არის მოყვანილი. დანარჩენი სურათები C. D. E. ამ განაკეთს წარმოდგენენ მხოლოდ შემდეგი განვითარების სხვადასხვა სტადიას. წინა ტვინოვანი ბუშტუკი იზრდება გარდიგარდმო მიმართულებით, მისი ნაპრალი არ ფართოვდება და ბადურის წარმომშობი მასალა ზედაპირიდან სიღრმეში გადადის. ნაპრალის ორივე გვერდზედ, საიდანაც იგი ტვინის შიგნითა ზედაპირზედ ჰშორდება შუა ხაზს (სურ. VI C.), სანამ არ დაიკერს ადგილს ტვინოვანი ბუშტუკის გვერდით ბოლოებზედ, რომელიც ამ დროს მკვეთრადაა გაწეული გარდიგარდმო მიმართულებით. შემდეგში ეს გვერდითი ბოლოები გამოიყოფა, როგორც ახალი ბუშტუკები და კავშირი ტვინის წინა ბუშტუკთან დაჩება ახლად ვიწრო ფეხის საშუალებით (შემდეგში მხედველობის ნერვია). შემდეგ ეს მხოლოდ შექმნილი ბუშტუკები შეიდრიკებიან, ჯამის ფორმას მიიღებენ (სურ. VI E) და ამ ჯამში შეიზრდება თვალის კაკლის დანარჩენი ნაწილების შემქმნელი მასალა. სანამ ბადურის წარმომშობი მასალა არ დაიკავებს ადგილს წინა ტვინოვანი ბუშტუკის გვერდით ბოლოებზედ, მისი ნაპრალი არ დაიხურება. ნაპრალის ნაადრევი დახურვის შემთხვევაში კი ზემო აღწერილი გადანაცვლება Darestenის აზრით არ მოხდება და მხედველობითი ბუშტუკების განვითარება იმდენად უფრო დაახლოვებულად იწარმოებს, რამდენადაც უფრო ადრე მოხდება ნაპრალის დახურვა. თუ უკანასკნელი იწარმოებს იმ დროს, როდესაც ბადურების წარმომშობი მასალა უკვე დალაგებულია ნაპრალის გვერდებზედ, მაშინ შეიქმნება ერთი მთლიანი გროვა და განვითარდება ერთი მხედველობის ბუშტუკი და უკიდურესად გამობატული ციკლოპია აღმოცენდება განვითარების ადრეულ პერიოდში. ამ რიგად წინა ნაპრალის ნაადრევი დახურვით შეიზღუდება ზრდა წინა პირვადი ტვინოვან ბუშტუკისა ორთავ მხარეზე, საიდანაც უნდა განვითარდნენ მხედველობითი ბუშტუკები; და სწორედ ეს გარემოება ამავე დროს მიზეზი ხდება წინა ტვინოვანი ბუშტუკის წინა ბოლოს ე. ო. ტვინის დიდი ჰემისფეროების, განვითარების შეეხებისა. წარმომშობ მასალაში თითქო ვითარდება განვითარების შემზღუდველი დეფექტი, რასაც E. Schwalbe განმარტავს ბევრ სიმპზინჯისთვის საერთო სქემით, რომელშიაც სოლებრივი a დეფექტის ზეგავლენით (იხ. სურ. VIII), გვერდითი b და c ნაწილები ერთი მეორეს უახლოვდებიან და შეერთდებიან.



სურ. VIII.

Darestenის საწინააღმდეგო თეორია მოკავეს Duysegს. მისი აზრით ციკლოპიული თვალი ვითარდება ნორმალურად ჩაფენილი ორი დამოუკიდებელი და ურთიერთს დაშორებული მხედველობითი ბუშტუკებიდან. ეს ბუშტუკები მდებარეობენ ერთი-მეორის მახლობლად და მათ შორის მდებარე ტვინის ნაწილი ან

ნორმალურად ვითარდება. ან და ნაადრევად ირღვევა. უკანასკნელის გამო ხდება შეერთება, მეორადი შეერთება, პირველად ნორმალურად განვითარებულ თვალებისა. ორგანოების ან და ორგანოების ნაწილების ამგვარ შეერთებას ჩვენ ვხვდებით ამფიბიების ემბრიონებში. რაც უფრო ადრე ხდება ასეთი შეერთება, მით უფრო ნაესებითია იგი. Peunow და Duysegს შემთხვევებში ცალი თვალის არც ერთ ნაწილს ორმაგობის ნიშნები სრულიად არ ეტყობოდა.

ამ ეამად თითქმის ყველა ავტორი იზიარებს იმ აზრს, რომ ციკლოპიური თვალის განვითარება სწარმოებს ჩასახული ორი ბუშტუკის შემდგომი შეერთებით. ამ დებულებას სხვათა შორის ამტკიცებს Gabrielides შემთხვევა, სადაც ცალ ბროლს მიკროსკოპიული გასინჯვის დროს აღმოაჩნდა გაორმაგება. ამას გარდა Duysegს თეორიის დასამტკიცებლად Hippels მოჰყავს შემთხვევები diprosopus triopthalmusის სიმახინჯისა, როდესაც ორი თავის ნახევრები ისე იყო შეერთებული, რომ ორმაგი სახის შუა ადგილას არსებობდა ორმაგი თვალი, რომელიც სხვადასხვა თავს ეკუთვნოდა.

საკითხი იმის შესახებ თუ როგორ ვითარდება ციკლოპიური თვალი: ვითარდება იგი თავდაპირველად, თუ წარმოადგენს ორი თავდაპირველად დამოუკიდებლად განვითარებული თვალის ბუშტუკების მეორად შეერთებას, ჯერჯერობით, როგორც ლიტერატურიდან ჩანს, ლია რჩება. თუ ავტორთა ჯგუფი: Dareste, Spemman და სხვები, სთვლიან ციკლოპიურ თვალის პირველად განვითარებას მის ორმაგობის ამა თუ იმ ხარისხის გამო, მაშინ სამართლიანი იქნება მეორე ბანაყის ავტორთა აზრი, რომელთა საფუძვლად უნდა აღინიშნოს diprosopus triopthalmusის სიმახინჯეთა შემთხვევები. მექანიკურ მომენტად, რომელიც ყველაზე მეტად იწვევს ამ გვარ დეფექტს ამ სიმახინჯეში, Daresten სთვლის ამნიონის ზედმეტ დაწოლას ჩანასახის კრანიულურ ბოლოზე. იმავე აზრს იზიარებს Duysე, Hippel და უკანასკნელი დროის ბევრი ავტორი. არის ავტორთა ჯგუფი Таранецкий, Илхевич და სხვები, რომლებიც ციკლოპის მიზეზად სთვლიან ჩანასახის სითხის ზედმეტი რაოდენობით დაგროვებას.

შემდეგი საინტერესო წარმოქმნა ციკლოპიურ სახეზედ არის ხორთუმი. ხორთუმის სიგრძე, ჩვენი შემთხვევების მიხედვით 3—5 მმს აღწევს და დიამეტრი კი 1—0,5 მმს. ხორთუმი ეს რუდიმენტალური ცხვირი, მრგვალი წარმოქმნა დაფარებული კანით. რომელიც სახის კანისგან არაფრით არ განსხვავდება. ხორთუმის პერიფერიულ ბოლოზე დართულია ერთი ეიწრო ხვრელი; რომელიც არხში ვადალის და შუბლის წიაღს აღწევს. ამ ხორთუმიდან ხელის დაპერისას გამოდის თრეთილისებური ლორწოიანი სითხე. ცენტრალურ ბოლოში ხორთუმი განიკდის შევიწროებას და ეიწრო ფეხით უკავშირდება სახის მიდამოს. იყო აღწერილი შემთხვევები, სადაც ხორთუმის პერიფერიულ ბოლოს დართული ჰქონდა არა ერთი, არამედ ორი ხვრელი. ხორთუმის არხი ძვიდით იყო გაყოფილი შუაზე ორ არხად. ხორთუმის სიგრძე სხვა ავტორების მიერ აღწერილი შემთხვევებიდან აღწევს 3,2 მმს (Батыев) და 2,5 მმს (Таранецкий). შედარებით იშვიათ მოვლენად უნდა აღვნიშნოთ ხორთუმის უქონლობა ციკლოპის დროს. ჩვენი შენთხვევები ამტკიცებენ, რომ ციკლოპის სახეზედ

ხორთუმი არ არის სავალდებულო წარმოქმნა. Таранешкийს 10 შემთხვევიდან მხოლოდ ოთხ ციკლოს (ორს მამრობითისა და ორს მდედრობითი სქესისას) არ ჰქონდა ხორთუმის ნასახიკ კი. დანარჩენი ავტორების მიერ აღწერილ 62 შემთხვევაში მხოლოდ ექვს შემთხვევაში (Littre, Gebauer, Depaul, Poschiaka, Vrolik, Caradec) სრულებით არ იყო არც ცხვირი და არც ხორთუმი. უკვე ძველი დროიდანვე ავტორები ხორთუმს სთვლიან რუდიმენტალურ ცხვირად. Hirschke ხორთუმის აღმოცენებას ციკლოპში იმით ხსნის, რომ ცხვირი წარმოიშობა ბუშტუკის სახით თვალის ზეით, და ამიტომ იგი იზრდება ორბიტებს შორის. Dursy regio-offactoria ვითარდება regio respiratorii მახლობლად საუნოსაე ფოსიდან და მეზობელი ტვინოვანი მორჩებიდან პირის ღრუსგან დამოუკიდებელი და თვალების წინ. უახლოესი ავტორები, და მათ შორის Daresten, აღნიშნავენ, რომ ორივე საუნოსაეი ფოსო შეერთდებიან ერთ ფოსოდ, არასდროს არ შეუერთდებიან პირის ღრუს და გარემო ქსოვილების დახმარებით და მონაწილეობით გარდიქმნება ხორთუმად. ხორთუმის არსებობა, მათის აზრით, არაა სავალდებულო. ხორთუმი, რომ რუდიმენტალური ცხვირია, ამას ადასტურებს მრავალი მიკროსკოპიული დაკვირვებანი. ხორთუმში გარდა ძვალისა უნახავთ ღრტილი, ლორწოვანი გარსი, ჯირკვლები და ეპიტელი, რომელიც საუნოსაე მიდამოს ახასიათებს. რომ ხორთუმი ორმაგი ორგანოა, ისე როგორც ციკლოპიური ორმაგი თვალი, უდავოდ უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე ემბრიოლოგია გვიდასტურებს ამ მოსაზრებას. ჩვენ ვიცით, რომ ცხვირი ორი სიმეტრიულ ნახევრისგან ვითარდება. ხორთუმი ორი ნახევრის შეერთებას წარმოადგენს. თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ შეიძლება დაუშვათ ის მოსაზრება, რომ განვითარდეს ნახევარი ცხვირი და ნახევარი ხორთუმი. ასეთი აპრიორული მოსაზრება შესაძლებელია. და არის კიდევაც საკმარისი ლიტერატურული მასალები, რომლებიც ამას ადასტურებენ. შემთხვევებიდან, რომლებიც აღწერილი არიან Selenkoff, Landow, Longo, Kirschmayer, Bajardi, Turuzzi, Zironi, Kundrat და Petersის მიერ, ჩანს, რომ იყო ერთი ხორთუმის მავიერად ნახევარი ცხვირი ერთ მხარეზედ ნორმალურად განვითარებული—მეორე. მოპირდაპირე კი; განუვითარებელი ცხვირი ხორთუმის სახით, რომელიც მდებარეობდა ან შუბლზედ, ან ცხვირის გვერდით.

!

შემთხვევების შემდეგი გარჩევიდან ჩანს, რომ ციკლოპის ტვინი განუვითარებელია. ასეთი განუვითარებლობა ციკლოპიურ ტვინისა კანონად უნდა ჩაითვალოს. ჩვენს შემთხვევებში მხოლოდ ტვინის ღერო და ბაზალური ნაწილებია განვითარებული: შუბლის, საფეთქლის წილები, ვაროლის ხიდი, ოთხგორაკი, მოგროძო ტვინი და ნათხემი. ციკლოპებში უფრო ხშირად ტვინის უკანა ნაწილია განვითარებული, ვიდრე წინა. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ ის გარემოება, რომ უკეტეს შემთხვევაში წმინდა ტიპიური ციკლოპის დროს მოგროძო ტვინი, ვაროლის ხიდი, ოთხგორაკი და ნათხემი არ განიცდიან რაიმე მნიშვნელოვან გადახრას ნორმისგან (Таранешкий). საერთოდ ციკლოპიური ტვინის ფორმისა და მისი ნაწილების თავისებურება აიხსნება ნაყოფის დროულობით. ადრეულ ნაყოფ-ციკლოს ნაკლებად განვითარებული აქვს ნათ-

ხემის ქია, თითქმის მთელი მეოთხე პარკუქი უკანიდან ღია აქვთ. ლიტერატურაში მოყვანილია Seilerin შემთხვევა. სადაც ციკლოპის ნათხემი იყო ჩვეულებრივი სიდიდისა და მის ზედაპირზედ ხვეულებს ჰქონდათ სწორი დალაგება; შიგნით ნათხემს ჰქონდა რბილი კონსისტენცია და ჰგავდა პარკს სითხით ამოვსებულს. არის კიდევ დაკვირვება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ციკლოპის დროს ტინის არამც თუ დიდი ჰემისფეროები აკლია, არამედ თითქმის მთელი ტინი არ არსებობს: ასეთია ორი შემთხვევა ციკლოპებზედ აღნიშნული და აღწერილი Schleichის მიერ. ამ შემთხვევაში მთელი ცენტრალური ნერვული სისტემა წარმოადგენილი იყო მხოლოდ ზურგის ტვინითა და ნათხემით. ამ დაკვირვების საწინააღმდეგოდ არის, მართალია ძალიან იშვიათად, შემთხვევები; სადაც თავის ტვინი და ჰემისფეროები მშვენიერად განვითარებული იყვნენ, და მათ რაიმე ნაკლი და პათოლოგიური ცვლილება არ ემჩნეოდათ. ასეთებს ეკუთვნის შენთხვევა Della Chiaienის, რომლის სურათიც მოყვანილი აქვს Vrolikეს თავის შრომაში. ასეთივე შემთხვევა Jourdanისა მოყვანილი აქვს Ahlfeldს თავის ცნობილ ტერატოლოგიურ ატლასში. Jourdanის შემთხვევაში ერთი მხედველობის ნერვის არსებობის დროს, დიდი ტვინი იყო არამც თუ კარგად განვითარებული ყველა მიმართულებით, არამედ მას ჰქონდა ცოტად თუ ბევრად გამოხატული გასწვრივი ნაპრალი, რომელიც მას ორ ჰემისფეროდ ჰყოფდა. Baryeის მეორე შემთხვევაში იყო მშვენიერად განვითარებული გასწვრივი ნაპრალი. რომელიც საზღვრავდა ორ დიდ ჰემისფეროს. ამ ჰემისფეროებს საკმარისად მკაფიოდ ჰქონდა გამოხატული ხვეულები და ღარები. Otto აღნიშნავს ერთ ციკლოპურ ტინის, რომელსაც კეთის წილები მეტად წაწეული ჰქონდა და დანარჩენი ტვინისგან ღრმა ნაპრალით იყვნენ განცალკევებული. Vrolikის ერთ-ერთ შემთხვევაში საფეთქლის წილი უფრო დიდი იყო მარცხენა მხარეზე.

რაც შეეხება თავის ტვინის ნერვებს, უნდა ითქვას, რომ საყნოსავი ნერვების უქონლობა აუცილებლობად უნდა ჩაითვალოს. მთელს ლიტერატურაში ციკლოპის საკითხის შესახებ მოყვანილია მხოლოდ ორი შემთხვევა, რომლებიც Otოს ეკუთვნის. პირველში აღნიშნულია, რომ იმ ადგილას, რომელიც ხორთუმი მიმაგრებას ესაბამება, ქალაზედ ეტყობა დაცხრილული მცირე ფირფიტა, რომელშიდაც გადის მცირე კალიბრის ვენა და წერილი, ცარიელი, აკისებრი ძაფები, რომლებიც ხორთუმში თავდებიან. მეორე შემთხვევაში არსებობდა მხოლოდ ერთი საყნოსავი ნერვი, სქელი, ცილინდრული და ცარიელი. მხედველობის ნერვი დიდ ვარიაციებს განიცდის. ლიტერატურაში ძალიან იშვიათად არის აღნიშნული მხედველობის ნერვთა ჯვარედინის შესახებ (chiasma). თუ ასეთი არის აღნიშნული, რომინ იგი ეკუთვნის არა სრულ ციკლოპის (Таранешки). უნდა აღინიშნოს, ამა მხედველობის ნერვის უქონლობა მის დასაწყისში და ქალას ღრუში, სრულიადაც არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი არ უნდა იყოს თვალბუდეში. ხშირად შიგნიდან, ქალას ღრუში ზედმეტი წნევის გამო ნერვის ნაწილი foramen opticumთან ერთად სრულიად ირღვევა და ისპობა, იმ დროს როდესაც მისი თვალბუდის ნაწილი საესებით ან ნაწილობრივ მაინც შენახულია. დანარჩენი ნერვები თავის ტვინისა, ჩვეულებრივად ნორმალურად არიან განვითარებულნი. ხშირად აქ არ არის ქალისებრივი ნერვი. ძალიან იშ-

ვიათად არ არის n. n. oculomotorius, facialis და n. hypoglossus. ამ ნერვების უქონლობის დროს ჩვეულებრივად არ არსებობს მათი გასვლისათვის დანიშნული ხერხელები (გამონაკლისია fissura orbitalis superior) და ორგანოები, რომელთათვისაც დანიშნულნი არიან. ზოგჯერ უსიმეტრიო განვითარებაა ნერვის, ესეც დამოკიდებულია მისი გამოსაყალი ხერხელის განვითარებაზე (Таранецкий).

ოტოცეფალიის განსაზღვრა და წარმოშობა. ამ სიმახინჯისათვის დამახასიათებელია ყურების დაახლოვება მედიალურ მახთან, სახის ქვეით, რომელიც მეტად თუ ნაკლებად განვითარებულია. აქაც, ისე როგორც ციკლოპიის დროს, ჩვენ გვაქვს ნაადრევი დახურვა ტეინოვანი ლარისა, რომელიც არის მიზეზი ოტოცეფალიისა, ხოლო ეს ნაადრევი დახურვა ეხება ტეინოვანი ლარის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება მოგრძო ტეინს. ამას ის მისდევს. რომ მოგრძო ტეინი, რომლის კედლებზეც ხდება განვითარება სასმენი ფოსოების, არ არის სავსებით განვითარებული, და ამიტომ ხდება დაახლოვება სასმენ ფოსოების. ამას მისდევს თავის რიგად შემდეგი განვითარების შეჩერება და დაახლოვება; ზოგიერთ შემთხვევაში კი, შეერთება იმ მიდამოებისა, რომლებიც ჰქმნიან შუა და გარეთა ყურებს. როდესაც სიმახინჯე არ გადააცილებს მოგრძო ტეინს, ვლებულობთ მხოლოდ ყურების დაახლოვებას; მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს სიმახინჯე უფრო რთული იყოს და შეეხოს ოპტიკური ნაწილების ბუშტუკებს და საყნოსავ მიდამოსაც, მაშინ ვლებულობთ მთელ რიგს სიმახინჯის სახეებისას რომელნიც ჩვენ ჩამოვთვალეთ ზემოთ ციკლოპიისა და ოტოცეფალიის კლასიფიკაციაში.

ლიტერატურა.

1. Ahlfeld. Die Missbildungen des Menschen. Leipzig 1889. II B. p.p. 227—276.
2. Таранецкий. Анатомия и история развития циклопии у человека. Петербург 1882.
3. Батуев. Три случая циклопии у человека в связи с развитием этого уродства. „Русский Врач“. 1906 г. № 21, стр. 629—635. и № 22 стр. 673—678.
4. Guinard. Précis de tératologie. Anomalies et monstruosités. Paris. 1893. pp. 385—398.
5. Натансон. Циклопия. „Врач. Газ.“ 1909 г. № 25, стр. 767.
6. Илькевич. Случай циклопии. „Врач. Газ.“ 1910 г. № 30, стр. 895.
7. Элиава Григ. Случай циклопии. „Врач“—1892 г. № 16, стр. 408.
8. Doyse. Morphologie de cyclopes. „Arch. d'ophtalmologie“. T. 41. № 8. p. 449. 1924.
9. Schwalbe. Die Morphologie der Missbildungen des Menschen und der Thiere. Iena. B. I u. II.—1906/7.
10. Grawelotte. Contribution à l'étude des anomalies de développement de l'extrémité céphalique. Un cas de cyclopie. Thèse. Paris. 1905 (მომყავს Батуевს).
11. Hertwig O. Die Elemente der Entwicklungslehre des Menschen und der Wirbelthiere. 1912.
12. Соловьев. О редких уродствах лица и черепа. Харьков 1916.
13. Блинные. О некоторых головных уродствах. „Сборник статей посвящ. проф. Побединскому“. 1914 г.
14. Хажинский. К признакам полуголового уродства во время беременности. „Жур. Акуш. и женск. болезней“ 1911 г.
12. Попов. Изследование уродства с общим лордозом. Дис. Петербург 1907.
13. Fhisalix. Monstres cyclopes chez les mammifères. „Journ. de l'anatomie et de la physiologie“. Paris 1889, pp. 102—103.
14. Kallius. Entwicklung der Nase. „Handbuch d. Anatomie des Menschen“. Jena. 1905. V B. Abt. I. p. 199.
15. Bock. Beschreibung eines atypischen Cyclops, „Klin Monatsblätter f. Augenheilkunde“. 1889. p. 508.
16. Emery. Zur Morphologie der cyklopischen Missbildungen. „Anat. Anz.“ 1893, p. 53.
17. Шор. Cranium patiforme с точки зрения патологич. „Рус. Врач“ 1906. № 42, стр. 1312.
18. Стейкер. Случай врожденного уродства плода. „Врач. Газ.“ 1924 № 19—20, стр. 430.

19. Абрамов и Резанов. Случай сиреноподобного уродства. „Врач. Газ.“ 1903 г. № 7, стр. 161.
20. Walther. Случай затрудненных родов при двойнях, вследствие уродства одного из них. „Врач. Газ.“ 1903. № 7, стр. 169.
21. Тимофеев. Интересный случай врожденного уродства. „Врач. Газ.“ 1910 г. № 6, стр. 207.
22. Ziegler. Allgemeine Pathologie. Jena. 1902. pp. 535—539.
23. Богатырев. К вопросу об уродствах. „Врач. Газ.“. 1903. № 18. стр. 428.
24. Грейнер. Редкий случай наследственной передачи уродства. „Врач. Газ.“ 1903 № 25 стр. 609.
25. Eu. v. Hippel. Die Missbildungen u. angeborenen Fehler des Auges. (Graeffe-Saemisch. Handbuh der Gesamten Augenheilkunde). Leipzig. B. II. K. IX. pp. 98—99. § 26.
26. Peters. Über d. Missbild. des Gesichtes vorkommende Rüsselbildung. „Bereich über die 36 Versammlung der Ophthalmologischen Gesellschaft Heidelberg 1910“. Wiessbaden. 1910. p. p. 163—174.
27. Seefelber. Colobom des Augapfels und Rüsselbildungen, „Bereich über die 36 Versammlung der Ophthalmologischen Gesellschaft“. Wiessaden 1910. p. p. 174—184.